

დიგბანი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
არქეოლოგიური კვლევის ცენტრის
ჟურნალი



№ 3

1999

დ გ ნ ბ ა ზ

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
არქეოლოგიური კვლევის ცენტრის
ჟურნალი**

Д З И Е Б А Н И

**Журнал
Центра археологических исследований
Академии наук Грузии**

D Z I E B A N I

**The Journal
of the Centre for Archaeological Studies
Georgian Academy of Sciences**

№ 3

1999

Tbilisi

თბილისი

Тбилиси

63.4 (2Г)
902/904 (479.22)
д531

მთავარი რედაქტორი: ოთარ ლორთქიფანიძე

Главный редактор: Отар Лордкипанидзе

Editor-in-Chief: Otar Lordkipanidze

სარედაქციო საბჭო: გ. ლიჩელი, იო. ჯალაგანია, გ. გვირგველია,
გ. ჯაფარიძე, გ. ნარიმანიშვილი,
ბ. ჯორბენაძე, გ. მინდიაშვილი,
დ. ბაკრაძე

Редакционный совет: В. Личели, И. Джалағания, Г. Квирквелия,
В. Джапаридзе, Г. Нариманишвили,
В. Джорбенадзе, Г. Миндиашвили,
Д. Бакрадзе

Editorial council: V. Licheli, I. Jalaghania, G. Kvirkvelia,
V. Japaridze, G. Narimanishvili, B. Jorbenadze,
G. Mindiashvili, D. Bakradze

სარედაქციო პოლეგია: დ. გაჭარავა, გ. გვირგველია,
გ. ნარიმანიშვილი, ბ. ჯორბენაძე

Редакционная коллегия: Д. Кацарава, Г. Квирквелия, Г.
Нариманишвили, В. Джорбенадзе

Editors of the Volume: D. Kacharava, G. Kvirkvelia,
G. Narimanishvili, B. Jorbenadze

© არქეოლოგიური კვლევის ცენტრი, 1999

შინაგანი

Содержание

Contest

სტატიები

Статьи

Articles

ლ. ნებიერიძე. საკულტო რიტუალები (მღვიმე საგვარჯილეს მასალების მიხედვით)	5
ლ. დ. Небиеридзе. Культовые ритуалы (по материалам пещеры Сагвардже)	12
L. Nebieridze. Cult Rituals (According to the Materials from the Sagvarjile Cave)	
(Summary)	12
გ. ჩიქოვანი. ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარი თანდიცკარი I	
სოფელ ზელოუბანთაბ (გორის რაიონი)	19
Г. Чиковани. Поселение раннеземледельческой культуры Тандицкаро I близ	
сел. Хелтубани (Горийский район) (резюме)	22
.....	22
G. Chikovani. "Tanditsqaro I" A settlement of the Early Husbandry Culture near the	
Village of Kheltubani (Gori District)	
ა. რამიშვილი. შუაბრინჯაოს ხანის კევრი საქართველოდან	29
A. T. Рамишвили. Молотильная доска эпохи средней бронзы из Грузии (резюме)	
.....	32
A. Ramishvili. Threshing Board of the Middle Bronze Age from Georgia (Summary) ..	
გ. ინაშვილი, ბ. მაისურაძე. ცენტრალური ამიერკავკასიის გვიანბრინჯაოს	
ხანის ბრინჯაოს ჭარბოების ისტორიისათვის	37
Г. В. Инанишвили, В. Г. Maisuradze. К истории производства	
бронзы в Центральном Закавказье в эпоху поздней	38
бронзы (резюме)	
G. Inanishvili, B. Maisuradze. Towards the History of Bronze Production in the	
Central Caucasus in the Late Bronze Age (Summary)	39
ო. ლორქიპანიძე. „კოლხური დიდრაქმის II ტიპის“ იკონოგრაფიისათვის	45
O. Д. Лордкипанидзе. К иконографии т.н. "колхидских дидрахм II типа" (резюме)	
O. Lordkipanidze. On the Iconography of "Colchian Didrachms of Type	
II" (Summary)	48
დ. ახვლეძიანი, რ. ფუთურიძე. კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი სინოპუ-	
რი კერამიკული დამდები	50
Д. В. Ахвледiani, Р. В. Путуридзе. Синопские керамические клейма,	
обнаруженные на территории древней Колхиды	55
(резюме)	
D. Akhvlediani, R. Puturidse. Sinopean Clay Stamps Discovered on the	
Territory Of Ancient Colchis (Summary) ..	55
ვ. შატბერაშვილი. ეცოს სამაროვანის ქრონოლოგიის საკითხი	57
В. Л. Шатберашвили. Вопросы хронологии могильника Эцо (резюме)	61
.....	62
V. Shatberashvili. On Dating of the Etso Cemetery (Summary)	
გ. ნარიმანიშვილი. ანტიკური ხანის სამარხი პატარძეულიდან	68
Г. К. Нариманишвили. Погребение античного периода из Патардзеули (резюме)	
G. Narimanishvili. Burial of the Classical Period from Patardzeuli	
(Summary)	70

ქ. რამიშვილი. ნადირობის სცენები არაგვისპირის ვერცხლის სურებზე	71
К. Р. Рамишвили. Сцены охоты на серебряных кувшинчиках из	
Арагвиспирі (резюме)	75
..	75
K. Ramishvili. Scenes of Hunting on the Silver Jugs from Aragvispiri (Summary)	
ბ. ჯორბენაძე. ადრეული შუა საუკუნეების სამარხი ნაგებობები და დაკრძალვის წესი	
აღმოსავლეთ საქართველოში	76
В. А. Джорбенадзе. Погребальные сооружения и обряд захоронения в восточной Грузии в	
раннем средневековье (резюме)	79
B. Jorbenadze. Burial Structures and Burial Customs in Eastern Georgia in the Early Middle	
Ages (Summary)	80
11. თ. ჩიკოვანი. ჯარგვალური სამშენებლო კულტურის კავკასიური არეალი	85
Т. Г. Чиковани. Кавказский ареал срубной строительной культуры (резюме)	89
T. Chikovani. Das kaukasische Verbreitungsareal der Balkenbaukultur	
(Zusammenfassung)	
	89

არქეოლოგიის ისტორია
История археологии
History of Archaeology

ბ. მუმლაძე. არქეოლოგიური აღმოჩენები საქართველოში „დროებასა“ და	
„ივერიაში“ გამოქვეყნებული მასალების მიხედვით	91
М. Н. Мумладзе. Археологические находки в Грузии по материалам,	
опубликованным в газетах "Дроэба" и "Иверия"	97
M. Mumladze. Archaeological Finds in Georgia According to the Materials Published	
in "Droeba" and "Iveria"	97

ქრონიკა
Хроника
Chronicle

ბ. ჯორბენაძე, ხ. ჯორბენაძე. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი 1998 წელს	98
В. А. Джорбенадзе, Х. В. Джорбенадзе. Центр археологических исследований в	
1998 году (резюме)	113
B. Jorbenadze, Kh. Jorbenadze. The Centre for Archaeological Studies in 1998	
(Summary)	114

განსენება

ბ. ნიორაძე. ალექსანდრე კალანდაძე (1909-1976)	115
თ. ჯაფარიძე. ოთარ ლამბაშიძე (1924-1995)	117

ლამარა ნებიერიძე

საგულტო რიტუალები (მღვიმე საგვარჯილეს მასალების მიხედვით)

დასავლეთ საქართველოს გვიანენეოლითური ხანის ძეგლებმა უკანასკნელ ხანებში ახალი მასალები შეგვმატეს აქ მოსახლე ტომების სულიერი კულტურის შესახებ, რომლებიც არქეოლოგიურად ასაბუთებენ და ავსებენ ეთნოგრაფიული მასალების მონაცემების საფუძველზე ორორიული მსჯელობის შედეგად შექმნილ წარმოდგენას უძველესი რელიგიური რწმენების შესახებ.

პირველ რიგში გვინდა მეცნიერულ მიმოქცევაში შემოვიტანოთ მღვიმე საგვარჯილეს მასალები, რომელთა დეტალური გაცნობა მხოლოდ უკანასკნელ წლებში გახდა შესაძლებელი. კერძოდ, გვიანენეოლითის ხანის ფენაში (II ფენა) აღმოჩენილი სამარხისა (ტაბ. I) და საკულტო კერის (ტაბ. II) მასალა, რომელიც მისი გამთხრელის მიერ ამ თვალსაზრისით არ იყო აქცენტირებული. უფრო მეტიც, მის ერთადერთ გამოქვეყნებულ სტატიაში [6] ეს მასალა საერთოდ არც კი ფიგურირებს. ჩვენ მას გავუცანით საგვარჯილეს გათხრის ანგარიშების, საგელე დღიურების, დავთრებისა და გრაფიკული ჩანახატების მეშვეობით.

საგვარჯილეს II თხრილის ენეოლითურ ფენაში (ფენა II, 30-32 ნიშნულებს შორის) 1,80 მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა სამარხი (ტაბ. I). მას გამთხრელი 6. ბერძნიშვილი ნეოლითურად მიიჩნევდა [7].

სამარხი ლორდის ფენაზე იყო მოწყობილი. მიცვალებული მარცხენა გვერდზე ძლიერ მოკრუნჩული ესვენა. ფეხის ტერფის ძვლები თითქმის მენჯის ქვეშ ყოფილა მოქცეული, მუხლის ძვლები კი წინ იყო გამოწეული და მენჯის ზევით აწეული. მარცხენა ხელი გაჭიმული ჰქონდა ტანის გასწვრივ, ხოლო ფალანგები მარცხენა ბარძაყისა და წვივის ქვეშ ეწყო. მარჯვენა ხელი მოღუნული ყოფილა, მუცლის არეზე გადადებული და მარცხენა იდავეზე დადებული. თავის ქალა მარცხნივ იყო გადაქანებული და ჩამტვრეული. მისი პირსახის წინ მდგარა ხელით ნაძერწი, მრგვალირიანი, მუცელგამობერილი და ყელგამოყვანილი, მცირეზომის, საცრემლისმაგვარი თიხის ჭურჭელი. თავის ქალასა და ამ ჭურჭელს შორის, მხრისა

და ლავიწის ძვლებთან იდო თიხის ბიკონუსური კვირისტავი. გულმკერდის წინ მდგარა აგრეთვე ხელით ნაძერწი, თიხის მრგვალირიანი ჯამი. ამგვარივე ჯამი აღმოჩენილი ყოფილა აგრეთვე კულტურულ ფენაში. მენჯის არეში მას აღმოაჩნდა ქვის ცული. გამთხრელის დღიურში აღნიშნულია, რომ იგი იყო არქაული ფორმის, დიდი ზომის და კარგად გამოყვანილი. ჩვენ მასზე ვერ ვიმსჯელებთ, რადგან იგი, როგორც ცნობილია, მის ფიქსირებამდე, საველე პირობებშივე დაკარგულა. დღიურიდან ირკვევა, რომ აქვე ყოფილა ქვის ბრტყელი სამაჯურის ნატეხიც.

სამარხის თიხის ნაკეთობები გვიანენეოლითური ხანისაა, აქვთ მაკოპური კერამიკის იერი და უახლოესი პარალელები გააჩნიათ, როგორც დასავლეთ საქართველოს მღვიმური ძეგლების ენეოლითურ ფენებში, ისე ყებანისპირეთის ამავე პერიოდის ნამოსახლარების მასალებში.

კვირისტავები და სამაჯურები დასავლეთ საქართველოს ენეოლითზე უფრო ადრეული ხანის ძეგლებიდან ცნობილი არ არის. როგორც ჩანს, საქმე გვაქვს დასავლეთ საქართველოს ჯერჯერობით ყველაზე ადრეულ, ენეოლითური ხანის სამარხთან.

ყურადღებას იქცევს სამარხში კვირისტავის ჩატანების ფაქტი. მიცვალებულის დამხრობისა და ჩატანებული ცულის მიხედვით უნდა ვიყიქროთ, რომ სამარხი მამაკაცს ექუთვნოდა. კვირისტავის ჩატანების ფაქტი დადასტურდა აგრეთვე არახლოს (ნახიდური) ენეოლითურ სამარხში (№ 9) [20, ტაბ. XX-5], სადაც მიცვალებული მარჯვენა გვერდზე მოკრუნჩული ესვენა (ქალის სამარხი) და ქაცხელას სამაროვნის ქვედა იარუსის № 5 სამარხში. დაკრძალული აქაც მარჯვენა გვერდზე ძლიერ მოკრუნჩული ესვენა (ქალის სამარხი). მისი პირსახისა და გულმკერდის წინ იდგა თიხის სამყურა ქილა და წითლადშეღებილი ცალფურა ჯამი. თავის ქალასა და ამ ჭურჭლებს შორის აქაც იდო ძვლის მოზრდილი კვირისტავი [14, გვ. 25].

ქაცხელას სამაროვნის ქვედა იარუსის სამარხეულ მასალაში აღ. ჯავახიშვილი და ლ. ღლონტი განსაკუთრებით გამოპყოფებ რამდენიმე არქაული იერის ჭურჭელს, რომელთა ანალოგს საგვარჯილეს სამარხში ხედავენ [14, გვ. 48]. კერძოდ, ქაცხელას სამაროვნის მეორე სამარ-

¹ საგვარჯილეს გათხრების საგელე დოკუმენტაცია ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ქვის ხანის არქეოლოგიის განყოფილებაში.

ხის ნახევარსფერულ, პატარა, ბრტყელძირა, ცალფურა, ღრმა ჯამის უახლოეს პარალელად ისინი მიიჩნევენ საგვარჯილეს სამარხის ჯამს. საყურადღებოა ავტორების დაკვირვება, რომ ამგვარი ჭურჭელი სრულიად უცხოა ქვაცხელებისათვის [14, გვ. 41].

ამგვარად, ჩვენ აქ ვხედავთ საგვარჯილეს სამარხის ანალოგიურ დაკრძალვის რიტუალს შიდა ქართლში. კვირისტავის სამარხში ჩატანების ფაქტი საქართველოს ენეოლითში დასტურდება როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა გვერდზე დამხრობილ სამარხებში.

საგვარჯილეს სამარხის მდებარეობა გვიჩვენებს, რომ იგი მოწყობილი იყო საცხოვრებელი იატაკის ქვეშ. დაკრძალვის ეს წესი ფართოდ იყო გავრცელებული ჩრდილო კავკასიაში და წინააზიური ენეოლითური კულტურების მთელ არეალში, რაც წინაპართა კულტის მაშინდელ იდეოლოგიურ წარმოდგენებს უკავშირდებოდა [18, გვ. 145]. სამარხში ჩატანებული ნივთები მოწმობს იმქვენიური ცხოვრების შესახებ გარკვეული წარმოდგენების არსებობას. მიცვალებულს ატანდნენ როგორც შრომის იარაღს და ჭურჭელს, ასევე კვირისტავს, რომელსაც საკულტო-სარიტუალო დანიშნულება ჰქონდა.

არქეოლოგიური მასალები მოწმობენ, რომ საქართველოში ენეოლითის შემდგომ პერიოდში (მტკვარ-არეზის კულტურის ძეგლებში) მატულობს დაკრძალვის რიტუალში ძვლის ან ქვის კვირისტავებისა და ბორბლისებური მრგვალ-ბრტყელი, ცენტრში გახვრეტილი ნივთების მონაწილეობის შემთხვევები. ამგვარი ნივთები აღმოჩენილი იყო კიკეთში ბ. კულტინისა (ქვაყრილი I, სამარხი № 2) და გ. ფხაკაძის მიერ გათხრილ მტკვარ-არეზის კულტურის სამარხებში (№№ 1, 12, 14) [11, გვ. 21, 30, 49, 54]; სამშენებლის სამაროვნის № 3, 6, 20, 24 სამარხებში [8, გვ. 83, 85, 90]; ამირანისგორის № 24 და № 36 სამარხებში [13, გვ. 36, 42] და სხვ.

ჩვენ აქ არ მოგვაქვს ამ სამარხების აღწერილობა, რადგან, სამწუხაროდ, აღნიშნული ნივთების სამარხებში ზუსტი მდებარეობის შესახებ ცნობები საკმაოდ მწირია. უმეტეს შემთხვევაში აღნიშნულია მხოლოდ მათი სამარხში აღმოჩენის ფაქტი. აგრეთვე ხშირია შემთხვევები, ერთი და იგივე სამარხის რამდენჯერმე გამოყენებისა და აღრინდელი ინვენტარის ადგილგადანაცვლებისა.

საგანგებოდ გვინდა შევეხოთ ამირანისგორაზე დადასტურებულ, კვირისტავებიან სამარხებს (№ 24 და № 36) და მათი დაკრძალვის რიტუალს. ამ სამარხებს გამთხრელი ტ. ჩუბინიშვილი უჩვეულოდ თვლილა, რადგან პირველში (სამარხი № 24), მარცხენა გვერდზე დამხრობილ მამაკაცის სამარხში, სპილენძის სა-

ტევრისპირთან, კერამიკასთან და შეწირული 4 ხარის ძვლებთან ერთად აღმოჩნდა ძვლის კვირისტავი [13, გვ. 40], მეორეში (სამარხი № 36), მარჯვენა გვერდზე დამხრობილ აგრეთვე მამაკაცის ნალისებური ფორმის სამარხში ლითონის სატევრისპირთან, პიტოგრაფიულ ნიშნებიან თიხის ჭურჭელთან და ხარის მსხვერპლშეწირვასთან ერთად აღმოჩნდა აგრეთვე კვირისტავი. იმის გამო, რომ კვირისტავს ქალის ატრიბუტად თვლილა, მას უჩვეულოდ მიაჩნდა მათი ჩატანება მამაკაცის სამარხებში. თუმცა სრულიად მართებულად ამ ფაქტს საგანგებო დაკრძალვის რიტუალს უკავშირებდა [19, გვ. 70]. იგი აღნიშნავდა, რომ მიცვალებულისათვის შეწირული ცხოველის, განსაკუთრებით კი ხარის თავ-ფეხის ჩატანება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, ზოგიერთი მამაკაცის დაკრძალვის დროს ხდებოდა [13, გვ. 40].

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ამირანისგორის გამოქვეყნებული მასალის ტაბულაზე [13, ტაბ. X₁₅₋₁₆] ჩანს, რომ ამ სამარხში ჩატანებული ყოფილ მრგვალ-ბრტყელი ბორბლისებური წრეები, რომლებსაც ტ. ჩუბინიშვილი კვირისტავებად მიიჩნევდა.

ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ბორბლის იმიტაციებთან, რომლებსაც მხოლოდ საკულტო-სარიტუალო დანიშნულება ჰქონდა. ხოლო ამ საგანგებო რიტუალით დაკრძალულნი იყვნენ ის პირნი, რომლებიც გარკვეულ კავშირში უნდა ყოფილიყვნენ იმ კულტთან, რომლის უმბლემასაც ეს ნივთები წარმოადგენდნენ. მათ საკრალურ შინაარსს ჩვენ ქვემოთ შევხებით, აქ კი აღვნიშნავთ, რომ სამარხში ჩატანებული კვირისტავები თუ მათთან გაიგივებული გახვრეტილი მრგვალი წრეები ქალის ატრიბუტს არ წარმოადგენდნენ, მათ საკულტო-სარიტუალო დანიშნულება ჰქონდათ და ამდენად ისინი შეიძლება შეგხვდნენ ამ კულტთან დაკავშირებული პირების როგორც მარცხნივ, ისე მარჯვნივ დამხრობილ სამარხებში. აქვე ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ კვირისტავებიან სამარხებში განსაკუთრებული სიჭარბე შეინიშნება შეწირული მსხვილფეხა რქოსანი საქონლის, რაც აგრეთვე ამ რიტუალის შემადგენელი კომპონენტია.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, მტკვარ-არეზის კულტურის მატარებელი ტომების მეურნეობაში, როდესაც აშპარად მატულობს მესაქონლეობის მნიშვნელობა, ხშირდება საკულტო რიტუალში კვირისტავებისა და ბორბლისებური გახვრეტილი ნივთების გამოყენების შემთხვევები. ისინი ენეოლითურის მსგავსად გვხვდება როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა გვერდზე დამხრობილ სამარხებში და როგორც ქვემოთ, სვანეთის ეთნოგრაფიული მასალებიდან

დავინახავთ, მათ დღემდე იყენებენ კულტ-მსახურებაში. " საგვარჯილეს ჩრდილო უბნის (II თხრილი) ცენტრალურ ნაწილში, ე.ი. ძლვიმის წინა ფართობზე (ნიშნული 6-16) ენერლიტური ფენა 3 მ-ის სიღრმეს აღწევდა. ამ მონაკვეთში ჰუმუსის (სამარხეული) ფენის მოხსნის შემდეგ 1,65 მეტრის სიღრმეზე გამოვლინდა დაახ. 20 გ² თიხატკეპნილი ფართობი, რომელზედაც მიმობნეული ყოფილა გვიანენე-ოლიტური ხანის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და ცხოველთა ძვლები. ამგვარივე კერამიკული მასალა ჩატანებული იყო თვითონ იატაკში, რომელიც თიხით იყო გადალესილი და წითლად გამომწვარი. თიხატკეპნილ იატაკს ფარავდა ნაცრის შრე. ამავე მონაკვეთში, პირველი იატაკის ოდნავ ქვევით აღმოჩნდა მეორე წითლადგამომწვარი თიხატკეპნილი იატაკი.

ამავე თხრილის ჩრდილო ნაწილში გამოვლინდა პირველ (ზედა) იატაკში ჩალესილი საკულტო კერა (გამთხრელი მას „სამსხვერპლოს“ უწოდებდა) (ტაბ. II). ამ ნაკეთობის შესახებ მონაცემები მოგვაქვს მისი საველე დღიურიდან.

საკულტო კერა წარმოადგენდა ძლვიმის ზედაპირიდან 1,65 მ სიღრმეზე მდებარე პირველ, წითლადგამომწვარ თიხატკეპნილ იატაკში ჩაჭრილ, თიხით ნალეს წრიულ ორმოს, რომლის დიამეტრი 0,80 მ უდრიდა. სიღრმე დაახ. 18 სმ უნდა ყოფილიყო, მისი უდიდესი სისქე (გამომწვარი თიხისა) 13 სმ-ია. საკულტო კერის კიდე 7 სმ-ით შემაღლებული, ირგვლივ ამოღარული და მოგლესილი ყოფილა. ეს კერის ბორდიურია. მისი კიდე დაახ. 4 მ-ით ყოფილა დაცილებული ძლვიმის კედლიდან. საკულტო კერის ირგვლივ იატაკი მთლიანად მოტკეპნილი და წითლად გამომწვარი ყოფილა, რომელიც სამხრეთ ნაწილში თანდათან მაღლდებოდა და მთავრდებოდა აგრეთვე მოტკეპნილი, თავშაკვეთილი კონუსისებური შემაღლებით. შესაძლოა აქ პოდიუმთან გვქონდა საქმე.

საკულტო კერასთან აღმოჩნდილი იყო ხელ-საფქვავები, რქის თოხისნაირი იარაღი, კვირისტავები და თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხისაგან დამზადებული მრგვალ-ბრტყელი გახვრეტილი, ბორბლისებური ნიგოთი, რომელიც აქ კვირისტავებთან ერთად ყოფილა შეწირული.² 6. ბერძნიშვილი ამ სამსხვერპლოს შესახებ თავის დღიურში წერს: "გასაკვირველი ამბავია, თუ ეს მართლა სამსხვერპლოა, რატომლაა იგი საცხოვრებელი. ჩვენ აქ ხომ ვნახეთ კვირისტავები და სხვა ნივთები..." [7]. როგორც ჩანს, მან კვირისტავები და გახვრეტილი მრგვალი წრეები, ე.წ. ბორბლის იმიტაციები საკულტო ნივთებად

² ბორბლისებური ნიგოთის საველე № 792, საველე დავთარი № 2.

არ მიიჩნია, რომელთა გამო მას ზოგჯერ ეჭვიც კი ეპარებოდა კერის საკულტო დანიშნულებაში. იმის გამო, რომ აღნიშნული ნივთები მან საკულტო-სარიტუალო ნივთებად არ მიიჩნია, ისინი კერის გრაფიკულ ნახატზე არ დაუტანიათ. მაგრამ საერთო ჯამში მან სრულიად მართებულად განსაზღვრა კერის საკულტო დანიშნულება (მონოლითად მოაჭრევინა საკულტო კერა მუზეუმისათვის).

საკულტო კერის სამხრეთით, კიდევ სამი-ოდე პრაქტიკული დანიშნულების მცირე ზომის კერა დაფიქსირებულა (მათი აღწერა არსად არაა მოცემული). აქვე აღმოჩნდა ცხოველების მრავალი ძვალი. საკულტო კერის ჩრდილოეთით, მოტკეპნილი ფენიდან 1,40 მ მანძილზე, ძლვიმის გამოწეულ ქიმთან გაიწმინდა პატარა კუთხე (ფართობი 1,25 × 0,80 მ), სადაც გამოვლინდა მრგვალფურიანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი, ირმის რქა, რქის სადგისი, ქვის ცულის პირი, მოშავო-მოწითალო კერამიკის ფრაგმენტები და ძვლის ნატეხები.

საკულტო კერის აღების შემდეგ, როგორც აღნიშნეთ, მის ქვეშ დაახლ. 20 სმ სიღრმეზე (ძლვიმის ზედაპირიდან დაახლ. 1,82 მ) გამოვლინდა მეორე, წითლად გამომწვარი თიხატკეპნილი იატაკი, რომელიც სიგრძეში 6 მეტრამდე ვრცელდებოდა. ზედასთან შედარებით მას უფრო დიდი ფართობი ეჭირა, თუმცა უარესად იყო მოტკეპნილი. მასში პირველის მსგავსად ჩართული იყო კერამიკის ფრაგმენტები. ამ დონეზე აღმოჩნდა მრგვალფურიანი თიხის ჭურჭლის ნატეხი, ხელსაფქვავი, ცხოველის დამტკრეული ძვლები და კაჟის მასალა. მეორე თიხატკეპნილი იატაკის დონემ პირველის ანალოგიური მასალა მოგვცა. მათ შორის დროში არსებითი განსხვავება არ შეიმჩნეოდა. ორივე კომპლექსი გვიანენეოლიტურ ხანას განეკუთვნებოდა. მეორე იატაკის დონეს უკავშირდებოდა მის დასავლეთით იმავე პორიზონტიდან ჩაშვებული ორი ორმო, რომელთა სიღრმე 2,5 მ აღწევდა.

ძეგლის გამთხრელი მეორე იატაკის დონეზეც ვარაუდობდა საკულტო კერის არსებობას. II თხრილის ჩრდილო ნაწილში, 2 მ სიღრმეზე, გამოვლინდა ოვალური კერა ორი ბრტყელი ქვით შემოფარგლული. ამავე დონეზე აღმოჩნდა ორმო ნახშირითა და მიწით ამოვსებული, რომელშიც ნაპოვნი იყო გვიანენეოლიტური ხანის კერამიკის ფრაგმენტები. მეორე იატაკში აღმოჩნდა ორმოების მწკრივი, რომლებსაც დაახლ. 20 სმ დიამეტრი ჰქონდა. გამთხრელი მათ საცხოვრებელი ნაგებობის საყრდენი ბოძების ორმოებად მიიჩნევდა (ტაბ. IV). მისივე დაკვირვებით ოთხი იორმო ერთ ხაზზე ყოფილა განლაგებული, ერთი კი მათ უკან. ორ მოპირდაპირე კუთხეში იორმოები უხვევდნენ, რის გამოც იგი ვარაუდობდა კუთხეებში ორ-ორი ბოძის და შუაში ერთი დიდი დედაბობის არსებობას. 6.

ბერძნიშვილის დაკვირვებით, ფენები მღვიმის წინა ფართობზე ვერტიკალურად ყოფილა ჩაჭრილი ჩრდილო-სამხრეთის ხაზზე და სწორკუთხა ორმოსმაგვარად გამოყვანილი. ორმოების პორიზონტზე აღმოჩნდა კაჟის ისრისწვერი და ქვის სამაჯურის ფრაგმენტი. ბოძების საყრდენი ორმოების განლაგებიდან უნდა ვიფიქროთ, რომ მღვიმის შიგნით ყოფილა ხის სწორკუთხა ნაგებობა თიხატკებილი იატაკით და კერით, რომელიც ბოძებს ეყრდნობოდა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მღვიმის II თხრილის იმ მონაკვეთში სადაც ზემოთ აღნიშნული ორი იატაკის დონე აღმოჩნდა, ფენა ხელუხლებელია. მან მეტად საყურადღებო მასალა მოგვცა როგორც სტრატიგრაფიის თვალსაზრისით, ისე კულტობრივი დაკავშირებული საკითხების გარკვევისათვის.

საგვარჯილები აღმოჩნდილი საკულტო კერის უახლოესი პარალელია ხიზანაანთგორის დონის კერები, რომლებიც გარეგნულად, და უნდა ვიფიქროთ დანიშნულებითაც, ძალიან წააგვანან საგვარჯილისას. ისინი აგრეთვე წარმოადგენდნენ მიწაში ჩაჭრილ, თიხით ნალეს ორმოებს, რომელთა ნალესობა იატაკზეც გადადიოდა და ქმნიდა ფართო, ოდნავ შემაღლებულ ბორდიურს. ყოველ კერაში, როგორც წესი, დამოწმებული იყო ნაცარი. ამგვარი კერების დანიშნულება მუდმივი ცეცხლის შენახვა უნდა ყოფილიყო, რაც იწვევდა კერის კულტის ობიექტად ქცევას [4, გვ. 48-49].

საგვარჯილეს ენეოლითურ ფენაში მრავლად იყო აღმოჩნდილი თიხის კონუსური და ბიკონუსური ფორმის კვირისტავები, რომელთა მცირე ნაწილი შემცული იყო სხვადასხვა რინამენტით – კონუსის წვერიდან ფუძისაკენ რადიალურად დაშვებული სხივისებური ხაზებითა და ჭდეული წერტილებით, აგრეთვე ფრჩხილისებური თუ სხვა სახებით. კვირისტავები ნაპოვნი იყო აგრეთვე სხვა ენეოლითური ხანის ძეგლების კულტურულ ფენებშიც. კერძოდ, სამელე კლდეში (30 ც-ზე მეტი), თეთრიმღვიმეში (70 ც), დანარჩენ ძეგლებში (დარკვეთი, თეთრამიწა, ჩიხორი, ძუძუანა და სხვ.) მათი რიცხვი შედარებით ნაკლებია, მაგრამ ისინი აქაც კომპლექსის ერთ-ერთი მთავრი კომპონენტია. ნეოლითური ნამოსახლარებისაგან განსხვავებით, რომლებშიც კვირისტავები არ გვხვდება, ენეოლითურს ისინი ჭარბად ახასიათებს.

როგორც აღნიშნეთ, საგვარჯილეს ენეოლითურ ფენაში კვირისტავებთან ერთად ნაპოვნი იყო ქვისა და კერამიკული მრგვალ-ბრტყელი, შუაში გახვრეტილი წრები, ბორბლის მოდელები. ზოგ შემთხვევაში ისინი ნაკეთებია თიხის ჭურჭლის გვერდის ნატეხისაგან (საგვარჯილე, ჩიხორი, აბასთუმანი). ამ დისკოების დიამეტრი საშუალოდ 4-6 სმ-დე მერყეობს,

სისქე კი 0,5-1 სმ-დე, ნახვრეტის დიამეტრია 6-8 მმ.

ანალოგიური ნივთები აღმოჩნდილი იყო ადრელითონის ხანის თითქმის ყველა ძეგლზე (საფუძვლიდე, თეთრიმღვიმე, თეთრამიწა, ჩიხორი, ახალსოფელი და სხვ.). მათ ჩეენ კვირისტავებთან ვერ გავაიგივებთ, რადგან აღნიშნულ ძეგლებში მრავლადა ნაპოვნი ნამდვილი კვირისტავები, აგრეთვე იმის გამო, რომ მათი ხვრელის დიამეტრი იმდენად მცირეა, რომ მასში თითისტარი არ ჩამაგრდებოდა. იგი გამოდგებოდა მხოლოდ ზონარისა თუ თასმის გასაყრელად.

აღნიშნულ ნივთებს მეტად ფართო პარალელები აქვთ სხვადასხვა რეგიონების აღრესამიწამოქმედო კულტურის ძეგლებში. მათ აქ არ მოვიტანთ. ისინი ცნობილია ჩრდილო კავკასიის, წინააზიის, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის, ბალკანეთის, ცენტრალურ და სამხრეთაღმოსავლეთ ევროპის ძეგლებიდან.

დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე ირკვევა, რომ ამგვარ ნივთებს დღესაც ავგაროზებად იყენებენ. სამარხში ჩატანებულ და აგრეთვე საკულტო კერასთან შეწირულ კვირისტავებს და ქვისა თუ კერამიკულ გახვრეტილ დისკოებს საკულტო-სარიტალო დანიშნულება უნდა ჰქონოდა.

კვირისტავების პრაქტიკული დანიშნულება პირველყოვლისა, რა თქმა უნდა, ძაფის რთვა-გრეხა იყო. გასარკვევი იყო მხოლოდ ნედლეულის საკითხი. ამ საკითხს, სამელე კლდის მასალებზე დაყრდნობით, ჯერ გ. ჯავახიშვილი [15, გვ. 25], შემდეგ კი ი. კიკვიძე [5, გვ. 155] შეეხო. ორივე სამელე კლდეში მესაქონლეობის არსებობას გამორიცხავდა. ამიტომ ისინი კვირისტავების ფუნქციას მხოლოდ სელის გამოყენებას (გრეხას) უკავშირებდნენ. აღნიშნული მოსაზრება უმყარებოდა იმ დროისათვის ჯერ კიდევ შეუსწავლელ მღვმების ძლიოვან მასალას. ხოლო სამელე კლდიდან წინასწარულად განსაზღვრულ მცირებოდნ მასალაში შემთხვევით მოხვდა მხოლოდ გარეული ფაუნა (ხოლო მასში მყოფი ერთადერთი შინაური საქონლის ძვალი შემთხვევით მოხვედრილად იყო მიჩნეული). ამიტომ მეცხოველეობის როლი მღვმებურ ნამოსახლარებში ამ შეკლებართა მიერ მოლიანად გამოირიცხა. რის გამოც, მათ კვირისტავების პრაქტიკული დანიშნულება არქეოლოგიური მასალების საფუძველზე ვერ დაუკავშირებს მესაქონლეობას.

მოგვიანებით, როგორც ცნობილია, სამელე კლდის მთელი კოლექციისა და ასევე საგვარჯილეს, დარკვეთისა და თეთრიმღვიმის ოსტეოლოგიური მასალის შესწავლის შედეგად უცილობლად დადასტურდა ამ ნამოსახლარებზე მესაქონლეობის არსებობა. ახალი მონაცემების საფუძველზე კვირისტავები, რა თქმა უნდა, მე-

საქონლეობას დაუკავშირდა [9, გვ. 25], ხოლო რაც შეეხება კვირისტავებზე არსებულ დეკორს, იგი მათ მიერ მართებულად, ასტრალურ სიმბოლიკად იყო მიჩნეული [15, გვ. 25; 5, გვ. 155]. როგორც კვირისტავები, ისე ბორბლის იმიტაციები ი. კიკვიძემ საკულტო ნივთებად მიიჩნია, რომლებიც ასტრალური ღვთაების – მზისადმი იყო შეწირული [5, გვ. 155-156]. ეს მოსაზრება ემყარებოდა ვ. ბარდაველიძის მიერ სვანეთის ეთნოგრაფიაში დამოწმებულ მასალას – კვირისტავებისა და ბორბლის იმიტაციების მზის ღვთაებისადმი შეწირვის ფაქტს. კერძოდ, ვ. ბარდაველიძემ ფარის თემში, ს. ფარის პირდაპირ (ეცერის მიმართულებით) მდებარე თავსწორ გორაზე მიაკვლია ქალების სალოცავს – ბარბოლს, სადაც (მოსახლეობის გადმოცემით) ადრე სალოცავი ნაგებობა მდგარა. აქ ერთ ადგილზე თავმოყრილი ყოფილა ქალების მიერ ბარბოლის სახელზე შეწირული ფიქლის, კირქვისა და რკინის მრგვალი, შუაში გახვრეტილი ნივთები, მათ შორის კვირისტავებიც. აქედან უდავოდ ჩანს, რომ კვირისტავებს და ბორბლის იმიტაციებს საკულტო დანიშნულებაც ჰქონიათ, რომ ბარბარ-ბარბალე ქართველთა უძევლესი ქალღვთაებაა, რომელშიც შერწყმულია მზისა და ნაყოფიერების ღვთაებები [1, გვ. 19]. იგი სიცოცხლის განახლების სიმბოლოც უნდა ყოფილიყო.

ვ. ბარდაველიძემ სვანეთის ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე დაადგინა, რომ მზის ღვთაების კულტი თავდაპირველად ძირითადად მსხვილფეხა საქონლის მფარველი ღვთაება იყო [1, გვ. 8].

ეს მასალა მეტად საინტერესოდ გვეჩვენება, რადგან ჩიხორში (თერჯოლის ონი) მუშაობისას ჩვენ დავამოწმეთ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მსხვილფეხა საქონლს კისერზე ავგაროზებად ჰქიდებდა მრგვალ, გახვრეტილ ქვებსა თუ გახვრეტილ კერამიკულ წრეებს, რომლებსაც მათი მფარველის ფუნქცია ეკისრებოდა, ხოლო ჩიხორის ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარის გათხრის დროს აღმოჩენილ მრგვალ, გახვრეტილ კერამიკულ წრეებს ადგილობრივი მცხოვრებნი საქონლის საკიდებად მიიჩნევდნენ.

ამგვარად, ვფიქრობთ, რომ ზემო იმერეთში გათხრილ ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის კულტურულ ფენებში აღმოჩენილი კვირისტავების ერთ ნაწილს გარდა პრაქტიკული დანიშნულებისა (ძაფის რთვა-გრეხა), ჰქონდა აგრეთვე საკულტო-სარიტუალო დანიშნულებაც, ისინი საქონლის მფარველ, ნაყოფიერების ღვთაების სახელზე შეიწირებოდა, ხოლო კვირისტავებთან ერთად აღმოჩენილ ქვისა თუ კერამიკულ მოძრგვალო წრეებს – ბორბლის იმიტაციებს, მხო-

ლოდ საკულტო-სარიტუალო დანიშნულება უნდა ჰქონოდა. ისინი უკავშირდებოდნენ მესაქონლეობის მფარველ ღვთაებას, ნაყოფიერებისა და მზის კულტს და მაგიური დანიშნულება უნდა ჰქონოდათ [5, გვ. 157].

აღსანიშნავია, რომ ამგვარი ნივთების სიჭარბე სწორედ იმ ძეგლებზე გახვდება, სადაც უკევ უდავოდ საბუთდება საკმაოდ განვითარებული მეცნიერებებისა (საგვარჯილე, თეორიმდვიმე, დარკვეთი, ჩიხორი).

კვირისტავებს და ბორბლის იმიტაციებს რომ მესაქონლეობის მფარველ, მზის ღვთაებასთან ჰქონდა კავშირი, ამას მოწმობს აგრეთვე ი. კვირიანის მიერ სვანეთში, ტვებიშში დამოწმებული მასალა. კერძოდ, ამ სოფლის დასავლეთით მდგარ დიდ იფნის ხეზე მას დაუდასტურებია ჩამოკიდებული კვირისტავების რამდენიმე აცმა, ამავე ხის ძირში მდგარ ბაზილიკის ნიშებში კი მრავლად უნახავს შეწირული კვირისტავები და ქვასანაყის მაგვარი ქვები. იფნის ხის მახლობლად მოწყობილი ყოფილა ფიქლით გადახურული ერა. აქ, როგორც ჩანს, უძველესი წარმართული სალოცავი ყოფილა, რომელთანაც საკულტო რიტუალები სრულდებოდა. ამ სალოცავში, ივნისის თვეში, ახალ მთვარეზე იკრიბებოდნენ მხოლოდ ქალები. დღეობა ეძღვნებოდა მსხვილფეხა საქონლის, კერძოდ ფურების გამრავლება-ნაყოფიერებას. ქალები, რომლებსაც ჰყავდათ პირველი ხბომოგებული ფური, მის პირველ ჩამონაწველ რძის ცვარს გაატარებდნენ ამ რიტუალისათვის საგანგებოდ განკუთვნილი კვირისტავის ნახვრეტში და მიწას დაწვეთებდნენ, შემდეგ კი კვირისტავს მრგვალ კვერთან ერთად შესწირავდნენ ღვთაება ბარბოლს, რომელსაც საქონლის გამრავლებას და სისალეს შესთხოვდნენ. აგრეთვე საინტერესოა, რომ ამ ქალებიდან სამი უხუცესი ქალი შესაწირავი კვერებით (ლემზირებით) და მათზე დაწყობილი კვირისტავებით აღმოსავლეთისაკენ ხელებაპყრობილი შესთხოვდნენ მზის ღვთაებას – ბარბოლს ამ კვირისტავების პატრონის ფურების გამრავლებას, ნაყოფიერებასა და თვინიერებას. კვირისტავი უკავშირდებოდა ქალურ ბუნებასა და მზეს. იგი ბარბოლის – მზის ღვთაების ერთ-ერთ ატრიბუტადაცაა მიჩნეული [3, გვ. 68].

ეს ქალღვთაება თავდაპირველად, განსაკუთრებით ენეოლითის ხანაში მესაქონლეობის მფარველი და ნაყოფიერების ღვთაება უნდა ყოფილიყო, რომელთან დაკავშირებული რიტუალი საკულტო კერასთან უნდა შესრულებულიყო, რის დასტურიც შეიძლება იყოს საგვარჯილეს საკულტო კერასთან აღმოჩენილი კვირისტავები და ბორბლის იმიტაციები. ეს მითუმეტეს საფიქრებელია, რომ საგვარჯილეში კარგად დასტურდება საკმაოდ განვითარებული მესაქონლე-

ობა. დროთა ვითარებაში ამ ღვთაებას სხვა ფუნქციებიც შეუძრია.

მოტანილი არქეოლოგიური და ეთნოგრა- ფიული მასალებიდან ჩანს, რომ ენეოლით-ად- რებრინჯაოს ხანაში ასეთ რიტუალს ძირითა- დად ასრულებდნენ ის ტომები, რომელებსაც უკ- ვე ჰქონდათ მესაქონლეობა, რომ მზის ქალ- ღვთაება თავდაპირველად ქართველ ტომებში მესაქონლეობის მფარველი ყოფილა.

მზის სიმბოლურ გამოსახულებას უნდა წარმოადგენდეს საგვარჯილეს დეკორაცია კვი- რისტავები (ტაბ. V_{3,5}) კონუსის წვერიდან ფუ- შეზე დაშვებული ცხრა-ცხრა რადიალური სხი- ვით. ასევე ცხრა სხივი აქვთ სამელეკლდის ორ კვირისტავები. მათგან ერთ-ერთზე (ტაბ. V₆) ბორჯდალაა გამოსახული, რომელიც მბრუნავი მზის გამოსახულებად ითვლება. მასზე თავი- სუფლად დაეტეოდა მეათე სხივი (ადგილი იმ- დენია), მაგრამ როგორც ჩანს გამიზნული იყო მხოლოდ ცხრა სხივი. სამელეკლდის მესამე კვირისტავზე (ტაბ. V₇), ი. კიკვიძის აზრით, სვასტიკისებური გამოსახულებაა [5, გვ. 157]. ჩვენი აზრით, ის შესაძლოა კიდევაც წარმო- ადგენდეს სვასტიკის პროტოტიპს, მაგრამ საინ- ტერესოა ის, რომ ამ სიმბოლოს კაპებში ცხრა ტეხილი ხაზი მონაწილეობს. ამასთანავე ამ გა- მოსახულების ერთი კაბი გახსნილია, რომელიც თავისუფლად შეიძლებოდა შეკრულიყო მეათე ხაზით, მაგრამ შესაძლოა აქაც გამიზნული იყო მხოლოდ ცხრა სხივი. ბორჯდალა, როგორც აპოთროპეული ნიშანი, სვანეთში დასტურდება საქონლის საფგომების ტიხრებზე. ამ ორნამენ- ტის გამოყვანისას ლოცულობდნენ ბარბოლის სახელზე [10, გვ. 29]. ასტრალური ნიშანი გამოსახულია აგრეთვე ქვაცხელას B1 ფენაში აღმოჩენილ მრგვალ-ბრტყელ ქვაზე, რომელზე- დაც ამოკვეთილია ცენტრიდან გამომავალი ცხრა რადიალური სხივი (ტაბ. V₉). შესაძლოა, უკვე თანამდებობა რიცხვი ცხრის საკ- რალურად ქვევა (ცხრათვალა მზე, ცხრა წყა- რო, ცხრა მუხა და სხვ.).

მზის კულტს მიაწერს ი. კიკვიძე მტკვარ- არეზის კულტურის ძეგლებზე კვირისტავების შედარებით სიჭარბეს. აღნიშნული მოსახრების მკაფიო დამადასტურებელია მის მიერ ხიზან- ანთგორის E დონის ნამოსახლარზე დამოწმე- ბული ზუსტი არქეოლოგიური პარალელი – კ- ბარდაველიძის მიერ სვანეთში (ფარის თემში) მიკვლეული მზის ქალღვთაების (ბარბოლის) სა- ლოცვისა, სადაც ქვის რკალურ წყობასთან აღ- მოჩენილი იყო კირქვისა და თიხის კვირისტა- ვები, ბორბლის მოდელები და აგრეთვე თიხის ჭურჭლის გვერდის წრიული, ცენტრში ბოლომ- დე გაუხვრეტავი ნატეხები [5, გვ. 156-157].

საგვარჯილეს მასალები მკაფიოდ მოწმობენ, რომ ენეოლითის ხანის საკულტო რიტუალში

კერას საგანვებო ფუნქცია ჰქონდა. იგი ემსა- ხურებოდა ნაყოფიერების კულტის რიტუალს. მისი მთავარი დანიშნულება, როგორც ცნობი- ლია, უქრობი ცეცხლის შენახვა იყო, რაზედაც მიუთითებს ნაცრით შევსებული კერა და ნაცრის სქელი შრე, რომელიც მოტკეპნილ და წითლად- გამომწვარ იატაკს ედო ზემოდან. უნდა ვიფიქ- როთ, რომ აქაც ნაცარი შულავერის ნამო- სახლარის მსგავსად წმინდად ითვლებოდა, რო- მელიც შორს არ გაჰქონდათ და იატაკზე იგ- ლისებოდა.

ამგარად, საგვარჯილეს სამარხში ჩატანე- ბული და საკულტო კერასთან შეწირული კვი- რისტავები და გახვრეტილი მრგვალი წრეები კიდევ ერთი არქეოლოგიური საბუთია იმისა, რაც ადასტურებს კ. ბარდაველიძის მიერ ეთნო- გრაფიული მასალების საფუძველზე მიღებულ დასკვნას, რომ მზის ქალღვთაების კულტი თავ- დაბირველად მსხვილფეხა საქონლის, უნდა ვიფიქროთ, საერთოდ შინაური საქონლის, მფარ- ველი, ნაყოფიერების ღვთაება იყო [1, გვ. 8], რომ საგვარჯილეს მასალების შექმენი არქე- ოლოგიურად საბუთოდება ნაყოფიერებისა და მზის კულტის არსებობა ენეოლით-ადრებრინჯა- ოს ხანაში.

მდგიმებების ენეოლითური ფენების ძვლოვანი მასალების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ამ პერი- ოდის ტომთა მეურნეობაში ნადირობას ჯერ კი- დევ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. უნდა ვიფიქ- როთ, რომ მუდმივ ცეცხლთან სრულდებოდა შინაური საქონლისა და ნადირობის მფარველი ღვთაებისადმი მიძღვნილი საკულტო რიტუალე- ბი, რისი დამამტკიცებელიცაა კერასთან ნაპოვ- ნი საკულტო საგნები: ასტრალური სიმბოლიკის შემცველი კვირისტავები და ბორბლის იმიტა- ციები, საკულტო ცხოველების ძვლები, ირმისა და ხარის რქები და მათგან ნაკეთები სამეურ- ნეო იარაღები, კაჟის შუბისპირები.

როგორც ცნობილია, ირემს ნაყოფიერების კულტს უკავშირებენ. მისი რქების საკულტო რიტუალში გამოყენება უკვე ცნობილია საქარ- თველოს ეთნოგრაფიული მასალებიდან, რასაც არქეოლოგიურად უნდა ასაბუთებდეს დარკვე- თის ეხის ენეოლითურ კერაში აღმოჩენილი ირ- მის დიდი რქა.

კულტთან დაკავშირებული ენეოლითის ხანის პარალელური მასალა გამოვლენილი იყო აგრეთვე თეთრიმღვიმის ე.წ. „სარიტუალო დარ- ბაზში“ [2, გვ. 9]. აქ გამოვლინდა თიხატკე- ნილი იატაკის ფრაგმენტები და მასზე გამარ- თული წრიული ფორმის, დაახ. 30 სმ დია- მეტრის მქონე კერები, რომლებშიც მსხლოდ ნახშირი დადასტურდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ კერების დანიშნულება აქაც მუდმივი ცეც- ხლის შენახვა იყო, რომელთანაც სრულდებოდა ნაყოფიერებისა და მზის ღვთაებისადმი მიძღვ- ნილი რიტუალი. ეს მითუმეტეს საფიქრებელია,

რომ ამ კერებთან ნაპოვნი იყო ორნამენტირებული კვირისტავები, თიხის მრგვალი, იმიტაციური „კვერები“, ცხოველების (ხარი, ცხვარი) დამტვრეული ტერაკოტული ფიგურების ფრაგმენტები, თიხისაგან ნაძერწი ხარის რქა და თავი, რიყის ქვისა თუ თიხის ფალოსები, შინაურ ცხოველთა ძვლები. თიხის კვერებს ნაყოფიერების კულტს უკავშირებენ [5, გვ. 164].

როგორც ვხედავთ, თეთრი მღვიმის ენეოლითური ფენის არქეოლოგიური მასალებიც მიუთითებენ ხარის კულტის, ნაყოფიერებისა და მზის ქალვთაების კულტის არსებობაზე.

საგვარჯილებს ენეოლითურმა ფენამ მოგვცა, აგრეთვე, ხარის კულტთან დაკავშირებული მასალაც მეორე თხრილის მოტკეპნილ იატაკზე, კერის ფენაში ნაპოვნი იყო პლატფორმაზე მდგარი ხარის რქა.

საგვარჯილებში ქალის თიხის მცირე ქანდაკებები ნაპოვნი არ ყოფილა. სამაგიეროდ მღვიმის ზედა ფენაში (1 მ სიღრმეზე) აღმოჩენილია მოწითალოდ გამომწვარი მამაკაცის ტერაკოტული ქანდაკება და ქვის ფალოსი (ტაბ. V), რაც ამ პერიოდში მამაკაცის როლის გაზრდილ მნიშვნელობაზე უნდა მეტყველებდეს.

საგვარჯილებს მამაკაცის ქანდაკება გამოსახულია განიერი მხრებით და მკეთრად შევიწროებული წელით, გულმკერდზე ორივე მხრიდან ზონარი ეშვება, მაგრამ სად თავდება იგი ძნელი სათქმელია, რადგან ზედაპირი გულმკერდზე ატკეცილია. ზურგის მხარე გლუვა.

ჩვენი აზრით, ეს ქანდაკება ეკუთვნის ენეოლითის ხანაში ხმელთაშუაზღვისაირეთში, წინა და მცირე აზიაში გავრცელებული ქანდაკების ტიპს, რომლებსაც მხრიდან გულმკერდზე რელიეფური ან ამოღარვით შესრულებული სარტყელი მიუყვება. ზოგჯერ ეს სარტყელი ზურგზეც გადადის.

აღნიშნული ტიპის თიხის მცირე ქანდაკებები ან ამგვარივე გამოსახულებები თიხის ჭურჭლებზე ცნობილია მეშოკოს ნამოსახლარიდან (ყებანისაირეთი), ტროა II-დან, ტროა V-დან, არპაჩიადან (შუამდინარეთი), უზერლიკოფელან (აზერბაიჯანი). ეს ქანდაკებები სხვადასხვა სახისაა, არის მათ შორის ანთროპომორფულიც (ტროა II-V), მაგრამ მათ ყველას აკავშირებს მხრიდან გულმკერდზე ჩამოშვებული სარტყელი ან ზონარი, რომელიც ხშირად დაშტრიხულია. ადამიანის თიხის ქანდაკებები მხრიდან დაშვებული სარტყელით მესოპოტამიაში ნაპოვნი ყოფილა უბეიდის პერიოდის ძეგლებში (ური, ურუკი) [17, გვ. 130].

მიჩნეულია, რომ ამგვარი ქანდაკებები გარკვეულ დატვირთვას ატარებდნენ და, რომ ისინი სამხრეთის რეგიონებშია წარმოქმნილი [17, გვ. 131]. ყველაზე ადრეული ქანდაკებები ნაპოვნია არპაჩიაში, შედარებით გვიანდელები მაიკოპის

კულტურის სინქრონულები კი მცირე აზიიდანაა ცნობილი. ა. ფორმოზოვი თვლის, რომ ქანდაკების ეს სახე მცირე აზიიდან ტროა II-ის ტიპის ძეგლებიდან შემოვიდა ყუბანისპირეთში [17, გვ. 131]. საფიქრებელია, რომ საგვარჯილებს ქანდაკებაც ანარეკლი იყოს ამ ტიპის ძეგლებისა. მითუმეტეს, რომ საგვარჯილებს ენეოლითური ფენის მთელი კომპლექსი დიდ სიახლოებებს ამჟღავნებს მაიკოპის კულტურის ძეგლების მასალებთან. ამგვარ ქანდაკებებს და გამოსახულებებს უკავშირებენ ნაყოფიერების სამიწათმოქმედო კულტებს [16, გვ. 204-275].

ი. კიკვიძე თვლიდა, რომ ამ პერიოდში ფენებს იკიდებს მეორე ღვთაების – მამაკაცური ბუნების, მთვარის კულტი [5]. აღნიშნულ მოსაზრებას შესაძლოა ამაგრებდეს საგვარჯილებსა და თეთრიმღვიმეში აღმოჩენილი მასალები. მითუმეტეს, რომ ხარის კულტთან დაკავშირებული მასალები უკვე ცნობილია ამ ძეგლებიდან.

ამგარად, მღვიმე საგვარჯილებს გვიანენეოლითური ნამოსახლარის ახალმიკვლეული მასალების შესწავლამ (რაც შესაძლებელი გახდა საგვარჯილებს საველე დოკუმენტაციის ქვის ხანის არქეოლოგიის განყოფილებისადმი გადაცემის შემდეგ) შექი მოპფინა დასავლეთ საქართველოს უძველესი ტომების რელიგიური რწმენების ზოგიერთ საკითხს.

როგორც აღვნიშნუთ, საგვარჯილებს ახალმა მასალებმა და მათმა პარალელებმა – სამარხებში ჩატანებულმა და საკულტო კერასთან ნაპოვნმა კვირისტავებმა და გახვრეტილმა მრგვალმა წრეებმა ე.წ. "ბორბლის იმიტაციებმა" – არქეოლოგიურად დაასაბუთა სვანეთის ეთნოგრაფიული მასალების მონაცემები: რომ ეს საკულტო ნივთები ასტრალური ღვთაების – მზისადმია შეწირული [1, გვ. 19; 5, გვ. 156], რომ ენეოლითის ხანის საქართველოში სოლარულ კულტთან ერთად გარკვევით იკვეთება ნაყოფიერებისა და სიცოცხლის მფარველი ღვთაების კულტი [5, გვ. 157]. "მკვდრის მზისა" და მიცვალებულთა კულტის მჭიდრო კავშირი ნაყოფიერებასთან ი. სურგულაძეს აკარაუდებინებს, რომ ბედის დამწერი და სულეთის საქმეთა განმგებელი ღვთაებები გარკვეულად დაკავშირებული უნდა ყოფილიყვნენ ნაყოფიერების ძალებთან. ძველი აღმოსავლეთის რელიგიური შეხედულებების მიხედვით, ბუნების ნაყოფიერების თუ მოკვდავი და აღდგენად ღვთაებები ხშირად ხთონიურ ხასიათს ატარებენ, ან პირდაპირ მიცვალებულთა ღვთაებად გვევლინებიან. [10, გვ. 32]. შესაძლოა სწორედ ამაში მდგომარეობდეს კვირისტავების სამარხებში ჩატანების საქართველური აზრი.

დასასრულს მინდა აღვნიშნო, რომ სულ ახლახანს არქეოლოგიურ ლიტერატურაში გამოჩნდა სრულიად განსხვავებული, მეტად საინტე-

რესო ცდა კვირისტავის სემიოტიკური სტატუსის ინტერპრეტაციისა მტკვარ-არაქსელთა დაკრძალვის რიტუალში [12, გვ. 23], რომელიც უნდა ვიფიქროთ კიდევ უფრო შეავსებს ჩვენ ცოდნას ამ პერიოდის რელიგიური რწმენების შესახებ.

Л. Д. Небиеридзе

КУЛЬТОВЫЕ РИТУАЛЫ (по материалам пещеры Сагварджиле) (резюме)

В погребении и у культового очага энеолитического слоя пещеры Сагварджиле, а также в самом слое, были найдены керамические и каменные пряслица и модели колесиков (круглые диски с отверстием в центре). Аналогичные предметы во множестве были засвидетельствованы также в энеолитических-раннебронзовых слоях пещерных и открытых поселений Западной Грузии, а также и в погребениях куро-аракской культуры.

На основании археологических и этнографических данных Грузии устанавливается, что кроме практического значения в быту (прядение) пряслица участвовали в культовом ритуале (на некоторых выведены астральные символы), а имитации колес имели только ритуально-магическое значение. Указанные предметы, пожертвованные в честь богини-покровительницы домашнего скота, были связаны с культом солнца и плодородия, символом которого они являлись.

Следует отметить, что указанные предметы встречаются в культовом ритуале на тех памятниках, где было засвидетельствовано скотоводство.

В энеолитическо-раннебронзовом слое пещеры Сагварджиле был выявлен также материал, связанный с культом быка (рог быка, стоящий на платформе), а также каменный фалос и мужская терракотовая статуэтка, указывающие на возрастающую роль мужчины.

L. Nebieridze

Cult Rituals

(According to the Materials from the Sagvarjile Cave)
(Summary)

In the aeneolithic layer of the Sagvarjile Cave burial, near the cult hearth and in the layer itself ceramic and stone whorls and models of wheel were found. Analogous items were found in considerable numbers in the cave and open settlement layers of Anaeolithic-Early Bronze Age in Western Georgia as well as in burials of Kura-Araxes Culture.

Archaeological and ethnographic data show that, besides their practical purpose, whorls had sacral significance and participated in cult rituals (there are representations of astral symbols on some of them), while imitations of wheels had only ritual and magic significance.

These items were offered to the deity-patroness of the cattle, being linked to the cult of the sun and fertility whose symbols they were.

It should be noted that the cited objects occur in the cult ritual on sites where cattle breeding was attested.

It should be noted that whorls and models of wheel were just found in the cult rituals of the monuments where cattle-breading had been undoubtedly proved.

The Aeneolithic layer of the Sagvarjile cave revealed material connected with the cult of the bull (the horn of the bull on a platform), stone phallus and a terracotta statue of a man, pointing to the increased male role in that period.

ლიტერატურა

1. ბარდაველიძე გ. ქართველთა უზველესი სარწმუნოების ისტორიიდან. თბ., 1941.
2. კალანდაძე კ. თეორი მღვიმე. თბ., 1994.
3. გვიციანი ი. სვანური დღეობა ჯგირვანა-შობა. – მმ, № 34, 1974, გვ. 68-69.
4. კიკვიძე ი. ხიზანაანთ გორის ადრებრინ-ჯაოს ხანის ნამოსახლარი. თბ., 1972.
5. კიკვიძე ი. მიწათმოქმედება და სამიწათ-მოქმედო კულტი ძველ საქართველოში. თბ., 1976.
6. კილაძე (ბერძენიშვილი) ნ. მრავალფე-ნიანი არქეოლოგიური ძეგლი „საგვარჯილე“. – სმამ, ტ. 14, 9, 1953, გვ. 561-567.
7. კილაძე (ბერძენიშვილი) ნ. ძევრის არ-ქეოლოგიური ექსპედიციის სავალე დღიური № 5, 1952 წ. ინახება არქეოლოგიური კვლევის

ცენტრის ქვის ხანის არქეოლოგიურ განყოფილებაში.

8. მირცხულაგა გ. სამშვილდე. თბ., 1975.
9. ნებიერიძე ლ. დარკვეთის მრავალფენიანი ეხი. თბ., 1978.
10. სურგულაგე ი. ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა. თბ., 1986.
11. ფხავაძე გ. ქართლის ენეოლითი. თბ., 1963.
12. შანშაშვილი ნ. კვირისტავის სემიოტიკური სტატუსი მტკვარ-არაქსელთა დაქრძალვის რიტუალში. — ძიებანი, № 1, თბ., 1998, გვ. 23-26.
13. ჩუბინიშვილი ტ. ამირანის გორა. თბ., 1963.
14. ჯაგახიშვილი ალ., ღლონტი ლ. ურბისი. I, თბ., 1962.
15. ჯაგახიშვილი გ. დასავლეთ საქართველოს ადრესამიწაომოქმედო კულტურის ისტორიისათვის. საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1971.
16. ბიბიკოვ ს. ნ. Поселение Лука-Брублевецкая. — МИА, № 38, 1953.
17. ფორმიზოვ ა. ა. Каменный век и энеолит Прикубанья. М., 1965.
18. მუნხაევ პ. მ. Кавказ на заре бронзового века. М., 1975.
19. ჭუბინიშვილი თ. ნ. К древней истории Южного Кавказа. Тб., 1971.
20. ჭუბინიშვილი თ. ნ., გოგელია დ. დ. Краткий отчет квемо-картлийской археологической экспедиции. — ПАИ, 1978 (1981), с. 35-43.

ტაბულების აღწერილობა:

- ტაბ. I ენეოლითური ხანის სამარხი.
- ტაბ. II საკულტო კერა.
- ტაბ. III საკულტო კერის ფრაგმენტი.
- ტაბ. IV ორმოები თიხატკეპნილ იატაკზე
- ტაბ. V საგვარჯილე:
- 1 – მამაკაცის ქანდაკება;
 - 2 – ქვის ფალოსი;
 - 3, 5 – კვირისტავები;
 - 4 – ბორბლის იმიტაცია.
- სამელეკლდე:
- 6-8 – კვირისტავები.
- ქვაცხელა:
- 9 – ასტრალურნიშნიანი მრგვალ-ბრტყელი ქვა.


Описание таблиц

- Табл. I Погребение энеолитического периода.
- Табл. II Культовый очаг.
- Табл. III Фрагмент культового очага.
- Табл. IV Ямы на глинобитном полу.
- Табл. V Сагварджиле:
- 1 – Мужская статуэтка;
 - 2 – Каменный фалос;
 - 3, 5 – Пряслица;
 - 4 – Имитация колеса.
- Самеле клде:
- 6-8 – Пряслица.
- Квацхела:
- 9 – Каменный круг с астральным знаком.

Description of Plates:

- Pl. I Burial of the Aeneolithic Period.
- Pl. II Cult hearth.
- Pl. III Fragment of a cult hearth.
- Pl. IV Pits in the clay floor.
- Pl. V Sagvarjile:
- 1 – Statuette of a man;
 - 2 – Stone phallus;
 - 3,5 – Whorl;
 - 4 – Immitation of a wheel.
- Samele Klde:
- 6-8 – Whorls.
- Kvatskhela:
- 9 – Stone circle with an astral sign.

ପ୍ରାଦ. ।



ଫାଦ. II




ঁৰাৰ. III



Фот. IV



Гл. V



გურამ ჩიქოვანი

ადგესამიზათმოქმედო კულტურის ცამოსახლარი თანამდებობის სრული ხელთუბანობა (გროვის რამდენი)

აღმოსავლეთ საქართველოში ინტენსიური არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად რამდენიმე ახალი აღრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარი აღმოჩნდა. ერთ-ერთი ასეთია თანდიწყარო I, რომელიც მდებარეობს გორის რაიონის სოფელ ხელთუბის აღმოსავლეთით, გაშლილ ველზე, ადგილ თანდიწყაროსთან. საღვეოსოდ აღმოსავლეთ საქართველოში აღრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარები შესწავლილია როგორც ბარში, ისე მთისწინა ზოლში, რაც შესაძლებლობას გვაძლევს თვალი გაგადევნოთ აქ მიმდინარე კულტურულ-სამეურნეო პროცესებს, თავისებურებებსა და კონტაქტებს კავკასიისა და წინა აზიის სხვადასხვა რეგიონებთან.

ნამოსახლარის პირველი კულტურული ნაშთები შემჩნეულ იქნა ჯერ კიდევ 1983 წელს ადრებრინჯაოს ხანის № 10 ყორლანის სამარხი კამერის შესწავლისას. გამოითქვა პირველი ვარაუდიც ნამოსახლარის ხასიათსა და ასაკზე და მისი დაცვის მიზნით დატოვებულ იქნა ქვეყრილი [14, გვ. 20-21].

1986 წელს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის გორის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. გ. მინდიაშვილი) შეისწავლა აღნიშნული ნამოსახლარი. გათხრის პროცესში დადგინდა, რომ ყორლანის ქვაყრილისა და ნამოსახლარის ფართობი ძირითადად ემთხვეოდა ერთმანეთს. სულ გაითხარა 208 m^2 ფართობი. გაუთხრელი დარჩა ნამოსახლარის მცირე, აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც მოქცეული იყო ქარსაფარის ხეებისა და სარწყავი ბეტონის არხის მონაკვეთზე. კულტურული ფენის სისქე შეადგენდა 0,50-0,55 მ-ს, რომლის ზედაპირი დაზიანებული იყო ყორდანის ქვაყრილის, ხოლო ცალკეული ადგილები ბრინჯაოს ხანის ორმოსამარხებისა და შუა საუკუნეების ორმოებით.

ნამოსახლარის ცენტრალური ნაწილი, სადაც შეიმჩნეოდა ბათქაშის ფრაგმენტები და მოლესილი იატაკის მცირე ფართობი, დაზიანებული ჰქონდა ყორლანული სამარხის კამერას, თუმცა აქ რაიმე ხუროთმოძღვრული გეგმარების ნაგებობის ნაშთი არ დადასტურებულა.

ნამოსახლარზე გაწმენდილი ორმოებიდან ხუთი ორმო – № 7, 8, 10, 11 და 13 ნამოსახლარის თანადროული უნდა იყოს, რომელთაგან უფრო საყურადღებოა № 10 და 11.

ორმო № 10 ძირშევიწროებული და მუცლიანია. მისი დიამეტრია 70 სმ, ხოლო სიღრმე კი 30 სმ. ორმოს შევსებაში თანის ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტთან ერთად აღმოჩნდა მჭიდროდ ჩაწყობილი 83 ქვა, რომელთა შორის გამოიჩინა მრგვალი ფორმის ხელსაფქავი, მრგვალი სახეზი თუ სასრესი და ვიწრო ტანის მოგრძო გატეხილი ქვა.

№ 11 ორმოს პირის დიამეტრია 80 სმ, ძირის კი – 90 სმ, ხოლო სიღრმე – 65 სმ. ორმო შევსებული იყო მოშავო ფერის თიხნარით. მის ძირზე შეიმჩნეოდა ნაცეცხლურის ქვალი, აქვე აღმოჩნდა რამდენიმე ნაწილად გატეხილი ქვასანაყი და, რაც მთავარია, სუსტად გამომწვარი თიხის გუნდა, რომელიც შეიცავდა კულტურულ მცენარეთა ნაშთებს.

პალეობოტანიკოს ნ. რუსიშვილის განსაზღვრით, ორმოში აღმოჩნდილი თიხის გუნდა შეიცავდა შემდეგი სახის კულტურულ მარცვლებს: *Hordeum nouidum* – შიშველმარცვალა ქერი, *triticum* – რბილი ხორბალი, ხოლო თიხატკებილი იატაკის დონეზე კი აღმოჩნდა *triticum* – ხორბალი, *Hordeum* – ქერი, *vicica* – ცერცველა [15, გვ. 15-16].

ნამოსახლარის კულტურულ ფენაში ჩნდებოდა თიხის ჭურჭლის ნატეხები, ობსიდიანის, კაუისა და ქვის იარაღები. ცხოველთა ძვლები კი იძენად მცირე და ფრაგმენტული იყო, რომარ ხერხდება სახეობათა დაღვენა.

ნამოსახლარზე აღმოჩნდა ობსიდიანისა და კაუის 285 ნატკეცი ერთეული, რომელთაგან აბსოლუტური უმრავლესობა ობსიდიანია.³ მთლიანი ნატკეცი მასალიდან 188 დაუმუშავებელია, ხოლო 97, ანუ მთელი მასალის 1/3 დაუმუშავებელი. ნამზადები ძირითადად წარმოადგენდნენ მცირე და საშუალო ანატკეცებს. ლამელისაგან დამზადებულია მხოლოდ 7 იარაღი. ანატკეცითა უმრავლესობა ამორფულია, არასწორი, სამკუთხა ან ოთხკუთხა ფორმის.

ვიწრო და ფართო ლამელათა რაოდენობა თანაბარია. ასევე თანაბარია პროფილში სწორი და ოდნავ მოხრილ ლამელათა რაოდენობა.

გულგულები 13 ერთეულია, ძლიერი ნამუშევრის კვალით, ძირითადად კონუსური და პრიზმული ფორმის.

მეორადი დამუშავებების ტექნიკიდან წამყვანია გამაფხიანებელი რეტუში. ვიწრო და ფართო გამაფხიანებელი რეტუში თანაბარია. იარაღთა დამუშავებაში ფართოდ გამოიყენება ბოლოების ბრტყლად ათლა, ნაკლებია სასაჭრისე ჩამონატეხების ხერხის გამოყენება.

დამუშავებული იარაღებიდან წამყვანია ხოწები – 47 ერთეული, მათგან 37 სამუშაო გვერდით, 9 – ორი სამუშაო, 3 კი – ოთხი სამუშაო გვერდით (ტაბ. I_{7,8,9,10,11,13}). ყველა დამზადებულია ანატკეცებები.

რეტუშირებული ანატკეცი 37 ერთეულია, მათგან 27 გამაფხიანებელი, ხოლო 10 კი დამაბლაგვებელი რეტუშით (ტაბ. I_{12,16,17,21,22}).

³ ქვის მასალის ანალიზი ეკუთვნის ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს ლ. ჭელიძეს.

რეტუშირებული ლამელა მხოლოდ ორი ერთეულია, გამაფხნავებული და ნატევრად ციცაბო რეტუშით (ტაბ. I₁₈). ამოღარული ლამელა კი – ერთი.

საჭრისი 4 ერთეულია, დამზადებულია ლამელების გადანატეხის კუთხეზე, ერთი კი ანატკეცის გადანატეხის კუთხეზე, ხოლო მეორე შუალა საჭრისია (ტაბ. I_{1,2,3,5}).

სახვრეტი 3 ერთეულია. დამზადებულია ანატკეცებზე, ოდნავ გამოყოფილი წვერით (ტაბ. I_{4,6}).

ამოღარული იარაღი კი 3 ერთეულია (ტაბ. I_{19,20,21}).

ქვის სხვა იარაღი სულ რამდენიმე ერთეულია. აღსანიშნავია ოვალური და მრგვალი ფორმის ზედაპირდამუშავებული ორი ქვა, რომელიც შესაძლოა ხელსაჯევგავის ქვედა და ზედა ნაწილებს წარმოადგენენ (ტაბ. II-III_{26,31}). წაგრძელებულ ქვაზეა დამზადებული ღრმაფუსოიანი ქვასანაყის ნატეხი (ტაბ. II₂₃), ხოლო ნაპრიალებ ცულისებრ თუ სატეხისებრ იარაღს თავ-ბოლო მოტეხილი აქვს და ძლიერ დაზიანებულია (ტაბ. II₂₈). ასევე შეიძლება აღვნიშნოთ როდინის მსგავსი გატეხილი ორი ქვა (ტაბ. II-III_{27, 33}). ქვის დანარჩენ ნატეხებს კი თითქოს ეტყობა გამოყენების კვალი, მაგრამ მათ დანიშნულებაზე საუბარი ჭირს (ტაბ. II-III_{25,26,29,30,32}). ცხოველის ერთადერთ დაზიანებულ ძვალს ირიბად წაპვეთილი პირი აქვს (ტაბ. II₂₄), მაგრამ სამუშაო იარაღად მისი გამოყენება საეჭვოა.

თიხის ჭურჭლის ნატეხები ფრაგმენტულია, მაგრამ შედარებით პროფილიანი ფრაგმენტების მიხედვით მათი უმრავლესობა ეკუთვნის პირმოყრილ, ან ცილინდრულყელიან, მუცლიან ჭურჭლებს. ისინი ნაძერწია ხელით, არაორგანული მინარევების შესამჩნევი კვალით. ზოგიერთ ნატეხს ზედაპირი სუსტად აქვს ნაპრიალები, დანარჩენის კი დამჭლევებულია. ისინი ძირითადად გამომწვარია მოჩალისფრო-მოყავისფროდ, ზოგს კი სუსტად ნაპრიალები მოვარდისფრო შიდა პირი აქვს. ნატეხების უმრავლესობა მცირე და საშუალო ზომის ჭურჭლებს ეკუთვნის და ისინი შედარებით თხელკეციანია. საშუალოდ 0,5-0,8 სმ სისქის.

თიხის ჭურჭლის ნატეხებიდან მხოლოდ ოთხია ძირისა და ძირგვერდის ნატეხი (ტაბ. IV_{48,63,64,69}). ისინი ბრტყელირაა და მხოლოდ ერთს აქვს გამოყოფილი ქუსლი და მკვეთრად გადაშლილი კალთა (ტაბ. IV₆₉). მისი კეცის სისქე 1 სმ-ია, ხოლო მეორე მცირე ფრაგმენტს კი ძირზე ეტყობა წნული ანაბეჭდის კვალი (ტაბ. IV₄₈).

აღსანიშნავია ჯამისებრი ჭურჭლის ნატეხები (ტაბ. V_{71,73,75}), რომლებიც ორი ჭურჭლის ნაწილებს უნდა წარმოადგენდნენ. მათ მოყავისფრო გარე და მოვარდისფრო შიდა სარჩული აქვთ. კეცი პირისკენ პროპორციულად შეთხე-

ლებულია, ხოლო პირი შემკული აქვთ ტალღისებრი ორნამენტით. აღსანიშნავია, რომ ორნამენტი თიხის ჭურჭლის ნატეხების მხოლოდ ერთ ნაწილს ამკობს და ისინი აბსოლუტურად გაფორმებულია პირზე. ისინი პირიბითად შეიძლება სამ სახედ დაიყოს: 1) ტალღისებრი (ტაბ. V_{71-73,75,78,79,82-84,88-90}), რომელიც გაფორმებულია ჭურჭლის პირზე თითოთ დაწილის შედეგად; 2) დაკბილული (ტაბ. V_{85,86,92}), გაფორმებულია გარკვეული ვიწროტანიანი საგნის გამოყენებით; 3) ჭდეული (ტაბ. V_{74,76,80,81,87,91}), რომელიც გაფორმებულია ბასრაპირიანი საგნის გამოყენებით და ჭდეული ჭურჭლის პირზე გამოყვანილია ერთმანეთის სიახლოვეს ან გარკვეული დაშორებით.

ცალკე აღსანიშნავია ორი ჭურჭლის ნატეხი (ტაბ. V_{71,76}), რომლებსაც „ბიბილოსებრი“ პირი უნდა ჰქონდათ.

ნამოსახლარი თანდიწყარო I, როგორც დასახლების ტიპით, ისე მასალების მიხედვით მიეკუთვნება ეწ. სიონის ტიპის ან იგივე წოფიგინჩის წრის ძეგლებს, რომლებიც ერთგუნიანია და კულტურულ-სამეურნეო თვალსაზრისითაც ახლოს დგანან ერთმანეთთან [18, გვ. 85-86].

თიხის ჭურჭლის ნატეხები ფორმისა და ორნამენტის მიხედვით პირველ რიგში მსგავსებას ამჟღავნებენ არაგვის ხეობის [8, გვ. 75-77], ნიჩბისის (მასალები გამოუქვეყნებელია), მარნეულის სიონის [4, გვ. 15-17], ალაზნის ველის [10, გვ. 53-65] და სხვა ნამოსახლარების მასალებთან. მაგრამ მათგან განსხვავებით თანდიწყარო I თიხის ჭურჭლის ნატეხებს მხოლოდ პირზე გაფორმებული ორნამენტი ახასიათებთ და არ ჩანს შვერილები, კოპები, სხვადასხვა რელიეფური მოტივები და პირს ქვემოთ დატანილი ნასვრეტები. ამ მხრივ ისინი უფრო მეტ მსგავსებას ამჟღავნებენ მარნეულის სიონის მასალებთან.

ნატეხცი ქვის მასალაც მსგავსებას ამჟღავნებს შიდა ქართლისა და ალაზნის ველის მასალებთან [17, გვ. 2-6]. თიხის ჭურჭლის ნატეხების მსგავსად ისინიც გამოიჩინებიან ზოგი თავისებურებით, რაც მათ ადგილობრივ დამზადებაზე უნდა მიუთითებდეს.

ნამოსახლარის საერთო ფართობი, დარჩენილი გაუთხრელი მონაკვეთის მიხედვით, დაახლოებით 250 მ² შეადგენს. შეიძლება ვივარაულოთ, რომ აქ ერთი ოჯახი ცხოვრობდა და შესაბამისად მოპოვებული არქეოლოგიური მასალა მათ ეკუთვნოდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, შიდა ქართლის ამ წრის ნამოსახლარებიდან აქ პირველად კულტურულ მცენარეთა ნაშთის აღმოჩენა, რომელიც ცხოველთა მცირერიცხოვანი ძვლის ფრაგმენტებთან ერთად პრიმიტიული მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის არსებობაზე მიგვანიშნებს, ხოლო ნატეცი მასალების ანალიზით საგარაუდოა ხის, ძვლის და ტყავის დამუშავება.

ასევე საყურადღებოა, რომ ნამოსახლარი მდებარეობს უშუალოდ მიწის ზედაპირზე, რომლის ქვეშ განფენილია დაახლოებით 1,7 მ სისქის წმინდად განლექილი თიხნარი. მის ქვეშ კი დევს 10-15 სმ სისქის მოშავო განმარტული ნიადაგი, ხოლო სიღრმეზე ისევ იწყება ძლიერ წებოვანი თიხნარი. თანდიწყაროს მიღამოებში, განსაკუთრებით კი სვენეთის არხის ჭრილში მომდევნო ხანის მტკვარ-არაქსის კულტურის ფენა მიწის ზედაპირიდან ერთ მეტრზე მეტ სიღრმეში მდებარეობს, რაც მიუთითებს აქ რელიეფისა და ნიადაგის წარმოქმნის რთულ პროცესზე.

როგორც აღნიშნეთ, თანდიწყარო I კულტურულად ე.წ. სიონის ან იგივე წოფი-გინჩის წრის ნამოსახლარების ძეგლია და, მაშასადმე, ქრონოლოგიურადაც მათი თანადროული უნდა იყოს. მართალია, ამ საკითხში ერთიანი გამოკვეთილი აზრი არ არსებობს, მაგრამ ცალკეული რეგიონის ნამოსახლარებისათვის მკვლევართა მიერ გამოთქმული თარიღი ძირითადად მისაღებად მიგვაჩნია. თ. კილურაძის აზრით, ისეთი ძეგლები, როგორიცაა თეღუთა, ალიკემეკოუფესი, ილანლითეფე და წოფი, შულავერშომუთეფეს კულტურის V საფეხურზე უფრო გვიანდელი ჩანს და მათ ასაკს ძ.წ. IV ათასწლ. I ნახევრით განსაზღვრავს [2, გვ. 132, 135]. ამ საკითხს თ. კილურაძე შემდეგ უფრო აკონკრეტებს. მისი აზრით, სიონის ტიპის ძეგლები საქმაოდ დიდ ქრისტოლოგიურ ჩარჩოებშია მოქცეული: ძ.წ. V ათასწლეულის ბოლო – IV ათასწლეულის პირველი ნახევრი (არაკალიბრირებული თარიღებით). უადრესი ძეგლები შულავერის კულტურის ბოლო ეტაპთან თანაარსებობს ან უშუალოდ მას მოსდევს (სიონი, წითელგორები, უინგალი). მომდევნო ძეგლები ანალოგიებს პოულობს კორუჯეთეფეს (აღმ. ანატოლია) მასალებთან; ხოლო უფრო მოგვიანო ძეგლები, როგორიცაა: წოფი, ბერიკლდეები, თეღუტა და ლეილათეფესი პარალელებს ნახულობს წინააზიაში ძეგლთა ფართო წრესთან, რომლებიც ცნობილია ამუკ F – გავრა XII-IX სახელით. უფრო ახლო პარალელები შეიძლება მივთითოთ არსლანთეფეს VII ფენაში, გეოთეფეს M ფენა ურმიისპირეთში და სხვ. ქალკოლითიდან ადრებრინჯაოზე გარდამავალი პერიოდი ამიერკავკასიაში ზოგადად შეიძლება განისაზღვროს სიონის ტიპის ძეგლების ფინალური სტადიოთა და მტკვარ-არაქსის კულტურის უადრესი ეტაპით [3, გვ. 19-20]. თ. კილურაძე მასალის ანალიზისა და პარალელების გათვალისწინებით ძ.წ. V ათასწლეულის ბოლოთი და IV ათასწლეულის I ნახევრით ათარიღებს მარნეულის სიონის ნამოსახლარსაც [4, გვ. 28]. ამავე ქრონოლოგიურ ჩარჩოში ათავსებს კ. ვარაზაშვილი იორ-ალაზნის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარებს [10, გვ. 81]. ი. ნარიმანოვი ამიერკავკასიის ენეოლითის ზედა

ქრონოლოგიურ ზღვარს ძირითადად ძ.წ. IV ათასწლეულის შუა ხანებს მიიჩნევს [16, გვ. 137]. 6. ალიევის აზრით, აზერბაიჯანის გვიანეოლითურ ნამოსახლარებში გამოიყოფა თიხის ჭურჭლის ორი კომპლექსი: ლეილათეფე-სებრი (ყარაბახი-ლეილათეფე, ჩინართეფე, აბდალ-აზითეფე) და მეორე ნახიჭევანური (ოვჩულართეფე, ხალაჯი), განჯა-ყაზახური (ქეჩილი, მენტეჟი) და მუღანის ზონაში (ალიკემეგთეფე). პირველს ახასიათებს მორგვზე დამზადებული კერამიკა, მეორეს კი ხელით ნამერწი. ფორმაც და ორნამენტიც განსხვავებულია. მეორე კომპლექსის განმასხვავებელი ნიშანია ჭურჭლის ზედაპირის დამუშავება სავარცხლისებრი საგნით, ხოლო პირველ კომპლექსში ასეთი ორნამენტი ახასიათებს უხეშ კერამიკას. მეორე ჯგუფის თავისებურებაა ასევე წითლად ანგობირებულ ზედაპირიანი თიხის ჭურჭლის ნაწარმი და ურების მრავალფეროვნება. მისი აზრით, საქართველოში ბერიკლდეების მთელი კომპლექსი (ალბათ, გულისხმობს ქვედა ფენას – გ.ჩ.) ლეილათეფეს კერამიკის იდენტურია, ხოლო სომხეთში თეღუტისა და დაღესტანში კი გინჩის კერამიკის ნაწილი ამჟღავნებს მასთან სიახლოებეს. შედარებით მეტ მსგავსებას ლეილათეფეს კერამიკა ამჟღავნებს იარიმთეფე III (ჩრდ. მესოპოტამია), ნორშუნთეფეს და დეირმანთეფეს (აღმოსავლეთ ანატოლია) მასალებთან. ლეილათეფეს კულტურას იგი ძ.წ. IV ათასწლეულის პირველი ნახევრით ათარიღებს [9, გვ. 18, 20].

გ. ფხაკაძე, ეყრდნობა რა მაჭარის IV ფენისა და ძუძუანას C¹⁴-თ მიღებულ თარიღებს, რომელიც ძ.წ. IV ათასწლეულის I ნახევრსა და შუა ხანებზე მოდის, დაასკნის, რომ ამავე ეტაპისაა თეთრი მღვიმე და საგვარჯილეს II ფენა, სამელეკლდის II ფენა, დარკვეთის III-II ფენები, თეთრამიწის, ჩიხორის, ახალსოფლის კოლექციის ნაწილი (რიონ-ყვირილის აუზში) და ოქუმის მღვიმე, ატარის ნასახლარი, გუანდრას B ფენა, მღვიმე ოჩაუნი (ჩრდილოდასავლეთ კოლხეთი) [7, გვ. 26]. ლ. ნებიერიძე, დარკვეთის ზედა, პირველ ფენაში ჩაშეგბული ადრეული მტკვარ-არაქსის სამარხების მიხედვით, მესამე ფენის წარმოქმნის ქვედა ზღვრად ძ.წ. V-IV ათასწლეულის მიჯნას მიიჩნევს [5, გვ. 173]. ძ.წ. V-IV ათასწლეულის მიჯნით ათარიღებს თეთრი მღვიმის ენეოლითურ ნამოსახლარს კ. ვალანდაძე, სადაც უკვე გბზვდება ფურიანი ჭურჭლები [1, გვ. 139, ტაბ. 12].

მთიან დაღესტანში შესწავლილ გინჩის, ჩინასა და რუგუჯის ჯგუფის ნამოსახლარების მასალებში, კერძოდ თიხის ჭურჭლის ნატეხების ერთ ჯგუფში (პირს ქვემოთ გამჭოლნასვრეტიანი, მაღალხარისხის ხოვან და ძირზე წნულანაბეჭდიანი კერამიკა) მ. გაჯიევი ხედავს ანალოგიებს როგორც დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლით-

ენეოლითურ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს – ალაზნის ველის, არაგვის ხეობისა და წოფის მასალებში და მათ ძვ.წ. V ათასწლეულის I ნახევრით და IV ათასწლეულის I ნახევრით ათარიღებს [12, გვ. 77-78, 106]. წოფი-გინჩის წრის ძეგლებისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ნატეხები აღმოჩენილია ჩრდილოეთ ოსეთში მღვიმურ სადგომებში – შაუ ლაგათში, მიშთულაგთი ლაგათსა და მარდშავი ლაგათში, რომელთაგან პირველი ორი შედარებით უკეთესად არის შესწავლილი. შაუ ლაგათში ძირითადი კულტურული ფენა მტკვარ-არაქსულია, ხოლო მიშტულაგთი ლაგათში მესამე ფენა შეიცავს როგორც ენეოლითურ, ისე მტკვარ-არაქსულ და მცირე რაოდენობით მაიკოპურ თიხის ჭურჭლის ნატეხებს. ავტორები იზიარებენ მიშთულაგთი ლაგათის ენეოლითური მასალებისათვის წოფი-გინჩის წრის ძეგლების ზოგად თარიღს ძვ.წ. V ათასწლეულის II ნახევარსა და IV ათასწლეულის I ნახევარს, მაგრამ აქ ასევე მტკვარ-არაქსისა და მაიკოპის კულტურების თიხის ჭურჭლის ნატეხების თანაარსებობის საფუძველზე ენეოლითისა და ადრებრინჯაოს შეხების მიჯნად ძვ.წ. IV ათასწლეულის ბოლოს და III ათასწლეულის დასაწყისს მიიჩნევენ [12, გვ. 88]. გ. ქავთარაძე წოფის წრის ძეგლებს შუაენეოლითში ათავსებს და მათ ძირითადად ძვ.წ. V ათასწლეულით ათარიღებს [13, გვ. 58].

საინტერესოა იჩქერია-ჩეჩენთში, სოფ. ტიალინქში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის მცირე-რიცხოვანი ნატეხები, რომლებსაც პირი ტალისებრი ორნამენტით აქვთ შემკული [8, გვ. 74].

80-იანი წლებიდან ქვემო ქართლში აღმოჩნდა წოფი-გინჩის წრის ახალი ნამოსახლარები – არუხლო VI, წითელი სოფელი, ჯავახი [6, გვ. 59-62]. ამასთანავე აღმოსავლეთ საქართველოში კიდევ შესწავლილია რამდენიმე საყურადღებო ძეგლი, რომელზედაც ამჯერად კურადღებას არ გამახვილებთ.

როგორც ცნობილია, წოფი-გინჩის წრის ძეგლებისათვის გამოვთქვით ზოგადი თარიღი ძვ.წ. V ათასწლეულის II ნახევარი – IV ათასწლეულის I ნახევარი [18, გვ. 86], მაგრამ თანდიწყარო I მასალებში არ ჩანს ისეთი გამოკვეთილი ნიშნები, რომლითაც შეიძლებოდა ამ ზოგად ქრონოლოგიურ ჩარჩოში მისთვის მიგვეჩინა უფრო კონკრეტული ადგილი, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ აქ არ გვხვდება ფინალური ეტაპის ძეგლებისათვის დამახასიათებელი ისეთი ნიშნები, როგორიცაა მაღალხარისხოვანი, ან მორგვეზე დამზადებული ჭურჭლის ნატეხები, სხვადასხვა რელიეფური დანაძერწები, შვერილები ან ყურები, თუმცა გვხვდება ვარდისფერ-სარჩულიანი, თხელკეციანი და სუსტად ნაპრიალებზედაპირიანი თიხის ჭურჭლის ნატეხები, ამიტომ ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია მისი

დათარიღება ძვ.წ. 4000-3700 წლების მონაკვეთში.

Г. Ч. Чиковани

ПОСЕЛЕНИЕ РАННЕЗЕМЛЕДЕЛЬЧЕСКОЙ КУЛЬТУРЫ ТАНДИЦКАРО I БЛИЗ СЕЛ. ХЕЛТУБАНИ (ГОРИЙСКИЙ РАЙОН) (резюме)

Раннеземледельческое поселение Тандицкаро I расположено в Восточной Грузии, на равнине исторической провинции Шида Картли близ села Хелтубани Горийского района. Поселение обнаружено под насыпью кургана раннебронзовой эпохи. Всего раскопано 208 м² площади и выяснилось, что площадь поселения и кургана в основном совпадают друг с другом.

Поселение изучено в 1986 году. Толщина культурного слой 0,50-0,55 м. На поселении не выявлено следов построек. В культурном слое и пяти ямах обнаружены фрагменты керамики, орудий и заготовки из обсидиана, кремня и камня. Из-за фрагментарности костей животных не удается их идентификация. Заслуживают внимания остатки культурных растений, зафиксированных в яме и на уровне глинообитного пола.

Поселение, по своему типу и выявленному материалу, относится к памятникам т.н. Сионского типа или Цопи-Гинчийского круга и датируется в пределах 4000-3700 гг. до н.э.

G. Chikovani

"TANDITSQARO I" A SETTLEMENT OF THE EARLY HUSBANDRY CULTURE NEAR THE VILLAGE OF KHELTUBANI (GORI DISTRICT)

"Tanditsqaro I", a settlement of the Early Husbandry Culture is situated near the village of Kheltubani, Gori district, Shida Kartli, Eastern Georgia. It was excavated in 1986. The thickness of the cultural layer is 0.50-0.55 cm. In all 208 m² was excavated. The area of the settlement and that of barrow burial of the Early Bronze Age mainly coincided with each other.

Traces of any structures were not found. Fragments of pottery, obsidian, flint and stone tool semi-finished products were discovered in fire pits and cultural layer. Because of the fragmentation of the bones, it was impossible to determine the species. It should be noted that remains of cultural

plants were recorded in the pit and on the level of the clay floor.

According to its type and material the settlement is related to the so-called "Sioni type" or "Tsopa-Ginchi" sites and can be dated to 4000-3700 B.C.

ლიტერატურა

1. გადლანდაძე გ. ოთხრი მღვიმე. თბ., 1994.
2. კილურაძე თ. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის პერიოდიზაცია. თბ., 1976.
3. კილურაძე თ. ენეოლითიდან ადრებრინჯაოზე გარდამავალი პერიოდი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. – გაცასის არქეოლოგიური კონფერენცია – I, მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 1998, გვ. 19-20.
4. მენაბდე მ., კილურაძე თ. სიონის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1981.
5. ნებიერიძე ლ. დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხურები. თბ., 1986.
6. საქართველოს არქეოლოგია, II, ენეოლით-ადრებრინჯაოს ხან. თბ., 1992.
7. ფხავაძე გ. დასავლეთ ამიერკავკასია ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულში. თბ., 1993.
8. ჩიქოგანი გ. ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარი სოფ. ჩინთიდან. – „ლეგია და კომპანია“ უნივერსიტეტი, შრომები, ტ. II, თბ., 1998, გვ. 72-80.
9. Алиев Н. Г. Позднеэнолитические памятники Азербайджана. – Автореф. дисс. на соискание ученой степени кандидата ист. наук. Л., 1991.
10. Варазашвили В. В. Раннеземледельческая культура Иоро-Алазанского бассейна. Тб., 1992.
11. Гаджиев М. Г. Раннеземледельческая культура Северо-Восточного Кавказа. М., 1991.
12. Гиджрати Н. И., Ростунов В. Л. Памятники эпохи энеолита и ранней бронзы в горах Северной Осетии. – Кавказ и цивилизации Востока в древности и средневековье, Владикавказ, 1993, с. 75-89.
13. Кавтарадзе Г. Л. К хронологии эпохи энеолита и бронзы Грузии. Тб., 1983.
14. Миндиашвили Г. М. Экспедиций Горийского района. – ПАИ, 1983 (1986), с. 20-21.
15. Миндиашвили Г. М., Чиковани Г. Ч. Экспедиций Горийского района. – ПАИ, 1986 (1991), с. 15-18.
16. Нариманов И. Г. Культура древнейшего земледельческо-скотоводческого населения Азербайджана. Баку, 1987.
17. Челидзе Л. М., Чиковани Г. Ч. Обсидиановый инвентарь предгорных раннеземледельческих поселений Арагвского ущелья (раскопки 1977-1987 гг.). Тб., 1991. Препринт.

18. Чиковани Г. Ч. Новые памятники раннеземледельческой культуры Арагвского ущелья. – Кавказ и цивилизации Древнего Востока. Орджоникидзе, 1989, с. 84-86.

ტაბულების აღწერილობა

- | | |
|----------|---|
| ტაბ. I | – ობსიდიანის დამუშავებული იარაღები. |
| ტაბ. II | – ქვის იარაღები და ირიბად პირწაკვეთილი ძვალი. |
| ტაბ. III | – ქვის იარაღების ფრაგმენტები. |
| ტაბ. IV | – თიხის ჭურჭლის პირგვერდის უორნაბენტო და ძირგვერდის ფრაგმენტები. ძირის ერთ ფრაგმენტს ეტყობა ანბეჭდის კვალი. |
| ტაბ. V | – თიხის ჭურჭლის პირგვერდის ორნამენტიანი ნატეხები. |


Описание таблиц


- | | |
|-----------|--|
| Табл. I | – Обработанные орудий из обсидиана. |
| Табл. II | – Каменные орудия и кость с косорезанным концом. |
| Табл. III | – Обломки каменных орудий. |
| Табл. IV | – Обломки глиняных сосудов без орнамента. Обломки днища сосудов. На одном из обломков днища прослеживается след отпечатка. |
| Табл. V | – Обломки глиняных сосудов с орнаментом |

Description of Plates


- | | |
|---------|--|
| Pl. I | – Obsidian tools. |
| Pl. II | – Stone tools and a bone cut obliquely. |
| Pl. III | – Fragments of stone tools. |
| Pl. IV | – Fragments of clay vessels without ornament; fragments of vessel bottoms, one fragment of the bottom bears a trace of an imprint. |
| Pl. V | – Ornamented fragments of the clay vessels. |


Фиг. I






გაბ. III





გაბ. V



აღექსანდრე რამიშვილი

შეაბრინჯაოს ხანის პეპრი საქართველოში

1984 წელს აღმოსავლეთ საქართველოში, ხაშურის რაიონის სოფ. წალვლში აღმოჩნდა შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულის საკმაოდ კარგად

ვრცელი სამაროვნის № 94 სამარხში. დასაკრძალავ ორმოს გეგმაში სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ რამდენადმე წაგრძელებული მართ-



სურ. 1

დაცული კევრი [9, გვ. 31-33; 27, გვ. 22-23, ტაბ. 34].⁴ კევრი აღმოჩნდა აქ მიკვლეული

⁴ სოფელ წალვლში აღმოჩნდილი შუა ბრინჯაოს ხანის მიწურულისა და შუადან გვიანი ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდის სამაროვანი წარმოადგენს მითითებული პერიოდის დღეისათვის ერთერთ ყველაზე ვრცელსა და სრულად შესწავლილ ძეგლს ამიერკავკასიაში. ა. 1976-1980, 1984 და 1986 წლებში გაითხარა 150 სამარხი, რომელთაგან 93 შუა ბრინჯაოს ხანის მიწურულისაა, 47 – შუადან გვიანი ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდისა და 4 – გვიანი ბრინჯაოს ხანის უადრესი ეტაპის. საერთო წარმოდგენის შესაქმნელად აღვნიშნავ, რომ წალვლში გათხრილ სამარხებში აღმოჩნდა თიხის 541 ჭურჭელი, ბრინჯაოს 9 სატევარი, 13 მასრაგახსნილი შუბისპირი, 23 ობსიდანის ჭუსლამოდარული ისრისპირი, ბრინჯაოს სხვადასხვა ტიპის 143 საკინი, 104 საკიდი, 37 სამაჯური, მირითადად სარდიონის, პასტის, ანთიმონისა და აგრეთვე სხვა მასალისგან დამზადებული 1300-მდე მმივი და სხვ. [9, 10, გვ. 27-31].

წალვლის სამაროვანზე მოპოვებულმა მასალამ საშუალება მომცა ცალკე პერიოდად გამომეცი შუა ბრინჯაოს ხანის მიწურული და განმეობრივი ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი ინვენტარი, ხოლო შუადან გვიანი ბრინჯაოს ხანაზე

კუთხედის ფორმა ჰომებით $1,3 \times 1,2$ მ-ზე (სურ. 1). მიცვალებულის ჩონჩხი შემონახული იყო მეტად ფრაგმენტულად. კერძოდ, გაიწმინდა მხოლოდ თავის ქალისა და ქვედა კიდურების ძვლების ნაწილები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შესაძლებელი გახდა აღგვედგინა დაკრძალვის პოზა – თავის ქალის სამარხის ჩრდილო ნაწილში, ხოლო ქვედა კიდურების სამხრეთ ნაწილში მოხრილ მდგომარეობაში, მუხლებით დასავლეთისაკენ, აღმოჩენა უფლებას გაძლევს დავასკვნათ, რომ მიცვალებული დაკრძალული იყო სამარხის აღმოსავლეთი კედლის გასწვრივ თავით ჩრდილოეთისაკენ, მარჯვენა გვერდზე, მოხრილი კიდურებით. უშუალოდ მიცვალებულზე ზემოდან დაუფარებიათ კევრი, რომელიც მჭიდროდ იყო მიღებული კედლებთან სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში.

კევრს გარდა, მიცვალებულისათვის სამარხში ჩაუტანებიათ აგრეთვე თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს სამაჯურები, საკინები, საკიდები და სხვადასხვა მასალისა და ფორმის მძივები. თი-

გარდამავალი პერიოდი დამეცი ორ საფეხურად [4, გვ. 16-17, შდრ: 13, გვ. 123-146; 26, გვ. 59-98].

ხის ჭურჭელი განლაგებული იყო მიცვალებულის თავის ქალის წინ, სამარხის ჩრდილო კედელთან, ხოლო წვრილი ნივთები – მიცვალებულის ჩონჩხთან, კევრის ქვემოთ. სამარხში აღმოჩენილი თიხის 5 ჭურჭლიდან ერთი ისე იყო დაშლილი, რომ მისი ფორმის დადგენაც კი ვერ მოვახერხეთ. დანარჩენი ოთხიდან ორი პირგადაშლილი, ყელდაბალი, სფერულტანიანი, ძირბრტყელი ქოთანია. ერთ მათგანს ორი ოვალურგანივეტიანი, შუაში სიგრძეზე ჩაღარული ფართო ყური აქვს, მეორე კი უყუროა. სხვა ორი ჭურჭელი შუა ბრინჯაოს ხანის მიწურულისათვის დამახასიათებელი ბადია და წელში გამოყვანილი ცალყურა სასმისია (ტაბ. I₁₋₄).

ბრინჯაოს სამაჯურები განივეტში რომბის ფორმისაა. ბოლოები გახსნილი აქვს (ტაბ. I₅). ერთი ტიპისაა აგრეთვე სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს 2 თავგაბარტყელებული, გახლეჩილი ფუნწის მქონე საკინძიც, თავზე წამოცმული, რამდენადმე ბიპირამიდული ფორმის ანთიმონის ხუთკოპიანი ბურთულებით (ტაბ. I₆). მიცვალებულის თავის ქალასთან აღმოჩნდა ბრინჯაოს 2 საყურე და წალვლის სამაროვანზე საქმაოდ მრავლად გამოვლენილი ელიფსის ფორმის ბოლოებაფართოებული 7 საკიდი (ტაბ. I₈). საყურები წარმოადგენს თხელ მორკალულ ფირფიტას ცალი დაწვრილებული, მავთულისებური ბოლოთი, საყურის მეორე, ფართო ნაწილის ბოლოში გაკეთებულ ხერელში გასაყრელად. საყურის ფართო ნაწილის კიდეებს მთელ სიგრძეზე მიუყვება ცრუ გავარსი (ტაბ. I₇). აქვე იყო სხვადასხვა ზომისა და ფორმის სარდიონის 58 (ტაბ. I₉₋₁₁), პასტის 7 (ტაბ. I₁₂), ანთიმონის ერთი და გიშრის 5 მძივი (ტაბ. I_{13,14}).

სამარხში აღმოჩენილი მთელი არქეოლოგიური მასალა დამახასიათებელია ცენტრალური ამიერკავკასიის შუა ბრინჯაოს ხანის მიწურულისათვის და გვერდება ამ დროის ყველა ძეგლზე [13, გვ. 123-146; 26, გვ. 59-98; 12, გვ. 28-30, ტაბ. III, IV; 2, გვ. 45-49, ტაბ. VIII, IX; 3, გვ. 30-51, ტაბ. XXI, XXII; 19, გვ. 89-98, 108-113, 119, 127, ნახ. 5, 6, 8, 10-14, 16, 21-29, 31-33, 39-41, 53-58; 23, გვ. 25-28].

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს წაღვლში აღმოჩენილი კევრი. ბუნებრივია, მის შესახებ მსჯელობა გვექნება შემორჩენილი კონების მიხედვით. როგორც ჩანს, კევრს ნავისებური ფორმა ჰქონია. აშკარაა, რომ იგი გამოთლილი ყოფილა ერთი მთლიანი ხისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში კონების განლაგებაში უნდა ყოფილიყო მათი გამყოფი მკვეთრი გრძივი ზოლი. კევრის შემორჩენილი სიგრძე 125, ხოლო განი წინა ნაწილში 55 და უკანა ნაწილში დაახლოებით 75 სმ-ია. კევრს ძირზე ჩასმული ჰქონდა კონის ქვების 24 მწყრივი. წინა 4-5 მწყრივში ჩასმული ყოფილა 11-11, ხოლო დანარჩენებში – 17-17 ქვა.

ამიერკავკასიაში კევრი პირველად უაკ დემორგანმა გათხარა გასული საუკუნის ბოლოს ჩრდილო-დასავლეთ სომხეთის ტერიტორიაზე ახტალის სამაროვანზე [34, გვ. 59, სურ. 8]. თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ კევრი აღმოჩნდა აგრეთვე აზერბაიჯანში, განჯის მახლობლად ხანლარში № 2 ყორღანის მეოთხე ჩაშვებულ სამარხში [22, გვ. 56, ნახ. 13] და მცხეთაში, სამთავროს სამაროვანზე № 320 სამარხში [15, გვ. 67]. ახტალასა და ხანლარში აღმოჩენილი კევრები დაახლოებით თანადროულია და გვიანი ბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპს მიეკუთვნება, ხოლო სამთავროს კევრი უფრო მოგვიანოა და ძვ.წ. VIII-VI სს-ით თარიღდება. სამივე შემთხვევაში იგულისხმება მიცვალებულის კევრზე დამარხვა. აღსანიშნავია, რომ ახტალასა და ხანლარში შემორჩენილი ყოფილა კევრის ხის ნაწილებიც. სამწუხაროდ, პუბლიკაციებში არ არის მოცემული ფოტო-დოკუმენტაცია და ავტორები ძეგლის მხოლოდ სიტყვიერი აღწერითა და გრაფიკული რეკონსტრუქციით კმაყოფილდებიან.

ამ აღმოჩენების შემდეგ, ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში სამაროვნებსა და ნამოსახლარებზე კიდევ არაერთხელ აღმოჩნდა კევრი. მათ შორის უძველესი უნდა ყოფილიყო ქარელის რაიონის სოფ. ურბნისში ხიზანაანთორიაზე თითქოს აღრებრინჯაოს ხანის ფენებში აღმოჩენილი კოხის ქვები [8, გვ. 111, 112; 25, გვ. 380]. თუ მოვიგონებთ, რომ „სამიწათმოქმედო აღმანახის“ მიხედვით ძვ.წ. II ათასწლეულისათვის შუმერები ხორბალს ჯაჭვებით, ან განსაკუთრებული მარხილით (აღბათ კევრით – ა.რ.) ლეწავლნენ [24, გვ. 118], მაშინ, პრინციპში დასაშეგება ხიზანაანთორიას მტკვარ-არაქსულ ფენებში კევრის აღმოჩენაც, მაგრამ ეს ფაქტი უარყო ხიზანაანთორიას უშუალო გამთხრელმა ი. კიკიძემ, რომელმაც კატეგორიულად მიუთითა, რომ კევრის კოხები ხიზანაანთორიაზე აღმოჩნდა ანტიკურსა და შუა საუკუნეების ფენებში [4, გვ. 80].


სხვა ფაქტი ამიერკავკასიაში ასე ადრეული ხანის კევრის აღმოჩენისა ჩემთვის ჯერჯერობით მაინც უცნობია, მაგრამ, როგორც უპევ ვთქვით, საქმაოდ ხშირია კევრის კონების აღმოჩენისა გვიანი ბრინჯაოსა და მომდევნო პერიოდების ნამოსახლარ ფენებში და სამარხებში. კევრის კონებია აღმოჩენილი ფათლანისებრის (უფლისციხე, გორის მახლობლად) ნამოსახლარის გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის IV სათავსში [17, გვ. 36, 44-49; შდრ.: 13, გვ. 105 და 151-157], ხოვლეგორის ძვ.წ. IX-VI სს-ის ფენაში [16, გვ. 10; 5, გვ. 40, 73-75, 81], ფლავისმანისა და ყორნისის (შიდა ქართლის ჩრდილო ნაწილში) გორა ნამოსახლარებზე ანაკრეც მასალაში [6, გვ. 192]. კევრის კონები აღმოჩენილია ჩვენ მიერ ხაშურის რიანის სოფ. წაღვლში, საციხეურის-გორაზე და სოფ. ნაცარგორის ნამოსახლარების

გვიანი ბრინჯაოსა და აღრუელი რკინის ხანის კულტურულ ფენებში, მაგრამ ეს მასალა ჯერჯერობით გამოიქვეწნებელია.

ასევე მომრავლდა მიცვალებულის დაკრძალვის რიტუალში კევრის გამოყენების ფაქტებიც. კევრის კონები აღმოჩნდა ძველ ქანდაში გვიანი ბრინჯაოს ხანის აღრუელი ეტაპის № 16 სამარხში. გამთხრელების ვარაუდით, აქ კევრი გამოყენებული იყო დასაკრძალავი ორმოს გადასახურად [20, გვ. 45, ტაბ. XXXIII, XXXIV]. დაახლოებით ამავე პერიოდის კევრია ჩატანებული ბორნილელის (ბორჯომის რ-ნი) № 52 [14, გვ. 39, 40, ტაბ. III; 21, გვ. 30, ტაბ. XXX, XXXI] და არტიკის (ჩრდილო-დასავლეთ სომხეთში) № 508 სამარხებშიც [32, გვ. 254; გვ. 15, 89, 335].

ქვებით 19 მწკრივად, თითო მწკრივში 9-10 ქვით. ასე რომ, თუ წალვლისა და ხანლარის კევრების სიგრძე თითქმის თანაბარია, სიგანეში აშკარად წალვლისა სჯობს.

საყურადღებოა წალვლის კევრის შედარება იმ კევრებთან, რომლებიც მთელ კავკასიაში შემორჩა ხმარებაში ამ საუკუნის დასაწყისამდე და რომლებიც აღმოსავლეთ ამიერკავკასიის თითქმის ყოველი რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფინდებშია დღესაც დაცული. ამ თითქმის თანამედროვე, ქართული ეთნოგრაფების მიერ საკმაოდ კარგად შესწავლილ და არა-ერთგზის გამოქვეწნებულ კევრებს [7, გვ. 1] შორის თავისი ფორმითა და ზომებით წალვლში აღმოჩნდა კევრთან ყველაზე ახლო დგას დმანისის რაიონის სოფ. დიდი გომარეთიდან



სურ. 2. კევრის აღმოჩნდის შემთხვევები ამიერკავკასიაში

არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდილი ზემოთ მითითებული კევრებიდან წალვლში აღმოჩნდილ კევრთან შესადარებელი მონაცემები მეტ-ნაკლები სიზუსტით დაფიქსირებულია მხოლოდ ხალარში, მაგრამ აქაც ფაქტიურად მოცემულია მხოლოდ გრაფიკული რესტარაცია კევრისა და არ არის ფოტო ილუსტრაცია სამარხისა და კონკრეტულად, კევრის შემორჩენილი ნაშთებისა. განსხვავებით წალვლში აღმოჩნდილი კევრისაგან, ხანლარის კევრი შედგენილი ყოფილა ორი ფიცრისაგან. მისი სიგრძე 120 და სიგანე 40 სმ-ია. ხანლარის კევრს ხახზის მიხედვით ძირი მოჭედილი ჰქონია კონია კონის

ეთნოგრაფ გ. ჯალაბაძის მიერ აღწერილი კავრი [18, გვ. 131-135]. ეს კევრი წალვლის კევრისაგან მხოლოდ სიგრძით განსხვავდება. როგორც უკვე აღნიშნეთ, წალვლის კევრის შემორჩენილი სიგრძე დაახლოებით 125 სმ იყო, მაშინ როდესაც დიდი გომარეთის კევრის სიგრძე 170 სმ-ია. ალბათ, მხედველობაშია მისაღები ის, რომ დიდი გომარეთის კევრის, ისევე როგორც საერთოდ დღემდე შემორჩენილ კევრებს, წინა დაახლოებით 1/4 ნაწილი კონის ქვებისაგან თავისუფალი აქვს (სხვათა შორის, ასევე აღდგენილი ხანლარის კევრიც). ასე რომ, წალვლისა და დიდი გომარეთის კევრების კონით მო-

ჭედილი ნაწილები დაახლოებით თანაბარი ზომისა არიან. ბუნებრივია, წაღვლის კევრს ქვებისაგან თავისუფალი ნაწილი არ შემორჩებოდა, რადგანაც სამარხში ხის ნაწილები მთლიანად გამქრალი იყო. თუ დაკუშვებთ, რომ წაღვლის კევრსაც ჰქონდა ქვებისაგან თავისუფალი წინა ნაწილი იმავე პროპორციით, მაშინ წაღვლის კევრი სიგრძითაც თითქმის გომარეთის კევრის ტოლი ყოფილა. ასეთი ვარაუდის დაშვების საშუალებას თითქოს არ იძლევა ის, რომ წაღვლის კევრი მჭიდროდ იყო მიბჯენილი სამარხის ჩრდილო კედელზე და ამდენად ადგილი არ რჩება კევრის წინა, თავისუფალი ნაწილისათვის. შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ კევრი თავისი სიგრძის გამო პირდაპირ კი არ იდო სამარხის ძირზე, არამედ მიუდებული იყო ჩრდილო კედელზე, მაგრამ ამ შემთხვევაში საეჭვოა შენარჩუნებული ყოფილიყო კოხების ისეთი იდეალური განლაგება, როგორიც წაღვლის სამარხში გვქონდა. ამიტომ, თუ კი წაღვლის კევრს ჰქონდა კოხის ქვებისაგან თავისუფალი წინა ნაწილი, იგი საფლავში ჩადების წინ უნდა მოეჭრათ.

ამგვარად, თუ შევაჯამდით წაღვლში აღმოჩენილი, ამიერკავკასიის სხვა განათხარი კევრებისა და ჯერ კიდევ ამ საუკუნის დასაწყისში ხმარებაში მყოფი კევრების ურთიერთშედარების შედეგებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამიერკავკასიაში ადრებრინჯაოს ხანიდან თუ არა, შუაბრინჯაოს ხანის მიწურულიდან მაინც ხორბლის გასალენად ხმარობდნენ კოხით მოჭედილ ძირიან კევრს, რომელმაც თითქმის უცვლელად იმსახურა XX ს-ის დამდევამდე, მანამ სანამდე ჩვენ ქვეყანაში არ დამკიდრდა სალეში მაქანა.

А. Т. Рамишвили

МОЛОТИЛЬНАЯ ДОСКА ЭПОХИ СРЕДНЕЙ БРОНЗЫ ИЗ ГРУЗИИ (резюме)

В 1984 году в Восточной Грузии, в с. Цагвли, Хашурского района, в погребении № 94 была обнаружена хорошо сохранившаяся молотильная доска (рис. 1). Покойник был захоронен вдоль восточной стены погребальной ямы, под молотильной доской в скорченном положении, на правом боку, головой на север. Помимо молотильной доски в погребении были обнаружены два низкогорлых горшка с отогнутым венчиком, глубокая одноручная миска и одноручный сосуд для питья (табл. I_{1–4}), бронзовые браслеты с разомкнутыми концами в сечении ромбической формы (табл. I₅), 2 булавки с надетыми на плоских концах пятишишечными сурьмяными головками (табл. I₆), 2 сережки (табл. I₇), 7 бронзовых подвесок формы эллипса в полтора оборота (табл. I₈) и бусы из разного материала (табл. I_{9–14}). Вышеперечисленный археологический материал характерен для конца эпохи

средней бронзы Центрального Закавказья и встречается на всех памятниках этого времени [13, с. 123–146; 2, с. 45–49, табл. VIII, IX; 3, с. 30–51, табл. XXI, XXII; 12, с. 28–30, табл. III, IV; 19, с. 89–98, 108–113, 119, 127, рис. 5, 6, 10–14, 16, 21–29, 31–33, 39–41, 53–58; 23, с. 25–28; 26, с. 59–98].

Особое внимание заслуживают остатки молотильной доски. Цагвлская доска была сделана из цельного дерева. Сохранившаяся длина 125, ширина – 55 (в передней части) и 75 см-ов (в задней части). На дне цагвлской доски посажены 24 ряда каменных зубцов. Из них 4-5 рядов состояли из 11, а остальные – 17 камушек каждый.

Ниже приводим перечень известных мест находок остатков молотильной доски:

I.⁵ Хизанаантгора, селище на холме сел. Урбниси Карельского р-на. В научной литературе [8, с. 111, 112; 25, с. 380] указывается находка камушек молотильной доски в слоях эпохи бронзы. Если вспомним, что в шумерском литературном памятнике начала II тысячелетий до н.э., ныне названном "Земледельческим альманахом", говорится о молотьбе зерна цепями или при помощи особого вида саней [24, с. 118], по нашему мнению, молотильной доской, то вполне допустима и находка в куро-аракских слоях остатков молотильной доски, но сам раскопщик памятника категорически отрицает это и утверждает, что камушки относятся к слоям античной и средневековых эпох [4, с. 80].

2. Селище Катланисхеви в с. Уплисцихе, около г. Гори, в слоях раннего этапа эпохи поздней бронзы [17, с. 36, 44–49; ср. 13, с. 151–157].

3. Селище Ховлегора у ж.д. станции Гракали, в слоях IX–VI вв. до н.э. [5, с. 40, 73–75, 81; 16, с. 10].

4,5. Селища Сацхуристгора (с. Цагвали) и Нацаргора Хашурского р-на, в слоях поздней бронзы и раннего железа.

6, 7. Жилые холмы в Плависмани (около г. Гори) и Корниси (северная часть Шида Картли) в подъемном материале [6, с. 132].

Немало фактов использования молотильной доски и в погребальных ритуалах Закавказья.

8. Помимо случая находки молотильной доски в с. Цагвали, которой и посвящается настоящая статья, подобные остатки известны из следующих пунктов:

9. Дзвели (старая) Каңда (Каспский р-н). Предполагают, что молотильной доской было перекрыто погребение № 16 раннего этапа эпохи поздней бронзы [20, с. 45, табл. XXXIII, XXXIV].

10. Могильник Борнигеле (Боржомский р-н), погребение № 52, относится к тому же

⁵ Номера памятников в тексте соответствуют их номерам на прилагаемой карте находок молотильных досок на Кавказе.

периоду, что и предыдущее [14, с. 39–40, табл. III; 21, с. 30, табл. XXX, XXXI].

11. Могильник Самтавро (Мцхета), погребение № 320, VIII–VI вв. до н.э. Предполагается захоронение женщины на молотильной доске [15, с. 65].

12. Нацаргора (Хашурский р-н), погребение № 447, V–III вв. до н.э.

13. Кулбакеби (вблиз г. Цхинвали).

В погребальном комплексе за пределами Грузии известны 3 случай находки молотильных досок в погребениях:

14. Могильник Ахтала в северо–восточной части Армении, в погребении раннего этапа эпохи поздней бронзы [34, с. 59, рис. 8].

15. Артикский могильник в северо–западной части Армении, в погр. № 508 того–же периода, что и предыдущее [32, с. 254; 33, с. 88, с. 335].

16. Ханлар (близ г. Ганджи, в северо–западной части Азербайджана), IV впускное погребение кургана № 2, той же эпохи, что и предыдущие два [22, с. 56, рис. 13].

Предполагают, что в этих последних трёх погребениях покойников клали на молотильные доски. Особенно следует отметить, что в Ахтала и Ханларе сохранены были и части деревянных досок молотилки, но, к сожалению, за неимением фотодокументации, приходится довольствоваться лишь только описанием и графической реконструкцией погребений в целом и молотильной доски в частности.

Из вышеперечисленных молотильных досок данные для сравнения с цагваской доской засвидетельствованы лишь в Ханларе. Она, в отличие от цагваской, состояла из двух досок. Её длина 120, а ширина 40 см. На дне были посажены 19 рядов камушек, имея в каждом по 9–10 зубцов.

Экземпляры археологических находок дополняют молотилки, которыми пользовались до начала 20–го века, а нынче они стали экспонатами краеведческих музеев Кавказа. Они хорошо изучены грузинскими этнографами [1, с. 7]. Следует отметить, что молотильные доски, бывшие в употреблении до недавнего времени однотипны и друг от друга отличаются весьма незначительно. Среди них своей формой и размерами наиболее близка к цагваскому молотильная доска из с. Диши Гомарети (Дманисского р-на) [18, с. 131–135]. Так что, мы имеем возможность сравнить между собою молотильные доски: с одной стороны самую раннюю из Цагвли, а с другой – самую позднюю из Диши Гомарети. Оказывается, что разница между ними состоит лишь в длине – цагваская имеет длину 125 см–ов, а диши–гомаретская – 170 см. Но следует учесть, что у всех сохранившихся до сегодняшнего дня молотилок, передняя, почти $\frac{1}{2}$ часть

доски свободна от камней. Так как в цагваском погребении вообще не сохранилось дерева, естественно, что у цагваской молотилки не могла сохраниться свободная от камушек часть. Если предположим, что и цагваская молотилка имела примерно в той–же пропорции свободную от камушек часть, получится, что цагваская молотилка и по длине равна диши–гомаретской.

Таким образом, обобщая итоги сравнения молотильных досок, обнаруженных во время археологических раскопок в Цагвли и в других пунктах Закавказья, с молотильными досками бывшими в употреблении до начала уходящего столетия, можно заключить, что в Закавказье для молотьбы зерновых колосьев пользовались молотильными досками, которые просуществовали почти без изменений если не с эпохи ранней бронзы, то на–верняка с конца эпохи средней бронзы до начала XX столетия.

A. Ramishvili

THRESHING BOARD OF THE MIDDLE BRONZE AGE FROM GEORGIA (Summary)

A threshing board in a good state of preservation was found in 1984, in burial 94 in v. Tsaghvli, Khashuri district, Western Georgia (fig. 1). The deceased was buried along the eastern wall of the burial pit in crouched position lying on the right side with the head towards North. Besides the threshing board, the following items were discovered: two pots with short neck and everted rim, deep basin with one handle and a drinking vessel with one handle (pl. I₁₋₄), bronze bracelets with open ends, of rhombic form in section (pl. I₅), two pins with five-cone, stibium heads on the flat ends (pl. I₆), two earrings (pl. I₇), seven bronze elliptic pendants (pl. I₈) and beads made of different materials (pl. I₉₋₁₄). The above-listed archaeological material is characteristic of the central Caucasus of the end of the Middle Bronze Age and is met at all sites of this period [13, pp. 123-146; 2, pp. 45-49, pls. VIII, IX; 3, pp. 30-51, pls. XXI-XXII; 12, pp. 28-30, pls. III, IV; 19, pp. 89-98, 1-8-113, 119, 127, figs. 5, 6, 10-14, 16, 21-29, 31-33, 39-41, 53-58; 23, pp. 25-28; 26, pp. 59-98].

Remains of the threshing board claim our attention. The Tsaghvli board was made of one piece of wood. Its surviving length is 125 cm, width is 55 (in the front part) and 75 (in the rear) cm. The Tsaghvli board had 24 rows of stone

teeth on the bottom. Of these, 4-5 rows consisted of 11 stones, the rest – of 17 stones each.

Here follows a list of sites where remains of a threshing board were found:

1. Khizanaantgora, an ancient site of a village on a hill in v. Urbnisi, Kareli district. In the scholarly literature (8, pp. 111, 125; 25, p. 380) it is indicated that the teeth of a threshing board were discovered in the Bronze Age layers. If we recall that in a literary monument of the Shumerians called "Agricultural Almanach" (beginning of the 2nd millennium) refer to threshing with the help of special type of sledge – in my opinion, a threshing board – then it is safe to assume that remains of a threshing board could be discovered in Kura-Araxes layers as well. But the excavator categorically reject this and assumes that teeth are related to the layers of the Classical and medieval periods [4, p. 80].

2. Katlaniskhevi, the ancient site of a village near v. Uplistsikhe, near Gori in the layer of the site of the early stage of the Late Bronze Age [17, pp. 36, 44-49; cf. 13, pp. 151-157].

3. Khovlegora, site near the Grakali railway station, the ancient site of a village, in layers of the 9th-6th centuries B.C. [5, pp. 40, 73, 75, 81; 16, p. 10].

4, 5. Satsikhurisgora (v. Tsaghvli) and Natsargora – the ancient sites of the villages in the Khashuri district in layers of Late Bronze and Early Iron Ages.

6, 7. Settlement hills in Plavismani (near Gori) and Qornisi (the northern part of Shida Kartli) in surface materials [6, p. 132].

There are many facts of the use of the threshing board in burial customs of the Caucasus.

8. Besides the case of discovering threshing board in v. Tsaghvli, with which the present article deals, the same remains were discovered in the following sites:

9. Dzveli Kanda (Kaspi district) – it is supposed that burial 16 (the early stage of the Late Bronze Age) – was covered with a threshing board [20, p. 45, pls. XXXIII, XXXIV].

10. Burial ground Bornighele (Borjomi district, in burial 52. It is related to the same period as the previous one [14, pp. 39-40, pls. III; 21, p. 30, pls. XXX, XXXI].

11. Burial ground of Samtavro (Mtskheta), burial 320, 8th-6th centuries B.C. It is supposed that a woman was buried on a threshing board [15, p. 65].

12. Natsargora (Khashuri district), burial N. 447, 5th-3rd centuries B.C.

13. Kulbakebi (near Tskhinvali).

In burial complexes three cases of discovering threshing boards are known outside Georgia:

14. The Akhtala burial ground in the north-eastern part of Armenia, in a burial of the early stage of Late Bronze Age [34, p. 59, fig. 8].

15. The Artik burial ground in the north-western part of Armenia, in burial 508 of the same period [32, p. 254; 33, o. 335].

16. Khanlar (near Ganja, in the north-western part of Azerbaijan, in-inlet burial IV of barrow burial 2 of the same period as the two previous ones [22, p. 56, fig. 13].

It is assumed that in these three burials the deceased was put on a threshing board. It should be noted here that in Akhtala and Khanlar parts of the wooden boards of the thrasher were preserved but, unfortunately, for lack of photodocumentation we have to limit ourselves a description and graphic reconstruction of the burial on the whole, and the threshing board in particular.

Among the above-listed threshing boards data for comparison to Tsaghvli board are testified only in Khanlar.

It consisted of two boards, in contrast to Tsaghvli one. Its length is 120, width 40 cm. It had 19 rows of stones, 9-10 teeth in each.

Archaeological materials are supplemented by threshing boards which were in use till the beginning of the 20th century, but now they are exhibits of the museums of local lore of the Caucasus. They have been studied well by Georgian ethnographers [1, p. 7]. It should be noted that threshing boards in use until recently, are of the same type and differ from others insignificantly. Among them, by its size and form more close to the Tsaghvli threshing board is one from Didi Gomareti, Dmanisi district [18, p. 131-135]. Thus, we have an opportunity to compare the earliest board from Tsaghvli, on the one hand and the latest one from Didi Gomareti, on the other hand. They appear to differ only in length – the Tsaghvli board is 125 cm and that from Didi Gomareti is 170 cm. It should be borne in mind that the front part of all surviving boards, almost $\frac{1}{4}$ part of the board is without stones. As in Tsaghvli burial wood was not preserved at all, it is natural that thrasher from Tsaghvli could not have preserved the part without stones. Let us assume that Tsaghvli thrasher had a part free from stones approximately in the same proportion, it will turn out that Tsaghvli thrasher is equal in length to thrasher of Didi Gomareti.

Thus, summarizing the results of comparison of threshing boards discovered during the archaeological excavations in Tsaghvli and other sites of the Caucasus to those being in use till the beginning of the 20th century, we can conclude that threshing boards were for threshing cereals in the Caucasus. They existed almost without any change from the end of the Bronze Age till the beginning of the 20th century.


ლიტერატურა

1. გასიტაშვილი გ. ზის დამუშავების ხალხური წესები. თბ., 1962.
 2. ღედაბრიშვილი შ., რუსიშვილი რ. ზემო ალვანის შუა ბრინჯაოს ხანის სამარხი. – კაეჭ, IV, 1980, გვ. 45-49.
 3. კაპანაძე გ. ივრისპირების ბრინჯაოს ხანის სამარვენები (საფუძვლი, ფურცელწყალი). – კაეჭ, VI, 1984, გვ. 27-55.
 4. კიგვიძე ი. მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში. თბ., 1976.
 5. მუსხელიშვილი დ. ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა. თბ., 1978.
 6. მუსხელიშვილი დ., ცეიტიშვილი გ. შიდა ქართლის დაზერვითი ექსპედიციის შედეგები. – სიგპ, I, 1960, გვ. 125-196.
 7. მენოვაშვილი სტ. კევრი. – სსმმ, IX-B, 1963, გვ. 78-102.
 8. მირცხულავა გ., ორჯონიკიძე ა., მინდიაშვილი გ., ჯაფარიძე ო. ადრე ბრინჯაოს ხანი. – საქართველოს არქეოლოგია, II, თბ., 1992, გვ. 70-215.
 9. რამიშვილი ალ. არქეოლოგიური კვლევა-დიება „ზემო ხამურის სარწყავი სისტემის“ მშენებლობის ზონაში 1984-1985 წლებში. – მმ, 1987, № 4, გვ. 31-35.
 10. რამიშვილი ალ. ბრინჯაოს ხანის სამაროვანი წაღვლი. – მმ, № 63, 1983, გვ. 5-10.
 11. რამიშვილი ალ. ბრინჯაოს ხანის ფინალური სტადიების ქრონოლოგია-პერიოდიზაციის ზოგიერთი საკითხი შიდა ქართლის არქეოლოგიური მასალის შუქზე. – II სამეცნიერო სესია: „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო“ (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით). მოხსენებათა თეზისები. თბ., 1994, გვ. 10-17.
 12. რუსიშვილი რ. შვინდიანის სამარვნის შუა ბრინჯაოს ხანის კერამიკა. – ამ, 1977, გვ. 23-30.
 13. ფიცხელაური ქ. აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ.წ. XVI-VI სს.). თბ., 1977.
 14. ღამბაშიძე ო., ღამბაშიძე იო. ახალი არქეოლოგიური მასალები სამცხე-ჯავახეთიდან. – მმ, № 4, 1987, გვ. 36-43.
 15. ჩუბინიშვილი ტ. მიცვალებულის კევრზე დასაფლავების სამთავროში. – სმამ, ტ. XII, № 1, 1951, გვ. 61-67.
 16. ცეიტიშვილი გ. ხოვლეგორელთა საშინაო ყოფა და მეურნეობა. – ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნებებისა და ისტორიული გეოგრაფიის განყოფილების II სამეცნიერო სესიის მოხსენებათა ანოტაციები. თბ., 1964, გვ. 9-11.
 17. ხახუტაიშვილი დ. უფლისციხე. I. თბ., 1964.
 18. ჯალაბაძე გ. აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან. თბ., 1960

ლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები. თბ., 1981.

 20. ხოხიაძე ა., მირიანავი ნ. ნასაკისა არქეოლოგიური მუშაობის შედეგები. – პაი, 1983 (1986), с. 42-47.
 21. გამბაშიძე ი., გამბაშიძე ირ. მესხეთ-ჯავახეთსა და კულტი 1984 წელი. – პაი, 1984-1985 (1987), с. 28-36.
 22. გუმმელ ი. კურგან N 2 ბлиз ხალარი. – კსიმკ, XXIV, 1949, с. 55-58.
 23. ჯაპარიძე ი. კვასატალის მისამართი მესხეთის ეპოქის მისამართი. – კსიმკ, 60, 1956, с. 23-30.
 24. კლიმა ი. მესხეთის კულტურა და ცენტრი. – დარეჩა 1976.
 25. მუნავე რ. კავკასიის მისამართი. – მ. 1975.
 26. პიცხელაური კ. ვაკეთის კულტურა და ცენტრი. – თბ., 1979.
 27. რამიშვილ ა. მესხეთის კულტურა და ცენტრი. – ა. 1979 (1980), с. 415.
 28. რამიშვილ ა. მესხეთის კულტურა და ცენტრი. – პაი, 1986, 1991, с. 22-25.
 29. რამიშვილ ა. მესხეთის კულტურა და ცენტრი. – პაი, 1977 (1980), с. 60-69.
 30. რამიშვილ ა. მესხეთის კულტურა და ცენტრი. – პაი, 1978 (1981), с. 52-56.
 31. რამიშვილ ა. მესხეთის კულტურა და ცენტრი. – პაი, 1979 (1982), с. 34-37.
 32. ხაჩატრია თ. დარეჩა კულტურა შირაკ. – ერევან, 1975.
 33. ხაჩატრია თ. არტიკულის კულტურა. – ერევან, 1979.
 34. Morgan J. de, Mission scientifique au Caucase, I, 1889.

ტაბ. I



სამარხი № 94-ის ინვენტარი

გივი ინანიშვილი, ბესარიონ მაისურაძე

ცენტრალური ამიერკაპპასიის გმიანდრინჯარის ხანის ბრინჯარის ფარმაცევტის ისტორიისათვის

ფერადი ლითონის წარმოება გვიანბრინჯაოს ხანაში თავისი განვითარების უძალლეს საფეხურს აღწევს. ამ პერიოდში შეიმჩნევა მეურნეობის საერთო აღმავლობა, ტომთა შორის კავშირების გაცხოველება, რაც გამოხატულებას პოლობს ცენტრალური ამიერკავკასიის ცალკეული რეგიონების ბრინჯაოს მეტალურგიისა და ლითონდამუშავების დაწინაურებაში, საერთო პროდუქციის მოცულობის ზრდაში. ამ პერიოდში, ცენტრალური ამიერკავკასიის ბრინჯაოს წარმოების მეორადი დამუშავების ცენტრები ფართოდ იყენებენ კალიანი, ანთიმონიანი და დარიშხანიანი ბრინჯაოს შენადნობებს. მრავალფეროვანი ლიგატურით მზადდება ბრინჯაოს იარაღ-საჭურველი, სამკაული და სამეურნეო ხასიათის ინვენტარი.

გვიანბრინჯაოს ხანაში მთისა და ბარის რეგიონის მჭიდრო ეკონომიკურმა ურთიერთობებმა, განაპირობეს მთის წინა ზოლსა და ბარში ბრინჯაოს წარმოების ძლიერი მეორადი ცენტრების შექმნა. ამ პერიოდის ბრინჯაოს ნივთების დამზადების ტექნოლოგიის დამახასიათებელი ნიშანია სერიული წარმოება, რაც აისახება განათხარ მასალაში დიდი რაოდენობით ერთტიპიური ინვენტარის არსებობით (ცენტრალურ-ამიერკავკასიური ტიპის ცულები, სატევები, მახვილები, შუბისპირები და სხვა).

ამ პერიოდის ბრინჯაოს მეტალურგიისა და ლითონდამუშავების განვითარების მაღალი დონის განმსაზღვრელია შილდის სამლოცველოზე [1; 2, გვ. 12-34; 4, გვ. 94-95] მოპოვებული ლითონის ინვენტარიც. აქ აღმოჩენილი სპილენძ-ბრინჯაოს მასალა დაკავშირებული უნდა იყოს კახეთის რეგიონის ბრინჯაოს წარმოების მეორად ცენტრებთან. სამლოცველოს კომპლექსში დიდი რაოდენობით ბრინჯაოს ნივთების აღმოჩენის ფაქტი, ცენტრალურ ამიერკავკასიაში მაღალგანვითარებული ფერადლითონდამუშავების ანარეკლია.

ზემოთ დასმული საკითხების მეცნიერული კვლევა-ძიების სფეროში შედის შილდის სამლოცველოზე აღმოჩენილი ფერადი ლითონწარმოების ნიმუშები, რომელთა ქიმიურ-ტექნოლოგიური შესწავლის შედეგები მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს ზოგადად გვიანბრინჯაოს ხანის ცენტრალური ამიერკავკასიის და კერძოდ, მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი ტერიტორიის, კახეთის რეგიონის ბრინჯაოს წარმოების ისტორიისათვის.

შილდის სამლოცველოს კომპლექსზე მოპოვებული ბრინჯაოს ნივთები შესწავლილია სპექტრული ანალიზის გამოყენებით. ანალიზის შედეგები მოცემულია ცხრილის სახით (იხ. ცხრილი).

შესწავლილი ინვენტარის ქიმიური ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით, და შენადნობთა მალეგირებელი ელემენტების განაწილების მიხედვით, გამოყოფილია მასალის ქიმიური ჯგუფები:

1. კალიანი ბრინჯაო ($\text{Cu} + \text{Sn}$) – 23%
2. ანთიმონიანი ბრინჯაო ($\text{Cu} + \text{Sb}$) – 7%
3. კალა-ანთიმონიანი ბრინჯაო ($\text{Cu} + \text{Sn} + \text{Sb}$) – 7%
4. თუთია-კალიანი ბრინჯაო ($\text{Cu} + \text{Sn} + \text{Zn}$) – 14%
5. ტყვია-კალიანი ბრინჯაო ($\text{Cu} + \text{Sn} + \text{Pb}$) – 10%
6. თუთია-ანთიმონიანი ბრინჯაო ($\text{Cu} + \text{Sb} + \text{Zn}$) – 7%

7. მრავალკომპონენტიანი შენადნობი – 23%
8. სპილენძის მასალა – 9%

მალეგირებელი ელემენტების და მინარევების კონცენტრაციული შემცველობის განაწილების სტატისტიკური მონაცემები მოცემულია ჰისტოგრამების სახით (იხ. ჰისტოგრამები).

როგორც ცალკეული ჯგუფების პროცენტულ-რაოდენობრივი მონაცემებიდან ჩანს, ნივთების ძირითადი ნაწილი დამზადებულია კალიანი და მრავალკომპონენტიანი ლიგატურის მქონე ბრინჯაოსაგან. წამყვანი მალეგირებელი ელემენტია კალა, რომელიც ლიგატურაში გვხვდება ანთიმონთან, ტყვიასთან, თუთიასთან ერთად და აგრეთვე მრავალკომპონენტიან ბრინჯაოს შენადნობში.

შილდის სამლოცველოზე მოპოვებულ ბრინჯაოს მასალაში ასევე განსაკუთრებული ადგილი უკავია ანთიმონის შემცველ ნივთებს, სადაც ცალკეა გამოყოფილი ანთიმონიანი ბრინჯაოს შენადნობი. ანთიმონი აგრეთვე გვხვდება კალასთან, თუთიასთან ერთად და წარმოადგენს მრავალკომპონენტიანი ლიგატურის მქონე ბრინჯაოს ერთ-ერთ წამყვან ელემენტს. ცალკეა გამოყოფილი სპილენძის ჯგუფი (9 %), რომლისგანაც დამზადებულია ძირითადად მთლიანმასრიანი, ორი რელიეფური რგოლით შემკული შუბისპირები.

გამოკვლეული ბრინჯაოს ლიგატურის მეორეხარისხოვნი ელემენტები, ტყვიის და თუთიის სახით წარმოდგენილია ორ-სამ კომპონენტიან შენადნობებში, ძირითადად კალასთან ან ანთიმონთან ერთად. ლიგატურაში მეორადი დანიშნულების ელემენტების დიდი რაოდენობით არსებობა დაკავშირებული უნდა იყოს სპილენძის სულფიდური მადნების გამოყენებასთან და მრავალკომპონენტიანი ლიგატურის მქონე სხმულების მიღების ტექნოლოგიასთან [3, გვ.

88]. მათი მოხვედრა ძირითად შენადნობში სავარაუდოა, მეორადი დონის პროცესში, ერთჯერადი გადამუშავების მასალების მეორედ გამოყენების პრინციპული სქემით იყოს გამოწვეული.

შილდის სამლოცველოზე აღმოჩენილი წარმოების წილის და ნაღვენთების ფრაგმენტები მაღალი პროცენტული რაოდენობით შეიცავენ კალას, რაც ასევე ბრინჯაოს მეორადი წარმოების პროცესის, კალიანი ბრინჯაოს მიღების ტექნოლოგიური რეჟიმის ამსახველი უნდა იყოს. წარმოების წილასა და ბრინჯაოს ნაღვენთებში, კალასთან ერთად, დარიმშნის, სტიბიუმის და ტყვიის შემცველობა, ძვ.წ. II ათასწლეულის ბრინჯაოს მეტალურგიის და ლითონდამუშავების ტექნოლოგიური პროცესის ტრადიციების მაჩვენებელია. წარმოების ნარჩენები, როგორც ძირითადი, ისე მინარევი ელემენტების შემცველობით, იმეორებენ ინვენტარის ქიმიურ შედეგებითას, რაც შილდის სამლოცველოს ბრინჯაოს ნივთების და წარმოების რეჟიმით განსაზღვრული დამზადების ტექნოლოგიის იდენტურობაზე მიუთითებს.

შილდის სამლოცველოზე მოპოვებული ბრინჯაოს ინვენტარის ქიმიურ-ტექნოლოგიური შესწავლის შედეგები, მათი ისტორიულ-ტიპოლოგიური კლასიფიკაცია, განსაზღვრავენ ამ ძეგლს ცენტრალური ამიერკავკასიის გვიანდრინჯაოს ხანის კულტურათა სისტემაში.

თუ გავითვალისწინებთ ცენტრალური ამიერკავკასიის რეგიონის მდგბარეობას, ამიერკავკასიის ძირითად სპილენის გამადნებათა სისტემების მიმართ (ცენტრალური კავკასიონის უკიდურესი დასავლეთი ზონა, მცირე კავკასიონისა და ალავერდ-ქედაბეკის სისტემები), შეიძლება ითქვას, რომ შილდის სამლოცველოს ბრინჯაოს ინვენტარის შემქმნელი, ადგილობრივი მეორადი ლითონდამუშავების კერები მარაგდებოდა არამხოლოდ ზემოაღნიშნული მეტალურგიული ცენტრებიდან. ადგილობრივი ბრინჯაოს წარმოებისათვის დამახასიათებელი შენაღნებები მიღებულია რაჭის მთიანეთის ზონაში არსებული ანთიმონის და ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის კალის საბადოების მეტალურგიული გადამუშავების პროდუქტის, ლითონური ანთიმონის და კალის იმპორტის გამოყენებით. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს ცენტრალური ამიერკავკასიის ბრინჯაოს წარმოების დიდ მასშტაბებზე და მრავალმხრივ საგაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე, როგორც დასავლეთ საქართველოს კულტურის წრეში შემავალ მეტალურგიულ წარმოებასთან, ისე წინა აზიის მეტალურგიული წარმოების კერებთან. შილდის სამლოცველოს ბრინჯაოს ნივთებში ანთიმონის დიდი რაოდენობით აღმოჩენა ამ მასალის დიდი საწარმო მარაგის არსებობაზე მეტყველებს.

სავარაუდოა, რომ კახეთის რეგიონის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში ფუნქციონირებდა ბრინჯაოს მეორადი ლითონდამუშავების ლოკა-

ლური კერა. შილდის სამლოცველოს ბრინჯაოს ინვენტარი ქიმიურ-ტექნოლოგიური მონაცემებით დაკავშირებული უნდა იყოს აღნიშნულ საწარმოო უბანთან. შილდის მეორადი დამუშავების კერა შექმნილია კახეთის რეგიონის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში მოქმედი ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების ბაზაზე. შესწავლის ბრინჯაოს მასალაში რთული ლიგატურის (მრავალკომპონენტიანი) გამოყენების ფაქტი, შენაღნებთა მრავალსახეობა, ამ რეგიონში ძვ.წ. XIV-X საუკუნეების პერიოდის ბრინჯაოს წარმოების ადგილობრივი, ლოკალური ცენტრის არსებობაზე მიუთითებს. ის ჩართული უნდა ყოფილიყო ცენტრალური ამიერკავკასიისა და საერთოდ წინააზია – კავკასიის გვიანდრინჯაოს ხანის მეტალურგიული ცენტრების ერთიან სისტემაში.

Г. В. Инанишвили, В. Г. Майсурадзе,

К ИСТОРИИ ПРОИЗВОДСТВА БРОНЗЫ В ЦЕНТРАЛЬНОМ ЗАКАВКАЗЬЕ В ЭПОХУ ПОЗДНЕЙ БРОНЗЫ

(резюме)

В Центральном Закавказье в период поздней бронзы высшего уровня достигает производство меди и ее сплавов. Динамика развития цветной металлургии и металлообработки хорошо определяется находками металлического инвентаря в составе погребальных комплексов и культовых сооружений данного периода. Экономические сдвиги горных и предгорных регионов определенно связаны с появлением в Закавказье вторичных центров обработки цветных металлов.

В этом аспекте, с проблемой выявления новых локальных центров производства бронзы на территории Закавказья, большой научный интерес представляет историко-типологический и химико-технологический анализ металлического инвентаря святилища Шилда. Данные комплексного изучения материала ставят вопрос определения локального центра вторичного производства бронзы в Кахетском регионе.

G. Inanishvili, B. Maisuradze

TOWARDS THE HISTORY OF BRONZE PRODUCTION IN THE CENTRAL CAUCASUS IN THE LATE BRONZE AGE

(Summary)

In the Late Bronze Age the Central Caucasus was characterized by a high level of bronze production. The dynamics of the development of

non-ferrous metal industry and metal-working is represented well by the metal inventory found in the burial complexes and cult structures of this period. The development of economic relations between the mountain and foothill regions was linked to the emergence of secondary centers of bronze production.


One of the important monuments among others connected with this problem is the Shilda sanctuary in Kakheti region. Our interest attaches to the metal inventory discovered here. The results of historical typological, chemical and technological analyses raise the question of determining of the local secondary centers of bronze production in the Central Caucasus.

The existence of secondary centers of bronze production in the Kakheti region can be proved.

ლიტერატურა

1. მაისურაძე ბ., ფანცხავა ლ. შილდის სამ-ლოცველო (კატალოგი). – კაეშ, ტ. VII, 1981.
2. მაისურაძე ბ. ოორ-ალაზნის ზემო დინების გვიანბრინჯაო-რკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1993.
3. მაისურაძე ბ., ინანიშვილი გ. ბრინჯაოს წარმოების ძეგლები კახეთის სპილენძის გამაღ-ნების ზოლში. – მაცნე. ისტორიის ... სერია, № 3, 1984, გვ. 86-89.
4. **Пицхелаури К., Дедабришвили Ш., Майсурадзе В. и др.** – Отчет о полевых работах Кахетской археологической экспедиции. – ПАИ, 1977 (1980), с. 85-95.

შილდის სამღოცელოს ბრინჯაოს მასალის ელემენტთა კონცენტრაციული განაწილების პისტოგრამები



შილდის სამლოცველოს ბრინჯაოს ინგენიურის სპეციალული ანალიზის შედეგები

№№	ლაბ. შიფრი	ნივთის დასახელება	აღმოჩენის ადგილი	Cu	Sn	Pb	Zn	Bi	Ag	Sb	As	Fe	Ni	Co
1.	ს-116	გატოტგილერო-იანი სატევარი 19-982:1393	შილდის სამლოცველო	ფუძე	20,0	2,0	0,35	0,007	0,4	12,0	1,6	0,09	0,799	0,06
2.	ს-117	ცული (ყუის გა-რეშე) 19-982:1391	„--“	„--“	14,2	1,0	0,4	0,012	1,0	1,6	0,4	0,45	0,9	0,15
3.	ს-118	შებისპირი მასრა-ზე ორი რელიე-ფური სალტიო	„--“	„--“	14,2	1,0	0,4	0,012	0,6	7,2	2,0	0,35	0,7	0,09
4.	ს-119	„--“ 19-982:1396	„--“	„--“	0,6	1,0	0,3	0,012	0,6	14,2	-	1,7	0,7	0,15
5.	ს-120	„--“ 19-982:1399	„--“	„--“	0,8	0,3	1,7	0,04	0,15	2,5	-	0,008	0,04	0,007
6.	ს-121	„--“ 19-982:1398	„--“	„--“	0,7	0,6	0,3	0,04	0,4	7,2	-	0,09	0,7	0,06
7.	ს-122	„--“ 19-982:1401	„--“	„--“	0,09	0,25	0,9	0,05	0,4	0,9	-	0,016	0,06	0,012
8.	ს-123	„--“ 19-982:1397	„--“	„--“	9,5	0,5	1,2	0,004	0,4	0,7	0,6	0,3	0,2	0,02
9.	ს-124	„--“ 19-982:1402	„--“	„--“	0,5	0,08	0,9	-	0,15	-	-	0,03	0,04	0,025
10.	ს-125	„--“ 19-982:1409	„--“	„--“	0,14	0,15	0,17	0,04	0,06	0,1	0,3	0,01	0,05	0,014
11.	ს-126	„--“ 19-982:1400	„--“	„--“	0,35	0,4	0,23	0,002	0,02	0,1	-	0,008	0,09	0,02
12.	ს-127	„--“ 19-982:1403	„--“	„--“	0,08	0,3	1,0	0,001	0,06	0,9	2,0	0,008	0,035	0,012
13.	ს-128	შებისპირი მას-რაზე ორი რელიე-ფური სალტიო 19-982:1405	„--“	„--“	0,3	0,5	0,2	0,001	0,02	0,1	0,2	0,016	0,035	0,012
14.	ს-129	„--“ 19-982:1406	„--“	„--“	4,2	0,4	0,9	0,005	0,4	1,3	0,8	0,045	0,2	0,025
15.	ს-130	„--“ 19-982:1407	„--“	„--“	0,25	0,3	2,3	0,015	0,4	2,5	0,7	0,016	0,2	0,027
16.	ს-131	„--“ 19-982:1408	„--“	„--“	0,18	0,75	0,2	0,04	0,4	2,5	0,5	0,016	0,15	0,035

17.	ს-132	„“ 19-982:1404	„--“	„--“	1,4	0,08	1,6	0,004	0,09	0,1	0,2	0,01	0,08	0,02
18.	ს-133	სადამასრიანი შუ- ბისპირი ქედზე და მასრაზე ორნამენ- ტით 19-982:1424	„--“	„--“	9,8	2,0	1,8	0,001	0,4	0,12	0,2	0,25	0,14	0,035
19.	ს-134	„“ 19-982:1423	„--“	„--“	8,7	0,4	0,9	0,005	0,15	0,03	0,06	0,04	0,10	0,022
20.	ს-135	„“ 19-982:1410	„--“	„--“	8,8	0,6	0,75	0,012	0,4	0,03	0,5	0,11	0,25	0,035
21.	ს-136	„“ 19-982:1411	„--“	„--“	7,3	0,6	0,35	0,007	0,15	–	0,06	0,08	0,14	0,065
22.	ს-137	„“ 19-982:1412	„--“	„--“	9,7	0,3	0,4	0,004	0,4	–	–	0,1	0,10	0,065
23.	ს-138	„“ 19-982:1414	„--“	„--“	6,4	0,25	0,38	0,001	0,09	–	–	0,035	0,08	0,02
24.	ს-139	„“ 19-982:1413	„--“	„--“	8,0	1,0	0,45	0,001	0,4	–	–	0,033	0,08	0,035
25.	ს-140	„“ 19-982:1415	„--“	„--“	8,3	0,05	1,9	–	0,4	0,03	0,2	0,015	0,06	0,23
26.	ს-141	„“ 19-982:1417	„--“	„--“	9,5	0,12	0,85	–	0,06	0,03	0,1	0,1	0,045	0,02
27.	ს-142	„“ 19-982:1418	„--“	„--“	10,5	2,3	0,68	0,001	0,4	0,4	0,2	0,25	0,25	0,02
28.	ს-143	„“ 19-982:1420	„--“	„--“	12,3	0,4	0,35	0,04	0,25	–	–	0,035	0,02	0,025
29.	ს-144	სადამასრიანი შებისპირი 19-982:1421	„--“	„--“	9,5	0,3	0,18	0,002	0,1	0,03	0,06	0,008	0,08	0,007
30.	ს-145	„“ 19-982:1422	„--“	„--“	3,5	0,05	0,85	0,001	0,15	0,09	0,2	0,33	0,08	0,035
31.	ს-146	„“ 19-982:1419	„--“	„--“	9,5	1,3	0,4	–	0,06	0,07	0,8	0,035	0,07	0,015
32.	ს-147	„“ 19-982:1430	„--“	„--“	6,0	1,3	0,9	0,001	0,1	0,85	0,2	0,037	0,16	0,02
33.	ს-148	გასრაგზნილი შებისპირი 19-982:1428	„--“	„--“	7,3	1,5	0,4	0,002	0,4	0,12	2,8	0,025	0,2	0,02
34.	ს-149	შებისპირი გასრა- ზე შვერილებით 19-982:1437	„--“	„--“	9,5	0,12	2,3	0,002	0,4	1,1	0,2	0,1	0,25	0,025

35.	ს-150	შებისპირი 19-982:1445	„--“	„--“	9,5	-	2,1	-	0,18	0,05	0,15	0,6	0,1	0,035
36.	ს-151	„--“ 19-982:1451	„--“	„--“	9,5	-	2,0	-	0,4	-	0,5	1,2	0,7	0,07
37.	ს-152	„--“ 19-982:1444	„--“	„--“	12,3	-	2,5	-	0,4	-	0,1	0,1	0,02	0,2
38.	ს-153	„--“ 19-982:1434	„--“	„--“	11,0	0,3	0,9	0,025	0,25	0,9	0,2	0,3	0,08	0,06
39.	ს-154	ც/ა ტიპის ცული 19-982:2100	„--“	„--“	7,8	0,3	2,1	0,005	0,1	2,5	1,0	0,018	0,1	0,03
40.	ს-155	სამაჯური 19-982:1616	„--“	„--“	5,6	0,5	0,4	0,012	0,2	0,5	0,25	0,035	0,15	0,04
41.	ს-156	ც/ა ტიპის (ცულის იძიტაცია 19-982:1674	„--“	„--“	0,75	0,15	0,2	0,004	0,6	9,0	0,1	0,018	0,1	0,02
42.	ს-157	ც/ა ტიპის (ცულის იძიტაცია 19-982:1673	„--“	„--“	0,23	0,4	0,7	0,006	0,4	9,0	0,3	0,035	0,88	0,025
43.	ს-158	კუსებური საკიდი 19-982:1705	„--“	„--“	0,25	0,5	2,5	0,01	0,1	15,0	0,2	1,21	0,1	0,02
44.	ს-159	კახური სატევრის ქუდი 19-982:1615	„--“	„--“	0,15	2,4	1,7	0,04	0,1	4,5	0,06	1,23	0,25	0,12
45.	ს-160	დილი 19-982:1860	„--“	„--“	9,5	2,8	2,9	0,01	0,1	-	0,06	0,7	0,1	0,035
46.	ს-161	ჯიხვის ქანდაგება 19-982:1746	შილდის სამღო- ცეცლო, ქვის წრიული კედ- ლის 018 ქუთხე	„--“	0,12	-	2,7	0,001	0,4	3,5	-	0,4	0,1	0,012
47.	ს-162	ფრინველის ქან- დაკება 19-982:1468	„--“	3,5	0,3	0,35	0,004	0,18	5,0	0,06	0,3	0,16	0,018	
48.	ს-163	ბრინჯაოს წიდა 19-982:2110	შილდის სამ- ღოცეცლო	„--“	9,5	0,4	0,35	0,055	0,4	0,8	1,8	0,35	0,23	0,025
49.	ს-164	ბრინჯაოს ნაღვენ- თები 19-982:1899	„--“	9,5	0,5	0,35	0,01	0,25	0,7	0,35	0,03	0,3	0,025	
50.	ს-165	„--“ 19-982:1899	„--“	„--“	13,0	1,5	0,9	0,004	0,4	0,85	0,7	0,18	0,23	0,018
51.	ს-166	„--“ 19-982:1899	„--“	„--“	1,0	2,1	0,5	0,01	0,4	0,9	0,6	0,04	0,15	0,017

52.	ს-167	ფრინველის ქან-დაკება 19-982:1468	„--“	„--“	4,2	0,15	0,25	0,007	0,4	4,2	0,06	0,03	0,2	0,025
53.	ს-168	სატევრის ტარი 19-982:13	„--“	„--“	1,8	1,1	0,3	0,004	0,6	0,8	3,0	0,35	0,23	0,018
54.	ს-169	სატევრის პირის ფრაგმენტი 19-982:11	„--“	„--“	4,0	0,8	1,4	0,001	0,25	3,4	0,7	0,4	0,25	0,06
55.	ს-170	კაზური სატევარი 19-982:14	„--“	„--“	9,0	0,4	1,0	-	0,09	0,35	-	0,12	0,1	0,015
56.	ს-171	სატევრის პირის ფრაგმენტი 19-982:14	„--“	„--“	6,5	1,3	1,7	0,02	0,18	0,8	0,35	0,01	0,08	0,012
57.	ს-172	„--“ 19-982:15	„--“	„--“	8,3	0,6	0,7	0,001	0,09	0,4	0,16	0,035	0,1	0,018
58.	ს-173	ც/ა ტიპის ცული 19-982:8	„--“	„--“	4,3	0,8	0,35	0,012	0,4	0,6	0,8	0,030	0,2	0,03
59.	ს-174	„--“ 19-982:8	„--“	„--“	1,8	1,0	0,08	0,004	0,25	1,1	2,0	0,015	0,1	0,018
60.	ს-175	„--“ 19-982:6	„--“	„--“	3,5	0,4	0,35	0,008	0,4	2,5	0,2	0,033	0,14	0,025
61.	ს-176	„--“ 19-982:9	„--“	„--“	1,0	1,0	0,2	0,012	0,4	1,0	1,2	0,017	0,2	0,025
62.	ს-177	საღამასრიანი შებისპირი 19-982:1416	„--“	„--“	9,5	0,6	0,65	0,004	0,6	0,03	0,06	0,04	0,1	0,018

ოთარ ლორთქიფანიძე

„პოლხური დიდრაქმის II ტიპის“ იპონოგრაფიისათვის

კოლხური დიდრაქმის II ტიპის სახელით ცნობილია ვერცხლის მონეტების სერია, რომლის შუბლზე გამოსახულია მრგვალ რელიეფურ ჩარჩოში მოთავსებული ადამიანის თავი მარჯვენა პროფილში, ხოლო ზურგზე ერთმანეთს დაპირისპირებული ადამიანის ორი თავი პროფილში, რომელიც ჩაჭდეულ კვადრატებშია წარმოადგენილი (სურ. 1). ამ ტიპის მონეტების წონა მერყეობს 8,69 და 11,7 გრამს მორის. მათ ჩვეულებრივ ძვ.წ. V ს-ით ათარი-ლებენ ([12, გვ. 37], [2, გვ. 28], [5, გვ. 196: „V-IV სს“], [31, გვ. 7: „დაახლოებით 400 წ.“], [1, გვ. 14-15], [35, XXXVIII, 1012: „V ს-ის დასა-სრული – IV ს.“]).



სურ. 1.

ამჟამად „კოლხური დიდრაქმის II ტიპის“ 20-ზე მეტი მონეტაა ცნობილი.⁶ მათგან მხოლოდ რამდენიმეს აღმოჩენის ადვილია მეტ-ნაკლებად ზუსტად დადგენილი: 5 ახალსოფლის განძიდანა (ზუგდიდის მახლობლად – [6, გვ. 425 და შემდ.]), 6(?) თითქოს ე.წ. ფოთის განძიდან⁷ ([21, გვ. 37, № 39], შდრ. [11, გვ. 166, შენიშვნა 5]). ხოლო ერთი – აღმოჩენილია ჩრდ. შავიზღვისპირეთში, ტამანის ნახევარკუნძულზე, ბერძნული ქალაქის ჰერმონასას გათხრებისას [8, გვ. 74].

დანარჩენების შესახებ მხოლოდ მითითებაა, რომ ისინი დასავლეთ საქართველოშია ნაპოვნი.

⁶ მათგან 7 დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში [11, გვ. 166, შენიშვნა 5], 2 – ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში [11, გვ. 166], ხოლო თითო – სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო ერმიტაჟში [12, გვ. 36, ტაბ. I, 3], მოსკოვში [8, გვ. 72-74], ჯეიმსონის კოლექციაში [24, № 2543, ტაბ. XXXIV], [31, № 2], ლონდონში ბრიტანეთის მუზეუმში [35, ტაბ. XXXVIII, 1012] და ოქსფორდში აშშოლის მუზეუმში [36, გვ. 238, ტაბ. I, 3].

⁷ დღევანდელ ფოთში ძვ.წ. VI-V ს-ის მონეტების განძის აღმოჩენა, როგორც აღრე უკვე აღვნიშნე, ბალზე საეჭვოა [3, გვ. 66, შენიშვნა 1]. თუმც არაა გამოიცხული, რომ ხსენებული განძი სადღაც ფოთის მახლობლად იყოს აღმოჩენილი.

„კოლხური დიდრაქმების II ტიპის“ სახელით ცნობილ მონეტებზე წარმოდგენილ გამოსახულებათა შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში (ისევე როგორც I ტიპის დიდრაქმების იკონოგრაფიაზე – შდრ. [3]) აზრთა სხვადასხვაობაა.

ე. პახომოვის აზრით, აქ მონეტის შუბლზე „დამოუკიდებელი ადგილობრივი ლვთაებაა“ გამოსახული [20, გვ. 8], ხოლო ს. მაკალათია თვლიდა, რომ ის „ადგილობრივი ლვთაების „ტფაშიმაფა“ – დალის ხატი უნდა იყოს“ [5, გვ. 199 და შემდ.]. მაგრამ ასეთი ინტერპრეტაციისას გაუგებარი რჩება მონეტის ზურგზე წარმოდგენილი გამოსახულებები.

დ. კაპანაძის აზრით [2, გვ. 28], „კოლხურ მონეტებზე მოთავსებული ადამიანის თავის გამოსახულება ადგილობრივი პანთეონის ცხოველთა და მხეცთა მფარველ ქალღმერთ დალისთან და შესაბამისად მთვარის კულტთანაც არის დაკავშირებული“. ამის საფუძველზე დ. კაპანაძე ვარაუდობდა, რომ „მონეტის შუბლზე გამოსახულ ადამიანის თავს სრული მთვარის განსახიერება მიენიჭება, ხოლო ზურგზე მოთავსებული უფრო მცირე ზომის ასეთივე გამოსახულება შეიძლება გავაიგივოთ ამავე მთვარის ფაზებთან (პირველი – ახალი მთვარე, ხოლო მეორე – მილევადი)“. შემდგომ დ. კაპანაძემ ირ. შენგელიასთან ერთად წამოაყენა დებულება რომ „კოლხური დიდრაქმის II ტიპის“ მონეტებზე წარმოდგენილია „ტრიმორფული“ (ე.ი. სამტანოვანი თუ სამმაგ გამოსახულებიანი – ო.ლ.) ჰეკატე, რომელიც ტრადიციული ინტერპრეტაციით, მთვარის სამ ფაზას განასახიერებდა. ამ ტრიმორფული სახის დანაწილება ორ კომბოზიციად ავერსის (ერთი თავი) და რევერსის (ორი თავი) მიხედვით, შესაძლოა გაპირობებული იყო მონეტის მცირე ფორმატით“ [14, გვ. 161]. მე მიმძიმს ციტირებული მოსაზრების გაზიარება იმის გამო, რომ თუ აქ „ტრიმორფული ჰეკატეა“, მაშინ ის უნდა გამოსახული ყოფილიყო ერთიანად სამი ტანით, როგორც ის ჩვეულებრივ წარმოისახებოდა ბერძნული ხელოვნების ძეგლებზე (შდრ. [32]), ან ყოველ შემთხვევაში სამივე თავი მონეტის შუბლსა და ზურგზე სავსებით იდენტური მაინც უნდა ყოფილიყო. სინამდვილეში სამივე თავი საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან, განსაკუთრებით თმის ვარცხნილობით. მონეტის შუბლზე გამოსახული თავი, როგორც წესი, დაკბილულ „გვირგვინიანია“, თმის ფართო დალალი მხრებზეა ჩამოშლილი, ხოლო ერთი კულული კი, მხრის წინ. ზურგზე – მარჯვენა პროფილში გამოსახული თავიც გვირგვინიანია, მხრებსა და მკერდზე ჩამოშლილი თმები მთლიანად ფარავენ ყელს. მარცხენა პროფილში გამოსახულ თავს

კი თმები მხრებზე აქვს ჩამოშლილი, ხოლო ერთი კულული ტალღისებურადაა ყელზე გადმოგდებული.⁸ ასე, რომ საფუძველი ამ სამი გამოსახულების „ტრიმორფულ ჰექატედ“ მინევებისა არ არსებობს.

ამას წინათ, „კოლხური დიდრაქმის II ტიპის“ მონეტებზე წარმოდგენილი გამოსახულებების შესახებ თავისი მოსაზრება გამოსთქვა ინგლისელმა ისტორიკოსმა ჯონ ჰაინდმა. მისი მტკიცებით, ამ მონეტების შუბლზე გამოსახულია ფრიქსეს, ხოლო ზურგზე – მისი ორი ვაჟი. ფრიქსეს კულტის არსებობაზე კოლხებში კი რომაელი მწერალი პომპონიუს მელაც იუწყებაო („ქოროგრაფია“, I, 108) [29, გვ. 207-208]. მავრამ ეს ჯერ კიდევ არაა საკმარისი, რომ ჩვენ მიერ განსახილველ მონეტებზე კოლხთა მეფის აიეტის სიძისა და მისი ორი ვაჟის გამოსახულება მივიჩნიოთ. მით უფრო, რომ გაუგებარია: რატომ მაინცდამაინც ორი ვაჟის გამოსახულებაა წარმოდგენილი, მაშინ როდესაც ფრიქსეს ოთხი ვაჟი ჰყავდა (იხ. აპოლონის როდოსელი, „არგონავტიკა“, II, 110, 1154-1156).

„კოლხური დიდრაქმის II ტიპის“ მონეტებზე ადამიანთა თავების გამოსახულებაში რაიმე ტიპიური იკონოგრაფიული ნიშნები თითქოს არ ჩანს. ეს კი საკმაოდ ართულებს მათ იდენტიფიკაციას რომელიმე კონკრეტულ ღვთაებასთან ან გაღმერთულ პირთან. შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ერთ მონეტაზე გამოსახული სხვადასხვა იერის ადამიანთა თავები ქმნიან რაღაც გარკვეულ სამეულს (ტრიადას), რომელიც ერთიანი იდეით არის გაერთიანებული. შესაძლოა, რომ ეს იყოს ე.წ. აპოლინარული ტრიადა, რომელიც აგრე ხშირადა გამოსახული ძველ ბერძნულ მოხატულ კერამიკულ ვაზებზე, რელიეფზე, მრგვალ ქანდაკებებშიც კი, ყოველ შემთხვევაში, ძვ.წ. VI ს-დან მაინც ([26, გვ. 261 და შემდ., კატალოგი, № 630 და შემდ.]). თუ ეს მსჯელობა სწორია, მაშინ გამოსახულება მონეტის შუბლზე უნდა იყოს დიდი ქალღვთაება ღეტო,⁹ ხოლო ზურგზე – მისი

⁸ ამიტომ არაა სწორი თითქოს სამივე თავი „ზუსტად ერთნაირია“ (შდრ. [1], გვ. 14).

⁹ ძალზე ძნელია დაბეჭითებით თქმა მონეტის შუბლზე გამოსახულია თავი მამაკაცისაა თუ ქალის. მკვლევართა უმრავლესობას ის ქალის თავად მიაჩნიათ, მაგრამ ზოგიერთებს – კაცისად (შდრ. [29, გვ. 207], [36, გვ. 237]). თითქმის ყველა მკვლევარი აღნიშნავს „II ტიპის კოლხური დიდრაქმის“ „შუბლზე გამოსახული ადამიანის თავის მსგავსებას „კოლხური თეთრის“ წვრილ ნომინალებზე (ტრიობილებზე) გამოსახულ ადამიანის თავთან. მაგრამ ჩემი აზრით, სრულ იდენტურობაზე საუბარი გაუმართლებელია, რამდენადაც საკმაოდ შესამჩნევი განსხვავებაა თმების ვარცხნილობაში. საინტერესოა, რომ ზოგიერთ ტრიობილზე ადამიანის ყურის ბოლოზე თვალნათლივ შემჩნევა საკმაოდ რელიეფური მრგვალი ან თვალური წერტილი ([17, ტაბ. 17: მონეტები დაბლაგომიდან]). იგი შეიძლება მივიჩნიოთ საყურედ. მაშინ ტრიობილებზე გამოსახული ადამიანის თავი შეიძლები შეიძლები აპოლონი (მარჯვენა პროფილში) და არტემიდა (მარცხენა პროფილში).¹⁰

ტყუპი შვილები აპოლონი (მარჯვენა პროფილში) და არტემიდა (მარცხენა პროფილში).¹⁰

აპოლინარული ტრიადის გამოსახულებას არქაული ან კლასიკური ხანის სხვა მონეტებზე მე ვერ მივაკვლიერ. სამაგიეროდ, ცნობილია აპოლინარული ტრიადის გამოსახულება რომაელი იმპერატორების კომოდიუსისა და სეპტიმიუს სევერუსის დროინდელ ქ. მეგარის მონეტებზე. აღიარებულია, რომ ისინი იმეორებენ პრაქსიტელეს მიერ ქალაქ მეგარაში აპოლონ პროსტატეროსის ტამრისათვის შექმნილ ნაწარმოებს, რომლის შესახებ ცნობა შემონახულია პავსანიასთან („ელადის აღწერა“, I, 44,2) – (დაწვრ. იხ. [30, გვ. 302-303, ტაბ. XXVII, 1], შდრ. [26, გვ. 263, კატალოგი, № 638]).

კარგადაა ცნობილი, რომ მონეტებზე ხშირად გამოისახებოდა არქაული და კლასიკური ხანის გამოჩენილ ბერძნებ მოქანდაკეთა მიერ შექმნილი ცნობილი და საყოველთაოდ აღიარებული ნაწარმოებები [30, გვ. 59]. ასე მაგ. დიდომის ტაძარში აღმართული სიკიონელი მოქანდაკის კანახოსის შექმნილი აპოლონის ქანდაკება გამოსახული იყო მიღეტისა და სხვა ქალაქების მონეტებზე ([30, გვ. 221], [25, გვ. 17]).

მე ვერ მივცემ ახლა ჩემს თავს უფლებას, გამოვთქვა მოსაზრება ჩვენ მონეტებზე წარმოდგენილ ადამიანთა თავების გამოსახულებათა პროტოიპზე. დიდრაქმაზე მოცემული ბერძნული გვიანი არქაიკისათვის დამახასიათებელი ადამიანის თავის გამოსახულება პროფილში, ზეაწეული ცვეირითა და ნეშისებური თვალებით ფასში. თუმც მარჯვენა პროფილში გამოსახულ პატარა თავში შეიძლება დავინახოთ ზოგიერთი სტილისტური ნიშანი ზემოხსენებული აპოლონის ქანდაკებისა, რომელიც რამდენიმე გვიანდელი ასლითაა ცნობილი (დაწვრ. იხ. [34]). მაინც, მე ვერკერობით, ვიდრე არ მექნება საშუალება სხვადასხვა მუზეუმებში დაცული მონეტების უშუალოდ გაცნობისა, თავს შევიკავებ შემდგომი მსჯელობისაგან, რომელიც განსახილველი მონეტების სტილისტურ და იკონოგრაფიულ თავისებურებებს შეეხება.

ჩვენ მიერ გამოიქმული ჰიპოთეზა, რომ „კოლხური დიდრაქმის II ტიპის“ მონეტებზე

ლება მართლაც ქალის იყოს, შესაბამისად „კოლხური დიდრაქმის II ტიპის“ მონეტებზეც ქალის თავია გამოსახული.

¹⁰ ბერძნულ ვაზებზე, როგორც წესი, აპოლონი (ჩვეულებრივ – კითარიანი) და არტემიდე პროფილში ერთმანეთის პირისპირ არიან გამოსახული, ხოლო ლეტო დგას აპოლონის უკან, პროფილში წარმოდგენილი (როგორც ჩვენს მონეტებზე), [შდრ. 26, გვ. 261 და შემდ. კატალოგი, № 630 მ-ს; 631, ტ. ი, კ. 632 ს და ა.შ.). აპოლინარული ტრიადის ყველაზე აღრეულ სტატუაზე კომპოზიციაში (დელოსზე რომა აღმოჩენილი) აპოლონი წარმოდგენილია ცენტრში დიდი ფიგურის სახით, ხოლო ლეტო და არტემიდე – მის ორივე მხარეს ერთნაირი ზომის მოცურ ქანდაკებით [26, გვ. 265, კატალოგი № 658].

აპოლინარული ტრიადაა გამოსახული, შეიძლება გაზიარებული იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მოწეტები მიღებულია მიერ დაარსებულ ქალაქ ფასისში მოჭრილი.¹¹ პირდაპირი საბუთი კი ასეთი მტკიცებისათვის არ არსებობს, ჯერჯერობით მაინც. არაპირდაპირ მოწმობად კი შეგვიძლია ვიგარაუდოთ: 1. ამ ტიპის მოწეტების აღმოჩენა ქალაქ ფასისში საკარაულებელი ადგილსამყოფელის უშუალო სიახლოეს სოფ. ახალსოფელში. 2. ამ მოწეტების აღმოჩენა ახალსოფლის განძში ეწ. „I ტიპის კოლხურ დიდრაქმებთან“ ერთად, რომელთა მოჭრა ფასისში მეტნაკლებად დამაჯერებელია (შდრ. [3, გვ. 69 და იქ დასახ. ლიტ.]). მე კარგად მესმის, რომ დასახელებული არგუმენტები სრულებითაც არაა საკმარისი იმისათვის, რომ „კოლხური დიდრაქმის II ტაბა“ მოწეტები ფასისში მოჭრილად ვიგარაუდოთ. მეორე მხრივ, აქ შეუძლებელი არაფერია: თუ განხილულ მოწეტებზე მართლაც აპოლინარული ტრიადა გამოსახული, როგორც ჩვენ ვარაუდობთ, მაშინ ისინი სწორედ ქალაქ ფასისში უნდა იყოს მოჭრილი. ამ ქალაქში აპოლონის ტაძრისა და შესაბამისად აპოლონის კულტის არსებობას მოწმობს შებანში, ხუტორ ზუბოვკაში აღმოჩენილი ვერცხლის თასის წარწერა: „გეგუთვნი აპოლონ ჰეგემონს, რომელიც ფასისშია“. აქ „ჰეგემონი“ აპოლონის, როგორც ქალაქის მთავარი მფარველისა და წინამდლოლი ღვთაების, ეპითეტია, ხოლო წარწერა მიუთითებს, რომ თასი ეკუთვნოდა აპოლონის ტაბარის ფასისში (დაწვრ. იხ. [19, გვ. 27-30]. აპოლონის კულტი ფასისში, ისევე როგორც შევიზღვისპირეთის სხვა ქალაქებში, უთუოდ მიღეტიდან იყო გადმოტანილი (დაწვ. [38, გვ. 207 და შემდ.; 10, გვ. 26 და შემდ]).

წერილობით წყაროებში შემონახულია ცნობა ქალაქ ფასისში აპოლონის დის არტემიდეს ტაბარის არსებობის შესახებ. ახ.წ. III ს-ის ბერძენი ისტორიკოსის ზოსიმეს ცნობით: „ამბობენ, ფასისში აღმართული იყო ფასისელი არტემიდეს ტაბარი“.¹² ეპითეტი „ფასისელი“

¹¹ ფასისის მიღეტელთა მიერ დაარსების შესახებ იუწყებიან არისტოტელე, ფრ. 2 = პერაკლიდე ლემბი, „პოლიტეია“ XVIII; პომპონიუს მელა, „ეკოროგრაფია“, I, 108; ანონიმური პერიპლუსი, 3 = ფსევდოსკიმნის, 926; სტეფანე ბიზანტიელი, „ეთნიკა“: ფასისი; თეოკრატეს „იდილიის“ XIII, 23-ის სქოლით. – იხ. აგრეთვე [1, გვ. 95 და შემდ.].

¹² კოლხური დიდრაქმების ფასისში მოჭრას ვარაუდობს მ. ინაძე ([13, გვ. 168], თუმც აქ მირითადად I ტიპის დიდრაქმაზეა საუბარი, მაგრამ არგუმენტაციის გარეშე).

¹³ იხ. [4], [15, გვ. 289-292 და იქ დასახ. ლიტ.])

¹⁴ Zosim, I, 32, 3; "Πλησίον τοῦ Φασιδίος ὀρμίσθησαν, ἔνθα καὶ τὸ τῆς Φασιανῆς Ἀρτέμιδος ἵδρυσθαι λεγούσιν Ἱερὸν. " აქ მოხსენიებულ Φასιაνή ორტეμის-ს სხვადასხვანაირად თარგმნია: "Фасианская Артемида" [18,

(Φαსιაνη) მიუთითებს, რომ არტემიდეს პქონდა ტაბარი და მას თაყვანს სცემდნენ ფასისში.¹⁵ ამრიგად, ქალაქ ფასისში იყო ღვთაებების – აპოლონის და არტემიდეს ტაბრები. ზემოხსენებული ვერცხლის თასის წარწერიდან, რომელიც ძვ.წ. 420-400 წწ.-ით თარიღდება [19, გვ. 27], ირკვევა, რომ აპოლონის ტაბარი ფასისში უკვე არსებობდა ძვ.წ. V ს-ის უკანასკნელ ათწლეულებში მაინც. არტემიდეს ტაბრის თარიღის შესახებ კი არავითარი მონაცემები არ გაგვაჩნია. შეიძლება ვიგარაუდოთ, რომ არტემიდეს კულტი ფასისში მისი ტყვები ძმის – აპოლონის თანადროულად არსებობდა, ისევე, როგორც ეს დადასტურებულია მიღეტის მიერ დაარსებულ შავიზღვისპირეთის ქალაქებში ([27, გვ. 155], [38, გვ. 298]).¹⁶ რაც შეეხება ლეტოს – არტემიდესა და აპოლონის დედას, ზევსის მეუღლეს, ის განიხილება როგორც დიდი ღვთაება, რომელიც თავის თავში განასახიერებდა „დიდი დედის“ კულტის მრავალ ნიშანს [33, გვ. 91 შემდ]. ფასისში მისი კულტის შესახებ პირდაპირი მონაცემები არ გაგვაჩნია, მაგრამ ცნობილია, რომ ლეტოს კულტს ასევე დიდი ადგილი ეკავა ფასისის მეტროპოლიის – მიღეტის პანთეონში [37, გვ. 38, 87], [28, გვ. 122, 135]. ლეტოს კულტი დადასტურებულია მიღეტის მიერ შავიზღვისპირეთში დაარსებულ ქალაქებში: ისტრიაში ([9, გვ. 181], თიოქოს ოლბიაში ([22, გვ. 19], [23, გვ. 58])¹⁷ და ზოგიერთ სხვა ქალაქებშიც [23, გვ. 58, შენიშვნა 22].

ამრიგად, აპოლინარული ტრიადის თაყვანისცემა ქალაქ ფასისში და მისი გამოსახვა მოწეტებზე არ უნდა იყოს მოულოდნელი და შეუძლებელი.

გვ. 719], "Artemis du Phase" [41, გვ. 31], "Phasian Diana" [40, გვ. 20], "Artemis Phasiana" [42, გვ. 10].

¹⁵ ცნობილია არტემიდეს მრავალი ეპითეტი, რომელიც ნაწარმოებია იმ ადგილის სახელწოდებიდან, სადაც ამ ღვთაებას თაყვანს სცემდნენ [39, გვ. 1578 და შემდ.]

¹⁶ შავიზღვისპირეთის ქალაქებში განსაკუთრებით პოპულარული იყო არტემიდე ეფესელის კულტი (იხ. [16, გვ. 143]).

¹⁷ ბერეზანზე აღმოჩენილ სპილოს ძვლის ფირფიტაზე კითხულობენ მემსემაი λη[τ]ი[τ] და იაზრებენ მას, როგორც ღვთაება ლეტოს სახელს ([23, გვ. 58], შდრ. [7, გვ. 159]), თუმც არსებობს სხვაგვარი წაკითხვაც: მემსუმაას მილήτოν [7, გვ. 159, შენიშვნა 22].

О. Д. Лордкипанидзе

**К ИКОНОГРАФИИ Т.Н.
"КОЛХИДСКИХ ДИДРАХМ II
ТИПА"
(резюме)**

Об изображениях на серебряных монетах, называемых "Колхидскими дидрахмами II типа" (рис. 1) и датированных V в. до н. э. ([12, с. 37], [2, с. 28], [5, с. 196], [31, с. 7], [11, с. 14-15], [35, табл. XXXVIII, 1012]), высказаны различные предположения: "самостоятельное туземное божество" [20, с. 8], или "архаическое изображение Артемиды, но соответствующее местной богине леса Даля, покровительнице зверей и животных" [5, с. 199-200]. Согласно другим точкам зрения: "на нашей дидрахме изображена триморфная Геката, олицетворяющая три фазы луны. Расчленение этого триморфного образа на две композиции по аверсу (одна голова) и реверсу (две головы) дидрахмы, возможно, обусловлено малым форматом монеты" [14, с. 161] или "на аверсе голова Фрикса, а на реверсе – голова двух его сыновей" [29, с. 207-208].

Можно предположить, что три различные человеческие головы на одной монете, возможно, представляют собой какую-то триаду, обединенную единым идеологическим смыслом. Возможно, что это Аполинарная Триада: Лето (на аверсе), Аполлон и Артемида (на реверсе). Эти монеты, возможно, чеканены в греческой апойкии в Фасисе.

O. Lordkipanidze

**ON THE ICONOGRAPHY OF "COLCHIAN DIDRACHMS OF TYPE II".
(Summary)**

Different views have been expressed about the representations on the silver coins named "Colchian didrachms of type II" (fig. 1) dated in 5th cent. B.C. ([12, p. 37], [2, p. 28], [5, p. 196], [31, p. 7], [11, p. 14-15], [35, pl. XXXVIII, 1012]). Attention has mainly been devoted to the human head on the obverse. It is considered as an "independent indigenous god" [20, p. 8], – or an "archaic representation of Artemis, but corresponding to the local goddess of the woods, the long-haired Dali, patroness of beasts and animals" [5, p. 199-200]. According to other opinions: "Our didrachm features a trimorphic Hecate, perso-

nifying three phases of the Moon. The division of this trimorphic image into two compositions on the obverse (one head) and on the reverse (two heads) was perhaps due to the small size of the coin" [14, p. 161] or "The obverse features the head of Phrixus, and the reverse the heads of his two Colchian sons" [29, p. 207-208].

It seems to me that the representation of three different human heads on the coins in question may form some triad, joined together by a single unifying idea. It is supposed, that we deal here with the Apolline Triad: Leto, Apollo and Artemis. One may presume that these coins were minted in the Greek apoikia Phasis.

ლიტერატურა

1. ინაძე გ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია. თბ., 1982.
2. გაბანაძე დ. ქართული ნუმიზმატიკა. თბ., 1969.
3. ლორთქიფანიძე თთ. მდინარე-ღვთაება ფასისი. – ძიებანი, I, თბ., 1998, გვ. 66-75.
4. ლორთქიფანიძე თთ., მიქელაძე თ. ფასისი ისტორიულ-არქეოლოგიური შესწავლის პრობლემა. – სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ქალაქ ფასისის ლოკალიზაციის პრობლემებისადმი. მოხსენებები. თბ., 1977, გვ. 17-35.
5. მაკალათიძე ს. კოლხური დიდრაქმა. – სსმ, VII, 1933, გვ. 193-202.
6. მაკალათიძე ს. ახალი ტიპის კოლხური მონეტების აღმოჩენა. – სსმ, XIV-B, 1947, გვ. 425-428.
7. Буркерт И. Аполлон Диодим и Ольвия. – ВДИ, 2, 1990, с. 155-160.
8. Вартанов Г. А. Колхидская дидрахма в Гермонассе. – Нумизматика античного Причерноморья. Киев, 1982, с. 72-74.
9. Виноградов Ю. Г., Карышковский П. О. Рецензия на Inscriptiile din Scythia Minor. – ВДИ, 3, 1984, с. 174-182.
10. Виноградов Ю. Г., Русева А. С. Культ Аполлона и календарь в Ольвии. – Археология Северного Причерноморья, Киев, 1980, с. 19–63.
11. Дундуа Г. Ф. Нумизматика античной Грузии. Тб., 1987.
12. Зограф А. Н. Распространение находок античных монет на Кавказе. – ТОНГЭ, I, 1945, с. 29-85.
13. Инадзе М. П. Причерноморские города Колхиды. Тб., 1968.
14. Капанадзе Д. Г., Шенгелия И. Триморфная Геката с Колхидской дидрахмы V в. до н.э. – Античная история и культура Среди-

земноморья и Причерноморья. Ленинград, 1986, с. 154-162.

15. Качарава Д. Д., Квирквелия Г. Т. Города и поселения Причерноморья античной эпохи (малый энциклопедический справочник). Тб., 1991.

16. Кутайсов В. А. Античный город Керкинитида. Киев, 1990.

17. Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды. Тб., 1951.

18. Латышев В. В. Scythica et Caucasica: Известия древних греческих и латинских писателей о Скифии и Кавказе, I. Санкт-Петербург, 1980.

19. Лордкипанидзе О. Д. Божества города Фасиса. – ВДИ, 1, 1997, с. 15-34.

20. Пахомов Е. А. Несколько слов о происхождении рисунка "Колхидок". Батуми, 1911.

21. Пахомов Е. А. Монетные клады Азербайджана и других республик, I. Баку, 1926.

22. Русская А. С. Земледельческие культуры в Ольвии догетского времени. Киев, 1979.

23. Русская А. С. Милет – Диодимы – Борисфен – Ольвия. Проблемы колонизации Нижнего Побужья. – ВДИ, 2, 1986, с. 25-64.

24. Collection R. Jameson, IV, 1. Paris, 1932.

25. Deppert – Lippitz B. Die Münzprägung Miles von vierten bis ersten Jahrhundert v.Chr., Frankfurt am Main-Salzburg, 1984.

26. Dumas M. Die apollonische Trias, "Lexicon Iconographicum Mythologiae Classicae", II, 1, 1984, S. 261-265.

27. Ehrhardt N. Milet und seine Kolonien, Frankfurt am Main, 1988².

28. Fontenrose J. Didyma: Apollo's Oracle, Cult and Companions, Los Angeles, 1988.

29. Hind J. The Types on the Earliest Silver Coins of the Phasians – Kolkhidki. – Sur les traces des Argonautes (Actes du 6^e Symposium de Vani, 22-22 Sept. 1990), Paris, 1996, pp. 203-213.

30. Lacroix L. Les reproductions de statues sur les monnaies grecques (= Bibliothéque de la Faculté de Philosophie et Lettres de l'Université de Liège. Fasc. CXVI), Liège, 1949.

31. Lang D. M. Studies in the Numismatic History of Georgia, New York, 1955.

32. Mitropoulou E. Triple Hecate Mainly on Votive Reliefs, Coins, Gems and Amulets, Athens, 1978.

33. Séchan L., Lévéque P. Les grandes divinités de la Grèce, Paris, 1966.

34. Simon E. Beobachtungen zum Apollon Philesos des Kanachos, "Charites" (Studien zur Altertumswissenschaft. Festschrift für Ernst Langlotz), Bonn, 1957, S. 38-47.

35. Sylloge Nummorum Graecorum, IX, London, 1993.

36. Tsetskhladze G. On the Numismatic of Colchis, "Dialogues d'histoire ancienne", 19, 1, 1993, 33-233-256.

37. Tuchelt Kl. Vorbereiten zu einer Topographie von Didyma, "Istanbuler Mitteilungen", Beiheft 9, Tübingen, 1973.

38. Vinogradov Yu. Griechische Epigraphik und Geschichte des nördlichen Pontos Gebiet, "Actes du VII^e Congrès international l'epigraphie grecque et latine (Constanza, 9-15.IX. 1977). Bucuresti, 1979.

39. Wernicke. Artemis 2., Pauly's "Realencyklapodie der klassischen Altertumswissenschaft" II, 1845, Ե3. 1336-1440.

40. Zosim. Historia Nova. Transl. by J. Buchanan and M.J. Davis, Texas, 1967.

41. Zosim. Histoire Nouvelle. I, Text établi et traduit par Fr. Pashud, Paris, 1971.

42. Zosim. New History. A Transl. with Comment. By R.T.R. Ridley (= "Byzantia Australiensia"), Canberra, 1982.

დიმიტრი ახვლედიანი, რუსუდან ფუთურიძე

გოლგოთის ტერიტორიაზე გამოგლენილი სიცოცხლი პერამიქული დამღვა

ჩვენი ნაშრომის მიზანია, სამეცნიერო მიმოქცევაში მთლიანად შევიტანოთ კოლხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სინოპური კერამიკული დამღები. სადღეისოდ გამოვლენილია 50 დამღა. 42 დამღა აღმოჩენილია ვანის ნაქალაქარზე. კიდევ 5 – ვანის მიღამოებში: საყანჩიაზე – 1, დაბლაგომში – 4, ფიჭვნარში – 2, ეშერაზე – 1. 27 დამღა დატანილია კრამიტზე, 23 ამფორის ყურზე.

სიცოცხლი დამღების ძირითადი მასა წარმოადგენს ოთხკუთხა ჩარჩოში გაკეთებულ წარწერას, რომელიც შეიცავს ასტინომის დასახელებას, ასტინომის საკუთარ სახელს და მექარხნის საკუთარ სახელს; გარდა ამისა სხვადასხვა ემბლემას. ასეთ დამღებს სინოპურ ასტინომთა დამღებს უწოდებენ. ლიტერატურა, რომელიც სინოპური დამღების ქრონოლოგიის საკითხებს შეეხება, ძირითადად მიძღვნილია ასტინომთა დამღების პერიოდიზაციისადმი. პირველად ბ. გრაკოვა დაჰყო ასტინომთა დამღები ექვს ქრონოლოგიურ ჯგუფად [14]. მკვლევართა ერთმანაწილმა მიიღო ეს დაყოფა და ხდებოდა მხოლოდ ამ ქრონოლოგიური ჯგუფების აბსოლუტური თარიღების გადასინჯვა:

გრაკოვი (1929): I – ძვ.წ. IV ს. ბოლო – 270; II – ძვ.წ. 260-22 წწ.; III – ძვ.წ. 220-183 წწ.; IV – ძვ.წ. 183-150 წწ.; V – ძვ.წ. 150-122წწ.; VI – ძვ.წ. 121-70 წწ.

ბრაშინსკი (1963): I – ძვ.წ. 360-320 წწ.; II – ძვ.წ. 320-270 წწ.; III – ძვ.წ. 270-220 წწ.; IV – ძვ.წ. 220-183 წწ.; V – ძვ.წ. 183-150 წწ.; VI – ძვ.წ. 150-110 წწ.

სემიონოვი (1963): I – ძვ.წ. 350-325 წწ.; II – ძვ.წ. 325-280 წწ.; III – ძვ.წ. 280-245 წწ.; IV – ძვ.წ. 245-215 წწ.; V – ძვ.წ. 215-170 წწ.; VI – ძვ.წ. 170-110 წწ.

ვასილენკო (1971): I – ძვ.წ. 400-360 წწ.; II – ძვ.წ. 360-310 წწ.; III – ძვ.წ. 310-260 წწ.; IV – ძვ.წ. 260-220 წწ.; V – ძვ.წ. 220-180 წწ.; VI – ძვ.წ. 180-130 წწ.

ეფრემოვი (1987): I – ძვ.წ. 370-345 წწ.; II – ძვ.წ. 345-305 წწ.; III – ძვ.წ. 305-285 წწ.; IV – ძვ.წ. 285-260 წწ.; V – ძვ.წ. 260-220 წწ.; VI – ძვ.წ. 220-183 წწ.

ვ. ცეხმისტრენკო [24], ნაწილობრივ 6. კანკოვიჩი, ა. ავრამი, გ. პოენარუ-ბორდეა [16] და 6. ფედოსეევი [22] შეეცადნენ გადასინჯათ ასტინომთა დამღების ექვს ქრონოლოგიურ ჯგუფად დაყოფა.

ცეხმისტრენკო ვ. (1963): I – ძვ.წ. IV ს-ის მეორე მეოთხედი; II – ძვ.წ. IV ს-ის მესამე მეოთხედი; III – ძვ.წ. IV ს-ის მეოთხე მეოთ-

ხედი; IV – ძვ.წ. III ს-ის პირველი მეოთხედი; V – ძვ.წ. III ს-ის მეორე მეოთხედი; VI-VII – ძვ.წ. III ს-ის მეორე ნახევარი; VIII – ძვ.წ. II ს-ის პირველი მეოთხედი.

კანკოვიჩი 6., ავრამი ა., პოენარუ-ბორდეა გ. (1992): I – ძვ.წ. 365-345; II – ძვ.წ. 344-310; III – ძვ.წ. 309-285; IV – ძვ.წ. 284-262; Va – ძვ.წ. 261-229; Vb – ძვ.წ. 228-217; Vc – ძვ.წ. 216-201; Vd – ძვ.წ. 200-1836.

უფროსეევმა საერთოდ უარი სთქვა ასტინომთა დამღების ქრონოლოგიურ ჯგუფებად დაყოფაზე. დამღებზე ჩატარებული ანალიზის შედეგად გამოპყო 164 ასტინომი და პროდუქციის ასტინომთა დამღების აღჭურვის დასაწყისად მიიჩნია ძვ.წ. 365 წ., ხოლო დასასრულად ძვ.წ. III ს-ის ბოლო [22]. სინოპური დამღების ერთი ჯგუფი შეიცავს მხოლოდ მექარხნის სახელებს. ეს დამღები შეისწავლა ვ. ცეხმისტრენკომ [23] და დაჰყო ხუთ ქრონოლოგიურ ჯგუფად: I – ძვ.წ. 370-360 წწ.; II – ძვ.წ. IV ს-ის ბოლო მეოთხედი ან ძვ.წ. IV-III სს. მიჯნა; III – ზოგადად ძვ.წ. III ს.; IV – ძვ.წ. 183 წლის შემდგომი ხანა; V – ძვ.წ. 133 წლის შემდეგ, რომაული ხანის ჩათვლით.

ასეთია სადღეისოდ სინოპური კერამიკული დამღების ქრონოლოგიური შესწავლა. კოლხეთში აღმოჩენილი სინოპური მასალა საშუალებას არ იძლევა მათ ქრონოლოგიამი რაიმე კორექტივი შევიტანოთ, ამიტომ შემოვიფარგლებით მხოლოდ ამ დამღების პუბლიკაციით.

განის ნაქალაქარი

1. 07:1-72/510

კრამიტი

’αστ[υνόμου]

ემბლემა არ

Z[ῆνιος τοῦ]

იკითხება

’Α[πολλιοδώρου]

”Α[κορνος] ან

’Α[πατούριος]

ეს დამღა აღდგენილია ვ. ლორთქიფანიძის მიერ [6] და მიეკუთვნება ასტინომთა VI ქრონოლოგიურ ჯგუფს [1, გვ. 1]. 6. კანკოვიჩი, ა. ავრამის, გ. პოენარუ-ბორდეას ასტინომი ძენიოსი აპოლოდოროსის ძე საერთოდ არა ჰყავთ მოხსენიებული. სავარაუდოა, რომ ტექსტში მათ აქვთ დაშვებული შეცდომა და მის ნაცვლად ასტინომთა Va ქრონოლოგიურ ჯგუფში მოყვანილი ჰყავთ ზევსი აპოლოდოროსის ძე [16, გვ. 244]. ძენიოსი აპოლოდოროსის ძე ასტინომთა სიაში შეცვნილი ჰყავს როგორც ბ. გრაკოვს [14, გვ. 149], ასევე 6. ფედოსეევსაც [22, გვ. 101].

იგივე ასტინომს მიეკუთვნება ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი კიდევ ორი დამღა:

2. კრამიტი
 'ასტუნიმის ემბლემა არ იკითხება
 Ζῆνιος τ[οῦ]
 'Απολλο[δώρου]
 'Ατάτης
 ეს დამდაც მოცემულია გ. ორორთქიფანი-
 ძის საკანდიდატო დისერტაციაში [6].
 3. 07:1-86/20
 ამფორა
 'ასტუნიმის ტროფეი
 Ζῆνιος τοῦ
 'Απολλο[δώρου]
 - - - - -
 4. 07:1-86/276
 კრამიტი
 Θεογ[είτου] ემბლემა არ იკითხება
 'აστ[υνόμιου]
 Ποσ[ειδωνίου]
 ასტინომთა II ქრონოლოგიური ჯგუფი [1, გვ.
 1-2]. მსგავსი დამდები აღმოჩენილია მირმეკი-
 ონში [19, გვ. 42-48]; ანდრეევკა იუქნაიას ნამო-
 სახლარზე [17, გვ. 44-53], ოროროსიაში [13გ გვ.
 207-222].
 5. 07:1-89/688
 კრამიტი
 [Θεο]γείτου განთაროსი
 [აσ]τυνόμიου
 [Ποσ]ειδωνίου
 ეს დამდა წინამორბედის ანოლოგიურია და
 ასტინომთა II ქრონოლოგიურ ჯგუფს მიეკუთვ-
 ნება [14, გვ. 126].
 6. 07:1-87/219
 კრამიტი
 Θεο[γείτου] ან Θεο[πείθους] ემბლემა
 ასτ[υνόμιου] არ
 იკითხება
 'Ικέστιος
 ეს დამდა ადრე გამოქვეყნებული გვაქვს და
 მიკუთვნებულია ასტინომთა II ქრონოლოგიური
 ჯგუფისადმი, მიუხედავად იმისა მასში მოხსე-
 ნიებული ასტინომი თეოგეიტესი იქნებოდა ოუ
 თეოპეიოთესი [1, გვ. 2]. ბოლო დროს ასტინომი
 თეოპეიოთესი II ქრონოლოგიური ჯგუფიდან გა-
 დაყვანილ იქნა III ქრონოლოგიურ ჯგუფში [16,
 გვ. 231]. საქმეს ართულებს ასევე ის ვითარება,
 რომ ფაბრიკანტი ჰიკესიონი გვხვდება, როგორც
 II [14, გვ. 128], ასევე III [14, გვ. 135] ქრო-
 ნოლოგიური ჯგუფების ასტინომებთან. ამდენად
 ეს დამდა შეიძლება ზოგადად ასტინომთა II-III
 ქრონოლოგიურ ჯგუფებს მივაკუთვნოთ.
 7. 07:1-78/184
 ამფორა
 [Φί]ντიος ბროწეულის ყვავილი
 [ἀ]στυνόμიου
 [Θ]ευδώρου
 ასტინომ თეოდოროსს ბ. გრაკოვი III ქრო-
 ნოლოგიურ ჯგუფს მიაკუთვნებს [14, გვ. 133].

ამავე ჯგუფს მიაკუთვნებს იგი ფაბრიკანტ ფინ-
 ტისაც [14, გვ. 13]. 6. კანოვიჩი, ა. ავრამი და გ.
 პოერარუ-ბორდეა მიიჩნევენ, რომ ასტინომი თე-
 ოდოროსი არ არსებობდა და მისი სახელი მი-
 ღებულია ასტინომი თეოდორიდესის არასწორი
 წაკითხვის შედეგად [16, გვ. 249]. თეოდოროსი
 არა ჰყავს ასტინომთა სიაში 6. ფედოსეევსაც
 [22, გვ. 85-104].
 8. 07:1-79/201
 კრამიტი
 [Θεοπεί]θους ვარსკვლავი,
 ἀ[στυ]νόμου ოთიფალური ჰერმა
 Φιλ[ο]κράτου
 ეს დამდა მიკუთვნებული გვქონდა ასტი-
 ნომთა II ქრონოლოგიური ჯგუფისადმი. [1, გვ.
 2]. ამჟამად ასტინომი თეოპეიოთესი გადაყვანი-
 ლია III ქრონოლოგიურ ჯგუფში [16, გვ. 231].
 9. 07:1-89/677
 კრამიტი
 [Θεοπεί]θους ითიფალური ჰერმა
 [ἀστυ]νόμου ბროწეულის ყვავილი?
 'Απολλονίου
 ეს დამდა ისევე, როგორც მისი წინამორ-
 ბედი, ასტინომთა III ქრონოლოგიურ ჯგუფში
 უნდა მოთავსდეს.
 10. 07:1-69/307
 ამფორა
 Ισταίου არწივი
 ἐπί Κύρου დელფინზე
 ἀστυ[νόμιου]
 ეს დამდა ყველაზე უფრო ადრეულია კოლ-
 ხეთში გამოვლენილ სინოპურ დამღათაგან. მიე-
 კუთვნება ასტინომთა I ქრონოლოგიურ ჯგუფს.
 აღმოჩენილია ძვ.წ. IV ს-ის მესამე მეოთხედით
 დათარიღებულ სამარხში და მისი ამფორის
 დამზადების თარიღიც ამ დროით განისაზღვრე-
 ბა [7, გვ. 20]. თუმცა ზოგიერთ მკვლევარს მისი
 წარმოების თარიღად ძვ.წ. IV ს-ის მეორე მეო-
 თხედი მიაჩნია [18, გვ. 175].
 11. 07:1-78/5
 კრამიტი
 Καλ[λίστρατου] ემბლემა არ იკითხება
 ასτ[υνόμιου]
 Πο[σειδωνίου]
 ასტინომთა II ქრონოლოგიური ჯგუფი [1, გვ.
 2]. ანალოგიური დამდა აღმოჩენილია ანდრეევკა
 იუქნაიას ნამოსახლარზე [17, გვ. 44-53].
 12. 07:1-81/404
 კრამიტი
 Καλ[λίστρατου] ემბლემა არ იკითხება
 ასτ[υνόμιου]
 Μ - - - - -
 ასტინომთა II ქრონოლოგიური ჯგუფი [1, გვ.
 2].
 13. 07:1-92/9
 კრამიტი

ყოფილიყო დაწერილი, რომლისგანაც მხოლოდ ერთი ასო – „სიგმა“ არის შემორჩენილი სტრიქონის ბოლოში. ფაბრიკანტი ჰეფაისტიონის პოსეიდონის ძე ასტინომთა III ქრონოლოგიურ ჯგუფში თავსდება [14, გვ. 203].

24. 07:1-78/4

კრამიტი

Noüm[ηνίου]

25. 07:1-78/17

კრამიტი

Noüm[ηνίου]

26. 07:1-78/925

კრამიტი

[Noüm]ηνίου

27. 07:1-78/977

კრამიტი

Noümηνίου

ეს დამღები ერთი და იგივე სიქითაა დატანილი. დამღის ფორმა უზევულოა – მისი ქვედა ნაწილი გამობერილია. ნუმენიოს ვ. ცეხმისტრენგო ფაბრიკანტთა V ქრონოლოგიურ ჯგუფს აკუთვნებს და ძვ. წ. 133 წ-ის შემდგომი პერიოდით ათარიღებს [23, გვ. 75].

28. 07:1-75/378

ამფორა

[Π]იσειδωνίου

τοῦ Θευδώρου

ბროწეულის

κεραμέως

ყვავილი

ფაბრიკანტი პოსეიდონიოსი თეოდოროსის ძე მიეკუთვნება ასტინომთა III ქრონოლოგიურ ჯგუფს [7, გვ. 21]. ვ. ცეხმისტრენგო ამ ტიპის დამღებს ფაბრიკანტთა II ქრონოლოგიურ ჯგუფში ათავსებს და ძვ. წ. IV ს.-ის ბოლოთი და III ს.-ის დასაწყისით ათარიღებს [23, გვ. 70].

29. 07:1-89/582

ამფორა

Τιμόλεως

ფაბრიკანტ ტიმოლეოს ბ. გრაკოვი ასტინომთა IV ქრონოლოგიურ ჯგუფში ათავსებს [14, გვ. 140]. ამავე დროს იგი ცეხმისტრენგო-სულ ფაბრიკანტთა IV ჯგუფს უნდა მიეკუთვნებოდეს [23 გვ. 72-75].

მოძღვნო ოთხი დამღა მხოლოდ ემბლემების მიხედვით არის დათარიღებული კრებულში ვანი VII.

30. 07:1-59/24

ამფორა

დამღა რომბულ ნაჭდევშია – ითიფალური პერმა

ასტინომთა II ქრონოლოგიური ჯგუფი [7, გვ. 22].

31. 07:1-68/268

ამფორა

ხარის თავი

ბროწეულის ყვავილი

ძვ. წ. III ს.-ის შუა ხანები [7, გვ. 22].

32. 07:1-78/749

ამფორა

ადამიანის ფიგურა, მარჯვენა ხელით ეყრდნობა სვეტს, მარცხენაში სიუხვის ყანწი უჭირავს.

ასტინომთა V ქრონოლოგიური ჯგუფი [7, გვ. 22].

33. 07:1-58/2

ამფორა

მაგისტრატურა პირველ სტრიქონშია

ადამიანის ფიგურა, მარჯვენა ხელით ეყრდნობა სვეტს, მარცხენაში სიუხვის ყანწი უჭირავს.

ასტინომთა V ქრონოლოგიური ჯგუფი [7, გვ. 22].

34. 07:1-85/159

ამფორა

[α]στυνόμου მუზარადიანი წვეროსანი

- ο - ου მამაკაცის თავი, მარცხნივ

- οσ -- მიმართული

ოთხი ამფორის დამღაზე წარწერა და ემბლემები მთლიანად გადაშლილია:

35. 07:1-60/82; 36. 07:1-68/77; 37. 07:1-74/168; 38. 07:1-77/479

39. 07:1-78/6

კრამიტი

- - - - - ემბლემა არ იკითხება

-

άστ - - -

- εν - - -

40. 07:1-78/924

კრამიტი

ά[σ]τυ - - - ემბლემა არ იკითხება

-

ორი კრამიტის დამღაზე წარწერა და ემბლემები მთლიანად გადაშლილია:

41. 07:1-78/863; 42. 07:1-78/926

საყანჩია

43. 07:5-77/567

ამფორა

ΑΣΤΙΝΟ - -

ΕΠΙ - - ემბლემა გადაშლილია

Μ - - -

ძვ. წ. III-II ს. [5, გვ. 124].

დაბლაგომით

სინოპური კრამიტით გადაზურული სამარხის დამღები

44. 07:3-72/48

M[ίκ]ου ἀστ[υ]νό-

μου [N]ου- ემბლემა არ იკითხება

μηνίου

ასტინომთა II ქრონოლოგიური ჯგუფი [21, გვ. 53].

6. ფედოსეევმა პირად წერილში აღნიშნა, რომ პირველი სახელი მიკოსი შეცდომით არის

აღდგენილი და მის ნაცვლად უნდა იყოს მიკ-
რიასი ანუ

M[ίκρι]ου ἀστ[υ]νό-
μου [Ν]ου-
μηνίου

ეს ასტინომი კი გრაკოვის III ქრონოლოგიურ ჯგუფს ეკუთვნის [14, გვ. 133].

45. 07:3-72/49

[Πρωτ]αγό-
ρο ἀστυνο[μου]
[Δημήτριο]

ასტინომთა I ქრონოლოგიური ჯგუფი [21ბ გვ. 53]. ნ. კანოვიჩი, ა. ავრამი, გ. პოენარუ-ბორ-დეა ასტინომ პროტაგორას I ქრონოლოგიური ჯგუფის ბოლოში ათავსებენ [16, გვ. 240].

46. 07:3-72/47

Xαβρία

ἀστυνο[μον]

Ειρηναίο

ასტინომთა I ქრონოლოგიური ჯგუფი [21, გვ. 53]. ამ დამდაში ვ. თოლორდავა ასტინომად მიიჩნევს ეირენაიოსს. 6. ფედოსევეგს კი იგი ფაბრიკანტი ჰგონია, ხოლო ასტინომად ხაბრიასი [22, გვ. 96]. ამ უკანასკნელის აზრს იზიარებს ყველა მკვლევარი. გარდა ამისა ასტინომ ხაბრიასს I ქრონოლოგიური ჯგუფის ერთ-ერთ უგვიანეს ასტინომად მიიჩნევენ [12, გვ. 249]. ანალოგიური დამდა აღმოჩენილია მირმეკიონში [19, გვ. 47].

47. 07:1-72/50

ფიჭვნარი

48. ამფორა

Αἰσχι[ον]

ἀστυνο[μον]

Ποσειδω[νίου]
ასტინომთა I ქრონოლოგიური ჯგუფი [4ბ გვ.
35-86].

49. ამფორა

[Πό]σιος

ἀστυνο[μον]

- - - - l

ასტინომთა II ქრონოლოგიური ჯგუფი [3, 33. 95-98].

ეშერის ნაქალაქარი

50. ЭГ-71/149

კრამიტი

'Αρι[στόβουλου]

ἀστ[υνόμου]

Ποσ[ειδω[νίου]
ასტინომთა II ქრონოლოგიური ჯგუფი [25ბ
ა3, 41].

კოლხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი
კერამიკული დამღების ასტინომები და
ფაბრიკანტები:

Αἰσθιονμῆδος:	ζυδροκανθήδος:
Αἰσχίνης = 48	Ακορνος αδ' Απατούριος = 1
Αριστόβουλος = 50	Πολλάρνιος = 9
Ζῆνις Απολλοδώρου = 1-3	Ατάτης = 2
Θεόγειτος = 4-5	Δημήτριος = 45
Θεύδωρος = 6	Δῖος = 13
Θεοπείθους = 8-9	Ειρηναῖος = 46
Καλλίστρατος = 11-12	Ηῆφαιστίος ὁ Ποσειδωνίου = 23
Κύρος = 10	Ικέσιος = 6
Μαντίθεος ὁ Πρωταγόρας = 13	Ιστιαῖος = 10
Μικρίας αδ' Μίκος = 44	Νουμήνιος = 18, 21, 24-27, 44
Μνησικλῆς = 14	Ποσειδώνιος = 3, 4, 11, 19, 22, 48, 50
Μόνιμος = 15	Ποσειδώνιος Θεδώρου = 28
Πασιχάρες ὁ Δημητρίου = 16	Σινωπίων = 15
Ποσειδώνιος = 17-19	Τιμόλεως = 46
Πόσις = 49	
Πρωταγόρας = 45	
Χαβρίας = 46	
Χαριξενίδης = 21-22	

Д. В. Ахвледиани, Р. В. Путуридзе

**СИНОПСКИЕ КЕРАМИЧЕСКИЕ
КЛЕЙМА, ОБНАРУЖЕННЫЕ
НА ТЕРРИТОРИИ ДРЕВНЕЙ КОЛХИДЫ**
(резюме)

Целью работы является полная публикация синопских клейм, обнаруженных на территории Древней Колхиды.

На сегодняшний день обнаружено 50 клейм. Из них 42 – на Ванском городище; 1 – в Саканчии; 4 – в Даблагоми; 2 – в Пичвнари; 1 – на Эшерском городище. 27 клейм нанесены на черепицах, 23 на амфорных ручках. Только 34 клейма поддаются датировке, которые хронологически распределяются следующим образом:

Количество астиномных клейм по хронологической классификации Грекова (1929)

	I	II	III	IV	V	VI
Черепица	2	8	4		1	3
Амфоры	2	2	5			1

Количество фабрикантских клейм по хронологической классификации Цехмистренко (1960)

	I	II	III	IV	V
Черепица					4
Амфоры		1		1	

D. Akhvlediani, R. Puturidse

**SINOPEAN CLAY STAMPS DISCOVERED
ON THE TERRITORY OF ANCIENT
COLCHIS**

(Summary)

The purpose of the article is to give a full list of Sinopean stamps discovered on the territory of Ancient Colchis.

Today 50 stamps are discovered: 42 on the Vani city site; 1 in Saqanchia; 4 in Dablagomi; 2 in Pichvnari; 1 in the Eshera city site. 27 stamps appear on tiles, 23 on amphorae. Only 34 stamps which are amenable to dating are chronologically distributed in the following manner:

The number of astynomous stamps according to the Grakov's chronological classification (1929)

	I	II	III	IV	V	VI
Tiles	2	8	4		1	3
Amphorae	2	2	5			1

The number of the manufacturer's stamps according to Tsekhnistrenko's chronological classification (1960).

	I	II	III	IV	V
Tiles					4
Amphoras		1		1	

ლიტერატურა

1. ახვლედიანი დ. კოლხეთში აღმოჩენილი სინოპური დამღიანი კრამიტი. თბ., 1990, პრეზრიცტი.
2. თოლორდავა გ. დაბლაგომი. – ვანი, VII, თბ., 1983, გვ. 129-135.
3. იაზიძე ი. სინოპური დამღა ფიჭვნარიდან. – სდსბ, XI, 1982, გვ. 95-98.
4. კახიძე ა. მასალები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველი ქალაქების ისტორიისათვის. – მსკა, IV, 1965, გვ. 67-94.
5. ლიჩელი გ. საყანჩიას ნამოსახლარი. – ვანი, VII, თბ., 1983, გვ. 113-125.
6. ლორთქიფანიძე გ. კოლხეთი ძვ.წ. II-I სი-ში. – საკანდიდატო დისერტაცია (ხელნაწერი ინახება თსუ ბიბლიოთეკაში).
7. ფუთურიძე რ. კერამიკული ჭარა. – ვანი, VIII, თბ., 1983, გვ. 9-26.
8. ჭუმიძე ა. არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქმრის ცენტრალურ ტერასაზე. – ვანი, VIII, თბ., 1986, გვ. 93-115.
9. Брашинский И. Б. Экономические связи Синопы в IV-II вв. до н.э. – Сб. Античный город. М., 1963, с. 132-145.
10. Брашинский И. Б. Комплекс кровельной черепицы из раскопок ольвийской агоры. – Сб. Ольвия. М.-Л., 1964, с. 285-313.
11. Брашинский И. Б. Греческий керамический импорт на Нижнем Дону. Л., 1980.
12. Василенко Б. А. К вопросу о датировке синопских клейм. – СА, =3, 1971, с. 245-250.
13. Голенцов А. С., Петерс Б. Г. Керамические клейма из раскопок Феодосии 1975-1977 гг. – СА, =2, 1981, с. 207-222.
14. Грakov Б. Н. Древнегреческие керамические клейма с именами астиномов. М., 1929.
15. Ефремов Н. В. Динамика синопского импорта в Северо-Западном Крыму в IV-II вв. до н.э. – История и культура Херсонеса и Западного Крыма в античную и средневековую

эпохи. Тезисы докладов конференции молодых ученых. Севастополь, 1987, с. 11-12.

16. Кановичи Н., Аврам А., Познару-Бордя Г. Количественный анализ синопских амфорных клейм из Каллатиса. – Сб. Греческие амфоры. Саратов, 1992, с. 229-253.

17. Кругликова И. Т., Виноградов Ю. Г. Клейма Синопы на амфорах из поселений Андреевка Южной. – КСИА, 133, 1973, с. 44-53.

18. Монахов С. Ю. Динамика форм стандартов синопских амфор. – Сб. Греческие амфоры. Саратов, 1992, с. 163-204.

19. Пругло В. И. Синопские амфорные клейма из Мирмекий. – КСИА, 109, 1967, с. 42-48.

20. Семенов С. А. Доклад на 3-й сессии Одесского археологического общества в Керчи, 23 сентябрь 1963 г.

21. Толордава В. А. Погребение с черепичным перекрытием из Даблагоми. – КСИА, 151, 1977, с. 48-54.

22. Федосеев Н. Ф. Уточненный список магистратов контролировавших керамическое производство в Синопе. – ВДИ, 2, 1993, с. 85-104.

23. Щехмистренко В. И. Синопские керамические клейма с именами гончарных мастеров. – СА, 3, 1960, с. 57-77.

24. Щехмистренко В. И. Клейма как источник для изучения керамического производства в Синопе в IV-II вв. до н.э. – Автореферат дисс. канд. ист. наук. М., 1963.

25. Шамба Г. К. Эшерское городище. Тб., 1980.

განვითარებული სამართლებრივი სამსახური

ქცოს სამართლებრივი სამსახურის სამსახური

1986-88 წლები არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მარაბდა-ახალქალაქის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი – გ. შატბერაშვილი) თეოტრიწყაროდან ჩრდილო-დასავლეთით, 1,5 კმ-ში, მდ. ჭივჭავის ხეობის მარცხნიანი ნაპირზე, ადგილ ეცოშე მიაკვლია და შეისწავლა ძვ.წ. IV-I საუკუნეების სამართლებრივი [11, გვ. 18-19; 18, გვ. 63-64], რომელიც ფერდობზეა გამართული. სამარხები მიწის ზედაპირიდან 0,2-1,3 მ-ის სიღრმეზე ჩნდება და ყვითელ თიხნარშია ჩაჭრილი. ექსპედიციამ 400 მ² ფართობზე 120 სამარხი გათხარა, რომელთაგანაც 113 მართკუთხა ქვისამარხია, 7 კი ორმოსამარხი (ერთი № 84, ქვევრის გვერდითა გადახურული). სამარხთა უმრავლესობა ჩრდილოეთიდან სამხრეთი-საკენა დამხრობილი, აღმოსავლეთიდან დასავლეთი-საკენ – მხოლოდ 6. სამარხებში მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, მოკრუნებულ მდგომარეობაში დაკრძალულია თითო (96 სამარხში), ორ-ორი (27 სამარხში) და სამი (1 სამარხში) მიცვალებული. 145 დაკრძალულიდან 43 ბავშვია, 102 ზრდასრულიდან კი შესაძლებელი გახდა 15 ქალისა და 21 მამაკაცის სქესის დადგენა (ათონითოლოგიური სამუშაო შესარულა ქ. ლომოურმა).

ეცოს სამართლებრივი სამარხეული ინვენტარი საკმაოდ მრავალფეროვანია და კერამიკის, ლითონის, ძვლის, ქვისა და მინის ნაწარმს მოიცავს.

კერამიკული ნაწარმიდან ძეგლზე აღმოჩენილია: დოქები (62 ცალი), ხელადები (9 ცალი), ჯამები (38 ცალი), ქოთხები (33 ცალი), კოჭები (15 ცალი), ტოლჩები (2 ცალი), კონუსერძირიანი სასმისი (1 ცალი). ჭურჭლის უმრავლესობა – დოქები, ხელადები, ჯამები და კონუსერძირიანი სასმისი წვრილმინარევიანი თიხისგანაა დამზადებული, ქოთხები და კოჭები კი მსხვილმინარევიანი თიხისაგან. 1 დოქე, 1 ტოლჩა, 9 ქოთანი და 3 კოჭობი ხელითაა ნაძერწი, დანარჩენი კი მორგვზეა დამზადებული. გამოწვის შედეგად მიღებულია სხვადასხვა ფერები: ჩალის-ფერი, ვარდისფერი, წითელი, ყავისფერი, რუხი და შავი. ჭურჭლის ერთი ნაწილი წითლად ან მოყავისფროდა შეღებილი, 13 კი მოხატულია.

ძვ.წ. IV-III სს-ით დათარიღებულ 14 სამარხში რეინის საბრძოლო იარაღი – 11 შუბი და 4 ცულია აღმოჩენილი. ამ პერიოდით დათარიღებულ სამარხებში მიცვალებულების რაოდენობის საბრძოლო იარაღის რაოდენობასთან შეკერების შედეგად შესაძლოა დავასკვნათ, რომ სამართლებრივი დაკრძალულ ყოველ მესამე მამაკაცს იარაღი ჰქონდა ჩატანებული.

ლითონის სამკაულიდან ყველაზე მრავალ-რიცხვებია ბრინჯაოსა და რკინის სხვადასხვა ფორმის სამაჯურები, რკინის საკინძები, ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოსა და რკინის რგოლები. სამართლებრივი აღმოჩენილია ბრინჯაოს საბეჭდავი ბეჭდები [9, გვ. 20-23], ბრინჯაოს ძეწკვები და ილარები, ზარაკები, ვერცხლის ნახევარმთვარი-სებური საკიდი, ოქროს მცირე ზომის, დისკოსებური, კაუჭიანი საყურე, ბრინჯაოს მშეილდსაკინძები და სხვა. თითქმის ყველა სამარხშია მოპოვებული ლითონის, ქვის, ძვლისა და მინის სხვადასხვა ფერისა და ფორმის მძივები. ზოგიერთ სამარხში ლითონზე მიუანგული ტანსაცმლის ანაბეჭდი და ხის ნივთების ნაშთი იყო შემორჩენილი.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, სამართლებრივი ძვ.წ. IV-I სს-ში ფუნქციონირებდა. ინვენტარზე დაყრდნობით შესაძლებელი განვითარდი და მინი ძრობილი გურიანი ქოთხები, რკინის ბურთულებლერიანი სამაჯურები (ტაბ. I და IV) განსაზღვრავს. ინვენტარით სრულიად განსხვავებულია ძვ.წ. II-I სს-ის 13 სამარხი, სადაც ზემოთ ჩამოთვლილი ნივთები აღარ განვდება, მათ ადგილს კი მცირე ზომის, ფართოყელიანი ხელადები, შავგრიალა, ქუსლიანი ჯამები, კონუსურძირიანი სასმისი, ოვალურტანიანი დოქები და მინის, ოქროსა და ვერცხლის სარჩულიანი მძივები იკავებს (ტაბ. II, 88₁₋₁₀, 21₁₋₂; ტაბ. III).

რიგი სამარხებისათვის მოხერხდა უფრო კონკრეტული თარიღის დადგენა, რაშიაც გადამწყვეტი მნიშვნელობა კერამიკული ნაწარმის, განსაკუთრებით დოქების ფორმათა და დეკორის ცვალებადობას ენიჭება. ამ მხრივ აღსანიშნავია ძვ.წ. IV-III სს-ით დათარიღებული სამარხები, რომელთა შორის ქრონოლოგიური ურთიერთობების გადაწყვეტისას, უპირველეს ყოვლისა ყურადღება მსხლისებურტანიანი დოქების ფორმათა ცვლილებებს უნდა მიექცეს. ასეთი ჭურჭლი აღრიელინისტური ხანის საქართველოს ძეგლებისათვის ერთ-ერთ ძირითად, დამახასიათებელ ელემენტადაა მიჩნეული. ყველაზე ადრეული ნიმუშები ძვ.წ. IV საუკუნეს მიეკუთვნება, მათი ფართოდ გავრცელების ხანა კი ძვ.წ. IV ს-ის მეორე ხანევერი და ძვ.წ. III ს-ის დასაწყისია [17, გვ. 36].

ეცოს სამაროვანზე მსხლისებურტანიანი დოქტების სამი ტიპი გვხვდება: 1) მსხლისებურტანიანი, სამტუჩა (ნისკარტიანი) (ტაბ. I14; 72); 2) მსხლისებურტანიანი, მრგვალპირიანი (ტაბ. I, 74₁₂; 87₁₂); 3) მსხლისებურტანიანი, მრგვალპირიანი, რომელიც ტანის ფორმით სფეროსებურისაკენ იწევს (ტაბ. II85). უნდა აღინიშნოს, რომ სამაროვანზე ამ სამი განსხვავებული ფორმის დოქტები ერთად არცერთ კომპლექსში არ გვხვდება, რაც მათ შორის ქრონოლოგიურ სხვაობაზე უნდა მეტყველებდეს.

ჩვენი აზრით, ეცოს სამაროვანზე, ზემოთ აღწერილ დოქტებს შორის, ყველაზე აღრეული სამტუჩა (ნისკარტიანი) მსხლისებური დოქტებია. სამაროვანზე ასეთი 12 დოქტი აღმოჩენილი. ყოველი მათგანი ღია ფერისაა – ჩალისფერი ან ვარდისფერი, ერთი კი წითლადაა შეღებილი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ნივთების შემცველ კომპლექსებში მრგვალპირიანი, მსხლისებური დოქტები არ გვხვდება, თანმხლები მასალა კი – რკინის ბურთულებლერიანი სამაჯურები, წაკვეთილი კონუსისებრი ზარაკები, რკინის იარალი, ამ კომპლექსებს აახლოვებს ღრმახევისთავის, კამარახევისა და ასურეთის [1, გვ.186, სურ. 185; 6, გვ. 23-24, ტაბ. XII_{2-5,10}; 13, გვ. გვ.170, 177, სურ. 1286, 1359] ძვ.წ. V-IV სს-ით დათარიღებულ სამარხებთან, რომელთა თარიღი, სავარაუდოდ, ძვ.წ. IV ს-ით უნდა განისაზღვრებოდეს. სამტუჩა, მსხლისებურტანიან დოქტებსა და მრგვალპირიანი, მსხლისებურ დოქტებს შორის ქრონოლოგიურ სხვაობაზე პირველის ადრეულობის სასარგებლოდ ისიც უნდა მეტყველებდეს, რომ ეცოს სამაროვანზე აღმოჩენილი სამტუჩა დოქტები მოხატული არ არის, ასევე მცირეა მათი რაოდენობა მთლიანად ელინისტური ხანის საქართველოს ძეგლებზე (იხ. [6 გვ. 56, ტაბ. XXIX₇; 13, გვ. 152, სურ. 1049]), მრგვალპირიანი მსხლისებური, მოხატული დოქტები კი ეცოს სამაროვანზე და მთელ საქართველოშიაც ბევრად მეტია (იხ. ქვემოთ). ამ ორი ტიპის დოქტების თანმხლებ მასალაშიაც მცირეოდენი განსხვავება შეინიშნება, რაც იმის საფუძველს გვაძლევს, რომ ეს ორი ჭურჭელი სხვადასხვა პერიოდებს მივაკუთვნოთ, სამტუჩა დოქტები და მათი კომპლექსები კი ძვ.წ. IV ს-ით დავათარიღოთ.

მსხლისებურტანიანი, მრგვალპირიანი დოქტი სამაროვანზე 36 ცალია აღმოჩენილი (ტაბ. I, 74₁; 87₁₂). ამ ჯგუფს ვაკუთვნებთ ორ ყურმილიან დოქტებაც (ტაბ. I, 74₂), რომლებიც პირისა და ტანის მოყვანილობით აღწერილი ჭურჭლის იდენტურია. ყოველი მათგანი ღია ფერისაა – ჩალისფერი, მოვარდისფერო ან მოწითალი, ბევრია გამჭირვალე ანგობით დაფარული, ან წითლად შეღებილი ეგზემპლარი, ოთხი კი წითლადაა მოხატული. ოთხივე მოხატული ჭურჭლისათვის დამახასიათებელია ერთ ფრიზად ჩამწკრივებული, წვერით ზემოთ მიმართული სამკუთხედები. სამ შემთხვევაში სამკუთხედები

58

ბადისებრი თრნამენტითაა შევსებული (ტაბ. I, 74₁; 87₁). ზემოთ აღწერილი დოქტების შემცველ კომპლექსებში სხვა ტიპის დოქტები არ გვხვდება. მართალია, ინვენტარით ეს კომპლექსები სამტუჩა, მსხლისებურტანიანი დოქტების შემცველი კომპლექსების მსგავსია, მაგრამ აქ აღმოჩენილი ზოგიერთი ნივთი – ბრინჯაოს წვრილდერიანი, ზურგშეზნექილი ან ზურგსწორი, ბოლოებშემსხვილებული სამაჯურები და თავისუფალსაკიდიანი ბრინჯაოს საყურები, მათ ძვ.წ. III ს-საკენ ეწევა. ასეთი დოქტები აღმოჩენილია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ძეგლებზე: კავთისხევში [8, გვ. 31-33, ტაბ. XXXI], კამარახევში [13, გვ.150, 161, სურ. 1023, 1144], უფლისციხეში [14, გვ. 77, ტაბ. XLV], მუხათგვერდში [17, გვ.137, სურ. 471], კუშჩი [2, გვ.50, ტაბ. VI; 16, გვ.7, სურ. 7-10], აბულმუჟში [15, გვ. 54, ტაბ.133], აბელიასა და ასურეთში [6, გვ. 9, 24, 32], ვარსიმაანთკარში [12, გვ.59-60], ვანში [5, გვ.91, სურ. 77; 7, გვ. 208, სურ. 176] და სხვ. მათი უმრავლესობა ძვ.წ. IV-III სს-ითა დათარიღებული. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მსხლისებური, მრგვალპირიანი დოქტების შემცველი კომპლექსები ძვ.წ. IV ს-ის დასასრულითა და ძვ.წ. III ს-ის დასაწყისით თარიღდება.

მრგვალპირიანი, ყურაწეული დოქტები, რომელთა ტანის მოვანილობა მსხლისებურსა და სფეროსებურს შორის დგას (ტაბ. II, 85), სამაროვანზე მხოლოდ ოთხი ცალია აღმოჩენილი. მათი დამახასიათებელი ნიშანი განიერი, დაბალი მუცელი და პირს ზემოთ აწეული ყურია. ყოველი მათგანი ღია ფერის – ჩალისფერი ან ვარდისფერია, ორი კი გამჭირვალე ანგობითაა დაფარული და წითლადაა მოხატული. დოქტების ეს ჯგუფი მრგვალპირიანი, მსხლისებური დოქტებისაგან დეკორითაც განსხვავდება – ორნამენტი ამ შემთხვევაში უფრო მრავალფეროვანია: იგი ორ ფრიზადაა განლაგებული, ჩნდება შევრონები, რითაც სამადლოს ტაბის კერამიკას ემსგავსება. როგორც ვთქვით, ფორმით იგი უახლოვდება მსხლისებურ, მრგვალპირიან დოქტებს, რომლებიც მათ ქრონოლოგიურად წინ უსწრებს, ფორმითა და დეკორით კი მრგვალპირიან, სფეროსებურტანიან დოქტებს, რომლებიც, ჩვენი აზრით, ქრონილოგიურად უშუალოდ უნდა მოხდეს ზემოთ აღწერილ ჭურჭელს და ფორმის განვითარების შემდგომ საფეხურს უნდა წარმოადგენდეს. ამიტომ ასეთი ჭურჭლის შემცველი ოთხივე კომპლექსს ჩვენ ძვ.წ. III ს-ის შუახანებით ვათარიღდებთ.

მრგვალპირიანი, დაბალი და ვიწროყელიანი, ყურაწეული სფეროსებურტანიანი დოქტები სამაროვანზე სულ ოთხი ცალია (ტაბ. II, 80; 88). აქედან ორი წითლადაა შეღებილი, ორიც მოხატულია. ამ ჯგუფში შედის №16 სამარხში აღმოჩენილი დოქტები, რომლის მოშვილდეული ყური პირის სიმაღლეს ზემოთ არ სცილდება

(ტაბ. III, 16₂). ასეთი დოქები ემსგავსება კაზრეთის თელების ველისა და კავთისხევის დაჭრილების სამაროვნებზე მოპოვებულ დოქებს [8, გვ. 30-31, ტაბ. XVI-XVII]. მართალია, დაჭრილების სამაროვანი ძვ.წ. IV-III სს-ით თარიღდება, მაგრამ ჩვენ მიერ აღწერილი დოქების მსგავსი ჭურჭლის შემცველი კომპლექსები ძვ.წ. III ს-ზე ადრეული არ უნდა იყოს (შდრ. [17] გვ. 62-63]). თელების ველიდან მომდინარე მასალა ძვ.წ. III-II სს-ით თარიღდება. ამ ორი ძეგლიდან და ეცოს სამაროვანზე მოპოვებული დოქების ტიპოლოგიური ანალიზიდან გამომდინარე, ასეთი დოქები, ძვ.წ. III ს-ის ბოლო ხანებითა და ძვ.წ. II ს-ით უნდა დავათარიღოთ. ძვ.წ. III ს-ის დასასრულით შეიძლება დათარიღდეს ეცოს სამაროვანზე № 80 სამარხში აღმოჩენილი დოქი (ტაბ. II, 80₁), მისი ტანი ანგობითაა დაფარული და ორ ფრიზად, წითელი საღებავითაა მოხატული. მოხატულობით ეს დოქი წინა ჯგუფის დოქებს ენათესავება. სრულიად განსხვავებული დეკორი აქვს № 88 სამარხში აღმოჩენილ ასეთივე ფორმის დოქს (ტაბ. II, 88₁), რომლის ხაოიან ზედაპირზე ორი განივი, ფართო ზოლია დატანილი. ასეთივე ხერხითაა შემკული ამავე სამარხიდან მომდინარე ზელადაც (ტაბ. II, 88₂). ხაოიან ზედაპირზე დატანილი განივი, ფართო ზოლები ან სხვა სახის მარტივი ორნამენტი ძვ.წ. II-I სს-თვისაა დამახასიათებელი და მოხატვის ტექნიკის დეგრადაციაზე მიგვანიშნებს. როგორც დავინახეთ, ფორმით იდენტური, ზოლო დეკორით სრულიად განსხვავებული ირი ჭურჭლი ერთ სამეტუნეო ტრადიციას ატარებს და არც დროში უნდა იყოს ერთმანეთისაგან დაშორებული. ამიტომ, ძვ.წ. III ს-ით დათარიღებული ანგობითან და წითლად მოხატული ჭურჭლის ფორმით ანალოგიური, მარტივად მოხატული დოქი № 88 სამარხიდან ძვ.წ. II ს-ზე გვიანდელი არ უნდა იყოს. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს № 16 სამარხის კომპლექსი (ტაბ. III, 16₂). ამ სამარხში ზემოთ აღწერილი დოქების მსგავს ჭურჭელთან ერთად აღმოჩენილია შავ-პრიალა, ქუსლიანი ჯამი, უხეშ ზედაპირზე განივი ზოლებით წითლად მოხატული ქოთანი და გამჭირვალე მინის ოქროს და ვერცხლის-სარჩულიანი მძივები. კომპლექსის თარიღი ძვ.წ. II ს. უნდა იყოს. ამრიგად, ეცოს სამაროვანზე მოპოვებული მრგვალპირიანი, დაბალ და ვიწროყელიანი სფეროსებური დოქები ძვ.წ. III ს-ის ბოლო ხანებით და ძვ.წ. II ს-ით თარიღდება.

წითლად მოხატული კერამიკა საქართველოში ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრიდან ჩნდება, ფართოდ ვრცელდება ძვ.წ. IV ს-ის ბოლოსა და ძვ.წ. III ს-ში, გვიანელინისტურ ხანაში კი ასეთი შემკულობა ჯერ მარტივდება, შემდეგ კი ქრება [17, გვ. 75-79]. ზემოთ აღნიშნულ ტენდენციას ასახავს ეცოს სამაროვანზე გამოვლენილი მოხატული კერამიკა, რომელიც აქ ძვ.წ. IV-III სს. მიჯნის კომპლექსებში ჩნდება. ამ

ადრეულ კომპლექსებში მრგვალპირიან, მსხლისებურ დოქებზე წითელი საღებავით დატანილია წვერით ზემოთ მიმართული, ბადისებრი ორნამენტით შევსებული სამკუთხედები (ტაბ. I, 74, 87₁, ძვ.წ. III საუკუნეში ორნამენტის სახეცვლილებანი ჭურჭლის ფორმის ცვლილებებს ეხმაურება, რაც მსხლისებური ფორმის თანდათანობით სფეროსებურად გადაქცევასა და ორნამენტის გართულებაში გამოიხატება. ბადისებრ ორნამენტთან ერთად ჩნდება შევრონები და მოხატულობა ფრიზებად იყოფა (ტაბ. II, 85, 80₁). შემდგომ ეტაპზე, კარძოდ ძვ.წ. II ს-ში, შეინიშნება ორნამენტის გამარტივება, რაც უანგობო ზედაპირზე განივი ზოლების დატანაში გამოიხატება (ტაბ. II, 88_{1,2}).

სამაროვანზე შესწავლილი სამარხებიდან ძვ.წ. I საუკუნით მხოლოდ ორი – №№ 101 და 111 სამარხები თარიღდება. ეს ორი კომპლექსი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულია – № 101 სამარხში აღმოჩენილი რუხი, მრგვალპირიანი, ვიწრო და მაღალყელიანი, მრგვალმუცლიანი დოქი (ტაბ. III, 101) იერით შულავერში [ვგ. 175, სურ. 68] მოპოვებულ დოქს ემსგავსება და შესაძლებელია ჩვენ მიერ ზემოთაღწერილ მრგვალპირიან, დაბალყელიან, სფეროსებურტანიანი დოქის უკავშირდებოდეს. № 111 სამარხში აღმოჩენილი ჩალისფერი, მრგვალპირიანი, ოვალურტანიანი დოქი (ტაბ. III, 111) კი სამთავროს ქვევრსამარხებიდან მომდინარე დოქების მსგავსია [4, გვ. 48, ტაბ. XLVII]. როგორც ჩანს, ეს ორი კომპლექსი ერთმანეთისაგან ქრონოლოგიურადაცაა დაცილებული. ამ შემთხვევაში № 101 სამარხი შედარებით ადრეული უნდა იყოს, თუმცა მისი თარიღი ძვ.წ. I ს-ზე ადრეული ხანით ვერ განისაზღვრება.

ამგარად, სამაროვანზე ექვსი ქრონოლოგიური ჯგუფი გამოიყო:

1) ძვ.წ. IV საუკუნე – ამ ჯგუფისათვის დამახასიათებელია სამტუჩა, მსხლისებურტანიანი დოქები;

2) ძვ.წ. IV ს-ის ბოლო და ძვ.წ. III ს-ის დასაწყისი – ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფია, რომლისათვისაც მრგვალპირიანი, მსხლისებურტანიანი დოქებია დამახასიათებელი;

3) ძვ.წ. III ს-ის შუახანები – სულ ოთხი კომპლექსია, რომელთა თარიღს მსხლისებურტანიანსა და სფეროსებურტანიანს შორის გარდამავალი ფორმის დოქები განსაზღვრავს;

4) ძვ.წ. III ს-ის ბოლო – ამ პერიოდით შეიძლება დავათარიღოთ № 80 სამარხი. თარიღს განსაზღვრავს სფეროსებური, პირგადაშლილი დოქი, რომელიც ორ ფრიზადაა მოხატული;

5) ძვ.წ. II საუკუნე – ამ თარიღს განსაზღვრავს ქუსლიანი შავპრიალა ჯამები, სხვადასხვა ჭურჭლის ხაოიან ზედაპირზე დატანილი წითელი ზოლები, მინის მძივები ოქროსა და ვერცხლის სარჩულით.

6) ძვ.წ. I საუკუნე.

ზემოთ აღნიშნული მოსაზრების საილუსტრაციოდ გთავაზობთ თითოეული ქრონოლოგიური ჯგუფისათვის დამახასიათებელი სამარხეული ინვენტარის აღწერილობას.

ძვ.წ. IV-III საუკუნეების სამარხები, რომელთა თარიღის უფრო ზუსტად განსაზღვრა ვერ მოხერხდა:

სამარხი № 52

1) დოქი – ჩალისფერი, პირგადაშლილი (ტაბ. IV, 52₁); 2) კოჭობი – მოყავისფრო (ტაბ. IV, 52₂); 3) ჭურჭლის ფრაგმენტი, წითლად შეღბილი; 4) სამაჯური – რკინის, ბურთულებლერიანი (ტაბ. IV, 52₄); 5) სამაჯური – ბრინჯაოსი, გველისთავიანი (ტაბ. IV, 52₅); 6) საკინძი – რკინის, თავხვია (ტაბ. IV, 52₆); 7) დანა – რკინის (ტაბ. IV, 52₇); 8) ძეწკვი – ბრინჯაოსი (ტაბ. IV, 52₈); 9) მძივები – ლურჯი მინის, თეთრხალებიანი (7 ც.); 10) მძივები – ლურჯი მინის, მრგვალი და კასრისებური (15 ც.), (ტაბ. IV, 52₉₋₁₀).

სამარხი № 69

1) ქოთანი – რუხი ფერის, ყურიანი (ტაბ. IV, 69₁); 2) კოჭობი – ყავისფერი (ტაბ. IV, 69₂); 3) დანა – რკინის (ტაბ. IV, 69₃); 4) ცული – რკინის (ტაბ. IV, 69₅).

სამარხი № 71

1) ქოთანი – რუხი ფერის, ყურიანი (ტაბ. IV, 71₁); 2) ჯამი – წითლად შეღებილი, სამფეხა (ტაბ. IV, 71₂); 3) საკინძი – რკინის (ტაბ. IV, 72₄); 4) სამაჯურები – რკინის, სადაღეროიანი (2 ც.) (ტაბ. IV, 71₄); 5) სამაჯური – რკინის, ბურთულებლერიანი (ტაბ. IV, 71₅); 6) დანა – რკინის (ტაბ. IV, 72₅); 7) მძივები – ლურჯი მინის, ბიკონუსური (3 ც.), მრგვალი (3 ც.); 8) მძივები – შავი მინის, მანდარინისებური (1 ც.); 9) მძივები – ცისფერი მინის, მრგვალი (1 ც.); 10) მძივები – სარდიონის, მრგვალი (1 ც.) და ხუთწახნაგა (1 ც.); 11) მძივი – ყვითელი მინის ბიკონუსური (1 ც.).

ძვ.წ. II-I სს-ით შეიძლება დათარიღდეს:

სამარხი № 21

1) სასმისი – შავპრიალა, კონუსურძირიანი (ტაბ. II, 21₁); 2) ჯამი – ვარდისფერი, პირმოყრილი (ტაბ. II, 21₂).

I ქრონოლოგიური ჯგუფი: ძვ.წ. IV საუკუნე. სამარხი № 14.

1) დოქი – ჩალისფერი, სამტუჩა (ტაბ. I, 14₁); 2) სამაჯური – რკინის, ბურთულებლერიანი (ტაბ. I, 14₂); 3) სამაჯური – რკინის, ფრაგმენტი; 4) რგოლები – ბრინჯაოსი (2 ცალი) (ტაბ. I, 14₄); 5) საკინძი – რკინის, ფრაგმენტი (ტაბ. I, 14₅); 6) დანა – რკინის (ტაბ. I, 14₆); 7) ძეწკვი – ბრინჯაოსი (ტაბ. I, 14₇); 8) ზარაკი – ბრინჯაოსი (ტაბ. I, 14₈); 9) მძივები – სარდიონის, მრგვალი (4 ცალი), კასრისებური (16 ცალი); 10) მძივები – ლურჯი მინის, მრგვალი (4 ცალი); 11) მძივები – ლურჯი მინის, მრგვალი (4 ცალი); 12) მძივები – ცისფერი მინის, მრგვალი (31 ცალი), ბიკონუსური (12 ცალი), კასრისებური (14 ერთ); 13) მძივები – ლურჯი მინის, მრგვალი (54 ცალი), ბიკონუსური (12 ცალი), კასრისებრი (7 ცალი); 14) მძივები – ლურჯი მინის, თეთრხალებიანი, მრგვალი (15 ცალი).

15) მძივები – ლურჯი მინის, ბიკონუსური (3 ცალი) და მრგვალი (4 ცალი); 16) მძივები – ცისფერი მინის, მრგვალი (8 ცალი) და კასრისებური (1 ცალი); 17) მძივი – თეთრი დაბშული მინის, ლურჯისალებიანი, მრგვალი (1 ცალი).

სამარხი № 72

1) დოქი – ჩალისფერი, სამტუჩა (ტაბ. I, 72₁); 2) შებისპირი – რკინის (ტაბ. I, 72₂); 3) ცული – რკინის (ტაბ., 72₃); 4) დანა – რკინის (ტაბ. I, 72₄); 5) სამაჯური – რკინის ბურთულებიანი (ტაბ. I, 72₅).

II ქრონოლოგიური ჯგუფი – ძვ.წ. IV-III საუკუნეების მიჯნა:

სამარხი № 74

1) დოქი – ვარდისფერი, მრგვალპირიანი, დაფარულია გამჭირვალე ანგობით, მოხატულია წითლად (ტაბ. I, 74₁); 2) დოქი – ჩალისფერი, მრგვალპირიანი (ტაბ. I, 74₂); 3) ბეჭედი – რკინის, ფარაკიანი (ტაბ. I, 74₃); 4) რგოლები – ბრინჯაოსი (2 ცალი) (ტაბ. I, 74₄); 5) სამაჯურები – რკინის, ბურთულებლერიანი (2 ცალი) (ტაბ. I, 74₅); 6) სამაჯური – რკინის, სადაღეროიანი (ტაბ. I, 74₆); 7) საკინძი – რკინის, ფრაგმენტი; 8) მძივები – ცისფერი მინის, მრგვალი (2 ცალი) და ბიკონუსური (1 ცალი); 9) მძივები – ლურჯი მინის, მრგვალი (8 ცალი), ბიკონუსური (4 ცალი); 10) მძივები – ყვითელი მინის, მრგვალი (45 ცალი)

სამარხი № 87

1) დოქი – ჩალისფერი, მსხლისებურტანიანი, მრგვალპირიანი, დაფარულია გამჭირვალე ანგობით, მოხატულია წითლად (ტაბ. I, 87₁); 2) დოქი – მოწითალო, მსხლისებურტანიანი, მრგვალპირიანი (ტაბ. I, 87₂); 3) საკინძი – რკინის (ტაბ. I, 87₃); 4) საკინძი – რკინის, ფრაგმენტი; 5) დანა – რკინის (ტაბ. I, 87₅); 6) ბეჭედი – რკინის, ფარაკიანი (2 ცალი) (ტაბ. I, 87₆); 7) სამაჯურები – რკინის (5 ცალი) (ტაბ. I, 87₇); 8) კაური – 2 ცალი (ტაბ. I, 87₈); 9) კვირისტავი – ძვლის (ტაბ. I, 87₉); 10) მძივები – სარდიონის, კასრისებური (1 ცალი), მრგვალი (1 ცალი), მრგვალბრტეფელი (1 ცალი); 11) მძივები – ყვითელი მინის, მრგვალი (153 ცალი); 12) მძივები – ცისფერი მინის, მრგვალი (31 ცალი), ბიკონუსური (12 ცალი), კასრისებური (14 ერთ); 13) მძივები – ლურჯი მინის, მრგვალი (54 ცალი), ბიკონუსური (12 ცალი), კასრისებრი (7 ცალი); 14) მძივები – ლურჯი მინის, თეთრხალებიანი, მრგვალი (15 ცალი).

III ქრონოლოგიური ჯგუფი – ძვ.წ. III ს-ის შუახანები:

სამარხი № 85

1) დოქი – ჩალისფერი, პირმრგვალი, ტანის ფორმით მსხლისებურსა და სფერულს შორის

დგას, დაფარულია გამჭვირვალე ანგობით, მოხატულია წითლად (ტაბ. II, 85₁); 2) კოჭობი – რუხი, ბიკონუსურტანიანი, უყურო (ტაბ. II, 85₂); 3) რგოლები – ბრინჯაოსი (2 ცალი) (ტაბ. II, 85₃); 4) სამაჯური – ბრინჯაოსი, ბოლოებულისხვილებული (ტაბ. II, 85₄).

IV ქრონოლოგიური ჯგუფი – ძვ.წ. III ს-ის დასასრული:

სამარხი № 80

1) დოქი – ვარდისფერი, სფერულმუცლიანი, მრგვალპირიანი, დაფარულია გამჭვირვალე ანგობით, მოხატულია წითელი საღებავით (ტაბ. II, 80₁); 2) დოქი – რუხი, პირმრგვალი, ბიკონუსურტანიანი (ტაბ. II, 80₂); 3) კოჭობი – მოწითალო, უყურო (ტაბ. II, 80₃); 4) ქოთანი – რუხი, ყურიანი (ტაბ. II, 80₄); 5) ხელშუბი – რკინის (ტაბ. II, 80₅); 6) ბეჭედი – რკინის, ფარაკიანი (ტაბ. II, 80₆); 7) კოვზი – ძვლის (ტაბ. II, 80₇); 8) კოჭები – ძვლის, გახვრეტილი (7 ცალი); 9) კენჭები – კვერცხის ფორმის (5 ცალი).

V ქრონოლოგიური ჯგუფი – ძვ.წ. II საუკუნე:

სამარხი № 16

სამარხის სახურავზე შემორჩენილი იყო აღაძის ნაშთი:

1) ხელადა – აგურისფერი, წითლად შეღებილი (ტაბ. III, 16₁); 2) დოქი – მოწითალო, მრგვალპირიანი, სფერულმუცლიანი, წითლად შეღებილი (ტაბ. III, 16₂); 3) ჯამი – მოწითალო, პირმოყრილი, წითლად შეღებილი (ტაბ. III, 16₃); 4) სალესი ქვა (ტაბ. III, 16₄).

სამარხში აღმოჩნდა: 5) ჯამი – შავპრიალა, პირმოყრილი, ქუსლიანი (ტაბ. III, 16₅); 6) ქოთანი – ვარდისფერი, ყურიანი, ყური შეღებილია წითლად, ტანხე ორი განივი, წითელი ზოლი გასდევს (ტაბ. III, 16₆); 7) დანა – რკინის (ტაბ. III, 16₇); 8) სამაჯური – ბრინჯაოსი (ტაბ. III, 16₈); 9) სამაჯური – რკინის (ტაბ. III, 16₉); 10) რგოლები – ბრინჯაოსი (3 ცალი) (ტაბ. III, 16₁₀); 11) რგოლები – რკინის (2 ც.) (ტაბ. III, 16₁₁); 12) ბეჭედი – რკინის, ფარაკიანი (ტაბ. III, 16₁₂); 13) ბეჭედი – ბრინჯაოსი, საბეჭდავი, ლენტისებური ფირფატისაგან დამზადებული (ტაბ. III, 16₁₃); 14) საკინძი – რკინის, ფრაგმენტი; 15) მძივები – გამჭვირვალე მინის, ოქროს და ვერცხლის-სარჩულიანი (133 ცალი) (ტაბ. III, 16₁₅); 16) მძივი – ძვლის, კასრისებური (1 ცალი) (ტაბ. III, 16₁₆).

სამარხი № 88

1) დოქი – ვარდისფერი, მრგვალპირიანი, სფერულმუცლიანი, წითლად მოხატული (ტაბ. II, 88₁); 2) ხელადა – ვარდისფერი, წითლად მოხატული (ტაბ. II, 88₂); 3) ჯამი – მოწითალო, პირმოყრილი, წითლად შეღებილი (ტაბ. II, 88₃); 4) სამაჯური – ბრინჯაოსი, ოვალური

(ტაბ. II, 88₄); 5) სამაჯური – ბრინჯაოსი, დეფორმირებული (ტაბ. II, 88₅); 6) სამაჯური – ბრინჯაოსი, ბოლოებშემსხვილებული (ტაბ. II, 88₆); 7) რგოლები – ბრინჯაოსი (2 ცალი) (ტაბ. II, 88₇); 8) მძივები – სარდიონის, მრგვალი (1 ცალი) და კასრისებური (1 ცალი) (ტაბ. II, 88₈); 9) მძივები – ლურჯი მინის, მრგვალი (125 ცალი) და ბიკონუსური (76 ცალი) (ტაბ. II, 88₉); 10) მძივები – გამჭვირვალე მინის, ოქროს-სარჩულიანი (ტაბ. II, 88₁₀).

VI ქრონოლოგიური ჯგუფი – ძვ.წ. I საუკუნე.

სამარხი № 101

1) დოქი – შავი, მრგვალპირიანი, ვიწრო, მაღალყელიანი, სფერულმუცლიანი (ტაბ. III, 101₁); 2) კოჭობი – რუხი, უყურო (ტაბ. III, 101₂); 3) ჯამი – შავი, პირმოყრილი (ტაბ. III, 101₃); 4) მძივები – ლურჯი მინის, მრგვალი (35 ცალი) (ტაბ. III, 101₄).

სამარხი № 111

1) დოქი – ჩალისფერი, ოვალურტანიანი, პირმრგვალი (ტაბ. III, 111₁); 2) კოჭობი – ვარდისფერი, ყურიანი (ტაბ. III, 111₂); 3) რგოლი – ბრინჯაოსი (ტაბ. III, 111₃).

В. Л. Шатберашили

ВОПРОСЫ ХРОНОЛОГИИ МОГИЛЬНИКА ЭЦО (резюме)

Могильник Эцо расположен в исторической области Грузии Квемо Картли, в Тетрицкаройском районе, на левом берегу р. чивчави. В 1986-88 гг. было раскопано 120 погребений IV-I веков до н.э. Исходя из параллельного материала, нами были выделены две большие хронологические группы: IV-III вв. до н.э. и II-I вв. до н.э. Большинство погребений датируются IV-III вв. до н.э., а II-I веками только 13. Стилистический анализ кувшинов дал возможность уточнить дату нескольких погребений. Выясняется, что на могильнике самыми ранними являются грушевидные кувшины с носиком, которые датируются IV в. до н.э. Грушевидные кувшины с круглым венчиком датируются концом IV – началом III в. до н.э., а грушевидные кувшины с круглым венчиком, форма которых близка к сферическому – серединой III в. до н.э. Расписные сферические кувшины датируются концом III-II вв. до н.э. В III веке роспись наносится на ангобированной поверхности, а в II в. до н.э. на шероховатую поверхность сосуда, орнамент же упрощается, II в. до н.э. датируются миски с круглым поддоном и бусы

с золотой и серебряной подкладкой. Выясняется, что в течении IV-III вв. до н.э. грушевидная форма постепенно меняется сферической, возникшая в IV в. до н.э. роспись в III в. до н.э. усложняется, а во II в. до н.э. упрощается. На могильнике выделяются 6 хронологических групп: 1) IV в. до н.э.; 2) конец IV в. – начало III в. до н.э.; 3) середина III в. до н.э.; 4) конец III в. до н.э.; 5) II в. до н.э.; 6) I в. до н.э.

V. Shatberashvili

ON DATING OF THE ETSO CEMETERY (Summary)

The Etsos cemetery is situated in the historical region of south Georgia, Kvemo Kartli, near Tetritsqaro, on the left bank of the river Chivchavi. 120 graves of 4th-1st cc. B.C. were excavated in 1986-88. Based on parallels and typological analysis of pottery two major chronological groups are distinguished. The earliest forms of pottery at the cemetery are jugs with pear-shaped bodies and beaks, which can be dated to the 4th cent. B.C. (12 graves). The jugs with pear-shaped bodies and round rims are dated to the end of the 4th cent. B.C. and beginning of the 3rd cent. B.C. (34 graves). Four complexes, containing jugs, which are close to both pear-shaped and spheric forms, are dated to the middle of the 3rd cent. B.C. The jugs with spheric bodies engobed and painted red (2 graves), are dated to the end of 3rd cent. B.C. The same form exists in the 2nd cent. B.C., but the painting is coated on rough surface and is simpler than the earlier one (2 graves). Complexes, which contain black bowls with a foot and spherical glass beads with golden and silver lining, are considered to date from the 2nd cent. B.C. (7 graves). Only two complexes belong to the 1st cent. B.C. The jugs appear to have shapes, which changed during the 4th-2nd cc. B.C. in the following order: The form of pear-shaped body, which predominated in the 4th cent. B.C. and beginning of the 3rd cent. B.C. gradually changed to spheric form and the tradition of painting, appearing in the 4th cent. B.C., and becoming sophisticated in the 3rd cent. B.C., becomes simpler in the 2nd-1st cc. B.C. Six chronological groups are identified at the cemetery: 1) 4th cent. B.C.; 2) the end of 4th – beginning of 2nd cent. B.C.; 3) middle of 3rd cent. B.C.; 4) end of 3rd cent. B.C.; 5) 2nd cent. B.C.; 6) 1st cent. B.C.

ლიტერატურა

1. აბრამიშვილი რ., გიგუაშვილი ნ., კახიანი კ. ღრმახევისთავის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1980.
2. გაგოშიძე ი. თრიალეთის სამაროვნები. ტ. III, თბ., 1982.
3. დაფლიანიძე ც. ანტიკური ხანის სამარხები. – ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში, 1965-72 წწ. თბ., 1975, გვ. 173-185.
4. თოლორდაგა ვ. დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში. თბ., 1980.
5. თოლორდაგა ვ. ვანის ნაქალაქარის ცენტრალური ტერასის გათხრების შედეგები. – ვანი, VIII, თბ., 1986, გვ. 72-92.
6. კვიუინაძე კ. ადრენტიკური ხანის ძეგლები სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოდან. – საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1975. ინახება ისტორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.
7. ლოროქიფანიძე თო., ფუთურიძე რ., თოლორდაგა ვ., ჭყონია ა. არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს. – ვანი, I, თბ., 1972, გვ. 198-242.
8. ნაკაძე ბ. ძვ.წ. IV-III სს. ქვევრსამარხები „დაჭრილების“ სამაროვნიდან. – კამ, 1980, გვ. 28-88.
9. რამიშვილი ქ., შატბერაშვილი ვ. ლითონის საბეჭდავი-ბეჭდები ეცოს სამაროვნიდან. – მმ, №3, 1997, გვ. 20-23.
10. სინაურიძე მ. კაზრეთის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1985.
11. შატბერაშვილი ვ. ეცოს სამაროვანი. – მმ, №3, 1997, გვ. 18-19.
12. წითლიანაძე ლ. ვარსიმაანთქარის სამაროვანი. – ჟინვალი, I, თბ., 1983, გვ. 52-76.
13. ჯდარგავა თ. კამარახევის სამაროვანი. კატალოგი. – მცხეთა, VI, თბ., 1983, გვ. 139-190.
14. ხახუტაიშვილი დ. უფლისციხე. 1957-1963 წწ. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. ტ. I, თბ., 1964.
15. ხახიანი კ. კ, გლიგვაშვილი ე. ვ, დzneladze მ. ს., კალანდაძე გ. გ, ცკვითინიძე ვ. რ. არхеологические исследования Машаверского ущелья в 1984-86 гг. – ПАИ 1986 (1991), с. 51-59.
16. კუფტინ ბ. ა. Археологические раскопки 1947 г. в Цалкинском районе. Тб., 1948.
17. ნარიმანიშვილი გ. კ. Керамика Картли в V-I вв. до нашей эры. Тб., 1991.
18. შატბერაშვილი ვ. გ. Результаты полевых работ Марабда-Ахалкалакской экспедиции. – ПАИ, 1988 (1997), с. 63-64.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I	№ 14 სამარხის ინვენტარი – 14 ₁₋₁₂
	№ 72 სამარხის ინვენტარი – 72 ₁₋₅
	№ 74 სამარხის ინვენტარი – 74 ₁₋₁₀
	№ 87 სამარხის ინვენტარი – 87 ₁₋₁₅
ტაბ. II	№ 85 სამარხის ინვენტარი – 85 ₁₋₄
	№ 80 სამარხის ინვენტარი – 80 ₁₋₇
	№ 88 სამარხის ინვენტარი – 88 ₁₋₁₀
	№ 21 სამარხის ინვენტარი – 21 ₁₋₂
ტაბ. III	№ 16 სამარხის ინვენტარი – 16 ₁₋₁₆
	№ 101 სამარხის ინვენტარი – 101 ₁₋₄
	№ 111 სამარხის ინვენტარი – 111 ₁₋₃
ტაბ. IV	№ 71 სამარხის ინვენტარი – 71 ₁₋₁₅
	№ 52 სამარხის ინვენტარი – 52 ₁₋₁₀
	№ 69 სამარხის ინვენტარი – 69 ₁₋₅

Описание таблиц

Табл. I	Инвентарь погр. № 14 – 14 ₁₋₂
	Инвентарь погр. № 72 – 72 ₁₋₅
	Инвентарь погр. № 74 – 74 ₁₋₁₀
	Инвентарь погр. № 87 – 87 ₁₋₁₅


Табл. II	Инвентарь погр. № 85 – 85 ₁₋₄
----------	--

Табл. III	Инвентарь погр. № 80 – 80 ₁₋₇
	Инвентарь погр. № 88 – 88 ₁₋₁₀
	Инвентарь погр. № 21 – 21 ₁₋₂
	Инвентарь погр. № 16 – 16 ₁₋₁₆
	Инвентарь погр. № 101 – 101 ₁₋₁₄
	Инвентарь погр. № 111 – 111 ₁₋₃
Табл. IV	Инвентарь погр. № 71 – 71 ₁₋₁₅
	Инвентарь погр. № 52 – 52 ₁₋₁₀
	Инвентарь погр. № 69 – 69 ₁₋₅


Description of Plates

Pl. I	Inventory from grave 14 – 14 ₁₋₂
	Inventory from grave 72 – 72 ₁₋₅
	Inventory from grave 74 – 74 ₁₋₁₀
	Inventory from grave 87 – 87 ₁₋₁₅
Pl. II	Inventory from grave 85 – 85 ₁₋₄
	Inventory from grave 80 – 80 ₁₋₇
	Inventory from grave 88 – 88 ₁₋₁₀
	Inventory from grave 21 – 21 ₁₋₂
Pl. III	Inventory from grave 16 – 16 ₁₋₁₆
	Inventory from grave 101 – 101 ₁₋₁₄
	Inventory from grave 111 – 111 ₁₋₃
PL.IV	Inventory from grave 71 – 71 ₁₋₁₅
	Inventory from grave 52 – 52 ₁₋₁₀
	Inventory from grave 69 – 69 ₁₋₅


❀❀❀. I




ঁৰু. II



ঋড়. III



გაბ. IV



გოდერძი ნარიმანიშვილი

ანტიბარი ხანის სამარხი პატარქულიდან

პატარძეული საგარეჯოს რაიონში, თბილი-სიდან აღმოსავლეთით 40-ოდე კმ-ის დაცილებით მდებარეობს. სოფლის ტერიტორიაზე არსებულმა არქეოლოგიურმა ძეგლებმა პირველად 1953 წელს მიიცა ყურადღება, როდესაც რუსთავის გარემოს დაზვერითმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ნ. ბერძნიშვილი) დააფიქსირა გორა-ამოსახლარი (მახარიკაანთვორა), რომელიც სოფლის აღმოსავლეთ განაპირას, კალოთხევის მარცხნა ნაპირზე მდებარეობს [1, გვ. 25].

სოფლის ტერიტორიაზე 70-იან წლებში შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა შეაგროვა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თანამშრომელმა გ. გიუნაშვილმა და საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმს გადასცა. ამ მასალების პირველი პუბლიკაციაც მას ეკუთვნის [2, გვ. 38-45]. მოგვიანებით ეს მასალები ხელმეორედ გამოქვეყნდა [3, გვ. 61-71].

სოფლის ტერიტორიაზე სხვადასხვა პერიოდის, მრავალი საინტერესო ძეგლია დაფიქსირებული [4, გვ. 209]. შეგროვილი მასალები თითქმის ყველა პერიოდს მოიცავს.¹⁸ განსაკუთრებით აღსანიშნავია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარების და სამაროვნების სიმრავლე. ყველაზე მნიშვნელოვნად მაინც ადრე-ანტიკური ხანის ორი სამაროვანი უნდა მივიჩნიოთ, რადგან კახეთის ტერიტორიაზე დაფიქსირებულ არქეოლოგიურ ძეგლებს შორის ანტიკური ხანის ძეგლების სიმცირე თვალშისაცემია.


პატარძეულის ტერიტორიაზე გამოვლენილი, ანტიკური ხანის, ერთი სამარხეული კომპლექსის გამოქვეყნებით რეგიონის არქეოლოგიურ რუკას ამ ხანის კიდევ ერთი ძეგლი შეემატება.

სამარხი აღმოჩნდა სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, კვირაცხოვლის ეკლესიასთან. 1974 წელს ნარიმანიშვილების საკარმიდამო ნაკვეთში, ჭის ამოჭრის დროს, მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 2,2 მ-ის სიღრმეზე თავი იჩინა თიხის ჭურჭელები. პრეპარაციის დროს გაირკვა, რომ იყი სამარხეულ კომპლექსში შედიოდა.

სამარხი ეკუთვნის მიწაყრილიანი ორმოსამარხების ჯგუფს. მასში დაკრძალული იყო ერთი მიცვალებული, ძლიერ ხელ-ფეხ მოკეცილი, მარჯვენა გაერდზე, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. მიცვალებულის ზურგის მხარეს ჩარიგებული იყო თიხის ჭურჭლები, გულ-მკერდის არეში აღმოჩნდა მივები, ხელებზე ეკეთა ბრინჯაოსა და რკინის სამაჯურები.


სამარხეული ინვენტარი:

1. ხელადა (სურ. 1), დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, გამომწვარია მოვარდის-ფროდ. ზედაპირი ზერელედაა გაპრიალებული. ყურის თავზე დამღა აქვს დასმული.



სურ. 1


2. კოჭობი (სურ. 2), დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, გამომწვარია მოვარდის-ფროდ.



სურ. 2


3. ფიალა (სურ. 3), დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, გამომწვარია მოჩალის-ფროდ. ოდნავ ასიმეტრიულია, ხელით ნამერწის შთაბეჭდილებას ტოვებს. დაფარებული ჰქონდა ზევით აღწერილ კოჭობს.

¹⁸ გ. გიუნაშვილისა და ჩემ მიერ აღნუსხული ძეგლების შესახებ ინფორმაცია უახლოეს ხანებში გამოქვეყნდება.




სურ. 3

4. ქოჭობი (სურ. 4), დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, გამომწვარია მოვარდისფროდ. ასიმეტრიულია. ქობაზე დაძერწილია ერთი კოპი.



სურ. 4

5. ქოჭობი (სურ. 5), დამზადებულია მინარევებიანი თიხისაგან, გამომწვარია მონაცრისფროდ, დაზიანებულია.



სურ. 5

6. სამაჯური (სურ. 6₅), ბრინჯაოსი, ნაკლული.


7. სამაჯური (სურ. 6₄), ბრინჯაოსი, ცხოველსახეებით შემკული, ნაკლული.

8. სამაჯური (სურ. 6₆), ბრინჯაოსი, ნაკლული.

9. სამაჯური (სურ. 6₁), რკინის, ნაკლული.

10. სასაფეთქლე რგოლი (სურ. 6₂), ვერცხლის, ნაკლული.

11. სასაფეთქლე რგოლი (სურ. 6₃), ბრინჯაოსი, ნაკლული.



სურ. 6

12. მძივი (სურ. 7₄) პასტის, ცისფერი – 83 ც., მოყავისფრო – 95 ც., მწვანე – 2 ც., თეთრი 1 ც.

13. მძივი (სურ. 7₁) პასტის, სარჩულიანი.

14. მძივი (სურ. 7₂) პასტის, ლურჯი – 20 ც., ყვითელი – 15 ც.

15. საკიდი (სურ. 7₃) პასტის, მოზაიკური.



სურ. 7

სამარხეული ინვენტარი ახლო მსგავსებას ამჟღავნებს აღმოსავლეთ საქართველოს ძვ.წ. I – ა.წ. I სს. დათარიღებულ ძეგლებზე აღმოჩენილ მასალასთან და ამავე ხანით თარიღდება.

Г. К. Нариманишвили

ПОГРЕБЕНИЕ АНТИЧНОГО ПЕРИОДА ИЗ ПАТАРДЗЕУЛИ (резюме)

Село Патардзеули расположено в Сагареджойском районе, в 40 км к востоку от Тбилиси. Впервые археологические памятники на территории села обратили на себя внимание в 1953 году [1, с. 153].

В 70-е годы случайные археологические находки были собраны сотрудником Центра археологических исследований Г. Гиунашвили, который передал их в краеведческий музей г. Сагареджо. Ему же и принадлежит первая публикация этих находок [2, с. 38-45], которые были переизданы еще раз [3, с. 61-71].

На территории села зафиксировано большое число интересных памятников различных эпох [4, с. 209]. Особенно следует отметить большое количество могильников и поселений эпохи поздней бронзы и раннего железа. Но наиболее значительными являются два раннеантичных могильника, т.к. памятники этой эпохи на территории Кахети не так уж и многочисленны.

В 1974 году в юго-восточной части села, вблизи церкви Квиратховели, во время земляных работ на глубине 2,2 м от современного уровня, были найдены керамические сосуды. В процессе дальнейшей зачистки были зафиксированы остатки погребений.

Погребение относится к группе ямных погребений с земляной насыпью. В могиле находился один покойник с сильно согнутыми конечностями, на правом боку, головой на северо-восток. За спиной погребенного находились сосуды (рис. 1-5), около грудной клетки – бусы (рис. 7), на запястях располагались бронзовые и железный браслеты (рис. 6).

По ближайшим параллелям из Восточной Грузии данное погребение следует датировать I в. до н.э. – I в. н.э.

G. Narimanishvili

BURIAL OF THE CLASSICAL PERIOD FROM PATARDZEULI (Summary)

The village of Patardzeuli is situated in Sagarejo district, 40 km to the east of Tbilisi. The archaeological remains on the territory of the village attracted attention for the first time in 1953 [1, p. 153].

In the 1970s casual archaeological finds were collected by G. Giunashvili, collaborator of the Centre for Archaeological Studies, who handed them to the Museum of Local Lore in Sagarejo. The first publication of these finds belongs to G. Giunashvili [2, pp. 38-45]. Later they were republished [3, p. 61-71].

A large number of interesting remains of different periods were identified on the territory of the village [4, p. 209]. A large number of burials and settlements of the Late Bronze and Early Iron Ages should be noted here. But most significant are two burials of the Early Classical Period, for remains of this period are not so numerous on the territory of Kakheti.

In 1974, ceramic vessels were discovered during earthwork at the depth of 2,2 m from present day ground level, near the church of Kviratskhoveli, in the south-eastern part of the

village. Remains of a burial were identified in the process of further cleaning.

The burial is attributed to the group of pit burials with earth embankment. There was a single corpse lying on the right side, with strongly crouched limbs, and with the head towards north-east. Behind the back of deceased there were the vessels (figs. 1-5), beads in the area of the chest (fig. 7); bronze and iron bracelets on the wrists (fig. 6).

According to the closest parallels from Eastern Georgia the present burial should be dated to the 1st century B.C. – 1st century A.D.

ლიტერატურა

1. ბერძენიშვილი ნ. ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან. – სიგპ, I, 1960, გვ. 141-184.
2. გიუნაშვილი გ. პატარძეულის გვიანდინჯაო-ადრეკინის ხანის ძეგლები. – ად, 1985, გვ. 38-45.
3. მენაბეგვი ც. საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ბრინჯაო-რკინის ხანის არქეოლოგიური მასალა. კატალოგი. – კაეშ, ტ. VIII, 1988, გვ. 61-71.
4. ბოხჩაძე А., Миринашвили Н., Нариманишвили Г. Работы Настакисской археологической экспедиции. – ПАИ, 1977 (1980), с. 187-209.

ქეთეგან რამიშვილი

ნადირობის სცენები არაგვისის გმირულის სტრუქტური

დუშეთის რაიონის სოფელ არაგვისპირში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უინგალის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ შეისწავლა სამაროვანი, სადაც ყურადღებას იქცევს № 13 მდიდრული სამარხი. აღნიშნულ სამარხში აღმოჩენილია ორი ფეხიანი ვერცხლის სურა. თითოეულ სურაზე გამოსახულია ნადირობის სცენები. გარდა ვერცხლის სურებისა, სამარხში აღმოჩნდა: ვერცხლის თასი, საკურთხევლის წინაშე ფეხაღმართული ცხენის გამოსახულებით (სურ. 1), ვერცხლის რომაული ლამბაქი, ოქროს მასიური სამაჯური, ოქროს სამი ბეჭედი (მათ შორის ორი გემით), ორი აბზინდა, აღმადინისა და მინის მცირე ფირფიტებით ინკრუსტირებული ოქროს მედალიონი დაწული ძეწვით და მედალიონის შუაში ტიხრული მინანქრით, სხვადასხვა ოქროს კალიტები, ოქროს სამი აურეუსი, ვერცხლის რვა მონეტა (გოთარზეს ოთხი დრაპება და ავგუსტეს ოთხი დენარი), მინის ჭურჭლის ნატეხები და სხვ. [6, გვ. 2-3].



სურ. 1. ვერცხლის თასი, საკურთხევლის წინაშე ფეხაღმართული ცხენის გამოსახულებით


არაგვისპირის სამაროვანი, ზოგადად, ახალი წელთაღრიცხვის II-IV საუკუნეებით თარიღდება. რაც შეეხება № 13 მდიდრულ სამარხს, იყი რომის იმპერატორ ვალერიანეს სახელით მოჭრილ აურეუსის და ამ აურეუსის მინაბაძის გათვალისწინებით, ახალი წელთაღრიცხვის III საუკუნის 60-იანი ან 70-იანი წლებით თარიღდება.

არაგვისპირის № 13 სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის სურების შეფასებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ჭურჭლთა დამზადების თავისებურებების გარკვევასაც, რაც, თავის მხრივ, საშუალებას მოგვცემს ვცადოთ საწარმო ცენტრის დადგენაც. ჭურჭლების რესტავრაციამდე ვერცხლის სურების ვიზუალურმა შესწავლამ მკვლევარებს საშუალება მისცა დაედ-

გინათ, რომ მსგავსად იბერიული სარეცლის ფეხთა გარსაკრავებისა [5, გვ. 91], ჩვენთვის საინტერესო ნაკეთობებიც დამზადებულია წინასწარ ჩუქურთმით შემცულ გულგულაზე, ვერცხლის მთლიანი ფირფიტის შემოწნევის გზით. ასეთი ხის მცირე ნაშთები შემონახული იყო სურის ყელში [6, გვ. 7-8]. აღნიშნული დაკვირვება მკვლევარებს საშუალებას აძლევს დაასკვნან, რომ ეს ორი სურა, მსგავსად სარეცლის ჩუქურთმიანი ფეხებისა, შეიძლება დამზადებული იყოს იბერიის რომელსამე დიდ სახელოსნო ცენტრში [6, გვ. 7-8], იქნებ სულაც მცხეთაში.

ორივე სურა ერთნაირი მოყვანილობისაა და თითქმის მსგავსი ზომისა. ფორმათა და მხატვრულ-სტილისტური ნიშნებით სრულდად ნათელია, რომ ისინი ერთი ხელოსნის თუ არა, ერთი სახელოსნის ნაწარმს წარმოადგენებ.

ერთ სურაზე¹⁹ მოცემულია ირმებზე ნადირობის სცენა (სურ. 2), რომელსაც უჭირავს სურის ტანის შუა ნაწილი. ფრიზზე გამოსახული კომპოზიციის დომინანტს წარმოადგენს ცხენზე ამხედრებული მონადირე, რომელიც მარჯვენა პროფილშია გადმოცემული. ირმების მდევარს ხელთ უცყრია მოზიდული მშვილდი და ტყორცის გაქცეული ცხოველებისკენ.



სურ. 2. ირმებზე ნადირობის სცენა

მხედარი გამოსახულია თავსაბურავის გარეშე. მონადირეს აქვს გრძელი, გადავარცხნილი თმები, მოშვებული წვერი და გრძელი ულვაშები. ქამარზე ჩამოკიდებული აქვს ოდნავ ბოლოგაგანიერებული კაპარჭი, რომელშიც ისრებია ჩაწყობილი. გარდა ამისა, მონადირეს წელზე ჩამოკიდებული აქვს პატარა ფარი, რომელიც თავისი ზომით გვაგონებს ხევსურეთში ბოლო დრომდე შემონახულ პატარა ფარებს.


უნაგირით აღკაზმული გაჭინებული ცხენი ძალზე დინამიურია და ხასიათდება ექსპრესიულობით, რასაც კიდევ უფრო აძლიერებს რბო-

¹⁹ სიმაღლე – 22,5 სმ, სიმაღლე მაღლა აწეული ფურის თავამდე – 23,5 სმ, პირ-ტუნის სიგრძე – 5,9 სმ, ტანის მიახლოებითი დიამეტრი – 11,5 სმ, ქუსლის დიამეტრი – 5,5 სმ.

ლისას უკან გაშვერილი გრძელი ძუაშეუკვეცავი კუდი.

არაგვისპირის ნადირობის სცენაში სამი ირემია გამოსახული: ორი ხარ-ირემი და ერთი ფური. ამათგან ერთი ხარ-ირემი უკვე მოკლულია, დანარჩენი ორი კი მთელი ძალით გარბის, მაგრამ ისარი ყველას აქვს უკვე მოხვედრილი. წინმავალ ფურ-ირემს თავი მობრუნებული აქვს უკან. ირმების დევნის ამ უაღრესად ექსპრესიულ სურათს კიდევ უფრო აძლიერებს მონადირე მწევარი, რომელიც მარჯვნიდან მისდევს ირმების ჯაფუს. ცხენსა და ხარ-ირემს შორის არ-სებული თავისუფალი არ შევსებულია ორ-რტოიანი პალმეტით, რომელიც თავისი დამუშავებით წააგავს ხარ-ირმის რქებს და მათთან ერთად თითქოს სამკუთხედს ქმნის. გარდა იმისა, რომ ამ მცენარით ხაზგასმულია ნადირობა ბუნებრივ გარემოში, თავისუფალი ადგილის შეკვებით, იგი ხელს უწყობს კომპოზიციის შეკვრას.

მეორე სურაზე²⁰ გამოსახულია ტახებზე ნადირობის სცენა (სურ. 3). ცხენოსანი მონადირე აქ ზუსტად ისეთივე მანერით არის მოცემული, როგორც პირველზე. ამ ორი მონადირის იკონოგრაფიული მსგავსება ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ტახებზე ნადირობის სცენა კიდევ უფრო მეტი ექსპრესიულობით ხასიათდება. ხელოსანი ოსტატურად ახერხებს გადმოსცეს ამხედრებული მონადირისა და დაჭრილი ტახის შერკინების დრამატიზმით აღსავსე სცენა. მეორე ტახს, რომელიც აგრეთვე დაჭრილია, ფეხდაფეხს მისდევს მწევარი. მხედარს ორივე შემთხვევაში აცვია მამაკაცის გრძელი და სადა კაბა დახურული საყელოთი.



სურ. 3. ტახებზე ნადირობის სცენა

თავისი ხასიათით ორივე კომპოზიცია მეტად დინამიური და ლაკონურია. ძალზე მარტივად, ყოველგვარი ზედმეტი დეტალის გარეშე, განზოგადებულად არის გადმოცემული ერთიანი, დაუნაწევრებელი სცენა, რომელიც ვერცხლის ჭურჭლის მუცელზე წრიულადა განფენილი.

მიუხედავად იმისა, რომ გამოსახულება მთლიანად რეალისტურია, ოსტატი შესანიშნავად ახერხებს თავი დააღწიოს, ერთი მხრივ, ნატურალიზმს, ხოლო მეორე მხრივ, გადაჭარბებულ აბსტრაგირებას.

²⁰ სიმაღლე – 23,5 სმ, პირ-ტუჩის სიგრძე – 6,3 სმ, ტანის დიამეტრი მიახლოებით – 12 სმ, ქუსლის დიამეტრი – 5,2 სმ.

პროპორციები დახვეწილია, თუმც ირმებისა და ტახების ფიგურები ზომით ცხენისას ჭარბობს, მაგრამ ეს მომენტიც ოსტატს საკმაოდ თავისებურად აქვს გაზრებული. ცხენგაცი გადმოცემულია ერთ მთლიან ფიგურად, რის გამოც ზემოთ ხსენებული შეუსაბამობა არც კი იგრძნობა და ცხენგაცი უფრო დიდი ჩანს ცალკეულ ცხოველებით შედარებით.

ფიგურები სივრცობრივად, გარკვეული თანმიმდევრობით, მცირე ინტერვალების დაცვით არის განლაგებული, რითაც შექმნილია მოძრაობის დენადი რიტმი. ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობს კომპოზიციის ერთიანობას.

ორივე კომპოზიცია გადმოცემულია საკმაოდ მკვეთრი რელიეფით. მიუხედავად ამისა, ავტორი ახერხებს შეინარჩუნოს გამოსახულების სიბრტყობრიობა. ამ შემთხვევაში მიღწეულია სიბრტყობრივ-მოცულობითი წონასწორობა. ამავე დროს გამოსახულებათა კონტურები მოქნილი და დენადია. მხედრის კაბა, ოძა-წვერი და ცხოველთა ტანი დამუშავებულია წვრილი შტრიხებით, რაც კომპოზიციას ანიჭებს ერთგვარ დეკორატიულ ხასიათს და თვალისათვის სასიამოვნო აღსაქმელია. არქეოლოგიური კომპლექსის გათვალისწინება და ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე მოპოვებულ სხვა სურებთან არაგვისპირის სურების შედარებითი ანალიზი საშუალებას იძლევა გაირკვეს, რომ ნადირობის სცენიანი ეს დეკორატიული ჭურჭლები დამზადებულია უშუალოდ წინასასანურ ხანაში, ალბათ, III საუკუნის 50-იან წლებში [6, გვ. 2-3], მაშინ როცა, სასანურ ტორევტიკაში ცნობილი ცხენოსანი მონადირების კომპოზიცია ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული და დაკანონებული. როგორც ცნობილია, ჩვენთვის საინტერესო ე.წ. ნადირობის სიუჟეტები ყალიბდება III საუკუნის ბოლოს და IV საუკუნის დასაწყისში [4, გვ. 27-50].

სასანურ ხელოვნებაში დაკანონებული ნადირობის სცენის საილუსტრაციოდ აღვწერთ ისტორიული ალბანეთის ტერიტორიაზე ქ. შემახაში აღმოჩენილ თასს.

ალბანეთი ადრესასასანური დროიდან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ირანთან და ხელოვნების ასეთი ნიმუშები ალბანელ მეფეთა და დიდებულთა სალაროებში არაერთი უნდა ყოფილიყო მოხვედრილი.

ირანისტმა ვ. ლუკონინმა შემახის თასზე გამოსახულ მონადირე დიდებულში გამოიცნო შაპურ I-ის ვაჟი ნარსე, რომელიც 274-93 წლებში იყო „სომხეთის დიდი მეფე“, ხოლო 293 წლიდან კი ირანის შაპინშაპი. შემახის თასი ვ. ლუკონინის მიერ დათარიღებულია III საუკუნის 80-იან წლებითა და IV საუკუნის დასაწყისით.

შემახის თასი დამზადებულია მაღალი ხარისხის ვერცხლისაგან. წარმოადგენს საკმაოდ გადაშლილ ჭურჭლებს, რომელსაც აქვს დაბალი

და განიერი ქუსლი.²¹ თასის შიდა ზედაპირი მთლიანად დაფარულია ორნამენტით. აქვეა წარმოდგენილი ნადირობის სცენაც. ჭურჭლის ცენტრში გამოსახულია მხედარი, რომელიც ნადირობს გარეულ თხაზე. იგი ზის გაჭენებულ ცხენზე და უკან მობრუნებული ტყორცნის ისარს. მხედარი გამოსახულია ზურგის მხრიდან, ხოლო უკან მობრუნებული სახე მოცემულია პროფილში. განსაკუთრებით მკვეთრად არის მოდელირებული სწორი ცხვირი, თვალები, ტუჩები, თძები, წვერ-ულვაში, ყური, რომელზეც ჩანს საყურე მრგვალი საკიდით და სამეფო თავსაბურავი – კულახი, შემკული მარგალიტებით და დაბოლოებული მცენარეული მოყვანილობის მაღალი შვერილით. მხედარს მოსავს მდიდრული საზეიმო სამოსი – ტანზე მჭიდროდ შემოკრული კაბა, კისერზე დამაგრებული პეპლისმაგარი შესაბძევით, წელზე შემორტყმული აქვს ინსიგნია ქამარი, ფეხები კი მჭიდროდ აქვს შემოჭერილი ცხენის ტორსზე. ეს აუცილებელი იყო იმის გამო, რომ ამ დროს უზანგი ჯერ კიდევ არ არსებობდა და მხედარი მსრბოლავ ცხენზე სხვაგვარად თავს ვერ დაიჭირდა, მით უმეტეს, რომ მას ორივე ხელი დაკავებული ჰქონდა. ქამარზე მხედარს პკიდია კაპარჭი, რომელშიც მოჩანს ისრის ბოლოები. მონადირეს ხელთ უპყრია „ლირისებური“ მოყვანილობის დიდი მშვილდი, რომელიც ბოლომდე აქვს მოზიდული. მხედარი ტიპიური სასანური მანერითაა გამოსახული და დეტალებშიც კი იმეორებს სასანური მხედრის იკონოგრაფიას. სამეფო დიდებულებითაა მოსილი თვით გაჭენებული ცხენი, რომელსაც აქვს წინ გაშვერილი ფეხები, მევრფასი საკიდებით შემკული სამკერდე თასმა, ალბათ, ლითონის თვალსაფარი, თავისუფლად მიშვებული ლაგამსაყბეური და სფეროსებრი შვერილით შემკული თავი, რაც სამეფო რანგის ცხენისთვისაა დამახასიათებელი. ცხენს აქვს გამონასკვეული კუდი, რაც აგრეთვე დამახასიათებელი დეტალია სასანური იკონოგრაფიისათვის.

გამომსახველობის გასაძლიერებლად ხელოსანი ეფექტურად იყენებს მოქვრის ხერს. მოოქროვილია, მაგალითად, ცხენის აღკაზმულობა, კაპარჭის თავი და ბოლო, კულახი და სხვ. მოოქროვილია, აგრეთვე, მოკლული თხის თავი, რქები და ზურგი. მოქნილი დენადი ხაზების მეშვეობით ხაზგასმულია ცხენის კუნთები, გამონასკვეული კუდი, სამკაულები და სხვ. ეფექტურად არის გამოყენებული დაბალი და მაღალი რელიეფების მონაცვლეობა, რაც მთელ კომპოზიციას ანიჭებს მოცულობით იერს და სიმკვეთრეს.

კომპოზიცია ერთიანობაში რთული ტექნიკითაა შესრულებული, გამოყნებულია კომბინირებული ხერხი. ერთი მხრივ, თუ ოსტატი ეფექ-

ტურად იყენებს თეგს და საჭრეთელს, მეორე მხრივ, იგი მიმართავს ცალკეული დეტალების დამოუკიდებლად დამზადების ხერხს და შემდეგ სათანადო ადგილზე დარჩილვით აღწევს რელიეფურობის განსაკუთრებულ ეფექტს. თასის კორპუსი დამუშავებულია ვერცხლის ერთი მთლიანი ფურცლის გაწევით.

ქუსლის რგოლი დამზადებულია ცალკე და მერეა მირჩილული ძირზე.



სურ. 4. ვერცხლის თასი შემახიდნ

შემახის თასის ნადირობის სცენა ძლიერ მსგავსებას პოულოს სხვადასხვა პუნქტში აღმოჩენილ ტორევტიკულ ძეგლებზე დაცულ მსგავს კომპოზიციებთან [4, გვ. 127, ნახ. 20], რაც იმის მანიშნებელია, რომ სასანურ ხელოვნებაში საყვალთაოდ გაბატონდა ერთხელ შემუშავებული მანერა და იკონოგრაფია. ეს იყო „ოფიციალური პორტრეტის“ თავისებური გამოხატულება ტორევტიკაში.

სასანური ტორევტიკული იკონოგრაფიისათვის, როგორც შემახის თასის აღწერიდან ჩანს, უმთავრესია გაჭენებულ ცხენზე ამხედრებული და სათანადო ინსიგნიებით შემკული დიდებული, რომელიც მოტრიალებული ტყორცნის ისარს, ცხენიც მეცარად განსაზღვრული ატრიბუტებითა მორთულია. ყოველივე ამას თუ შეგადარებით არაგვისპირის სურების გამოსახულებას, შევნიშნავთ იმ დიდ განსხვავებას, რომელიც არსებობს როგორც იკონოგრაფიულად, ასევე კომპოზიციის საერთო აგებასა და გადაწყვეტაში.

მაშასადამე, არაგვისპირის სურებზე გადმოცემული სცენების გენეტიკურად სასანურ ხელოვნებასთან დაკავშირება მოკლებულია ნიადაგს. აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ გაჭენებული ცხენით ნადირობის სცენების გამომსახული სიუჟეტები ცნობილი ყოფილა ჯერ კიდევ სასანური ხელოვნების ჩამოყალიბებამდე.

როგორც უახლესი არქეოლოგიური მასალები გვიჩვენებს, ცხენოსან მონადირეთა თუ მხედართა გამოსახულებები საქართველოს ტერი-

²¹ თასის დიამეტრი – 26 სმ, ქუსლის დიამეტრი – 9,5 სმ, სიმაღლე – 0,9 სმ.

ტორიაზე ჩვ. წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებზე გაცილებით უფრო ადრეც იყო ცნობილი. ამ თვალსაზრისით, მეტად საყურადღებო მასალებია მოპოვებული სამადლოს გორაზე, რომელიც ისტორიული ქალაქის ნასტაკისის ციტადელს წარმოადგენდა [3, გვ. 25]. სამადლოს გორაზე ძვ.წ. IV-III საუკუნეებით დათარიღებულ ფენაში მოპოვებულია ქვიშაქვაზე შესრულებული სკულპტურული რელიეფის ნაშთები, სადაც, ი. გაგოშიძის დაკვირვებით, გამოსახულია ცხენოსანი მონადირე, რომელიც მისდევს გარეულ ცხვარ-მუფლონს [3, გვ. 65]. გაჭენებული ცხენით ნადირობის სცენები, როგორც ი. გაგოშიძი მიუთითებს, ფართოდ იყო ცნობლი და გავრცელებული აქემენიდურ ხელოვნებაში, განსაკუთრებით ვერცხლის ჭურჭლებსა და ბეჭდის თვლებზე. ი. გაგოშიძი სამადლოს ნადირობის სცენას მიაკუთხნებს აქემენიდური ხელოვნების წრეს და მას განიხილავს, როგორც აქემენიდური ხელოვნების ტრადიციების გავლენით შექმნილ ნაწარმოებს.

საყურადღებოა, აგრეთვე, იმავე სამადლოზე მოპოვებული დიდი ზომის რიტუალური ქვერები, რომლებზედაც მოცემულია წითელი სალებავით შესრულებული მრავალი სიუჟეტი, რომელთა შორისაც გარკვეული ადგილი უჭირავთ ირმებზე ნადირობის სცენებასაც [3, გვ. 88, ტაბ. XV]. ი. გაგოშიძი ამ დიდრონ ქვევრებს, თავისი ორიგინალური მხატვრობით, მიიჩნევს ლოკალურ მოვლენად [3, გვ. 88], რადგანაც მათ ზუსტი ანალოგები არ მოექცენებათ არც ამიერკავკასიასა და არც უფრო შორეულ ქვეწებში. მიუხედავად აქემენიდური და პართული ხელოვნების ზოგადად მძლავრი ზეგავლენისა, ელინისტური ხანის საქართველოში, როგორც ჩანს, ხელოვნების მრავალი დარგი ვითარდებოდა საკუთარი, საკმაოდ ორიგინალური გზით.

ამ დიდრონ ქვევრებზე საკმაოდ დიდი ექსპრესითა გადმოცემული შუბოსანი შედარი, რომელიც მისდევს უკვე ერთი შებით დაჭრილ ირემს და ემზადება მეორე შების სატყორცნად. ირემს ორივე მხრიდან თავს ესხმიან მწევრები. მართალია, სამადლოს ირმებზე ნადირობის სცენა მრავალი დეტალით განსხვავდება არა-გვისპირის ნადირობის სცენისაგან, მაგრამ ძვ.წ. IV-III საუკუნეებით დათარიღებულ ამ კერამიკულ ნამუშევრებზე, აღმოსავლურ-ირანული-საგან განსხვავებული ხერხებითა და მანერით გადმოცემულია მკვეთრ მოძრაობაში გამოსახული მონადირეები და ცხოველები.

სამადლოში მოპოვებული მასალა საშუალებას იძლევა დავადგინოთ, რომ ადრეელინისტურ ხანაში, გაჭენებული ცხენით ნადირობის გამოხსატველ სიუჟეტებს სულ ცოტა, ორი ერთიმეორისაგან დამოუკიდებული წყარო ასაზრდოებდა: ერთი აქემენიდურ-პართული, ხოლო მეორე კი ადგილობრივი, რადგან სამადლოს მოხატული ჭურჭლები როგორც ფორმით, ასევე შემკუ-

ლობით, ატარებენ ადგილობრივობის აშკარა ნიშნებს [5, გვ. 88]. ამ სიუჟეტის ადგილობრივ წყაროებზე მსჯელობისას, დიდი მნიშვნელობა ენიჭება არქეოლოგიურ ფაქტებს. კერძოდ, სამადლოს ნადირობის სცენებს მოეძებნებათ კიდევ უფრო ძველი პარალელები, ადგილობრივი პროტოტიპები, რომლებიც უპირატესად შემონახულია გვიანი ბრინჯაოს ხანის სარტყლებზე [2, გვ. 79-82, ტაბ. X, VIII, IX]. ბრინჯაოს სარტყლები ამჟამად დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი მთელ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, მაგრამ კველაზე მეტი მაინც საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული და ის სარტყლები, რომლებზეც ცხენით ნადირობის სცენებია ამოკვეთილი, უმეტესად ძვ.წ. IX-VII საუკუნეებით თარიღდება [2, გვ. 18-26]. სპეციალისტთა ვარაუდით, ბრინჯაოს სარტყლებზე უფრო ხშირად ირმებსა და სხვა ცხოველებზე ღვთაებრივი ნადირობის სცენებია მოცემული და ხასიათდება სქემატიზმითა და ერთგვარი სტატიურობით, მაგრამ ამ პარალელის მოტანით, ჩვენ იმის თქმა გვსურდა, რომ ამიერკავკასიის ხელოვნებაში ცხენებით ნადირობის სიუჟეტები უკეთ ძვ.წ. I ათასწლეულის დამდეგიდანვე ფართოდ ყოფილა გავრცელებული და ეს იდეა შემდგომში, როგორც ჩანს, თითქმის უწყვეტად არსებულა ჩვენში ადრეული შეა საუკუნეების ჩათვლით.

გამორიცხული არ უნდა იყოს, რომ აქემენიდური ირანი და ამიერკავკასია ნადირობის სცენების დინამიკური მანერით გადმოცემისას, იკვებებოდნენ მახლობელი აღმოსავლური ცენტრებიდანაც, კერძოდ, სირიიდან, სადაც ეს სიუჟეტი ფართოდ იყო გავრცელებული, განსაკუთრებით გვიანასურულ ხანაში [1, გვ. 236]. მაგრამ აღმოსავლურ-ირანული ხელოვნების ნიმუშების შედარება ადგილობრივ მასალებთან გვიჩვენებს, რომ ნადირობის სცენების სირიულ ან აქემენიდურ-პართულ პროტოტიპებს აღმოსავლეთ საქართველოში ბრმად კი არ იმეორებდნენ, არამედ შემოქმედებითად, თავისი ადგილობრივი პირველწყაროს საკმაოდ მძლავრი ზეგავლენის ვითარებაში, რის გამოც როგორც არაგვისპირული, ისე სამადლოს ნადირობის სცენები ატარებენ დამოუკიდებელ ნიშნებს (მაგ., ცხენის შეუბერებელ კუდი, მონადირეთა იკონოგრაფია, ჩატულობა, ცხენის გამოსახვის მანერა და სხვ.). ეს იმის საფუძველს გვაძლევს, რომ საქართველოში აღმოჩენილი ნადირობის სცენები, რომლებიც ას.წ. III საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება, მივიჩნიოთ ადგილობრივი და აღმოსავლური (სირიულ-ირანული) ტრადიციების ურთიერთშერწყმისა და ურთიერთზეგავლენის ნაყოფად. დასავლეთსა და აღმოსავლეთის მიჯნაზე აღმოცენებული იბერიისათვის ასეთი სინთეზი არ იყო უცხო კულტურის ბევრ სხვა სვეროშიც.

К. Р. Рамишвили

**СЦЕНЫ ОХОТЫ НА СЕРЕБРЯНЫХ
КУВШИНЧИКАХ ИЗ АРАГВИСПИРИ**
(резюме)

Серебряные кувшинчики со сценами охоты были обнаружены в 1974 г. на могильнике Арагвиспире (Душетский р-он), в погребении с богатым комплексом типа Армазисхеви (рис. 1). По погребальному инвентарю кувшинчики датируются второй половиной III в. н.э. [6, с. 2–3].

Кувшинчики по форме, технике изготовления и украшению идентичны и, по всей вероятности, происходят из одной мастерской, не исключено, что Мцхетской.

На одном кувшинчике изображена сцена охоты на оленях (рис. 2), на другом — на вепрей (рис. 3). В обоих случаях всадник — лучник охотится верхом, на "летающем коне". Сосуды (кувшинчики), видимо, являлись декоративными: серебряный листок был обтянут на заранее изготовленной деревянной болванке. Подобную технику иберийские мастера применяли при изготовлении декоративных ножек от лож или же кресел, что является особенностью местной школы топоров. Графические изображения всадников — охотников широко были распространены на Кавказе еще с эпохи поздней бронзы, но поза "летящего голопа", по всей вероятности, зарождается на Ближнем Востоке, откуда она распространяется на искусство ахеменидского Ирана.

В позднепарфянскую и сасанидскую эпохи сюжеты "летящего галопа" (рис. 4), видимо, проникают и в Иберию, но здесь данный сюжет на местной почве претерпевает значительные изменения. Указанный сюжет продолжает свое существование и в раннехристианском периоде (напр. в Атиене), но там он преобретает другое осмысление, соответственно христианской символике.

K. Ramishvili

**SCENES OF HUNTING ON THE SILVER
JUGS FROM ARAGVISPIRI**
(Summary)

Silver jugs with hunting scenes on them were found in 1974 in the burial ground of Aragvispiri (Dusheti district) in a burial with a rich Armaziskhevi type complex. According to the burial inventory the jugs are datable to the second half of the 3rd cent. A.D.

The jugs are identical in shape, technique of manufacture and decoration, probably coming from a single workshop, perhaps Mtskheta.

A scene of deer-hunting is represented on one of the jugs, and of wild boar-hunting on another one. In both cases the hunting archer is mounted on a "winged horse".

The vessels must have a decorative function: a silver sheet was applied round a ready-made wooden form. Iberian masters used this technique in making decorative legs of couches or armchairs, being a specific feature of the local school of toreutics.

Graphic representation of riding hunters were widespread in the Caucasus even from the Late Bronze Age, although the pose of the "flying gallop" in all likelihood arose in the Near East, whence it found its way into the art of Achaemenid Iran. The theme of "flying gallop" reached Iberia in the Late Parthian and Sasanian periods, though this subject suffered considerable changes on local soil. This theme continued onward even into the Early Christian period (e.g. in Ateni) though reinterpreted conformably to Christian symbolism.

ლიტერატურა

1. ქერაძი ქ. ღმერთები, აკლდამები და მეცნიერებები. თბ., 1972.
2. ხიდაშელი გ. ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეული რეინის ხანაში. თბ., 1982.
3. გაგოშიძე Ю. М. Самадло (археологические раскопки). Тб., 1979.
4. Луконин В. Г. Культура сасанидского Ирана. М., 1969.
5. Мачабели К. Н. Позднеантическая топоровка Грузии. Тб., 1976.
6. Рамишвили Р. М. Серебряные кувшинчики со сценами охоты из Арагвского ущелья. — IV международный симпозиум по грузинскому искусству. Тб., 1983.

ბესარიონ ჯორბენაძე

ადრეული შუა საუკუნეების სამარხი ნაგებობები და დაპრესალების წესი აღმოსავლეთ საქართველოში

უკანასკნელ წლებში საქართველოს სხვადა-
სხვა რეგიონში გამოვლენილია და გათხრილია
ადრეული შუა საუკუნეების სამაროვანები.
სრულ წარმოდგენას ამ პერიოდის
სამაროვნებზე ძირითადად იძლევა აღმოსავლეთ
საქართველოს ძეგლები. დასავლეთ
საქართველოში ისინი შედარებით ნაკლებადაა
შესწავლილი. ადრეული შუა საუკუნეების სა-
მაროვნების მიხედვით შეიძლება წარმოვიდგი-
ნოთ თუ რა ცელილებები მოხდა სამარხთა
ნაგებობებში და დაკრძალვის წესში მას შემდეგ,
რაც ოფიციალურ რელიგიად საქართველოში
ახ.წ. IV საუკუნის პირველი ნახევრიდან (337
წ) ქრისტიანობა გამოცხადდა.²²

აღმოსავლეთი საქართველოში IV-VIII სს. სა-
მარხების შემდეგი ტაბებია დადასტურებული: 1.
ორმოსამარხები, 2. ორმოსამარხები ქვის ფილე-
ბით გადახურული, 3. ხის სარკოფაგიანი ორმო-
სამარხები, 4. ქვისსამარხები, 5. ამოშენებულ-
კედლიანი სამარხები, 6. მიწისქვეშა აკლდამები,
7. ქვის სარკოფაგიები, 8. თიხის სარკოფაგიები,
9. კატაკომბები.²³

1. ქრისტიანობის გავრცელების ადრეულ
საფეხურზე სამაროვნებზე, როგორც წინა
პერიოდში, კვლავ გრძელდებოდა
ორმოსამარხებში დაკრძალვა (ტაბ. I).
სამარხებში ერთი ან ორი მიცვალებული
ასვენია მოკრუნჩულ პოზაში მარჯვენა ან
მარცხენა გვერდზე. გვხვდება გაშოტილად
დაკრძალვის შემთხვევები. ორმოს ზომებია 1,9 ×
0,67 × 0,3 მ. უნივალის სამაროვანზე ზოგიერთი
სამარხი შემოზღუდული იყო ერთობისად დალა-
გებული რიყისა და კლდის ქვებით.
ორმოსამარხები ძირითადად მიწაყრილიანია,
მაგრამ თხოთისა და უინვალის სამაროვნებზე
ზოგიერთი სამარხის გადახურვისათვის
გამოყენებულია ხის ძელები, მათ შორის
მუხისა. ამ ტაბების სამარხები გამოვლენილია
ურბნისის სამაროვანზე [28, გვ. 60-68, 83-88],
ს. აღაიანის თხოთის მთის სამაროვანზე [9, გვ.
89-91], უინვალის სამაროვანზე [27, გვ. 1-2],
დიდი ლიახვის აუზის სტირფაზის სამაროვანზე
[33, გვ. 11-19] და სხვა. მათში გამოვლენილი

²² წაკითხული იყო 1994 წლის 25 აპრილს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კოლოკვიუმზე „საქართველოს ადრე შუა საუკუნეების მატერიალური კულტურა (ახალი არქეოლოგიური კვლევის შედეგები)“.²⁴ მოხსენება იბეჭდება გერმანიაში. წარმოდგენილი სტატია მოხსენების შექვებული ვარიანტია.

²³ ტაბულები შეადგინა ბ. ჯორბენაძემ, ხოლო შეა-
სრულა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მხატვარ-არქიტექტორმა ე. სახაძემ. 76

თიხისა და მინის ჭურჭლით, ოქროს საყურებით, ოქროსა და ვერცხლის ბეჭდებით, მინის, სარდიონის, გიშრის მძივებით და სხვ.
სამარხები IV-V სს თარიღდება.

2. ორმოსამარხები ქვის ფილებით გადახუ-
რული, მიჩნეულია ორმოსამარხებიდან
ქვისსამარხებზე გარდამავალ ტიპად (ტაბ. I₂).
ორმოში ერთი ან ორი მიცვალებული წევს
გაშოტილად. გვხვდება მოკრუნჩულად
დაკრძალვის პოზა. გადახურვა შედგება ქვის
რამდენიმე ფილისგან. სამარხეული ორმოს
სიგრძე 1,8-დან 1,9 მ-დე მერყეობს, სიგანე
საშუალოდ – 0,5 მ. ამ ტიპის სამარხები გამო-
ვლენილია მცხეთაში [24, გვ. 258-259; 13, გვ.
134, 143-145], მატანში, იალსრის სამაროვანზე
[37, გვ. 112-118], ს. თრანის და ს. მაგრანეთის სამა-
როვნებზე [32, გვ. 66-67], უინვალის სამა-
როვანზე [27, გვ. 1] და სხვაგან. ამ სამარხებში
აღმოჩენილი ინვენტარით (თიხის ჭურჭლები,
მინის სანელსაცხებლები, ბრინჯაოსა და რკინის
ლეროიანი საკინძები, ბრინჯაოს ბეჭდები და
საყურები, ოქროს საყურები, ვერცხლის
მშვიდლდაკინძი და სხვ.) ორმოსამარხები ქვის
ფილებით გადახურული თარიღდება IV-V სს.

3. ორმოსამარხების თავისებურ სახეს
წარმოადგენს ხის სარკოფაგიანი ორმო-
სამარხები.²⁴ ხის სარკოფაგები III-IV სს ცნო.
ბილია ურბნისის [28, გვ. 68-76] და ზღუდრის
[10, გვ. 47-53] სამაროვნებიდან. ექვსი ხის
სარკოფაგიანი ორმოსამარხი გაითხარა 1981-
1982 წწ. ახალგორის რაიონის ს. ქვემო ალევში
[4, გვ. 42-47]. მოგრძო ბლაგვებულ ტაბები,
რომლის ძირი არის მოსწორებული, ესვენა
თითო მიცვალებული როგორც მოკრუნტულ, ისე
გაშოტილ მდგომარეობაში (ტაბ. I₃). მას
ზემოდან ხის ფიცრებისგან შეკრული „ლასტი“
ეფარა. ლასტის განივ ფიცრებს, თავბოლოში,
თითო ძელი ამაგრებდა, რომლებიც აღბათ თო-
კით ან ლაფანით იყო გადაბმული. ლასტს ზე-
მოდან ერთი ფენა მიწა ეყარა, შემდეგ წვრილი
სიპების ნატეხები. სამარხი ორმოს სიგრძე – 1,7
მ, სიგანე – 1,1 მ, ძელების სიგანე – 7-8 სმ. ამ
სამარხებში აღმოჩენილია ბრინჯაოს საკინძები
შექული მინის და სარდიონის მძივებით,
რკინის მშვიდლდაკინძი, ბრინჯაოს სამაჯური,
ვერცხლის საყურები და სხვ., რაც სამარხებს
ათარიღებს V ს-ის მეორე ნახევრით – VII ს-ის
დასაწყისით.

4. ადრეული შუა საუკუნეების სამარხებს
შორის ყველაზე გავრცელებული ტიპია ქვის-

²⁴ ამ სამარხების სახელი პირობითია, მაგრამ მაინც
გამოვყავით ცალკე ტიპად.

სამარხები. ისინი გამოვლენილია მცხეთის სამაროვნებზე [1, გვ. 135-136; 25, გვ. 11-18; 13, გვ. 132-149], რუსთავის სამაროვანზე [35, გვ. 71-82], მატნის იალსრის სამაროვანზე [37, გვ. 118-121], ერწოს ველის სამაროვნებზე [32, გვ. 67-68], დმანისის რაიონის ს. ვარდისუბნის სამაროვანზე [6, გვ. 37-41], ს. ქვემო ალევის სამაროვანზე [4, გვ. 10-53], ვაშლაჯვრის სამაროვანზე [12, გვ. 75-76], არაგვის ხეობის სამაროვნებზე [38, გვ. 84-88] და სხვა აღვილებში. ქვის სამარხების ასაგებად გამოყენებულია კლდის მთლიანი ერთი ან ორი ფილა, ხოლო ზოგ შემთხვევაში – ერთ-სამ რიგად და-ლაგებული ქვები (ტაბ. I₄). სამარხების ბანური გადახურვა შედგება რამდენიმე ფილისგან. გამონაკლისის სახით გვხვდება ორფერდა სახურავი. ამ ტიპის სამარხები ძირითადად გამოიყენებოდა საოჯახო და კრძალვისათვის. უკანასკნელი მიცვალებული ესვენა გაშოტილად, ხოლო წინამორბედთა ძვლები მიხვეტილია აღმოსავლეთით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამარხებში დაფიქსირებულია და კრძალვა მოკრუნჩულ პოზაში. ჩონჩხების რაოდენობა მერყეობს ერთიდან-თხუთმეტამდე. ქვის-სამარხების შიდა სიგრძე – 1,7-2 მ, სიგანე – 0,7-1 მ, სიღრძე – 0,8-1 მ. აღნიშნული ტიპის სამარხებში ინვენტარი ძირითადად წარმოდგენილია სამკაულით და ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთებით, ხოლო ბარის სამარხებში – მინის ჭურჭლით. გვხვდება ბიზანტიური და სასანური მონეტები. ყოველივე ეს საფუძველს იძლევა ქვის სამარხების გავრცელების პერიოდად მივიჩნიოთ IV-VIII სს.

5. ქვის სამარხების თავისებური სახეა ამოშენებულ კედლიანი სამარხები, რომლებიც გამოვლენილია მცხეთის სამაროვანზე [1, გვ. 19, 136; 25, გვ. 14-15; 13, გვ. 132-142], ს. მაღაროსკარის კართანის სამაროვანზე [18, გვ. 26] და სხვაგან. აღნიშნული ტიპის სამარხები საოჯახო განსასვენებელია. სამარხების გვერდითი კედლები (ტაბ. I₅) შედგება ოთხ-რვა რიგად დალაგებული სხვადასხვა ზომის კლდის ფილებისგან. სამარხები გადახურული იყო ერთიმეორებზე მიჯრილი ფილებით. გეგმაში ამ ტიპის სამარხები სწორკუთხაა. სამარხის შიდა სიგრძე – 1,4 მ, სიგანე – 0,95 მ, სიღრძე – 1,02 მ. სამარხებში და კრძალულია რამდენიმე მიცვალებული. ინვენტარის მიხედვით (მინის სანელსაცხებლები, ბრინჯაოს საკინძები, ბეჭდები, საყურებები და სხვ.) სამარხები მიეკუთვნება IV-VII სს.

6. ს. მაღაროსკართან, ადგილ კართანაზე (დუშეთის რაიონი), 1974-1987 წწ. ითხრებოდა ადრეული შუა საუკუნეების სამაროვანი [18, გვ. 23-31; 20, გვ. 20]. საყურადღებოა იქ გამოვლენილი კლდამები, რომლებიც გეგმით მართკუთხედია (ტაბ. II₁). მათგან ერთის (№ 50)

კედლები ქვედა ნაწილში შედგებოდა ვერტიკალურად დალაგებული ფილებისგან, ხოლო ზევიდან ჰორიზონტალურად ელაგა კლდისა და რიყის ქვები. გადახურული იყო კლდის დიდი ფილებით. შიდა სიგრძე – 2,1 მ, სიგანე – 1,4 მ, სიღრძე – 1, 4 მ. იატაკის დონეზე არეულად გამოვლენილ ჩონჩხის ბელებს თან ახლდა მრავალფეროვანი ინვენტარი: თიხის ხელადა, ბრინჯაოს ქამარი ინსიგნია, ბრინჯაოსა და ვერცხლის გემანი ბეჭდები, ბრინჯაოს მშვილდსაკინძები, მინის ბეჭდები და სხვ., რაც V-VI სს. მიეკუთვნება [38, გვ. 86].

1988 წელს ს. აწყურის (ახალციხის რაიონი) ციხის სამხრეთით გაითხარა შემთხვევით აღმოჩენილი აკლდამა [36, გვ. 91-92]. იგი წარმოადგენდა გეგმაში კადრატის ფორმის შენობას (ტაბ. II₂), რომელიც ნაგებია თლილი კვადრებისგან ორპირი წყობით, შუაში ხურდა ქვით დუღაბზე. წყობაში გამოყენებულია რიყის ქვებიც. შესასვლელი-დრომოსი დასავლეთის მხრიდან ჰქონდა. აკლდამის გარე ზომებია 6 ჩ 6 მ, კედლების სიმაღლე – 1,2 მ, სიგანე – 1,3 მ. გათხრებით დადგინდა აკლდამის თაღური გადახურვის გადაკეთების რამდენიმე ეტაპი. აკლდამის წყობის ხასიათი და კვადრების დამუშავების ტექნიკა ანალოგიურია ჭურემის ნაქალაქაზე გათხრილი ნაგებობისა და ქუთაისის უქმიერიონის გალავნის პირველი სამშენებლო დონისა. წყობის ხასიათი და თხრისას გამოვლენილი წითლადშელებილი კრამიტები საშუალებას იძლევა აწყურის აკლდამის აგების ხანად ახ.წ. V ს. მივიჩნიოთ, შემდგომი გადაკეთებით. აკლდამაში არეულად გამოვლენილი ადამიანის ჩონჩხის ძვლები და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები განვითარებულ შუა საუკუნეებს მიეკუთვნება.

აკლდამებს შორის გამოირჩევა დიდი მოცულობის მიწისქვეშა ნაგებობები, რომლებიც აღმოჩენილია ს. ძველ ანაგასთან ყოდოთოში, ივრის სიონში, წილკანში და სხვაგან.

ყოღოთოს ხეგში 1938-1939 წწ. გაითხარა სხვადასხვა ზომის 10 აკლდამა, ნაგები რიყის ქვით დუღაბზე [23, გვ. 47-73]. მათ აქვთ აღმოსავლეთ მხრიდან კამაროვანი კარი, საფეხურებიანი კიბე, დრომოსი და კავშირებული კამაროვან დასაკრძალავ კამერასთან (ტაბ. II₃). კამერაში მოწყობილია საცხედრები და საძალე. კამერების ზომებია: სიგრძე – 2,8-4,6 მ, სიგანე – 2,3-2,6 მ, სიმაღლე – 2,3-2,7 მ. საგარეულო აკლდამებში აღმოჩენილი ინვენტარით (ბრინჯაოს სამაჯურები, მშვილდსაკინძების ნატეხები, ვერცხლის საყურებე, რკინის შუბისპირი, გიშრისა და სარდინონის მძივები) ისინი VI-VIII სს. მიეკუთვნებიან. ყოღოთოს აკლდამები მთელი რიგი ნიშნებით ემსგავსება ივრის სიონის აკლდამას, რომელიც შედარებით უკეთ არის ნაგები.

ივრის სიონის აკლდამა გათხრილია 1962 წ. მის წყობაში გამოყენებულია კარგად დამუშავებული შირიმის კვადრები [15, გვ. 15-30]. აკლდამაში შესასვლელი მოწყობილია აღმოსავლეთის მხრიდან, სადაც დრომოსში, რომელიც მიერთება კამერისკენ, მოწყობილია საფეხური. კამერაში (3,45 x 3,7 მ) ორი ტახტია გაყოფილი ორ-ორად (ტაბ. II₄). აკლდამა, რომელიც ნაგებია გვიანნტიკური ტრადიციებით, თანადროულია იქვე გათხრილი ბაზილიკური ეკლესისა და მიეკუთვნება V ს მეორე ნახევარს. აღმოჩენილი ინვენტარი და ჩინჩების რაოდენობა მეტყველებს მის ხანგრძლივ გამოყენებაზე.

1979 წელს ს. წილქნის აღმოსავლეთით გაითხარა აკლდამა (ტაბ. II₅), ნაგები კარგად გათლილი ქვიშაქვის ქვათლილებით დუღაბზე [2, გვ. 199-202; 11, გვ. 39-40]. აკლდამას შესასვლელი აღმოსავლეთ მხრიდან აქვს, სადაც დრომოსში მოწყობილია ცამეტი საფეხური. დასაკრძალავ კამაროვან კამერაში (სიგრძე – 3,45 მ, სიგანე – 3,25 მ, სიმაღლე – 2,88 მ) ორი ტახტია მოწყობილი, გაყოფილი ორ-ორად. დაკრძალული იყო რვა მამაკაცი ქრისტიანული წესით. აკლდამა გაძარცულია. კედლებზე შემორჩენილია ბერძნული დაზიანებული წარწერა და ჯვრის გამოსახულებები. თარიღდება IV-V სს. წილქნის აკლდამა კონსტრუქციულად მსგავსია ივრის სიონის აკლდამისა.

7. ადრეულ შუა საუკუნეებში სამარხ ნაგებობათ შორის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენდა ქვის სარკოფაგი, რომელიც გავრცელებული იყო საქართველოში ანტიკური ხანიდან [3, გვ. 7-8].

ივრის სიონის (თიანეთის რაიონში) სამაროვნის გათხრისას 1962 წელს გამოვლინდა ორგანულფილებიანი სამარხი (შიდა სიგრძე – 1,99 – 2,02 მ, სიგანე – 0,6 – 0,63 მ, სიღრმე – 0,78 მ), რომლის იატაკი, კედლები და სახურავი შედგებოდა ქვიშაქვის მთლიანი ფილებისგან და ნაგები იყო მჭიდროდ [15, გვ. 54-58].²⁵ სამარხის ორივე განყოფილების კედლებს ზედა ნაწილში შემოუყვება 15 სმ სიგანის ჩუქურთმიანი ფრიზი გეომეტრიული ორნამენტით – წრეში ჩასმული ფოთლისებრი მოყვანილობის ჯვარედინი ნაჭდევი (ტაბ. II₆). სამარხი თარიღდება ფრიზით, რომლის მსგავსი მოტივები ცნობილია V-VI სს. საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლებზე – ბოლნისის ტაძარი, სვეტიცხოვლის უძველესი ნაგებობა, წრომის ეკლესია, ივრის სიონის ბაზილიკა და სხვ. ამრიგად ივრის სიონის სარკოფაგი თარიღ-

²⁵ სამარხი არ იყო გამოკვეთილი მთლიანად ქვაში, მაგრამ აღნაგობით ძალიან ემსავასება სარკოფაგს და წარმოადგენს მის თავისებურ სახეს. ამიტომ განვიხილავთ ამ ტიპის სამარხებთან.

დება V-VI სს., ხოლო მასში აღმოჩენილი ინვენტარი მიეკუთვნება XI-XIII სს., რაც მიუთითებს მის გვიანდელ გამოყენებაზე.

1971 წელს ს. ბალიჭმი (ბოლნისის რაიონი) შემთხვევით აღმოჩენილი სარკოფაგის გათხრისას ყურადღება მიიქცია მისმა ორგერდა სახურავმა, რომლის ზედაპირზე, აღმოსავლეთ ნაწილში, გამოსახული იყო რელიეფურად ტოლმელავიანი ჯვარი [29, გვ. 124-136; 22, გვ. 47-52]. სახურავის სამხრეთ ფერდზე შესრულებული იყო ქართული მთავრული ასოებით რელიეფური ორსტრიქონიანი სულის მოსახლეების წარწერა, რომელიც VI-VII სს. არის დათარიღებული [26, გვ. 137-143; 5, გვ. 144-147].

ქვის სარკოფაგი V-VII სს. აგრეთვე, გათხრილია ს. იაყუბლოში (დმანისის რაიონი) და რუსთავში.

დმანისის რაიონის ს. იაყუბლოში გათხრილია 1981 წელს შემთხვევით აღმოჩენილი სარკოფაგი, რომლის სახურავის შიგნით ამოკვეთილი იყო ბოლნური ჯვარი ჩასმული წრეში [30, გვ. 19-21].

რუსთავის ნაქალაქარის სამაროვანზე 1986 წელს გაითხარა ქვის ორი სარკოფაგი. № 1 სარკოფაგის სახურავის დასავლეთ ნაწილში ამოკვეთილია რელიეფური ჯვარი [39, გვ. 100-102].

8. თიხის სარკოფაგები აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა ადგილებში №21, გვ. 65-66. აღნიშნული ტიპის სამარხები შესწავლილია ურბნისში [28, გვ. 88-90]. ს. აღაიანში [8, გვ. 89-90; 9, გვ. 83-87], მდ. ქსნის მარცხენა ნაპირზე ს. ქანდასთან [9, გვ. 103-104], ს. საგურამოში და სხვაგან. სარკოფაგები აბაზნის მაგვარია, ნაკეთებია სქელკედლიანი, მოწითალოდ გამომწვარი თიხისგან (ტაბ. II₇). ზოგიერთ სარკოფაგს გვერდებზე შემოუყვება ჭდეური ორნამეტი. სარკოფაგებს თიხისავე სახურავები აფარიათ. აღაიანში თხოთის მთის სამაროვანზე სარკოფაგებს გადახურვაზე მიჯრით ელაგა მუხის ძელები. სარკოფაგები გამოყენებულია კოლექტიური დაკრძალვისათვის. ერთ სარკოფაგში გვხვდება დაკრძალვა მოკრუნჩხულ მდგომარეობაში და გაშოტილად. შიდა სიგრძე – 1,9-2,1 მ, სიგანე – 0,6-0,7 მ, სიღრმე – 0,35-0,4 მ. სარკოფაგებში აღმოჩენილია ბრინჯაოსლერობანი საკინძები, მინის ჭურჭელი და მძივები, ოქროს საყურეები, ბეჭდები, მონეტები და სხვ. მასალა IV-V სს. თარიღდება.

9. უინვალის სამაროვანზე გათხრილია 51 კატაკლმბა [27]. კატაკლმბების გასამართავად ამოღებულია წრიული ვერტიკალური ჭა (დიამ. – 1,2 მ), ხოლო დასაკრძალავი კამერა გამოთხრილია დასავლეთით (ტაბ. II₈). ის ოვალური ფორმისაა, თაღოვანი. მისი სიგრძეა –

1,5-2,4 მ, სიგანე – 1-2 მ, სიმაღლე – 1,1-1,7 მ. დასაკრძალავი კამერის აღმოსავლეთ მხარეს შესასვლელში, ჩადგმულია კამერის ჩამკეტი ქვები, რომლებიც უძრავლეს შემთხვევაში ემთხვევა კატაკომბაში არსებული ჩონჩხების რაოდენობას. ვერტიკალური ჭა იატაკის დონიდან ერთი მეტრის სიმაღლემდე მიწით იყო შევსებული, ხოლო შემდეგ ქვაყრილით – მიწის ზედაპირამდე. თითქმის ყველა კატაკომბა საოჯახო განასაკენებელია. დადასტურდა ერთდროული დაკრძალვა წარმართულად და ქრისტიანულად. სამარხებში აღმოჩენილი ინვენტარი (მინის, ბრინჯაოს, რკინის, ვერცხლის ბეჭდები, რკინის სამაჯურები, ბრინჯაოს და ოქროს საფურები, ვერცხლის პართული მონეტა და სხვ.) საშუალებას იძლევა კატაკომბები დავათარიღოთ IV ს. მიწურულით – VI ს. კატაკომბური ტიპის რამდენიმე სამარხი ა.წ. IV ს.-ისა აგრეთვე გათხრილია ს. აღაიანის თხოთის მთის სამაროვანზე [9, გვ. 84, 87-89].

აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანული რელიგიის გავრცელებამ გამოიწვია ცვლილებები სამარხთა ნაგებობებში და დაკრძალვის წესში [7, გვ. 56-62, 89-98; 34, გვ. 20-23].

გაჩნდა ახალი ტიპის სამარხები, რომლებიც დაკავშირებული იყო საოჯახო დაკრძალვასთან. ყველაზე გავრცელებული ტიპია ქვის სამარხები, აგებული სხვადასხვა რეგიონებისათვის დამახასიათებელი ქვის მასალისგან. ახალი ტიპის სამარხებიდან ზოგი ფართოდ გავრცელდა, ხოლო ზოგიერთი ლოკალურად ერთ რაობში.

სამარხების უმეტეს ნაწილს მიწატკებნილი იატაკი აქვს.

საოჯახო სამარხებში დაკრძალულია რამდენიმე მიცვალებული. წინამორბედთა ძვლები მიზეტილია აღმოსავლეთით, ხოლო უკანასნელი ასვენია გაშოტილად, თუ სამარხი თავის დროზე არ არის გაძარცული. ჩასვენება ხდებოდა დასავლეთის მხრიდან. ინდივიდუალური სამარხები ნაკლებად გვხვდება.

შეიცვალა სამარხის დამხრობა. თითქმის ყველა მიმართულია დასავლეთიდან აღმოსავლეთით, მცირეოდენი გადახრით. მიცვალებული დაკრძალულია ზურგზე გაშოტილად, თავით დასავლეთით, პირსახთ აღმოსავლეთისკენ, ხელები ნებისმიერად აქვთ დაწყობილი. ზოგიერთ სამარხში დაფიქსირებულია თანაარსებობა დაკრძალვისა ქრისტიანული წესით და წარმართულად – კიდურებმოკეცილი, გვერდზე. ანთროპოლოგთური მონაცემებით წარმართულად დაკრძალულები არიან ქალები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გვიანანტიკური ხანის (III-IV სს.) ბევრ სამაროვანზე დაფიქსირებულია ქრისტიანული დაკრძალვის რიტუალი [17, გვ. 34-37].

დაკრძალვის ახალი წეს-ჩვეულების შემოსვლასთან ერთდ შემცირდა სამარხებში ნივთების ჩატანება. სამარხეული ინვენტარი ძირითადად წარმოდგენილია სამკაულებით და ტანაცმელთან დაკავშირებული ნივთებით. ზოგიერთ სამაროვანზე გვხვდება მცირე რაოდენობით თიხისა და მინის ჭურჭლები, იარაღები და მონეტები.

ადრეული შუა საუკუნეების სამაროვნების შესწავლით დასტურდება, რომ აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში (ბარშიც და მთაშიც) არსებობდა დაკრძალვის ერთიანი წეს-ჩვეულება [16, გვ. 124-125; 19, გვ. 37-38; 31, გვ. 22-23; 14, გვ. 16-19].

В. А. Джорбенадзе

ПОГРЕБАЛЬНЫЕ СООРУЖЕНИЯ И ОБРЯД ЗАХОРОНЕНИЯ В ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ В РАННЕМ СРЕДНЕВЕКОВЬЕ (резюме)

За последнее время в Восточной Грузии выявлены и раскопаны погребений раннего средневековья, которые дают возможность проследить изменения в погребальных сооружениях и в обряде захоронений после того, как с первой половины IV в. (337 г.) официальной религией было обявлена христианство.

В Восточной Грузии на могильниках IV-VIII вв. зафиксированы следующие типы погребений: 1. грунтовые погребения; 2. грунтовые погребения, перекрытые каменными плитами; 3. грунтовые погребения с деревянным саркофагом; 4. погребения в каменных ящиках; 5. погребения со стенами в виде каменной кладки; 6. подземные склепы; 7. каменные саркофаги; 8. глиняные саркофаги; 9. катакомбы.

Они выявлены на могильниках в Мцхета, Цилкани, Агаяни, Згудери, Квемо Алеви, Урбиниси, Стырфази, Ацкури, Жинвали, Недзихи, Магароскари, Сиони Иорского ущелья, долине Эрцо, Рустави, Вашладжвари, Дзвели Анага (Когото), Матани, Баличи, Дманисском районе и др.

В связи с распространением христианства появились семейные погребения. Из новых типов погребения некоторые распространились широко, а некоторые локально в одном районе. В семейных погребениях кости ранее погребенных сдвинуты в восточную сторону, а последний покойник лежит в вытянутом положении, если погребение не потревожено. Погребение происходило с западной стороны.

Индивидуальные погребения встречаются редко.

Почти все погребения ориентированы с запада на восток с незначительными отклонениями. Скелеты лежат в вытянутом положении на спине, головой на запад, лицом к востоку. Руки скрещены на груди или вытянуты вдоль тела. В некоторых погребениях зафиксировано совместное захоронение как в вытянутом, так и в скорченном положении на боку. На основе антропологических данных, в скорченном положении захоронены женщины. Нужно отметить, что на многих позднеантичных погребениях (III-IV вв.) зафиксирован христианский обряд захоронения.

В связи с новым христианским обрядом захоронения, уменьшился погребальный инвентарь, который в основном представлен украшениями и предметами одежды. В малом количестве встречаются глиняные и стеклянные сосуды, оружия и монеты.

Среди склепов выделяются большие подземные сооружения, возведенные по позднеантичным традициям. Они имеют вход и ступенчатый дромос с восточной стороны, а также сводчатую камеру, где устроено специальное ложе для погребенных и костница. Склепы этого типа изучены около с. Дзвели Анага в Когото, Сиони Иорского ущелья, Цилкани и др.

В с. Баличи на крышке саркофага высечена поминальная древнегрузинская (асомтаврули) надпись. На каменных саркофагах в Баличи, Дманиси и Рустави, а также внутри склепа Цилкани имеется изображения креста. На стене Цилканского склепа сохранилась греческая надпись. Верхняя часть двухкамерного саркофага из Сиони Иорского ущелья изнутри обрамляет фриз с резным геометрическим и растительным орнаментами.

Изучением раннесредневековых погребений подтверждается, что в Восточной Грузии почти во всех регионах (на равнине и в горах) существовал единый обряд захоронения.

B. Jorbenadze

BURIAL STRUCTURES AND BURIAL CUSTOMS IN EASTERN GEORGIA IN THE EARLY MIDDLE AGES

(Summary)

Recently in Eastern Georgia burials of the Late Middle Ages have been identified and excavated, allowing to trace the changes in burial structures and burial customs after the proclamation of

Christianity as the official religion in the first half of the 4th century (337).

In Eastern Georgia at burial grounds of the 4th-8th centuries the following types of burials are attested: 1. pit-burials; 2. pit-burials covered with flagstones; 3. pit-burials with wooden sarcophagi; 4. burials in stone cists; 5. burials with walls in the form of masonry; 6. underground vaults; 7. stone sarcophagi; 8. clay sarcophagi; 9. catacombs.

These were discovered at the Necropolis of Mtskheta, Tsilkani, Aghaiani, Zghuderi, Kvemo Alevi, Urbnisi, Stirfasi, Atsquri, Zhinvali, Nedzikh, Magharoskari, Sioni of the Iori Gorge, in the valley of Ertso, Rustavi, Vashlavvari, Dzveli Anaga (Qogho), Matani, Balichi, in Dmanisi district etc.

In connection with the dissemination of Christianity family burials appeared. Of the new-type burials some spread widely, others only locally in one district. In family burials bones of the deceased buried earlier were moved to the eastern side. The last corpse lies in extended posture if the burial was not damaged. Burial took place from the western side. Individual burials are seldom met.

Almost all the burials were oriented from west to east, with insignificant deviation. Skeletons lie on the back in extended posture with the head toward the west and the face toward the east. The arms are crossed on chest or extended along the body. In some burials both postures – extended and crouched on one side – are attested. According to anthropological data women were buried in crouched posture. It should be noted that the Christian burial custom is in evidence in many burials of the Late Classical Period (3rd-4th centuries).

In connection with the new Christian custom of burial the inventory decreased, being mainly represented by ornaments and garments. Clay and glass vessels, arms and coins occur in small number.

Among the vaults large underground structures built according to late Classical traditions are notable. They have the entrance and the stepped dromos from the eastern side as well as a chamber with a special couch for the deceased and a tomb. Vaults of this type were studied near the village of Dzveli Anaga (Qogho), Sioni of the Iori Gorge, Tsilkani, etc.

In the village of Balichi a commemorative inscription in Old Georgian (*Asomtavruli*) was made on the cover of the sarcophagus. On the stone sarcophagi from Balichi, Dmanisi and Rustavi, as well as inside the vault in Tsilkani a Greek inscription is preserved. In the two-chamber

sarcophagus from Sioni (Iori Gorge) the upper part is framed with a frieze with carved geometric and vegetable ornament.

The study of the early medieval burials points to the existence of a single burial custom in almost all regions (both in the plain and in the mountains) of Eastern Georgia.

ლიტერატურა

1. აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ. მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. ტ. I, თბ., 1955.
2. აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი გ., მელითაური პ. და სხვ. დიდი მცხეთა. 1979. — მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. ტ. VI, თბ., 1982, გვ. 191-218.
3. აფაქიძე გ. ქვის სარკოფაგები საქართველოში. — ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია. მუშაობის გეგმა, მოხსენებათა მოკლე შინაარსი, თეზისები. თბ., 1973, გვ. 7-8 (ია ინ-ტი).
4. აფხაზავა ნ. ქვემო აღვენ ადრეულ შუა საუკუნეებში. თბ., 1988.
5. ბარნაველი თ. ბალიჭური ქვის სამარხის წარწერის წაკითხვისათვის. — მაცნე. ისტორიის... სერია, № 2, 1972, გვ. 144-147.
6. ბოლქვაძე გ. ადრეული შუა საუკუნეების სამარვანი დაბანისის რაიონიდან. — მმ, № 66, 1984, გვ. 37-41.
7. ლომთათიძე გ. საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა I-XIII ს. თბ., 1977.
8. მაკალათიძ ს. არქეოლოგიური აღმოჩენები საქართველოში: სოფ. საკობიანოში, დაბლა-გომში და აღაიანში. — სსმმ, ტ. XI-ი, 1941, გვ. 81-90.
9. მირიანაშვილი ნ. შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბ., 1983.
10. ნემსაძე გ. ზღუდრის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964-1966 წწ. ჩატარებული მუშაობის შედეგები. — სსმმ, 1969, გვ. 45-56.
11. ნიკოლაიშვილი გ. ახლადაღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები ისტორიული დიდი მცხეთის ტერიტორიაზე. — მმ, № 63, 1983, გვ. 35-41.
12. ნიკოლაიშვილი გ. ვაშლაჯვარის სამარვანი. — სას, II, 1979, გვ. 63-77.
13. ნიკოლაიშვილი გ., გიუნაშვილი გ., დლონტი ნ. მცხეთისგორის სამარვანი. — მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. ტ. VII, თბ., 1985, გვ. 132-150.
14. რამიშვილი რ. აღმოსავლეთ საქართველოს მთანეთის გაქრისტიანების ძირითადი საფეხურები და თავისებურებანი არქეოლოგიური მასალების და წერილობითი წყაროების მიხედვით. — ადრეული ქრისტიანობის მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 1996, გვ. 16-19 (აკც).

15. რამიშვილი რ. ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. 1. სიინი. თბ., 1970.

16. რამიშვილი რ. მთისა და ბარის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი არაგვის ხეობის ახალი არქეოლოგიური მასალების მიხედვით. — ქინვალის ექსპედიცია (მეორე სამეცნიერო სესიის მასალები). თბ., 1980 (1981), გვ. 98-154.

17. რამიშვილი რ., კუჭუხიძე გ. დაკრძალვის ქრისტიანული რიტუალის დამკვიდრება საქართველოში. — ქრისტიანული ცივილიზაცია და საქართველო. მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 1994, გვ. 34-37 (აკც).

18. რჩეული შვილი გ. ფშავის არაგვის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1990.

19. რჩეული შვილი გ., რობაქიძე ც., ჩიხლაძე გ. არაგვის ხეობის ადრე შუა საუკუნეთა ხანის სამაროვნები და მთაში ქრისტიანობის გავრცელების საკითხი. — ქრისტიანული ცივილიზაცია და საქართველო. მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 1994, გვ. 37-38 (აკც).

20. რჩეული შვილი გ., რობაქიძე ც., ჩიხლაძე გ. დაკრძალვის ქრისტიანული რიტუალის გავრცელების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მთანეთში არაგვის ხეობის მასალების მიხედვით. — ადრეული ქრისტიანობა და საქართველო. მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 1996, გვ. 20 (აკც).

21. სინაურიძე მ. თიხის სარკოფაგები ადრე-ქრისტიანული ხანის საქართველოში. — ქრისტიანული ცივილიზაცია და საქართველო. მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 1994, გვ. 65-66 (აკც).

22. სინაურიძე მ. კაზრეთის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1985.

23. სინაურიძე მ. ქიზიყის 1938-1939 წწ. არქეოლოგიური ექსპედიციის მასალები. — სსმმ, ტ. XXV-ი, 1968, გვ. 47-88.

24. ტყეშელაშვილი თ. ადრეფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის ძეგლები სამთავროს სამაროვნიდან. — სსმმ, ტ. XIX-ი 1956, გვ. 255-280.

25. უგრელიძე ნ. ადრეულ შუა საუკუნეთა ქართლში მინის წარმოების ისტორიისათვის. თბ., 1967.

26. შანიძე ა. ბალიჭური სარკოფაგის წარწერა. — მაცნე. ისტორიის... სერია, № 2, 1972, გვ. 137-143.

27. ჩიხლაძე გ. უინვალის კატაკომბები. თბ., 1990. პრეპრინტი.

28. ჭილაშვილი ლ. ნაქალაქარი ურბნისი. თბ., 1964.

29. ჯაფარიძე გ. სოფელ ბალიჭის სარკოფაგი ქართული ასომთავრული წარწერით. — მაცნე. ისტორიის... სერია, № 2, 1972, გვ. 124-136&

30. ჯაფარიძე გ., კოპალიანი ჯ., ბოლქვაძე გ. დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში. — არქეოლოგიური კვლევის ცენტრის არქეოლოგიურ ძეგლთა დოკუმენტაციისა და პუბლიკაციის განყოფილების არქივი. თბ., 1982.

31. ჯორბენაძე ბ. ადრე შუა საუკუნეების სამაროვნები არაგვის ხეობაში. – რუსთავის დამოუკიდებელი ინსტიტუტი. პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა II რესპუბლიკური სამეცნიერო სესია. მოქსენებათა თეზისები. რუსთავი, 1995, გვ. 22-23.

32. ჯორბენაძე ბ. ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. IV. ერწო-თიანეთი შუა საუკუნეებში. თბ., 1982.

33& Гаглоев Р. X. Стырфазский могильник. Цхинвали, 1984.

34. Гоцадзе К. М. Погребальный обряд в позднеантичной и раннесредневековой Восточной Грузии. – Автор. дисс. на соиск. учен. степени канд. ист. наук. Тб., 1990.

35. Иващенко М. М. Руставский могильник. – რუსთავი. არქეოლოგიური გათხმები. 1946-1965. თბ., 1988, გვ. 71-86.

36. Личели В. Т. Раскопки в с. Ацкури. – ПАИ, 1988 (1997), с. 91-92.

37. Рамишвили Р. М. Исследование раннефеодального могильника "Иагсари". – ТКАЭ, т. I, 1969, с. 111-127.

38. Рамишвили Р. М., Джорбенадзе В. А., Чиковани Г.Ч. и др. Археологическое изучение Арагвского ущелья. – ПАИ, 1984-1985 (1987), с. 74-89.

39. Чикоидзе Ц. Н., Арчадзе Т. Д., Чхатаравиши М. Н. и др. Полевые исследования Кухетской экспедиции. – ПАИ, 1986 (1991), с. 99-102.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I₁ – უინგალის სამაროვანი, ორმოსამარხი.

ტაბ. I₂ – მატანი, იაღსრის სამაროვანი, ორმოსამარხი ქვის ფილებით გადახურული.

ტაბ. I₃ – ქვემო ალევი, ხის სარკოფაგიანი ორმოსამარხი.

ტაბ. I₄ – მაგრანეთი, საცხვრევორის სამაროვანი, ქვისამარხი.

ტაბ. I₅ – მცხეთა, მარტაზისხევის სამაროვანი, ამოშენებულკედლიანი სამარხი.

ტაბ. II₁ – მაღაროსკარი, კართანის სამაროვანი, აკლდამა.

ტაბ. II₂ – აწყური, აკლდამა.

ტაბ. II₃ – ბველი ანაგა, ყოღოთო, აკლდამა.

ტაბ. II₄ – ივრის სიონი, სამაროვანი, აკლდამა.

ტაბ. II₅ – წილკანი, აკლდამა.

ტაბ. II₆ – ივრის სიონი, სამაროვანი, ქვის სარკოფაგი.

ტაბ. II₇ – საგურამო, თიხის სარკოფაგი.

ტაბ. II₈ – უინგალის სამაროვანი, კატაკომბა.

Описание таблиц

Табл. I₁ – Жинвальский могильник, грунтовое погребение.

Табл. I₂ – Матани, могильник Иагсари, грунтовое погребение, перекрытое каменными плитами.

Табл. I₃ – Квемо Алеви, грунтовое погребение с деревянным саркофагом.

Табл. I₄ – Магранети, могильник Сацхвергора, погребение в каменном ящике.

Табл. I₅ – Мцхета, могильник Мартазисхеви, погребение со стенами в виде каменной кладки.

Табл. II₁ – Магароскари, могильник Картана, склеп.

Табл. II₂ – Ацкури, склеп.

Табл. II₃ – Дзвели Анага, Когото, склеп.

Табл. II₄ – Сиони Иорского ущелья, могильник, склеп.

Табл. II₅ – Цилкани, склеп.

Табл. II₆ – Сиони Иорского ущелья, могильник, каменный саркофаг.

Табл. II₇ – Сагурено, глиняный саркофаг.

Табл. II₈ – Жинвальский могильник, катакомба.

Description of the Plates

Pl. I₁ – The Zhinvali necropolis, pit burial

Pl. I₂ – Matani, the Iaghsari necropolis, pit-grave covered with slabs.

Pl. I₃ – Kvemo Alevi, pit-grave with a wooden sarcophagus.

Pl. I₄ – Magraneti, Satskhvregora necropolis, stone-built grave.

Pl. I₅ – Mtskheta, Martaziskhevi necropolis, stone-lined grave.

Pl. II₁ – Magharoskari, Karthana necropolis, tomb.

Pl. II₂ – Atsqruri, tomb.

Pl. II₃ – Dzveli Anaga, Qogoto, tomb.

Pl. II₄ – Ivisi Sioni, necropolis, tomb.


Pl. II₅ – Tsilkani, tomb.

Pl. II₆ – Ivisi Sioni, necropolis, stone sarcophagus.


Pl. II₇ – Saguramo, clay sarcophagus.

Pl. II₈ – Zhinvali necropolis, catacomb-grave.

გაბ. I



ঘোষ. II



თემურაზ ჩიქოგანი

ჯარგვალური სამშენებლო ტექნიკა – კედლის შემკვრელი ძელის თავების ერთიერთ ჩაჭდევის ხერხი ანუ „კოჭახური“ – კაცობრიობის ერთ-ერთი ფენაზე უძველესი კულტურულ-ისტორიული მონაპოვარია. ამჟამად ეჭვს აღარ იწვევს ის შეხედულება, რომ ერთმანეთისაგან უაღრესად დაშორებულ რეგიონებში, სადაც კი ამგვარი სამშენებლო ტექნიკა დასტურდება, იგი საონტანურადა აღმოცენებული. ამაზე პირველ რიგში მეტყველებს ამ სამშენებლო ტექნიკის სიმარტივე და კონსტრუქციული ლოგიკურობა.

მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში ჯარგვალური სამშენებლო ტექნიკის დამოუკიდებლად აღმოცენების გარკვევის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს კონკრეტულად აღებულ რომელიმე რეგიონში მისი გარეცელების არეალის ეთნოარქეოლოგიური ასპექტით შესწავლას, რომლის დროსაც აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნას კულტურულ-ისტორიული მიმღების ფაქტორი.

არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, რომლებსაც მხარს უმაგრებენ უძველს წერილობით წყაროებში არსებული მონაცემები, ჯარგვალური შენობა-ნაგებობების გაგრცელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან რეგიონს კავკასია, კერძოდ კი საქართველო წარმოადგენს. საქართველოს ტერიტორიაზე, შემკვრელი ძელების ერთმანეთთან თავებით ჩაჭდევის – კოჭახურის ტექნიკის გამოყენებით ნაშენი ნაგებობის ყველაზე ადრეული ფრაგმენტი სამგორის ველზეა დადასტურებული და ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით თარიღდება [5, გვ. 710]. სამგორის კოხტრიგორაზე აღმოჩენილი ძელური ნაგებობის ნაშთში, კერძოდ კი მისი ერთი კედლის კუთხის ფრაგმენტში, სრულიად ნათლად დასტურდება კოჭახურის ტექნიკის გამოყენების ფაქტი. ეს კი იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ აღნიშნულ ეპოქაში – ადრესამეურნეო პერიოდში – საქართველოს ტერიტორიაზე ჯარგვალური მშენებლობა კარგანის ათვისებული უნდა ყოფილიყო.

1960-1980 წწ. წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა კიდევ უფრო ცხადჰყო საქართველოს ტერიტორიაზე კოჭახურის ტექნიკის გამოყენებით ნაშენ შენობა-ნაგებობათა ადრეულ პერიოდში არსებობის უტყუარობა. მისი გავრცელების სიხშირესა და ფართო დიაპაზონზე თვალნათლივ მეტყველებს ისტორიული კოლხეთისა (ჭალადიდი, ანაკლია, საქორქიო, ისპანი, ფიჭვარი, ვანი, ადეიშვილებისგორა, იმერეთის გორიკები, ფიჩორი) და აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (კოხტრიგორა, ბედენი, ხაშური, ხაშურის ნაცარგორა) მიკვლეული ძელურ ნაგებობათა ნაშთები [10, გვ. 52; 16; 9,

გვ.8-9; 6; 3, გვ. 57, 59, 61; 17, გვ. 253, 262; 2, გვ. 6].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, არქეოლოგიურ მონაცემებს მხარს უბამენ უძველესი წერილობითი წყაროებიც. მხედველობაში გვაქვს ქსენოფონტეს „ანაბასისში“ და ვიტრუვიუსის ცნობილ ნაშრომში არსებული მონაცემები, რომელთა მიხედვითაც ძვ.წ. IV და ა.ს.წ. მიჯნაზე ჯარგვალურად ნაშენი შენობა-ნაგებობები კოლხეთში ფართო სიხშირით ყოფილა გავრცელებული [1, გვ. 57, 92, 96; 24]. ამგვარი ტექნიკით ნაშენ შენობა-ნაგებობად წარმოგვიდგენია სამხრეთ-დასავლურ უძველეს ქართველურ ტომებში გავრცელებული ძელური სახლებისა და სიმაგრეების ქსენოფონტესული და ვიტრუვიუსისეული დანახასიათება-აღწერილობები, რომელთა საფუძველზე ისინი გრაფიკულად აღადგინეს გ. ლესაგამ, მ. ჯანდიერმა, ლ. სუმბაძემ, გ. ყიფიანმა და ნ. ამაშუკელმა [19, გვ. 53; 24; 13, ტაბ. IV-VI].

ა.ს.წ. პირველი საუკუნეებიდან მოყოლებული, თითქმის XVII ს. საქართველოს ტერიტორიაზე ჯარგვალური შენობა-ნაგებობათა შესახებ წერილობით წყაროებში რამე ხელმოსაკიდი ცნობა არ დასტურდება. ამ მიმართებით არც არქეოლოგიურად ვრცელდება. სამაგიეროდ XVII ს. პირველი ნახევრიდან და შემდგომშიაც საქართველოში მოღვაწე იტალიელმა მისიონერებმა საყურადღებო ცნობა დაგვიტოვეს. ცნობებს ხშირ შემთხვევაში თან ახლავს გრაფიკული მასალაც, რომლებიც უფრო ნათელს ხდიან კოლხეთში გავრცელებული კოჭახურის ტექნიკით ნაშენი, სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობათა გარეგნულ იერს. ამგვარი ტექნიკით მშენებლობა აღნიშნულ ეპოქაში იმდენად ფესვგამჯდარი ყოფილა, რომ ჯარგვალურ აშენებდნენ არა მარტო საცხოვრებელს, არამედ ბოსელს, საბძელს, ბეღელს, ხულას, ბოგირს, ხიდს, ჯიხურს და ეკლესიას [7, ტაბ. 346, 363, 420, 422, 426, 430; 8, გვ. 39-40]. აქვე უნდა შევინიშნოთ ისიც, რომ გვიანდელ შუა საუკუნეებში, კოჭახურის ტექნიკით ნაგები ხის ეკლესიები დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში თითქმის ჩვენი დროის 40-იან წლებამდე იყო შემონახული.

თუ იტალიელ მისიონერთა ცნობებს კარგად გავანალიზებთ, დავინახავთ, რომ აღნიშნულ ეპოქაში, ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე, კოჭახურის ტექნიკით მშენებლობა განვითარების ახალ საფეხურზეა ასული, რადგანაც უბრალო ძელურ სახლებთან ერთად ე.წ. „პიტაფიცარებიც“ – ფიცრული სახლებიც უკვე ფართოდაა გავრცელებული. ამასთანავე ერთად, კოჭახურის ტექნიკის მაღად დონეზე ისიც მეტ-

კველებს, რომ იმავე მისიონერების ცნობებით, ასაწყობი ფიცრული სახლების ერთი ადგილი-დან მეორეზე გადატანა ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა [8, გვ. 207]. სხვათაშორის პი-ტაფიცარას დაშლილი სახით გადატანის ტრა-დიცია დასავლეთ საქართველოში (აჭარა, იმე-რეთი, გურია, სამეგრელო, რაჭა) ამჟამადაც მოქმედებს, რაც თავის მხრივ უწყვეტ კულ-ტურულ მიმღებაზე მეტყველებს.

მის ძელურ კედლებს შორის დარჩენილი ღრი-
ჭობი ამჟამადაც აუცილებლად უნდა ამოქმ-
ლოს, რისთვისაც იყენებენ ხაგსის, ტალახში ან
თიხაში აზელილ ბალახს და ნაფოტებს. ასე
რომ, ჯარგვალურად მშენებლობის უძველესი
ტრადიცია საქართველოში ამჟამადაც არ სებობს.

თუ ამჟამინდელ არქეოლოგიურ და უძველეს-
ის წერილობითი წყაროების მონაცემებს რეკა-
ზე დავიტანთ, ჯარგვალურად ნაშენი შენობა-ნა-




კოჭახურის სამშენებლო ტექნიკის გარდა, უწყვეტ კულტურულ-ისტორიულ მიმღებაზე მეტყველებს, აგრეთვე, ჯარგვალური ტიპის ნა-გებობასთან დაკავშირებული სამოსახლო ადგი-ლის – ნიადაგის ხელოვნურად გამყარებისა და ძელთა შორის დარჩენილი ღრიფოების ამოვსე-ბის დღემდე შემონახული ჩვეულება. ამის და-მადასტურებელი შორეული მაგალითია „საქორ-ქიოს ნამოსახლარის“ ერთ-ერთი სათავსო, რომ-ლის ბლანტი ნიადაგი მსხვილი ტოტებითა და უხეშად მოწნული ლასტებით იყო გამყარებული [10, გვ. 52]. ბლანტი იატაკის გამყარების ტრადიცია კოლხეთის დაბლობში ამჟამადაც არაა მივიწყებული და შემდეგნაირად მიმდინა-რეობს: სამოსახლოს ბლანტი ნიადაგი ჯერ მსხვილი ტოტებით უნდა მოიფინოს, რომელ-ზედაც შემდეგ მსხვილად მოწნული ლასტები დალაგდება და მერე მიწის საკმაოდ დიდი ფენა დაეყრება. მიწის ფენა, როდესაც ერთ დონეზე გასწორდება, შემდეგ იგი საგულდაგულოდ დაი-ტეპნება. ამგვარად მყარდება ბლანტი ნიადაგი.

„კოლხები სახლის“ აღწერისას ვიტრუვი-
უსი აღნიშნავს, რომ მის ძელურ გედლებს
შორის დარჩენილ ღრიფოებს კოლხები საგულ-
დაგულოდ ამოქოლავენ ხოლმეო [24, გვ. 48].
ჯარვალური ტიპის ნაგებობის მშენებლობისას,
86

გებობები კოლხეთს საკმაო სიხშირით მოეფინება, რასაც ვერ ვიტყვით აღმოსავლეთ საქართველოზე. მიზეზი მარტივია. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ძელური ნაგებობის ნაშთები, ჯერჯერობით მხოლოდ სამღორის ველის კოხრიგორაზე, ბედენსა და ხაშურის ნაცარგორაზეა მიკვლეული. ამასთვანავე ერთად ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ კოლხეთის დაბლობი სუბტროპიკული ზონაა და მისი გეოკლიმატური პირობები (ხშირი ატმოსფერული ნალექები, ბლანტი ნიადაგები, ტყის ფართო მასივები) ძელური ნაგებობების წარმოშობა-გავრცელების ხელსაყრელ გარემოს წარმოადგენს. აღმოსავლეთ საქართველოს გეოკლიმატური პირობები კოლხეთისაგან საკმაოდ განსხვავდებულია, რის გამო საქართველოს აღნიშნული რეგიონისათვის უფრო ქვისგან ნაგები სახლებია საჭირო, რაც ისტორიულადაც დასტურდება. მაგრამ, ამგვარი ვითარების მიუხედავად, აღმოსავლეთ საქართველოში ძელურ-ფიცრული ნაგებობები იშვიათობას სრულებითაც არ წარმოადგენდა. პირიქით, XIX ს. მეორე ნახევრისა და XX ს. პირველი ნახევრის ეთნოგრაფიული მონაცემებით, ძელებისა, ანდა ფიცრების თავების ურთიერთ ჩაჭდევა – კოჭახურის ტექქიკა აქაც ფართო სპეცტრით გამოიყენებოდა. ამგვა-

რად ნაშენი შენობა-ნაგებობები განსაკუთრებული სიხშირით იყო გავრცელებული ისტორიული თორის ტერიტორიაზე, ანუ დღევანდელი ბორჯომის რაიონში, სადაც დღესაც მასიურადა შემონახული ძელურ-ფიცრული სახლები და სხვა დანიშნულების ნაგებობანი. შედარებით მეტნაკლები სიხშირით იყო გავრცელებული შიდა და ქვემო ქართლის ტყიანი ზონის სოფლებში. აგრეთვე ახმეტა-თიანეთისა და არაგვის ხეობის ქვედა წელის დასახლებულ პუნქტებში. ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე ისტორიული აღმოსავლეთ კახეთის ქართულ მოსახლეობაში – საინგილოში, სადაც ჯარგვალური ტიპის ძელურ-ფიცრული ნაგებობები ჯერ კიდევ საკმაო რაოდენობითაა [1, ტაბ. 24, 25, 27, 30].



როგორც უკვე აღვნიშნეთ, კოჭახურის ტექნიკით ნაშენი შენობა-ნაგებობების გავრცელების სიხშირით, საქართველოს რეგიონებში, რასა-კვირველია, ისტორიული კოლხეთის დაბლობი გამოიჩინა, რომელიც ამგვარად ნაგები სახლების მოდიფიცირებული ნაირსახეობების კლასიკურ მხარედ უნდა ჩაითვალოს.

ამ მოკლე მიმოხილვიდან დავინახეთ, რომ კოჭახურის ტექნიკით მშენებლობის გავრცელების არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული არეალი და სიხშირე საკმაოდ განსხვავებულ სურათს იძლევა. ეს არცაა გასაკვირვი, რადგანაც მატერიალური კულტურის ამსახველი რეალიები, ჩვენ შემთხვევაში ძელური ნაგებობები, არქეოლოგიურისაგან განსხვავებით, მიწისზედა თვალსაჩინოებაა. მაგრამ მთავარი ეს როდია.

მთავარი და ხაზგასასმელი ისაა, რომ ჯარგვალური სამშენებლო ტექნიკის ტრადიციის უწყვეტობა საქართველოს ტერიტორიაზე დიდი ქრონოლოგიური დიაპაზონით ფიქსირდება და ამჟამინდელი მონაცემებით ოთხიათას წელზე მეტს მოიცავს. ასე რომ, კოჭახურის სამშენებლო ტექნიკის ტრადიციის უწყვეტი მიმღება, მისი გავრცელების არეალის სიხშირე და გამოყენების ფართო სპექტრი, ამგვარი ტექნიკით მშენებლობა, ადგილობრივ, თვითმყოფად ეთნოკულტურულ ნიადაგზე აღმოცენებისა და განვითარების სასარგებლოდ მეტყველებს.

ჩვენ უშუალო მეზობელ ქვეყნებს – სომხეთსა და აზერბაიჯანს ჯარგვალური სამშენებლო ხელოვნების გავრცელების მიხედვით თუ მიმო-

ვინილავთ, შემდეგი სურათი წარმოჩინდება: ამ ორივე ქვეყანაში კოჭახურის ტექნიკით ნაშენი შენობა-ნაგებობათა რაიმე თვალშესახები ნაშთები არქეოლოგიურად ჯერჯერობით მიკვლეული არაა. არც უძველეს წერილობით წყაროებშია რაიმე არსებითი. თუმცა ზოგიერთ წყაროში, მხედველობაში გვაქვს ქსენოფონტეს „ანაბასისი“ სომხური საცხოვრებლის შესახებ ფრიად საინტერესო აღწერილობაა. ირანში ლაშქრობიდან სამშობლოსაკენ მიმავალმა ქსენოფონტემ, თავის ლაშქართან ერთად მთელი სომხეთი გაიარა და სხვასთან ერთად სომხური სახლის აღწერილობაც დაგვიტოვა. ქსენოფონტეს ცნობის მიხედვით, ძვ.წ. IV ს. სომხური სახლი ტიპიური ერთობის მიწურია [18, გვ. 138], რაც ესოდენ დამახასიათებელი იყო სომხეთის ეთნო-

გრაფიული ყოფისათვის [14, გვ. 101-103]. ძველი სომხეთის ტერიტორიაზე ძელურ-ჯარგვალური ან რაიმე სხვა ტიპის ნაგებობები რომ ყოფილიყო, ისეთ დაკვირვებულ პიროვნებას, როგორიც ქსენოფონტე იყო, რასაკვირველია, მის თვალ-საწიერს არ გამორჩებოდა. ამომწურავად თუ არა, გაკვრით მაინც რაღაცას ჩაინიშნავდა. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ კოჭახერის ტექნიკა თანამედროვე სომხური ყოფისათვის უცნობია. რასაკვირველია არა. სომხეთის ტყავანი ზონის (იჯევანი, დილიუანი, ბერდი) სოფლებში აქ-იქ ჯერ კიდევ განაგრძობენ არსებობას ჯარგვალურად ნაშენი სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები – ქოხსახლი, საბძლი, კარაპანი. ეს კი ასეა, მაგრამ რაც მთავარია, ჩვენთვის უცნობია მისი ყველაზე აღრეული ეგზემპლარების სიღრმისეული პერიოდი.

ანალოგიური ვითარებაა აზერბაიჯანში, რომლის ტერიტორიაზე, ასევე ჯერჯერობით, ძელური შენობა-ნაგებობის ნაშთები არ არის მიკლეული. რაც შეეხება ეთნოგრაფიულ მონაცემებს, ამგვარი ტექნიკის შენობა-ნაგებობები დასტურდება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზერბაიჯანში, ირანული მოდგმის თალიშებით დასახლებულ რეგიონში – ლენქორანის ზონაში და ისტორიულ აღმოსავლეთ კახეთის პროვინცია საინგილოში, სადაც ქართულ მოსახლეობაში ჯარგვალური ნაგებობები ჯერ კიდევ საკმაო რაოდენობითაა [1, ტაბ. 24, 25, 27, 30].

არქეოლოგიურმა, უძველეს წერილობით წყაროებში არსებულმა და ეთნოგრაფიულმა მონაცემებმა ცხადჰყო, რომ ჯარგვალური ტიპის შენობა-ნაგებობები სამხრეთ კავკასიაში ნიშანდობლივად ქართული ეთნოკულტურული სამყაროსათვისაა დამახასიათებელი და როგორც უკვე ითქვა, ამჟამინდელი მონაცემებით მისი ქრონოლოგიური დიაპაზონი ოთხიათასწლეულს მოიცავს.

ახლა გავერკვეთ ამ მხრივ რა ვითარებაა ჩრდილოეთ კავკასიაში, რომელიც ისტორიულადვე დიდი ეთნიკური სიჭრელითა ცნობილი. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დიდი ეთნიკური სიჭრელის მიუხედავად, მათი ეთნოგრაფიული ყოფა, ერთმანეთისაგან მაინც დამატებით არ განსხვავდება, რის მიზეზიც, ალბათ, კავკასიური სუბსტრატიც უნდა იყოს. და თუ რაიმე სიღრმისეული განსხვავდა, მხოლოდ აბორიგენებსა და გვიანმოსულ, არაკავკასიური წარმომავლობის ხალხთა შორის შეინიშნება. რაც შეეხება ჩვენთვის საინტერესო საკითხს – კავკასიის ამ რეგიონში ჯარგვალური ტიპის შენობა-ნაგებობათა არსებობას, არქეოლოგიური მასალა ჯერჯერობით მიკვლეული არაა. გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს ამ რამდენიმე წლის წინათ ჩრდილო ოსეთში, ერთერთ ყორლანში დადასტურებული ძელების ფრაგმენტები, რომელთა ჯარგვალურობა ჯერ

კიდევ საკითხავია.²⁶ მას დამტკიცება სჭირდება. მაგალითად, ბედენის აკლდამაში (ძვ.წ. III და II ათასწლეულების მიჯნა) მუხის ძელებით შექმნილი ნაგებობა აღმოჩნდა. მაგრამ გადაჭრით იმის მტკიცება, რომ იგი ჯარგვალურად იყო ნაგები, მთლად სწორი არ იქნება. სკეფსისის მიზეზი ისაა, რომ აკლდამის გრძივი კედლების ძელები ჰორიზონტალურადაა დაწყობილი, ხოლო განივისა – ვერტიკალურად [4, გვ. 15, 17]. ასე რომ, იყო თუ არა დამახასიათებელი ჯარგვალურად მშენებლობის ტრადიცია ჩრდილოეთ კავკასიის უძველესი ყოფისათვის, ღიად რჩება. ამომწურავი პასუხის გაცემა მხოლოდ მომავალ არქეოლოგიურ აღმოჩენებს ძალუსს.

რაც შეეხება ჩრდილოკავკასიელ ხალხთა ეთნოგრაფიულ ყოფაში ამგვარი სამშენებლო ტრადიციის არსებობა-არარსებობას, სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემების მიხედვით შემდგევი სურათი დგინდება. დავიწყოთ დასაკლეთოდან, რაღაცაც აქ არსებული ტყის დიდი მასივები, ჯარგვალური მშენებლობის ტრადიციის აღმოცენების საუკეთესო, ხელსაყრელი პირობების მატარებელია. XIX ს. მეორე ნახევრის ეთნოგრაფიული მონაცემებით, ამ რეგიონში მოსახლე აბორიგენები, ადილეურ-ჩერქეზული მოდგმის ხალხების (აბაზინები, აბაძებები, შაფუსულები, ყაბარდოელები, ადილეველები და სხვები) ტიპიურ საცხოვრებელ ნაგებობას ბორწველის სახლი წარმოადგენდა. იგი ყველა ვარიანტში წნულებინან თიხით შელესილი) და ლელით დაბურული სახურავით იყო მომთავრებული. ლოკალურ ვითარებაში, ამგვარი სახლები ერთმანეთისაგან მხოლოდ გარეგნული ფორმა-მოყვანილობით და შიდაგეგმარებით განსხვავდებოდა [21, გვ. 161, 162, 203, 206, 239].

ამ მიმართებით განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე ბალყარეთსა და ყარაჩაიში. როგორც ცნობილია, თურქული წარმომავლობის ბალყარელები და ყარაჩაელები ჩრდილო კავკასიაში XIV საუკუნიდან დამკიდრდნენ [21, გვ. 270]. იგივე XIX ს. ეთნოგრაფიული მონაცემებით, ბალყარელებისა და ყარაჩაელების საცხოვრებელი გაუთლელი ძელებით ნაგებ, მიწური ბანით მომთავრებულ ერთსართულიან ნაგებობებს წარმოადგენდა [21, გვ. 249, 252, 254, 280]. მათ შორის განსხვავება მხოლოდ შიდა გეგმარებაში შეიმჩნეოდა. ამ სახლების წარმომავლობასთან დაკავშირებით, ვიდრე არ გაირკვევა საკითხი, რომ ამ ორმა, ოდესალაც ნომადმა ხალხმა, ამგვარი სამშენებლო ტრადიცია თან მოიტანა თუ კავკასიაში აითვისა (რაც გამორიცხული არ უნდა იყოს), მნელია გადაჭრით ითქვას რაიმე მათ წარმომავლობაზე. სხვათაშორის სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მონაცემები, რომელთა მიხედვით გვი-

²⁶ აღნიშნულის შესახებ გ. გოგოშვირისა და გ. ჩიქოვანის 1996 წლის ჩრდილოეთ ოსეთში მივლინების ანგარიშის მოსმენისას შევიტყვეთ.

ანი შუა საუკუნეების მიწურულს ბალყარეთში, ყარაჩაისა და ოსეთში ბინათმშენებლებს უპირატესად ქართველი ხელოსნები წარმოადგენდნენ [22, გვ. 27; 23, გვ. 203-204; 20, გვ. 263]. აქედან ძალაუნებურად ჩნდება კითხვა: კავკასიაში მოსულმა ნომადებმა, რომლებიც ქართველების (უშუალოდ სვანებისა და რაჭელების) გვერდით ცხოვრობენ, სამშენებლო საქმეში ზოგი რამ თავისებურად სამხრეთ მეზობლებისაგან ხომ არ შეითვისეს?

უკვე წენებული ჩრდილოკავკასიური ხალხებისაგან განსხვავებით, ოსების, ინგუშების, ჩეჩენებისა და დაღესტნელთა ხალხურ ბინათმშენებლობაში ისტორიულად ქვის არქიტექტურა დომინირებდა [21, გვ. 347, 359, 444, 476, 509, 531, 540]. რაც შეეხება დაღესტნის ტერიტორიაზე მცხოვრებ თურქული მოდგმის უუმუხებს, რომლებიც კავკასიაში XIV ს. მოვიდნენ, მათ ტრადიციულ საცხოვრებელს XIX საუკუნეშიც კარავი – ტიბიტი წარმოადგენდა [21, გვ. 392, 398].

როგორც ამ მოკლე ისტორიულმა, არქეოლოგიურმა და ეთნოგრაფიულმა მიმოხილვამ გვიჩვნა, ჯარგვალური სამშენებლო ხელოვნების გავრცელების არეალი და სიხშირე კავკასიაში მეტად არაერთგვაროვნია. ზოგიერთი რეგიონისათვის (დაღესტანი, ჩეჩენთი, ინგუშეთი, ოსეთი) კოჭახეურის ტექნიკა უცხო და არატრადიციულია, ზოგან საკმაოდ გვიანდელ მონაპოვრად გამოიყერება, მაშინ, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე იგი უძველესი ეპოქებიდან მომდინარეა, დიდი სიხშირით იყო და არის გავრცელებული. კავკასიაში საქართველოა ის რეგიონი, სადაც იგი არქეოლოგიურად და ეთნოგრაფიულადაც ნიშანდობლივადაა დამახასიათებელი. ამასთან ერთად, ქართული არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალა, წერილობით წყაროებში არსებულ მონაცემებთან ერთად, ამგვარი სამშენებლო ხელოვნების ეთნოკულტურული მიმღეობისა და განვითარების სურათის აღდგენის საშუალებას გვაძლევს.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ჯარგვალურმა სამშენებლო ხელოვნებამ, კავკასიაში, თავის ნაირსახოვან განვითარებას მხოლოდ საქართველოში მიაღწია, რომლის საფუძველზე აღმოცენებული და განვითარებული, სხვადასხვა მოდიფიკაციის შესახიშნავი ნიმუშები კვლავაც მასიურად განაგრძობენ არსებობას.

ამგვარად, საფუძველს მოკლებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ კავკასიაში ჯარგვალური სამშენებლო ხელოვნების წარმოშობა-განვითარებისა და ფართო სიხშირით გავრცელების, ყველაზე უმთავრეს კერას საქართველო, მისი ეთნოკულტურული სამყარო წარმოადგენს.

Т. Г. Чиковани

КАВКАЗСКИЙ АРЕАЛ СРУБНОЙ СТРОИТЕЛЬНОЙ КУЛЬТУРЫ (резюме)

Кавказ – один из древнейших очагов спонтанного возникновения срубной строительной культуры. Однако на его территории она не везде получила повсеместное распространение (Азербайджан, Армения), а в некоторых регионах (Дагестан, Чечня, Ингушетия, Осетия) вовсе не стала традиционной, лишь в Грузии получила широкое распространение и достигла своего высшего развития. Об этом свидетельствуют археологические данные и письменные источники, на фоне которых хорошо прослеживается и ее непрерывная культурно – историческая преемственность.

T. Tschikovani

DAS KAUKASISCHE VERBREITUNGSAREAL DER BALKENBAUKULTUR (Zusammenfassung)

Kaukasus ist ein von der uralten Heimatsland der Balkenbaukunst, deren Verbreitung nicht gleichmäßig ist und die chronologische Rahmen seiner ursprünglichen Herkunft auch nicht zusammenfallen. In manchen Gebieten kommen sie weniger vor (Azerbaijdshan, Armenien), aber für die anderen Regionen waren sie überhaupt nicht altherkömmlich (Dagestan, Inguschetien, Tschechien, Osetien). Georgien ist im Kaukasus das einzige Gebiet, wo solche Balkenbautechnik historisch existierte und weitweg verbreitet war.

Nach den Angaben der archäologischen, ethnographischen und schriftlichen Quellen wurde festgestellt, daß die nach dieser Technik gebaute bis jetzt bekannten alten Bauten auf dem Territorium Georgiens zur II. Hälfte des 3. Jt. v. Chr. gehören ("Kochrigora" in Samgori). Dabei wurde auch ihre historisch-kulturelle Kontinuität festgestellt, daß die erwähnte Baukultur überwiegend für Georgien charakteristisch war und daß sie in der eigenartigen ethnokulturellen Umgebung entstanden worden war.

ლიტერატურა

1. ადამია ილ. ქართული ხალხური ხუროთ-მოძღვრება. საინგილო. თბ., 1979.
2. ბარამიძე შ. აღმოსავლეთ შავიზღვისპი-რეთი ძვწ. II-I ათასწლეულის პირველ ნახე-ვარში. — ავტორეფ. ისტ. მეცნ. დოქტორის სა-მეცნიერო სარისხის მოსაბოვებლად. თბ., 1998.
3. გამყრელიძე გ. ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები. თბ., 1982.
4. გობეჯიშვილი გ. ბედენის აკლდამა. — მმ, № 12, 1967, გვ. 15-17.
5. გოგაძე ე. სამგორის გორასამარხი. — ქსე, ტ. 8, 1984, გვ. 710.
6. გოგაძე ე. კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრერკინის ნამოსახლართა კულტურა. თბ., 1982.
7. გასტელი კრისტოფორო. ცნობები და ალბომი საქართველოს მესახებ. თბ., 1977.
8. ლამბერტი არქანჯელო. სამეგრელოს აღწერა. ტფილისი, 1901.
9. ლოროქიფანიძე ოთ., ვანი. ოქრომრავა-ლი კოლხეთის უძველესი რელიგიური ცენტრი. მაინცი, 1996.
10. მიქელაძე ო. არქეოლოგიური კვლევა-ბიება რიონის ქვედა წელზე. თბ., 1978.
11. მიქელაძე ო. ქსენოფონტის „ანაბასისი“. თბ., 1960.
12. რამიშვილი ალ. არქეოლოგიური კვლე-ვა-ბიება ზემო ხაშურის სარწყავი სისტემის მშენებლობის ზონაში, 1984 და 1985 წლებში. — მმ, № 4, 1987, გვ. 31-35.
13. ყიფიანი გ., ამაშუკელი ნ. კოლხური და ფრიგიული სახლები. თბ., 1955.
14. ჩიქოგანი თ. ამიერკავკასიის ხალხურ საცხოვრებელ ნაგებობათა ისტორიიდან. თბ., 1967.
15. ხახუჭაიშვილი დ. მშენებლობის უძვე-ლესი ნიმუში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთიდან. ბათუმი, 1980.
16. ხოშტარია ნ. კოლხეთის ძველი მოსახ-ლება და მათი შესწავლის პრობლემა. — სმამ, ტ. VI, № 6, გვ. 465-473.
17. ჯაპარიძე ვ., ბერაძე თ., ჯიკია ლ., ცითაშვili ვ. არхეოლოგიური გათხმები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთიდან. ბათუმი, 1977 (1980), с. 251 — 262.
18. კსენოფონტი. ანაბასი. მ. — ლ., 1936.
19. ლეჯავა გ., ჯანდიერი მ. ნародная башенная архитектура. М., 1976.
20. მაგომეთოვა ა. კультура и быт осетин — ского народа. Орджоникиძе, 1963.
21. ნароды Кавказа. М., 1960, т. I.
22. ნ. — ლ. Переходное состояние горцев Северного Кавказа. Тифлис, 1896.
23. რობაკიძე ა., ხარაძე რ. კ вопросу о сванско-балкарских этнокультурных взаимоотношениях. — О происхождении балкарцев и карачаевцев. Нальчик. 1960.
24. სუმბადვე ლ. კოლხидский дом Вит-рувия. Тб., 1960.

არქეოლოგიის ისტორია
ИСТОРИЯ АРХЕОЛОГИИ
HISTORY OF ARCHAEOLOGY

მარიამ მუმლაძე

**არქეოლოგიის აღმოჩენების სახართველოში „დროებასა“ და „ივერიაში“
გამოქვეყნებული მასალების მიზანი**

XIX საუკუნის მეორე ნახევარში განსაკუთრებით ღვივდება ინტერესი საქართველოს წარსულისადმი. სულ უფრო დიდ ყურადღებას იქცევს საქართველოს ისტორია და მის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა. იმდროინდელ პრესაში უხვადაა ცნობები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არქეოლოგიურ აღმოჩენათა შესახებ.

ამ მხრივ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსა XIX ს-ის მეორე ნახევრის გაზეთები „დროება“ და „ივერია“, რომელებიც დიდ ადგილს უთმობდნენ არქეოლოგიურ აღმოჩენათა მიმოხილვას. გაზეთებში ქვეყნდებოდა მოკლე ცნობები, რომელებიც გაერთიანებული იყო რუბრიკებში: „ახალი ამბავი“, „ჩვენებური ამბები“, „საქართველო“, „არქეოლოგთა საყურადღებოდ“. მათი ავტორები ძირითადად უცნობია. ამის პარალელურად არქეოლოგიურ აღმოჩენათა შესახებ იბეჭდებოდა ვრცელი კორესპონდენციებიც, რომელთაც ავტორები ჰყავდათ. საინტერესო სტატიებს აქვეყნებდნენ: დ. წერეთელი, ი. ალხაზიშვილი, ი. მეუნარგია, ა. ნანეიშვილი, რ. მრევლიშვილი, კ. ყიფიანი, კ. ანთაძე, მ. იანქოშვილი და სხვები. ისინი მოწოდებით მიმართავდნენ საქართველოს მოწინავე საზოგადოებრიობას, ყურადღება მიეციათ არქეოლოგიური ძეგლებისათვის და დაღუპვისაგან გადაერჩინათ ისინი.

წერილები მოდიოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხებიდან. არქეოლოგიურ აღმოჩენათა სიმრავლით გამორჩეული ადგილი ეკავა: მცხეთას, ვანს, საჩხერეს და სხვ. ეს აღმოჩენები საფუძვლად დაედო შემდგომ სტაციონარულ კვლევა-ძიებას, რომლისადმი ინტერესი დღემდე არ შენელებულა.²⁷

1872 წლის 4 თებერვალს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა სერგეი მესხის წერილი – „მცხეთის აკლდამები“. წერილი შეეხებოდა მცხეთიდან თბილისამდე გზის გასაყვანი სამუშაოების დროს აღმოჩენილ არქეოლოგიურ ნივთებსა და ადამიანის ძვლებს. ამ აღმოჩენებისათვის მთავრობას ყურადღება მიუცევია და სამუშაოზე სამეთვალყურეოდ გაუგზავნია კავკასიაში მოღვაწე ავსტრიელი მეცნიერი ფ. ბაიერნი. ფ. ბაიერნი ბევრი რამ საყურადღებო იპოვა

და გაზეთ „გავკაზში“ დაწერა თავისი გამოკვლევა, სადაც აღწერა ზოგიერთი ნივთი, რომელიც მცხეთის ახლო-მახლო ადგილებში მოიძია [1, გვ. 3-4].

მცხეთის აღმოჩენებს ეხება 1881 წელს „დროებაში“ გამოქვეყნებული იონა მეუნარგიას წერილი „არა არს დაკარგული, რომელ არა“. წერილში ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ აღმოუჩენია ოთხ დაქირავებულ მუშა თათარს, მიწის სამუშაოების დროს, მცხეთის ტაძართან აკლდამა, რომელშიც თითქოს ბევრი იქრო ყოფილა. მათ ეს ნივთები ნაცვლად იმისა, რომ ეკლესიისათვის გადაეცათ, ერთმანეთში გაუყვიათ [2, გვ. 1-2].

ამ წერილს გამოხმაურებია მცხეთის სვეტიცხოველის დეკანოზი რომანოზ მრევლიშვილი. იგი წერდა, რომ მეუნარგიას მიერ გამოქვეყნებული ცნობა სინამდვილეს არ შეეფერებოდა. აკლდამაში, რომელიც გალავნის გარეთ იქნა ნაპოვნი, გამოჩნდა ექვსი ადამიანის ხელის მსგავსი ოქროს ფურცელი, წონით ერთი მისხლის მეოცედს თუ აიწონის. ერთი ახალი მთვარის მსგავსი, რაღაც შავი მეტალის ნივთი, ოქროს ვარსკვლავებით და ზედ ამოჭრილი კაცით, რომელსაც ხელში შები უჭირავს და თიხის ჭურჭლის ნატეხები. ეს ნივთები მაშინვე აუწინიათ და შეუნახავთ ეკლესიის სამალაგში. განზრახულია მათი წარდგენა არქეოლოგიური კომიტეტის თავმჯდომარესთან, გენერალ კომაროვთან, არქეოლოგიურ კრებაზე განსახილველად [3, გვ. 3].

1889 წლის ივლისში გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა ცნობა, რომ ერთმა ბერძენმა, რომელსაც ნებართვა ჰქონდა მთავრობისაგან ოქრო-ვერცხლის ძიებისა, მცხეთაში აღმოაჩინა მიწაში ჩაფლული შენობა, რომელიც ნაგები ყოფილ კარგად გათლილი ქვებით. ერთი ქვა აჭრელებული ყოფილა ზედწარწერებით. ცნობას აქვეყნებს ავტორი ინიციალებით ე.ი. [4, გვ. 1].

მცხეთის აღმოჩენებს შეეხება „ივერიაში“ 1891 წელს გამოქვეყნებული გ. მრევლიშვილის წერილი: აქ ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა ჭის თხრის დროს იპოვა ვერცხლის სურა. ამბობენ, რომ სურასთან ერთად ფულიც იყო, რომელიც რაღაც წარწერებით ყოფილა დაფარული [5, გვ. 2].

²⁷ გ. გამყრელიძე, ქართული არქეოლოგის ისტორიიდან. თბ., 1996. აქვეა მითითებული სათანადო ლიტერატურა.

1902 წელს კიდევ ერთხელ გამოქვეყნდა წერილი მცხეთის აღმოჩენების შესახებ. მცხეთის ზემოთ, რკინიგზის პირას, არმაზის ხევთან, ნავთსადენისათვის თხრიდნენ ფერდობს. აქ აღმოჩნდა რამდენიმე აკლდამა ერთი საუენის სილომეზე. აკლდამებზე ყოფილა ძველი ნივთები ვერცხლისა და ოქროსი: ბადია, ლიტრა, ჩარექები და რამდენიმე ბეჭედი. აგრეთვე ორი ხუთხუთხაფიანი ქოცო ანუ ქევრი. ეს ნივთები მუშებს გაუყიდიათ. წერილის ავტორი უცნობია [6, გვ. 2].

1872 წელს, 22 თებერვალს „დროებაში“ დაიბეჭდა ლ. ხირსელის წერილი სიღნაღის მახლობლად, სოფელ ვაქირთან აღმოჩენილ აკლდამებზე. ახალი გზის მშენებლობის დროს მუშებს კლდე ჩამოეჭრათ და ამ ჩამონაჭრში გამოჩენილიყო აკლდამები. ავტორი დაწვრილებით გადმოგვცემს მათ აღწერილობას. აკლდამები აშენებული ყოფილა თლილი ქვებით. თავთან მიცვალებულს სდებია ერთი ბრტყელი ქვა. თავზედაც 4-დან 7-მდე ქვა ეხურა. ჩონჩხები დაუზიანებლები ყოფილა. თავსა და ბოლოში მიცვალებულებს ედგათ თიხის ქოთხები. ავტორი ცდილობს დაასაბუთოს ამ აკლდამების სიძველე, მაგრამ გარკვეულ თარიღს ვერ იძლევა და დასძენს, რომ აკლდამების გამოკლევა და დათარიღება მცოდნე კაცების საქმეა და მათ უნდა მიაქციონ ყურადღება ამ საინტერესო ძეგლს [7, გვ. 3-4].

1872 წლის მაისში რუბრიკით „საქართველო“, „დროებაში“ გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ ფ. ბაიერნს კახეთში, მარიენფელდის კოლონიასთან, ივრის ნაპირას, აღმოუჩნდა მცხეთის აკლდამების მსგავსი 10 აკლდამა. თითო აკლდამაში 5-6 ადამიანი ყოფილა თურმე დასაფლავებული. ცნობა „დროებაში“ გაზეთ „კაცაზიდან“ ყოფილა გაღმობეჭდილი. ავტორი უცნობია [8, გვ. 2].

1876 წლის მარტში „დროების“ № 37-სა და № 38-ში დაიბეჭდა სხვიტორელის (დაგით წერეთელი) წერილი, რომელიც შეხებოდა საჩხრის მახლობლად თოდაძების ციხესთან მწყემსების მიერ ნაპოვნ განძს. ფული სუფთა ვერცხლისა ყოფილა და მწყემსებს იგი ებრაელებისათვის მიუყიდიათ. ამავე ციხის მახლობლად გლეხ ზამბაზიძეს დაუწყა სახლის შენება და საძირკვლის გათხრის დროს უპირვე სამარხები. სამარხში განძიც ყოფილა, რომელიც ზამბაზიძეს ვაჭრებისათვის მიუყიდია. სამარხში აღმოჩენილ განძში ყოფილა ნივთი, რომელიც საყვირს წააგავდა და შემკული ყოფილა ცერის ფრჩხილის სიდიდე ქვით. შიგნიდან დახატული ყოფილა სამი მეტე გვირგვინებით. „სხვიტორელი“ ვარაუდობს, რომ ეს „მეუები“ რომაელები უნდა ყოფილიყვნენ. შუაში გამოსახული „მეფე“ პირდაპირ იყერება, გვერდითები კი მას უფურებენ. სამთავეს თავისი სახელები უწერით ქვეშ ბერძნულად თუ ლათინურად. სტატიის ავტორს ლათინური ასოების მიმსგავსებით ერთი სახელი

წაუკითხავს – „დანიუ“. ამ სტატიის „დროებაში“ გამოქვეყნების შემდეგ ზამბაზიძეს კიდევ გამოუჩნდა რამდენიმე ოქროს ფული და ერთიც ოქროს ბეჭედი. „სხვიტორელის“ აზრით, ეს ფულები მოჭრილი უნდა იყოს იულიუს კეისრის დროს. ფულები მას გადაუცია ქუთაისის გიმნაზიის ლათინური ენის მასწავლებლისათვის წარწერების წასაკითხავად [9, გვ. 2; 10, გვ. 2].

ამავე წლის მაისში „დროებაში“ დაიბეჭდა ცნობა საჩხრის მახლობლად სოფელ კორბოულში აღმოჩენილი განძის შესახებ [11, გვ. 2]. საჩხრეს სიძველებს შეეხება მოგვიანებით 1886 წლის 27 აპრილს „ივერიაში“ გაზეთ „კავკაზიდან“ გაღმობეჭდილი ცნობა. ავტორი უცნობია, მაგრამ ჩანს, რომ განათლებული და მცოდნე კაცი ყოფილა. იგი მოუწოდებს ეთნოგრაფებს და არქეოლოგებს, რომ ყურადღება მიაქციონ საჩხრის მინდვრებს. გორები თავისი მდგომარეობითა და შეხედულებით ძალიან გვანან ძველ აკლდამებს და ისინი რომ გაითხაროს, შეიძლება ბევრი მასალა აღმოჩინოს კაცმა [12, გვ. 2].

1876 წელს „დროებაში“ დაიბეჭდა ცნობა იმის შესახებ, რომ სოფელ საჩინოში (ვანი), ახვლედიანების გორაზე, ბალავრის თხრის დროს, უასავთ თლილი ქვით ნაები გალავანი. აქვე ხშირია ძვირფასი ნივთების აღმოჩენის შემთხვევები – წერს გაზეთი. განსაკუთრებით წვიმის შემდეგ. ისე არ იწვიმებს, რომ ახვლედიანების კარგბათან არ ჩამოიტანს ნიაღვარმა გორიდან ოქროს ბეჭედი, ძეწვი ან მონეტა. აქ აღმოჩენილი ნივთებიდან საინტერესოა: ოქროს ლანგარი, ოქროს ბეჭედი ლალის თვლით, რომელზეც ამოჭრილია ქალის სახე და სხვ. [13, გვ. 1].

ვანის აღმოჩენების შესახებ 1889 წელს „ივერიაც“ წერდა: აქ მცხოვრები ახვლედიანების ეზოებში ხშირად პოლობენ ოქროს ნივთებს, განსაკუთრებით წვიმის შემდეგ. ვანში აღმოჩენილმა სიძველებმა დააინტერესეს ფრანგი იაკობი და ქუთაისის გინაზიის დირექტორი სტოიანოვი. მათ დაიწყეს გათხრები და აღმოჩინეს რაღაც მოზრდილი შენობა. აქვე აღმოჩენილ იქნა უამრავი ძველი ნივთი: სამკაულები, ფულები, ჭურჭელი და სხვ. საყურადღებოა, რომ აქ აღმოჩენილი იქნა გადადუღებული ოქრო. წერილის სათაურია „ხმა რიონის მარცხენა ნაპირიდან“, ავტორია „თანნარელი“ [14, გვ. 3].

1878 წლის 23 აგვისტოს გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა თავად გიორგი ორბელიანის წერილი, რომელიც შეხებოდა შემთხვევით არქეოლოგიურ აღმოჩენებს აბასთუმანთან. აბასთუმანთან ახალციხემდე გზის გაყვანის დროს მუშებს ერთი ეკლესია აუფეთქებიათ. ეკლესის ქვეშ აღმოჩნდა აკლდამა. აკლდამის ერთ შხარეს ყოფილა ერთი ცხედარი, მეორე შხარეს – 3 თუ 4. აკლდამის ქვაზე წარწერები ყოფილა. ცალკე მდებარე ცხედარს გულზე ჰქონია ჯაჭვი, რომელზეც ძვირფასი თვლებით შემკული ჯვარი

ეკიდა. ზემოდან თურმე ელაგა ძვირფასთვლიანი ბეჭედი და გვირგვინი. ეს ცხედარი, ეტყობა, ქვის კუბოში ყოფილა. ქვა, რომელშიც ცხედარი დებულა ამოჭრილი ყოფილა. თავთან კი გვირგვინის მსგავსად გამოჭრილი ქვა სდებია, რომელსაც სხივები პქონია გაკეთებული. ორბელიანის სიტყვებით, იმ ადგილას, სადაც ეს აკლდამა უპოვათ, მცხოვრებლები კურცხანას ეძახიან. იქვე ყოფილა ძევლი ნასოფლარი და ნაეკლესიარი [15, გვ. 1].

1879 წლის სექტემბერში „დროების“ № 191 და № 192-ში გამოქვეყნდა ილია ალხაზიშვილის ფელეტონი „დველად ნაშთენი ნაქალაქევი და ნასოფლარები ოცხეს (აბასთუმნის) ხეობაში“. ფელეტონი 7 ნაწილისაგან შედგება. მასში მოცემულია ოცხეს ხეობის ისტორიული და არქეოლოგიური აღწერილობა. ფელეტონის პირველ თავში ავტორი აღწერს ერთ შემთხვევით აღმოჩენილ სამარხეს, რომელიც 1878 წელს გზის გაყვანის დროს აღმოჩენიათ მუშებს. ამ სამარხში მიცვალებული ქვის კუბოში ესვენა იმგვარად, თითქოს შიგ ჩაუკირავთ, ე.ი. ქვაში სხეულის თითოეული ნაწილისათვის ადგილი ყოფილა ამოჭრილი და ისე ყოფილა მიცვალებული შიგ ჩასვენებული. მუშებს ამ კუბოში უნახავთ საშინელი დიდი ძვლები და თავი (კენჩა). ამბობენ, რომ მიცვალებულს მარჯვენა მკლავზე ოქროს სალტე პქონია, მაგრამ მუშებს დაუმალავთ. აქვე აღმოჩნდა ორი ქვა ხუცური წარწერით [16, გვ. 2; 17, გვ. 2].

1881 წლის 26 აგვისტოში „დროებაში“ დაიბეჭდა ა. ნანეიშვილის სტატია, რომელიც შეეხებოდა ქობულეთში, მდინარე კინტრიშის პირას აღმოჩენილ არქეოლოგიურ ნივთებს. ნანეიშვილს თვითონ მოუნახულებია აღმოჩენის ადგილი და გასცნობია არქეოლოგიურ მასალას. იგი სტატიაში დეტალურად აღწერს თითოეულ არქეოლოგიურ ნივთს, რომელთა შორის არის:

„1. ორი ნაჯახის მსგავსი ნივთი, ორივე მწვანე ფერის, ემჩნევა, რომ მეტალისაგან არიან გაკეთებულნი, სიმწვანე სქლად აზით ნაჯახებს. ორივე კარგი, წმინდა ხელობისა, პირი კარგად აქვთ მოლესილი.

2. ერთი გალესილი დანის მსგავსი იარაღი, იმავე ნივთიერებისაგან გაკეთებული და იმავე ფერისა.

3. ორი ანკესის მსგავსი იარაღი იმავე ფერისა. ორივე კარგი ხელობისაა და გველის კანისფრად არიან დახატულნი. ერთ მათგანს ერთი თავი ბრტყელი აქვს და ამ თავის ცალ გვერდზე მშვენიერად არის გამოხატული თევზი.

4. კიდევ არის რაღაც პირუტყვის გამოსახულება სპილენძისა, ერთობ მოკლე ფეხებზე დგას. თავი სამკუთხედს ჩამოგავს და არ ეტყობა სახეზე თვალ-პირი.

5. ერთი პატარა ჭინჭილა, თიხის ნატეხები და რამდენიმე სხვადასხვა ფერის მიღიო“.

სტატიის ბოლოს ნანეიშვილს გაუკეთებია მინაწერი იმის თაობაზე, რომ ბათუმის ერთ

მცხოვრებს ნაეკლესიარ ადგილზე უპოვია ბეჭდის მსგავსი ნივთი, რომელზეც კაცია გამოსახული. კაცს თითო ხელში თითო კვერთხი უჭირავს. კვერთხების თავზე დაბჯენილია რაღაც ფრინველის მსგავსი. კვერთხების ირგვლივ რაღაც ფიგურებია გამოსახული [18, გვ. 2].

1881 წლის სექტემბერში „დროებაში“ დაიბეჭდა წერილი სოფელ ალში (ხაშური) აღმოჩენილი ნივთების შესახებ. სოფელ ალში, ციხესთან, ნიაღვრის მიერ მორღვეული მიწის ჭრილში, ერთმა მეწისევილებ იპოვა ქოთანი თეთრი ფულით, რამც ძალზე გაახარა ურიები, რაღაც აღიღობობრივგა მამასახლისებმა მას ყურადღება არ მიაქციეს [19, გვ. 2].

1884 წელს სოფელ სურებში გზის სამუშაოების დროს უპოვიათ შავ ლითონზე ამოჭრილი კაცის გამოსახულება. იგი შემოსილი ყოფილა გრძელი სამოსელით, რომელიც კისერს არ უფარავდა. თავზე ეხურა ქუდი, რომელიც რაღაცით მუზარადს ჩამოჰქმდა. კაცს წვერ-ულვაში არ ჰქონდა (შესაძლოა გამოსახულება ქალისა იყო). არც ხელ-ფეხი ჰქონდა ჩამოსახმული [20, გვ. 3]. წერილს ხელს აწერდა „სურებელი“.

1885 წელს სოფელ ტირმინისთან (გორის მაზრა) გზის სამუშაოების დროს უპოვიათ ადამიანის ძვლები და შების ნატეხები. ეს უკანასკნელი ივ. სულხანოვს წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმისათვის შეუწირავს [21, გვ. 2].

1886 წლის იანვარში „ივერია“ წერდა სიღნაღში აღმოჩენილი ძველი ფულების შესახებ. ფულებზე ქართველ მეფეთა სახელები ყოფილა ხუცური ასოებით ამოჭრილი. ფულების მეორე მსარეზე თევზებისა და რაღაც ცხოველების გამოსახულებები ყოფილა [22, გვ. 2].

1886 წლის მარტში „ივერიის“ № 47-ში დაიბეჭდა წერილი, რომელიც შეეხებოდა რაჭაში აღმოჩენილ სიძველეებს.

რაჭელმა გლეხმა ხიდეშელმა საკაოს მთაზე იპოვა წითელთვლიანი ყვითელი ბეჭედი, დაუნაბული შებები და შუშის ნატეხები. შემდეგ იმავე ადგილას აღმოჩენილა ხუთი ჭრელი თიხის მძივი და რაღაც ჭურჭლის ყური. სოფელ ხიმში კი ერთმა გლეხმა ახლადგაკაფულ ადგილზე სახნისის წვერით ამოყარა მიწიდან ძველი ნივთები: ოქროს ბეჭედი, სამაჯე და თიხის პატარა ჭურჭლი [23, გვ. 2-3].

1886 წლის აპრილში „ივერიაში“ დაიბეჭდა ცნობა დარიალის ხელბაში წარწერიანი ქვის აღმოჩენის შესახებ. ერთ ვიღაც თათარს დარიალის ხელბაში უპოვია ძველი ქვა ლურსმულის მსგავსი წარწერით. ეს ქვა უნახავს ფოტოგრაფიალ. როინაშვილს, რომელიც აგროვებს კავკასიის საარქეოლოგიო ნივთებს და თათარისაგან, როგორც ამბობენ, 20 თუმნად უყიდია. წარწერა გადაულია და მოსკოვში გაუგზავნია არქეოლოგის მოყვარე გრაფ ბობრინსკისათვის [24, გვ. 1].

1886 წელს, მაისში, „ივერიაში“ გამოქვეყნდა ქ. მაჭავარიანის წერილი, რომელიც შეეხებოდა სოხუმის მახლობლად წებელდაში აღმოჩენილ ძველ ნაშთებს, რომელთა შორის დიდი უმრავლესობა ქრისტიანული ნივთები იყო. ეს ნივთები ვრცლად განუხილავს ისტორიკოს დამიტრი ბაქრაძეს: „ამ ნივთების პოვნამ და განხილვამ მოგვცა საფუძველი მსჯელობისა, რომ აფხაზეთში ქრისტიანობა მტკიცედ ფეხზე მდგარა და ქართველებს დიდი გავლენა პქონიათ აფხაზებზე“ [25, გვ. 2].

იმ პქონოდის პრესაში შედარებით მცირედ, მაგრამ მაინც ვხვდებით ცნობებს თბილისის ტერიტორიაზე აღმოჩენილ სიძველეთა შესახებ. ერთ-ერთი ასეთი ცნობა დაიბეჭდა „ივერიაში“ 1887 წელს, მაისში. ავტორი უცნობია. წერილში აღწერილია, თუ როგორ იპოვეს წყლის გასაყვანი მილებისათვის არხების თხრის დროს მუშებმა თათრის მოედანზე და შეითანაბაზარში არქეოლოგიური ნაშთები. ძველი კედლები ზოგი აგურით იყო ნაგები და ზოგი თლილი ქვით, რიყის ქვებით მოგებული ქუჩის ფრაგმენტები, წყლის გასაყვანი თიხის ძილები, სამალავები, აგრეთვე რაღაც ორმოები, რომლებიც, ავტორის აზრით, ან ჭისა უნდა ყოფილიყო, ან საჭიროების ადგილისა. ავტორი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ყოველივე ამას სხვა, განათლებულ ქვეყანაში, სადაც არქეოლოგები არიან, დიდ ყურადღებას მიაქცევდნენ და გაფაციცებით გამოიკვეგდნენ. ყოვლად შეუძლებელია, სულაც რომ არ იპოვებოდეს რაიმე თვალსაჩინო საარქეოლოგიო ნივთი, მაინც თვით ნაგებობა კედლებისა, აგურის ღორღი, რაიმეს აგიტხნიდა ძველის ქალაქისას, რომელსაც მრავალი საუკუნის წინ უარსებია ახლანდელი აყვავებული თბილის ქვეშ [26, გვ. 1-2].

1888 წლის 4 აგვისტოს „ივერიაში“ დაიბეჭდა ვ. კოპტონაშვილის წერილი. წერილი შეეხებოდა ჯავახეთის ერთ-ერთ სოფელს, მურჯს, რომელიც მდებარეობდა სოფ კოთელიიდან ჩრდილო-დასავლეთ მხარეს ერთი ვერსის მანძილზე. კოპტონაშვილი აღწერს მურჯის სიძველეებს, რომელთაგან გამოყოფს ერთს. შეაგულ სოფელში, ერთ ადგილას, ყოფილა დიდი, მრგვალი, წისქვილის ქვის მსგავსი, შავი ქა, რომელიც ავტორის აზრით, ზეთის სახელი უნდა ყოფილიყო. ყველა ნასახლართან ყოფილა კალოები და პურის შესანახი რომოები. ნასოფლარის მახლობლად ყოფილა ნაეკლესიარი და სასაფლაოები. კოპტონაშვილი თავის სტატიას ამთავრებს მოწოდებით მკითხველისადმი: ასეთი ადგილები ჯავახეთში ბლომად მოიპოვება და კარგი იქნება ჩვენი არქეოლოგები ყურადღებას მიაქცევდნენ [27გვ. 2].

1894 წლის 15 დეკემბერს „ივერია“ წერდა დუშეთის მაზრაში აღმოჩენილი სიძველეების შესახებ. ანანურსა და უინგალს შუა, გზის სამუშაოების დროს, აღმოჩნდა ბრინჯაოსა და რკინის ნივთები, რომელთა შორის ყოფილა:

ძალზე დაუაგული რკინის აღვირი, ბრინჯაოს სამაჯური, რომელიც შესაძლოა, ოქროთი იყო დაფარული, ყელზე შესაბმელი ტყვიის რგოლი. ავტორი ცალ-ცალკე აღწერს თითოეულ ნივთს და აღნიშნავს, რომ ეს ნივთები თიანეთის მაზრის უფროსმა 6. ალექსი-მესხიშვილმა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მუზეუმს შესწირაო [28, გვ. 4].

1895 წლის იანვარში „ივერიაში“ დაიბეჭდა ილია ჭიჭინაძის წერილი „არქეოლოგთა საყურადღებოდ“. წერილი შეეხებოდა სადგურ ხაშურთან, ბორჯომის რკინიგზის შტოზე, გორხათის ეკლესის მახლობლად არსებულ ძველი დროის აკლდამებს, რომლებიც აღმოჩენილია გზის სამუშაოების დროს. აკლდამებში იყო დიდი რაოდენობით სპილენძის ნივთები: დანები, ხანჯლები, ისრის ნამტვრევები, ცულები, აზიური სადგისების მსგავსი ნივთები, რომელთაც მშვენიერი ხელობა კიდევ შერჩენოდათ, მძივები, ელის ძეწკვები, მაკრატლები და სხვ. ნივთები კარგად ყოფილა შენახული. ზოგიერთ ნივთს ზედ რაღაც გაუგებარი წარწერა ჰქონია. მიწის მფლობელი ყოფილა აზნაური თურმანიშვილი. ი. ჭიჭინაძე მოუწოდებდა საზოგადოებას, რომ დროზე მიექციათ ყურადღება ამ ნივთებისათვის, რათა უპატრონოდ არ დაკარგულიყო [29, გვ. 2].

იმავე წლის აპრილში „ივერიაში“ გამოქვეყნდა ნიკო ველისციხელის წერილი, რომელიც შეეხებოდა სოფელ ველისციხეში (გურჯაანი) აღმოჩენილ სიძველეებს. მუკუზნის ფოსტის სადგურის მახლობლად, ძველი ეკლესის დანგრევისას, მუშებმა საძირკველში იპოვეს ერთი ხეთხაფიანი ქოცო. მუშებმა ამ ქოცოში აღმოაჩინეს ერთი თავსახურავიანი დიდი თიხის ჯამი. როცა ჯამისათვის სახურავი აუხდიათ, უნახავთ შემდეგი ნივთები: ერთი ოქროს დიდი სამაჯური, ერთი ოქროს დიდი ბეჭედი ფირუზის თვლით და ერთიც ამგარივე პატარა ბეჭედი ფირუზისავე თვლით. ეს ნივთები მუშებმა წარუდგინეს მაშინდელი საუფლისწულო მამულების მმართველს ბ. ბაგაუტს ხ30, გვ. 2-3].

1895 წელს, ნოემბერში „ივერიაში“ გამოქვეყნდა რაჟდენ კანდელაკის წერილი: სოფელ ნიგორზღვაში (სამტრედია), რომელიც ერთ ვერსზე მდებარეობს საჯავახოს რკინიგზის სადგურიდან, ნიაღვარს ერთ ფერდობზე დიდი თხრილი გაუკეთებია და გამოუჩენია ქვერი, რომელსაც თავზე სარქველი ეხურა პატარა ჭუჭრუტანით. ქვერი ადამიანის ძვლებით ყოფილა სავსე-იქვე იდგა პატარა, დიდტუჩიანი დოქი. ავტორი ამბობს, რომ ამ არე-მარეში საერთოდ მრავალი ციხის ნაგრევი და კედელი, ერთ ადგილას კი გვირაბიც ყოფილა. ამას წინათ, აქ სოფლელებს ძველი ფულებიც უპოვათო. კანდელაკის აზრით აქ ადრე ეგვიპტელებს უცხოვრიათ. რის საფუძველზე აკეთებს ავტორი ასეთ დასკვნას, არ ჩანს. დასასრულს რაჟდენ კანდელაკი მოუწოდებს არქეოლოგებს, რომ ყურადღება მიაქციონ ამ ადგილებს. მარტო გასეირნებით და

დათვალიერებით არაფერი გამოვა, საჭიროა მიწის გათხრაც. ვინ იცის, შეიძლება რაიმე საინტერესო და ჩვენი მეცნიერებისათვის სასარგებლო მასალა აღმოჩნდეს [31, გვ. 2-3].

1899 წლის სექტემბერში „ივერიაში“ ვხვდებით ასეთ ცნობას: საქართველოს საექზარქოს სამსახურის მუზეუმის წევრმა ბ-მა ნატ-როშვილმა წარადგინა ამ მუზეუმში სიღნაღის მაზრის სოფელ შიორაქში, კიკაოციხის მთის მახლობლად აღმოჩნდილი თიხის კერპი, რომელსაც კაცის სახე ჰქონდა. იმ ადგილას, სადაც ეს კერპი უნახავთ, ძრავალი ნაცარი და ნახშირი აღმოჩნდინათ [32, გვ. 2].

ამავე წლის სექტემბერში „ივერიაში“ გამოქვენდა ცნობები საკურწეში (ჭიათურა) და ტიმჩალში (სიღნაღი) არქეოლოგიურ აღმოჩების შესახებ.

ერთი კლდის ძირში სოფლებულები ნახულობდნენ ძველ ნივთებს. აქ აღმოჩენილი იქნა შუბი და ისარი, ძვირფასი თვლებით შემკული ბეჭედი, აქვე აღმოჩნდა მოგვიანებით კაცის ძვლები და თიხის ხელადა. აქაურ მინდვრებში ბავშვები ხშირად პოულობენ გაქვავებულ ცხოველებს. წერილის ავტორია მესამე ლოსაბერიძე [33, გვ. 2-3].

კავკასიის მუზეუმის კონსერვატორმა ბ-მა ქერიგმა დაათვალიერა ტიმხალში აღმოჩენილი მამონტის ძვლები. მამონტის ძვლებს კავკასიაში მესამედ პოულობენ [34, გვ. 2].


1900 წელს „ივერიაში“ დაიბეჭდა მათე იან-
ქოშვილის წერილი. წერილში ნათქვამია, რომ
პატარძეულის (საგარეჯო) ტყეში წვიმას მიწა
გადაურცეცხავს და წყლის მიღები გამოუჩენია.
რამდენიმე კაცი წასულა და უთხრია ის ადგი-

ლი. გამოჩენილა მშვენივრად შენახული წყლის მიღები. ავტორი იძლევა ამ მიღების აღწერას: თითო მიღლი სიგრძით ყოფილა სამი მტკაველი. სიგანე თავში ორი გოჯი, ბოლოში სამ გოჯზე ცოტა ნაკლები. სისქე ყოფილა ერთი თითოს ტოლა. თავს, ერთი გოჯის ქვემოთ, შემოვლებული ჰქონია თიხისავე საყელური იმისათვის, რომ მიღები კარგად შეერთებულიყო. მიღები ძალიან მაგარი და სუფთა ნამუშევარი ყოფილა. ადგილობრივი მცხოვრებლების თქმით, ეს მიღები 2-3 ვერსის მანძილზე ყოფილა გაწყობილი. ყველ 4-5 საუნზე მიწაში ჩაწყობილი იყო დიდი ქვევრები, რომლებსაც უერთდებოდა ეს მიღები და რომლებშიც გროვდებოდა მიღებიდან გამოსული წყალი. თითოეულ ქვევრს ჰქონდა ორ-ორი მიღლი. ერთი მიღლიდან შედიოდა წყალი, ქვევრი იგსებოდა და მეორე მიღლიდან გამოდიოდა.

მათე იანქოშვილი მოუწოდებდა მცოდნე კაცებს, კარგად გამოეკვლიათ ეს ადგილი და გაერკვიათ, რა საჭიროებისათვის ყოფილა მიღები აქ ჩაწყობილი. იგი ვარაუდობდა, რომ ამ მიღების თავში ან ბოლოში, შესაძლოა, რაიმე საინტერესო ნაგებობა აღმოჩნდეს [35, გვ. 2-3].

1902 წელს სოფელ ბორში (შორაპნის მაზრა), ს. მაჭავარიანის მამულში, აღმოჩნდა ოქროსა და ვერცხლის რამდენიმე ნივთი. ნივთებზე შეიმჩნეოდა ბერძნული წარწერები. ნივთებთან ერთად ყოფილა ადამიანის ჩონჩჩიც. აღმოჩენილი ნივთები თბილისში გაუგზავნიათ. ამ ცნობაში აკტორი აღნიშნავს: ასეთი ნივთები ამ ადგილებში სხვა დორსაც ბევრჯერ უპოვაათ [36, გვ. 2].

ამავე წელს „ივერიაში“ დაიბეჭდა ვანო ჭიჭინაძის წერილი „მიწაში ნაპოვნი ძველი ნიკოლები.“ წერილი შეეხებოდა სოფელ ზიმშის



ნახ. 1. შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენები საქართველოში („დროებასა“ და „ივერიაში“ გამოქვეყნებული მასალების მიხედვით)

(ამბროლაური) ჩრდილოეთით, ადგილ „ნახაზირეჯე“ აღმოჩენილ ძეველ ნივთებს. ერთ ხიმშელ აზნაურს, თოხნის დროს, მიწაში უნახავს თიხის ხელადა და ჯამი. ეს ნივთები მიცვალებულს ედგა თავთით. იქვე აღმოჩნდა ცხენის ჩონჩხი და ბევრი სხვადასხვანაირი ნივთი. აღმოჩენილი ნივთები დაკარგულა. რამდენიმე ხნის შემდეგ კიდევ აღმოჩენილა ამ ადგილებში ძველი ნივთები და ადამიანის ძვლები. ნივთებს შორის ყოფილა: ერთი ვერცხლის თასი, ერთი ოქროს ფული, ერთი ოქროს საყურე, ერთი რაღაც საათის გასაღების მსგავსი ოქროს ნივთი, 19 ისარი, ერთი ქვის სალესი, ერთი ქლიბის მსგავსი რკინა, ერთი ზამბარაკი და ერთიც ხანჯლის პირი. თასზე დახატული ყოფილა ცხენზე მჯდომი კაცი, რომელსაც ერთი რაღაც ნადირი მოუკლავს. ნადირი ცხენის ფეხქვეშ გდია და მეორესაც ხანჯლით კლავს. ამართულ ხანჯალზე რაღაც პკიდია წვერთან. ფული ახლადმოჭრილი გეგონებათ ისე ბრწყინავს და ზედწარწერაც მშენივრად ატყვია. ცალ გვერდზე ანგელოზია გამოსახული, რომელსაც ჯვარი უჭირავს ხელში, მეორე გვერდზე კი ვიღაც გვირგვინოსანი მეფე. გამოსახულების ქვეშ გაურკვეველი წარწერა. ისრები და ხანჯლები დაკარგულია. სალესი ქვა შავი ფერისაა და თავში გახვრეტილია. ზამბარაკი სრულიად მოუშლელია, ოქროს საყურეც ახალივით გამოიყურება. ამ სტატიაში არა ჩანს თუ რა ბედი ეწია აღმოჩენილ ნივთებს [37, გვ. 3].

1902 წლის აპრილში „ივერიაში“ დაიბეჭდა წერილი ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების შესახებ სვანეთში. ერთ აგრონომს აღმოუჩენია ოქროს ფული, რომლის ერთ მხარეს ლომი ყოფილა გამოსახული, ისრით პირში და პურის თავთავით ფეხქვეშ. აქ არის გამოყენებული ლათინური სამი ასო ბ, ნ და ა, რომლითაც უნდა აღინიშნებოდეს წელი. მეორე გვერდზე გამოსახულია კერპთავანისმცემელთა ერთ-ერთი ლერთის თავი. ამგვარი ფულები ორი წლის წინათ იმ სვანს ბევრი უნახავს ხვნის დროს მინდორში. ამ ფულებიდან, როგორც ამბობენ, სვანს ერთი ფული შეუწირავს, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის“, დანარჩენი კი სომებ ჩარჩებზე გაუყიდია [38, გვ. 2].

1903 წლის ივნისში „ივერიაში“ ვხვდებით ცნობას სკირის (ზესტაფონი) აღმოჩენების შესახებ. ამას წინათ აქ ერთმა ღარიბმა გლეხმა ნახა რაღაცა ნივთები, რომლებიც ქუთაისში გაყიდა. მანვე შემდეგ აღმოაჩინა სამი პატარა ნივთი: ერთი, როგორც ეტყობა, არწივის ან მტრედის გამოსახულება უნდა იყოს, თხელია, უკანა პირზე ოთხი ძაფის გასაყრელი აქვს, როგორც ჩანს, ამით მიკრული ყოფილა სხვა ნივთზე. მეორე ნივთი ცხვრის გამოსახულებაა. ესეც რაღაცაზე ყოფილა მიბმული. ერთ ადგილას, საცა რქა არის გამოსახული „თვალი“ ყოფილა ჩამჯდარი. უანგი სრულებით არ აქვს მოკიდებული [39, გვ. 3].

1903 წელს სექტემბერში „ივერიაში“ დაიბეჭდა ცნობა პრივატ ღოცენტ გრენის წალკაში მოგზაურობის შესახებ. გრენი წალკაში ყოფილა და სოფლებ წინწყაროსა და გუნია კალაში მრავალი ქვის იარაღი ამოუთხრია, რომელიც ძველისძველ დროს ეკუთვნის, როდესაც ადამიანმა რკინის და სხვა ლითონის ხმარება ჯერ არ იცოდა. გრენის აზრით, ამ ადგილას მთელი ქარხნა ყოფილა ქვის იარაღებისა. აქვე აღმოუჩენია ოთხვეხი ცხოველის ჩონჩხი (საგარაულოდ ცხენის) [40, გვ. 1].

1904 წლის აპრილში „ივერიაში“ დაიბეჭდა კონსტანტინე ანთაძის წერილი, რომელიც შეეხება მარელისში აღმოჩენილ ძეველ ნივთებს.

„მარელისის ახლოს, სოფელ დეისში, რკინიგზის მახლობლად, დ. ტყეშელაშვილის მამულში, სავენახე მიწის თხრის დროს, მუშებმა შენიშვნეს ქვევრები დიდი და პატარა, დაკირული და დაუკირავი. იქვე იპოვეს რამდენიმე ლიტრა და კაცის ჩონჩხი. ამ ადგილიდან რამდენიმე საჟენზე უპოვიათ ვერცხლის ფული, რომლის ერთ გვერდზე გამოსახული ყოფილა კაცის თავი, პირტიტველა, დაფხის გვირგვინით თავზე, შემდეგი წარწერით: „გშმშაზფეუ ყყყ თწ“. დანარჩენი წარწერა მიწას შეუჭამია. მეორე მხარეს გამოსახულია ორი მხედარი იარაღით, ემბლემა მხედრობისა. ქვეშ ასე აწერია: „სდუფდთფკშ“. გარშემო წარწერა აღარსად ამჩნევია. იქვე ახლოს აღმოუჩენიათ მშვენიერი ლურჯი ქვებით ნაშენი შენობის საძირკველი. შენობის ერთ კუთხეში ბუხარი ყოფილა, რომელშიც იდო რამდენიმე ნახშირადქცეული მუგუზალი“ [41, გვ. 2].

ვფიქრობთ, XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ გაზეთებში – „დროებასა“ და „ივერიაში“ გამოვეჭნებული ცნობები არქეოლოგიური ძეგლების, განსაკუთრებით კი შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენების შესახებ, დააინტერესებს საქართველოს უძველესი ისტორიის მკვლევართ. ამ ცნობების შეკრება და გამოცემა ხელს შეუწყობს როგორც ახალი არქეოლოგიური ძეგლების მოკლევა-შესწავლის საქმეს, ისე უკვე ცნობილი ძეგლების შესახებ არსებულ მონაცემების შევსებასა და სრულყოფას.

М. Н. Мумладзе

АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ НАХОДКИ В ГРУЗИИ ПО МАТЕРИАЛАМ, ОПУБЛИКОВАННЫМ В ГАЗЕТАХ "ДРОЭБА" И "ИВЕРИЯ"

В статье даются выдержки из периодики второй половины XIX в., касающиеся археологических находок на территории Грузии. Приводится описание материалов. По публи-

кациям в "Дроэба" и "Иверия" прослеживается зарождение интереса общественности к памятникам древности.

M. Mumladze

ARCHAEOLOGICAL FINDS IN GEORGIA ACCORDING TO THE MATERIALS PUBLISHED IN "DROEBA" AND "IVERIA"

The article presents excerpts from periodicals of the second half of the 19th century dealing with archaeological finds in Georgia.

Descriptions of the finds are adduced. The inception of public interest in ancient monuments is traceable in the publications of "Droeba" and "Iveria".

32. ივერია, 1899, № 190.
33. ივერია, 1899, № 193.
34. ივერია, 1899, № 204.
35. ივერია, 1900, № 189.
36. ივერია, 1902, № 11.
37. ივერია, 1902, № 2.
38. ივერია, 1902, № 42.
39. ივერია, 1903, № 127.
40. ივერია, 1903, № 190.
41. ივერია, 1904, № 64.

ლიტერატურა

1. დროება, 1872, № 5.
2. დროება, 1881, № 163.
3. დროება, 1881, № 191.
4. ივერია, 1889, № 160.
5. ივერია, 1891, № 127.
6. ივერია, 1902, № 47.
7. დროება, 1872, № 9.
8. დროება, 1872, № 21.
9. დროება, 1875, № 37.
10. დროება, 1875, № 38.
11. დროება, 1875, № 54.
12. ივერია, 1886, № 91.
13. დროება, 1876, № 52.
14. ივერია, 1889, № 158.
15. ივერია, 1878, № 33.
16. დროება, 1879, № 191.
17. დროება, 1879, № 192.
18. დროება, 1881, № 177.
19. დროება, 1881, № 248.
20. დროება, 1884, № 90.
21. დროება, 1885, № 92.
22. ივერია, 1886, № 3.
23. ივერია, 1886, № 47.
24. ივერია, 1886, № 89.
25. ივერია, 1886, № 24-5.
26. ივერია, 1887, № 90.
27. ივერია, 1888, № 163.
28. ივერია, 1894, № 265.
29. ივერია, 1895, № 2.
30. ივერია, 1895, № 53.
31. ივერია, 1895, № 263.

ქრონიკა
ХРОНИКА
CHRONICLE

**არქეოლოგიური პლატფორმის ცენტრი 1998 წელს
სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა**

არქეოლოგიური პლატფორმის ცენტრის თანამშრომლების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მიმდინარეობდა შემდეგი მიმართულებით: არქეოლოგიური ძეგლების პუბლიკაცია, საქართველოს არქეოლოგიური ატლასი, „ქართლის ცხოვრების“ ტიპოგრაფიულ-არქეოლოგიური ცნობარი, „საქართველოს არქეოლოგიის“ III და IV ტომები, კლასიკური არქეოლოგიის მრავალენოვანი ლექსიკონი, საქართველოს არქეოლოგიის ისტორია და ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ინტერდისციპლინარული კვლევები.

გრანტით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტებით შესრულებულია შემდეგი თემები:

1. ადრეპლეისტოცენური ნამარხი და მისი ბუნებრივი გარემო სამხრეთ საქართველოში. პალეობიოლოგიის, გეოლოგიისა და გეოგრაფიის ინსტიტუტებთან ერთად. ცენტრიდან მონაწილეობდნენ: მ. ნიორაძე, მ. გაბუნია.

2. არქეოლოგიური ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონი. შემსრულებლები: ოთ. ლორთქიფანიძე (ხელმძღვ), თ. ჩიქოვანი, რ. რამიშვილი, ალ. რამიშვილი, ვ. ლიჩელი, ვ. თოლორდავა, დ. კაჭარავა, მ. ფირცხალავა, ე. სახვაძე, მ. ჩარკვიანი.

3. დემოგრაფიული პროცესები და საგაჭრო-ეპონიმიკური ურთიერთობანი საქართველოს შავიზღვისპირეთში ძვ.წ. VIII – ა.წ. VIII სს. შემსრულებლები: = თ. მიქელაძე (ხელმძღვ), ვ. ჯაფარიძე, გ. გამყრელიძე, დ. ახვლედიანი, გ. გვირკველია, ნ. მათიაშვილი, რ. ფუთურიძე, ა. ჭყონია, ე. გიგოლაშვილი, ლ. ცერაძე.

4. ქართული მონეტები (კორპუსი). შემსრულებლები: გ. დუნდუა (ხელმძღვ.), ირ. ჯალაღანია.

5. კავკასიის შავიზღვისპირეთის ნეოლით-ადრელითონების ხანის კულტურები ევრაზიის უძველეს კულტურათა სისტემაში. შემსრულებლები: გ. ფხაკაძე (ხელმძღვ.), ლ. ნებირიძე.

6. დაღესტნის ქართული დამწერლობის ძეგლების კორპუსი (ისტორიულ-პალეოგრაფიული ძიებანი). შემსრულებლები: გ. დამბაშიძე (ხელმძღვ.), მ. კოშკაძე, ა. სანიკიძე.

7. ქვემო ქართლი ძვ.წ. IV-I ათასწლეულსა და შეა საუკუნებში (დანაისის რეგიონის მასალების მიხედვით). შემსრულებლები: ჯ. კოპა-

ლიანი (ხელმძღვ.), კ. კახიანი, ზ. ცქვიტინიძე, ე. ღლილგაშვილი, რ. აბრამიშვილი.

8. კოლხეთი და გარე სამყარო გვიანბრინჯაო-ადრერეკინის ხანაში (კოლხური და ყობანური კულტურების ურთიერთობის ისტორიის პრობლემები). შემსრულებლები: ლ. სახაროვა (ხელმძღვ), შ. ჩართოლანი, მ. ბარამიძე, ნ. სულავა, ბ. ჯორბენაძე.

9. საქართველო და სკვითური სამყარო. შემსრულებლები: მ. ფირცხალავა (ხელმძღვ), ბ. მაისურაძე, გ. ნარიმანიშვილი, რ. პაპუაშვილი, გ. ინანიშვილი, ა. სულთანიშვილი.

10. საქართველოს კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობა შავი ზღვის ჩრდილოეთ და დასავლეთი რეგიონებთან XII-XIV სს. შემსრულებელი: მ. მიწიშვილი.

არქეოლოგიური კვლევის ცენტრის გრანტით შესრულებულია შემდეგი თემები:

1. მტკვარ-არაქსის კულტურის და საქართველოს ადრეული ყორლანების ლითონის იარაღის ტიპოლოგია. შემსრულებლები: ზ. მახარაძე (ხელმძღვ), ა. ორჯონიძე.

2. ქრისტიანობა მთაში, პროცესების მოდელირება. შემსრულებელი: გ. რჩეულიშვილი.

სამეცნიერო სესიები

21-28 აპრილს გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სამეცნიერო სესია „საქართველოში 1997 წელს ჩატარებული საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები“.

სესია შესავალი სატყით გახსნა ცენტრის დირექტორმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფ. ოთ. ლორთქიფანიძემ.

წაკითხული იყო შემდეგი მოხსენებები: მ. გაბუნია „სამხრეთ საქართველოს მთანეთის არქეოლოგიური ექსპედიცია“, შ. ჩართოლანი „სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები“, ზ. მახარაძე „კასპის რაიონის ექსპედიცია“, გ. ნარიმანიშვილი „წალკის ექსპედიცია სანგარიშო წელს“, ც. ჩიკოიძე „რუსთავის გათხრები“, დ. ხახუტაშვილი, ა. კახიძე, შ. მამულაძე, ვ. ჯაფარიძე, ნ. ინაიშვილი, გ. თავამაიშვილი, მ. ხალვაში, ი. ვარშალომიძე, ტ. ებრალიძე „გონიო-აფსაროსის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია“, თ. მიქელაძე, რ. პაპუაშვილი „კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია“, ოთ. ლორთქიფანიძე „გათხრები ვანის ნაქალაქარზე“, ჯ. კოპალიანი „დმანისის არქეო-

ლოგიური ექსპედიცია შუა საუკუნეების ძეგლებზე“.

მოსმენილ იქნა მოხსენებები, მიძღვნილი მშენებლობებზე მიმდინარე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი: ც. ჩიკოიქი, გ. მინდიაშვილი „„გუხეთის ექსპედიცია მიღსადენის მშენებლობის გარდაბნის მონაკვეთზე“, ნ. მირიანაშვილი „„ნასტაკისის ექსპედიციის სამუშაოები მიღსადენის მშენებლობაზე“, თ. მეშველიანი „„კორბოულის ექსპედიციის ანგარიში“, ვ. სადრაძე „„გურიის ექსპედიცია““. ნავთობის მიღსადენის მშენებლობის შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოადგინეს საქართველოს მიღსადენის კომპანიის გარემოს დაცვის მთავარმა მენეჯერმა მ. ლევდნორმა და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტის მოადგილემ ა. კანდელაკმა.

ერთი დღე მიეძღვნა საერთაშორისო ექსპედიციების ანგარიშებს. არქეოლოგიური კვლევის ცენტრისა და ქ. მაინცის რომაულ-გერმანული ცენტრალური მუზეუმის ერთობლივად ექსპედიციამ წარმოადგინა ანგარიშები დამანისის პალეოლიტური ძეგლის შესწავლისა. მ. ნიორაძემ და ა. იუსტუსმა – არქეოლოგიური გათხრებისა; ხოლო ლ. გაბუნიამ, ა. ვეკუამ, მ. თვალჭრელიძემ, დ. ლორთქიფანიძემ და გ. მაისურაძემ – ანგარიშები ინტერდისციპლინარული კვლევის შედეგებზე. გარდა ამისა, მოსმენილი იყო შემდეგი მოხსენებები: კ. ფიცხელაური, ა. ფურტვენგლერი, ი. გაგოშიძე, ბ. მაისურაძე, ი. მოცენბეკერი „„საქართველო-გერმანიის ერთობლივი სამუშაოები კახეთში““ და ვ. ლიჩელი, ი. ღამბაშიძე, ჟ. მორინი „„საქართველო-კანადის ერთობლივი სამუშაოები სამცხეში““.

ცენტრის დაარსების დღეს 28 აპრილს დირექტორმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ოთ. ლორთქიფანიძემ წარმოადგინა მოხსენება „„არქეოლოგიური კვლევის ცენტრი 1997 წელს““.

სესიის მუშაობის პერიოდში ჩატარდა კოლოკვიუმი თემაზე „გვიანანტიკური ხანის იბერიის კულტურა“, სადაც მოხსენებები წაიკითხეს: მ. საგინაშვილმა „მხატვრული მინა გვიანანტიკური ხანის იბერიაში“, ქ. ჯავახიშვილმა „ელინისტური გლიპტიკის ძეგლები რომაული ხანის ქართლში“, გ. ღუნდუამ „I-IV სს. რომაული მონეტები იბერიიდან“, ვ. ჩიხლაძემ „წინწილები (მუსიკალური ინსტრუმენტები) ძველ საქართველოში“, რ. რამიშვილმა „„არმაზისხევის ტიპის ძეგლები ისტორიული იბერიის ტერიტორიაზე““.

სესიის მუშაობის პერიოდში მოეწყო საგანგებო გამოფენა, სადაც ასახული იყო არქეოლოგიური კვლევა-ძიება ნავთობის მიღსადენის მშენებლობის ტრასაზე.

27 მაისს – 2 ივნისს გაიმართა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მეზუთე სამეცნიერო სესია „„მსოფლიო კულტურულ-ისტორიული

პროცესი და საქართველო“, მიძღვნილი საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებლობის აღდგენის დღისადმი. წაკითხული იყო 19 მოხსენება, რომელიც ეხებოდა საქართველოს ურთიერთობას გარე სამყაროსთან უძველესი დროიდან არქეოლოგიური მასალების მიხედვით. სესიისათვის გამოიცა მოხსენებების თეზისები.

5-7 ივნისს ჩატარდა „გავკასიის არქეოლოგიური კონფერენცია – I“, რომელიც მოიწვია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კავკასიის ქვეყნებთან სამეცნიერო თანამშრომლობის კომისიამ და საქართველოს არქეოლოგიურმა კომისიამ. თბილისელი მეცნიერების გარდა მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სტუმრებმა ბაქოდან, ერევნიდან, ჰალედან (გერმანია) და ნიუ-იორკიდან.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტმა აკადემიკოსმა ა. აფაქიძემ.

არქეოლოგიური კვლევის ცენტრიდან მოხსენები წაიკითხეს: ოთ. ლორთქიფანიძემ, კ. ფიცხელაურმა, მ. გაბუნიამ, მ. ნიორაძემ, გ. ფხავაძემ, გ. მირცხულავამ, ჯ. კოპალიანმა, ზ. მახარაძემ, ნ. შანშაშვილმა, გ. ნარიმანიშვილმა, ვ. ლიჩელმა, გ. ბოლქვაძემ, მ. ხავთასმა, ვ. ჯაფარიძემ და გ. ღამბაშიძემ. გამსვლელი სხდომა ჩატარდა მცხეთაში.

წაკითხული იყო საქართველოს პრეზიდენტის ე. შევარდნაძის მისალმება.

კონფერენციას მისალმებები გამოუგზავნეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა პროფ. რ. მუნჩავაძემ და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დაღესტნის სამეცნიერო ცენტრის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორმა პროფ. ა. ოსმანოვმა და ამავე ინსტიტუტის განყოფილების გამგებ პროფ. მ. ჰაჯიევმა.

დაიბეჭდა მოხსენების მოკლე შინაარსები ქართულ-რუსულ ენებზე.

8-10 სექტემბერს გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „„თბილისი-იერუსალიმი 2“, რომელიც მიეძღვნა საქართველოში ებრაელთა დამკვიდრების 26 საუკუნოვან თარიღს. კონფერენცია მოიწვია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციამ, საქართველოს კულტურის სამინისტროს დ. ბააზოვის სახ. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა, იერუსალიმის ბენ-ცევის სახ. აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის ინსტიტუტმა, ამერიკის ებრაელთა გაერთიანებული გამავრცელებელი კომიტეტის „ჯოინის“ წარმომადგენლობამ კავკასიაში, ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესმა, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოებამ.

არქეოლოგიური კვლევის ცენტრიდან მოხსენებები წაიკითხეს ოთ. ჯაფარიძემ, მ. ნიორაძემ, გ. გამყრელიძემ, გ. მირცხულავაძ და გ. ბოლქვაძემ. გამოიცა მოზესენებათა მოკლე შინაარსები ქართულ-ინგლისურ ენებზე.

ამ თარიღთან დაკავშირებით სურათების ეროვნულ გალერეაში მოეწყო გამოფენა „26 საუკუნე ერთად“. ამ გამოფენის კონცეფციისა და თემატური გეგმის ერთ-ერთი ავტორია არქეოლოგიური კვლევის ცენტრის საპრობლემო ჯგუფის ხელმძღვანელი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართულ-გრაულ ურთიერთობათა ასოციაციის პრეზიდენტი გ. ღამბაშიძე.

13-16 სექტემბერს დმანისა და თბილისში გაიმართა პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი „პირველყოფილი ადამიანი ევროპის კარიბჭე-სთან“, რომელიც მოიწვია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დამანისის ისტორიულ-არქეოლოგიურმა განყოფილებამ, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა, მეოთხეული პერიოდის შემსწავლელმა საქართველოს ნაციონალურმა კომიტეტმა, მაინცის რომაულ-გერმანულმა ცენტრალურმა მუზეუმმა. სიმპოზიუმის მუშაობაში ქართველი მეცნიერების გარდა მონაწილეობა მიიღეს სტუმრებმა რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან, ტაჯიკეთიდან, ირანიდან, ისრაელიდან, იაპონიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, ბელგიიდან, ესპანეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან და აშშ-დან.

ცენტრიდან მოხსენებები წაიკითხეს ჯ. კოპალიანმა „დმანისი და მისი წარსული“, მ. ნიორაძე „დმანისის პალეოლითური ადგილსამყოფელი“ (თანავერობით) და მ. გაბუნიამ „ახალქალაქის ქვედა პალეოლითი“. სიმპოზიუმის სტუმრებმა დაათვალიერეს დმანისის ნაქალაქრი, ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების გამოფენა და მონაწილეობა მიიღეს ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მოწყობილი გამოფენის – „საქართველოს ბუნების ისტორია“ – გახსნაში.

30 ოქტომბერს – 6 ნოემბერს გაიმართა არქეოლოგიური კვლევის ცენტრისა და ოთირანის უნივერსიტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტის I სიმპოზიუმი ირანისა და საქართველოს არქეოლოგიის პრობლემებზე.

სიმპოზიუმი შესავალი სიტყვით გახსნა ცენტრის დირექტორმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფ. ოთ. ლორთქიფანიძემ. თეორანელმა არქეოლოგებმა ჰასან თალაიმ, ჯალალ რაფიფიარმა, რაჟიმ სარაფიმ, მასუდ აზარნუშმა წაიკითხეს მოხსენებები, მიძღვნილი ირანში არქეოლოგიური კვლევა-ძიების ორგანიზაციისადმი, ძეგლების დაცვისადმი და ახალი არქეოლოგიური გათხრებისადმი.

ირანელი არქეოლოგები გაეცნენ მუზეუმებს, არქეოლოგიურ ძეგლებსა და ბაზებს თბილისში,

ქუთაისში, ვანში, ფოთში, მცხეთაში, უფლისციხეში, კავთისხევსა და ლუშეთში.

სიმპოზიუმის გახსნას დაესწრო ირანის ისლამური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბატონი ა. ამიანიანი.

16-19 დეკემბერს სტამბოლში (თურქეთი) ვაიმართა საერთაშორისო კოლოკვიუმი თემაზე „ევფრატიდან კავკასიამდე: ძვ.წ. IV-III ათას-წლეული“, რომელიც ორგანიზებული იყო სტამბოლში ანატოლიის კვლევის საფრანგეთის ინსტიტუტის მიერ და სტამბოლის უნივერსიტეტის გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის სტამბოლში და ბრიტანეთის არქეოლოგის ინსტიტუტის ანკარაში აქტიური მონაწილეობით. კოლოკვიუმში, აგრეთვე, მონაწილეობდნენ რომისა და პიზის უნივერსიტეტები.

კავკასიიდან მიწვეული იყვნენ მხოლოდ ქართველი არქეოლოგები. ცენტრიდან მოხსენებები წაიკითხეს ოთ. ჯაფარიძემ „საქართველო ადრებრინჯაოს ხანაში“ და გ. მინდიაშვილმა „მტკვარ-არაქსის (ტრონს გავასიური) კულტურის სტრატიგირაფია შიდა ქართლის ნამოსახლარების მიხედვით“. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმიდან მოხსენება წაიკითხა თ. კოლურაძემ.

კოლოკვიუმზე განხილული იყო ადრებრინჯაოს ხანის კულტურების ქრონოლოგიისა და არქეოლოგიური ტერმინოლოგიის საკითხები. გამოითქვა მოსაზრება, რომ ახლო აღმოსავლეთისა და კავკასიის რეგიონებში გაგრძელდეს კვლევა-ძიება ამ მიმართულებით.

გათვალისწინებულია მოხსენებათა კრებულის გამოცემა.

არქეოლოგიური საუბრები

თებერვალ-აპრილის თვეებში ჩატარდა არქეოლოგიური საუბრები (ოთხშაბათობები), სადაც მოსმენილ იქნა შემდეგი მოხსენებები: 1. ოთ. ლოთქიფანიძე. მივლინებები საზღვარგარეთ; 2. ვ. თოლორდავა, ალ. რამაშვილი. საქართველოს არქეოლოგიურ ატლასზე მუშაობის მიმდინარეობა; 3. მ. აბრამიშვილი. საზღვარგარეთ მივლინების ანგარიში; 4. გ. ყიფაინი. ქუმბათი და სარითეფე; 5. გ. გოგოშვილი, გ. ჩიქოვანი. დაღუსტან-აშშ ერთობლივ არქეოლოგიურ ექსპედიციაში მუშაობის ანგარიში; 6. ოთ. ლორთქიფანიძე. ზოგიერთი ტენდენციის შესახებ თანამედროვე რუსულ არქეოლოგიაში (კოლხურ-ყობანური და სკვითურ-ქართული ურთიერთობის ასპექტი); 7. მ. ნიორაძე. გერმანიასა და ბელგიაში მივლინების ანგარიში; 8. რ. პაპუაშვილი. კოლხურ სამაროვანთა მორფოლოგიური აგებულებისათვის; 9. გ. თორთლაძე. აფრიკა. ოლდუვაის ხეობა; 10. დ. კაჭარავა. მივლინება საზღვარგარეთ; 11. მ. ფუთურიძე. თრიალეთური ოქრომჭედლობის ზოგიერთი თავისებურების შე-

სახებ; 12. ჯ. გვეტაძე. წინასკვითური და სკვითური კულტურის მატარებელი ტომების შემოსევებისა და განსახლების შესახებ წინა აზიაში (საქართველოში); 13. მ. ნიორაძე. არქეოლოგიური გათხრები ოქუმის მღვიმეში; 14. რ. რუსიშვილი. დაკრძალვის წესი იორ-ალაზნის აუზში ძვ.წ. II ათასწ. პირველ ნახევარში; 15. ნ. პაჭიკაშვილი. რუსთავის ტბილებების საკითხი ახალი აღმოჩენების შუქზე; 16. გ. რჩეულიშვილი. არაგვის ხეობის ნასოფლარები; 17. რ. კვირკვაია. დაკრძალვის წესი რკინის ფართო ათვისების ხანის სამცხეში (ძვ.წ. VIII-VII სს.); 18. გ. გოგოშვირი. უინგალის სამლოცველო: ქრისტიანული-პერიოდიზაციის საკითხები; 19. ირ. დამბაშიძე. გერმანიაში მივლინების ანგარიში; 20. ლ. წითლანაძე. მჭადიჯვრის გორანამოსახლარი; 21. მ. ღლონტი. აბანოსხევის მტკვარარაქესული ძეგლები.

ქრისტიანული არქეოლოგიის სემინარი

შუა საუკუნეთა ხანის არქეოლოგიის განყოფილების ქრისტიანული არქეოლოგიის სემინარზე წაკითხულია შემდეგი მოხსენებები: 1. რ. რამიშვილი. დაკრძალვის ქრისტიანული რიტუალის გავრცელება საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით; 2. რ. რამიშვილი. ქრისტიანული არქეოლოგიის XIII მსოფლიო კონგრესი საბლიუში. ძირითადი შედეგები; 3. გ. ბოლქვაძე. უძველესი ქრისტიანული ტაძარი მცხეთაში. გარდა ამისა, მოხსენებები წაიკითხეს მოწვეულმა მეცნიერ-თანამშრომლებმა: ბ. ცერცაძემ, ნ. კანდელაკმა და ს. მამისიმედის-შვილმა.

სამეცნიერო კვალიფიკაციის ამაღლება

არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სადისერტაციო საბჭოზე არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის სპეციალობით დაცული იყო 14 დისერტაცია. მათ შორის იყონენ ცენტრის თანამშრომლები. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაცია დაიცვა: 1. მ. ბარამიძემ – 21 ივნისს, 2. დ. კაჭარავაძ – 30 ივნისს, 3. მ. მიწიშვილმა – 6 თებერვალს, 4. ა. რამიშვილმა – 13 თებერვალს. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაცია დაიცვა: 1. რ. პაპუაშვილმა – 22 მაისს, 2. ლ. ქორქაძ – 13 ივნისს, 3. რ. ხვისტანმა – 22 მაისს.

ექსპედიციები

ქვემოთ ჩამოთვლილმა ექსპედიციებმა ჩაატარა არქეოლოგიური გათხრები და დაზვერვები სხვადასხვა პერიოდის ძეგლებზე მათ შორის ახალმშენებლობის ზონაში: 1. აღმოსავლეთ სა-

ქართველოს მთიანეთის (რ. რამიშვილი), 2. გორის (გ. მინდაშვილი); 3. გურიის (ვ. საღრაძე); 4. დიღომი-დიდგორის (ჯ. სონდულაშვილი); 5. დმანისის (ჯ. კოპალიანი, მ. ნიორაძე) ქ. მაინცის გერმანულ-რომაული მუზეუმთან ერთად; 6. ეგრისის (ვ. ჯაფარიძე); 7. განის (ოთ. ლორთქიფანიძე); 8. თბილისის (ო. ტყეშელაშვილი); 9. კასპის (ზ. მახარაძე); 10. კახეთის (კ. ფიცხელაური) ტიუბინგენის და ჰალეს უნივერსიტეტებთან ერთად; 11. კოლხეთის (=თ. მიქელაძე, რ. პაპუაშვილი); 12. კუხეთის რუსთავის (ც. ჩიკოიძე); 13. ლოჭინის (გ. ფხავაძე); 14. მესხეთის (ვ. ლიჩელი, მონრეალის უნივერსიტეტთან ერთად); 15. ნასტაკისის (ნ. მირიანშვილი); 16. სამხრეთ საქართველოს მთიანეთის (მ. გაბუნია); 17. სვანეთის (შ. ჩართოლანი); 18. ივრის ხეობის (გ. მირცხულავა); 19. ქუთაისის (ო. ლანჩავა); 20. წალკის (გ. ნარიმანიშვილი); 21. ხაშურის (ალ. რამიშვილი).

(საველე ქრონიკა დოკუმენტური ანგარიშების მიხედვით დაიბეჭდება უურნალში „ძიებანი“ № 4).

მიგლინებები საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებში

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფ. ოთ. ლორთქიფანიძე თებერვალ-მარტში გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის მიწვევით ერთი თვით იმყოფებოდა საბერძნეთში და ინსტიტუტის ათენისა და ოლიმპიის განყოფილებებში მუშაობდა თემაზე: „გერმეტრიული ხანის საბერძნეთისა და კოლხეთის ურთიერთობა“. გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის ათენის განყოფილებაში წაიკითხა მოხსენება „ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები ვანში“.

ოთ. ლორთქიფანიძე მაისში, ერთი კვირით, ისრაელის მეცნიერებათა აკადემიისა და იერუსალიმის უნივერსიტეტის მიწვევით იმყოფებოდა ისრაელში. შეხვედრების დროს გამოითქვა სურვილი მოეწყოს ერთობლივი სიმბოზიუმები და სამეცნიერო ლიტერატურის გაცვლა. ოთ. ლორთქიფანიძე გაეცნო ისრაელის ხუროთმოძღვრულ ძეგლებს, მუზეუმებს და არქეოლოგიურ გათხრებს. იერუსალიმის უნივერსიტეტში წაიკითხა მოხსენება „არქეოლოგიური გათხრები ვანში“.

ოთ. ლორთქიფანიძე გერმანიისა და საქართველოს მეცნიერების სამეცნიერო-პოლიტიკურ სესიაზე წაიკითხა მოხსენება „ძველი კოლხეთი და მისი ურთიერთობანი გარე სამყაროსთან“.

ოთ. ლორთქიფანიძე ნოემბერ-დეკემბერში ქ. მაინცის რომაულ-გერმანული ცენტრალური მუზეუმის მიწვევით იმყოფებოდა ორი თვით გერმანიაში. მუშაობდა ბერძნულ-კოლხური ურთიერთობების პრობლემებზე. ქ. კონსტანციის უნივერსიტეტში წაიკითხა მოხსენება „ოქროს სა-

წმისი: მითი, ევჰემერისტული ახსნა და არქეოლოგია“ შტუტგარტის უნივერსიტეტის ისტორიულ-გეოგრაფიულ სერიაში გამოსაცემად გადასცა მონოგრაფია „ფასისი – მდინარე და ქალაქი კოლხეთში“ (ინგლისურ ენაზე).

ოთ. ლორთქიფანიძე 26 დეკემბრიდან 13 იანვრამდე იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში ამერიკის არქეოლოგიის ინსტიტუტის მიწვევით. ვაშინგტონში ამერიკის არქეოლოგიის ინსტიტუტის მე-100 საიუბილეო სესიაზე წაიკითხა მოხსენება „ბერძნული კოლონიზაცია კოლხეთში“. ჩიკაგოს აღმოსავლური კვლევების ინსტიტუტში წაიკითხა მოხსენება „არქეოლოგიური გათხრები ვანში“. კოლუმბიაში მისურის კოლუმბიის უნივერსიტეტში ჩაატარა სემინარები თემაზე: „კოლხეთი და ბერძნული სამყარო“ იქვე, სახვითი ხელოვნების მუზეუმში წაიკითხა საჯარო ლექცია „ძველი კოლხეთი: მითი და რეალობა“.

6. მათიაშვილი იმყოფებოდა გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტში სტაბბოლში. მუშაობდა ბიბლიოთეკაში. გაეცნო პერგამონის გათხრებს.

გ. კვირკველია თებერვალ-მარტში იყო ინგლისში დიდი ბრიტანეთის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიით, ხოლო მაის-ივნისში მაინცში ცენტრალური რომაულ-გერმანული მუზეუმის სტიპენდიით.

6. სულავა და 6. ლორთქიფანიძე იყვნენ გერმანიაში მაინცის ცენტრალური რომაულ-გერმანული მუზეუმის სტიპენდიით. მუშაობდნენ ბიბლიოთეკაში.

ი. დამბაშიძე იმყოფებოდა გერმანიაში. ქ. მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის წინა აზიის არქეოლოგიის ინსტიტუტში წაიკითხა მოხსენება „არქეოლოგიური გათხრები მესხეთში (სამხრეთ საქართველო)“, ხოლო ქ. ბოზუმის რურის უნივერსიტეტის პრეისტორიის არქეოლოგიის ინსტიტუტში – „გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლები მესხეთში“.

ქ. აბრამიშვილი მიწვეული იყო შვეიცარიაში შემოქმედებით პიროვნებათა ცენტრის „სპირალის“ ერთკვირიანი გრანტით, სადაც ცენტრის სემინარზე წაიკითხა მოხსენება „ხარის კულტი სამყაროში“.

დ. ახვლედიანი ფოლკსვაგენის სტიპენდიით დასტ-ის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მეცნიერ თანამშრომლებისათვის ექვსი თვით იყო სამეცნიერო მივლინებაში ბერლინში, გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტში.

ე. ოდიშელი მიწვეული იყო სამუშაოდ დიდ ბრიტანეთში ოქსფორდის უნივერსიტეტში, ხოლო დუბლინის უნივერსიტეტში წაიკითხა ლექციები.

ქ. ბუხრაშვილი გერმანიის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიით ივლის-იანვარში იმყოფებოდა ჰალეს უნივერსიტეტის აღმოსავლეთის არქეოლოგიისა და ხელოვნების ინსტიტუტში.

დ. კაჭარავა და 6. ლორთქიფანიძე დეკემბერში ორი კვირით მიწვეული იყვნენ საფრანგეთში,

პროვანსის ექსის უნივერსიტეტის შავიზლვისპირეთის შემსწავლელი ჯგუფის მიერ. მუშაობდნენ ბიბლიოთეკაში, გაეცნენ ექსის არქეოლოგიურ მუზეუმს, მარსელის ხმელთაშუაზღვისპირეთის არქეოლოგიურ მუზეუმს, სენრემისა (ძველი გლანუმი) და არლის (ამფითეატრი, არქეოლოგიური მუზეუმი) სიძველეებს.

ცენტრის ბიბლიოთეკის ურთიერთობა სხვა ბიბლიოთეკებთან

ცენტრს აწ განსვენებული 6. უგრელიძის ოჯახმა გადმოსცა მისი პირადი ბიბლიოთეკა.

გარდა ამისა, ცენტრის ბიბლიოთეკას (გამგეთ. კობაზიძე) წიგნები გადასცეს და გამოუგზავნეს: ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა, შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმმა, 6. ბერძენიშვილის სახ. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტმა, თურქეთის კულტურის სამინისტროს ბიბლიოთეკამ, რუმინისტრობის ინსტიტუტმა, მაინცის (გერმანია) რომაულ-გერმანულმა ცენტრალურმა მუზეუმმა, რომაულ-გერმანულმა კომისიამ მაინცში; თეირანის უნივერსიტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტმა, სტამბოლში ანატოლიის კვლევის საფრანგეთის ინსტიტუტმა.

ცენტრის ბიბლიოთეკამ წიგნები გადასცა და გაუგზავნა: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკას, 6. ბერძენიშვილის სახ. ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სანკტ-პეტერბურგის მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტს, გერმანიის ტიუბინგენის უნივერსიტეტს, მარსელის (საფრანგეთი) შავი ზღვის ინსტიტუტს, ანკარაში (თურქეთი) დიდ ბრიტანეთის არქეოლოგიის ინსტიტუტს, ირანში თეირანის უნივერსიტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტს, თურქეთის კულტურის სამინისტროს ბიბლიოთეკას, აშშ-ის ჰენსილვანიის არქეოლოგიის ინსტიტუტს, სტამბოლში ანატოლიის კვლევის საფრანგეთის ინსტიტუტს, გერმანიაში ჰალეს მხარეთკოდნეობის მუზეუმს, გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტს იტალიაში.

ცენტრის ბიბლიოთეკის გაცვლითი ფონდის საშუალებით მიღებულია 76 წიგნი, ხოლო გაგზავნილია – 225.

საგამოფენო სამუშაო

არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ვანის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ და ვანის სახელმწიფო არქეოლოგიურმა მუზეუმმა განაახლეს გამოფენა, რომელიც გაიხსნა 1 ნოემბერს. ვანის არქეოლოგიური მუზეუმის გამოფენის რენო-

ვაციის პროექტი განხორციელდა ფონდის „ლია საზოგადოება – საქართველოს“ დაფინანსებით.

გურიის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სუფ-
სის ტერმინალის შენებლობის ოფისში ორჯერ
მოაწყო დროებითი არქეოლოგიური გამოვენა,
რომელიც დაკავშირებული იყო საქართველოს
პრეზიდენტის ე. შევარდნაძისა და რუმინეთის
პრეზიდენტის ე. კონსტანტინესკუს ჩასვლასთან
შენებლობის დათვალიერების გამო. გამო-
ვენაზე წარმოდგენილი იყო მიღსადენის შენე-
ბლობის ტრასაზე და ტერმინალის ტერიტორი-
აზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთები და
კვლევა-ძიების ამსახველი ფოტოები.

თბილისში, საქართველოს ნაკონის საერთა-
შორისო კორპორაციის ოფისში, თბილისობას-
თან დაკავშირებით მოეწყო დროებითი გამო-
ცენა, სადაც წარმოდგენილი იყო მშენებლობაზე
გამოვლენილი არქეოლოგიური აღმოჩენების ამ-
სახველი მასალები.

გურიის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ლანჩუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არქეოლოგიური გამოფენა შეავსო ახალი არქეოლოგიური მასალებით.

მ. ლორთქიფანის სახელობის
გაბინეტი ცენტრში

28 ოქტომბერს არქეოლოგიური კვლევის ცენტრში გაიმართა სხდომა, რომელიც მიეძღვნა საქართველოში გლიპტიკური მეცნიერების ფუძემდებლის მარგო (მარგალიტა) ლორთქითანიძის სხვენის.

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი გ. ლორთქიფანიძე (1921-1997) 1943-1960 წწ. მუშაობდა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. 1961 წლიდან ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტშია უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო 1986 წლიდან ცენტრის წამყვანი მეცნიერ თანამშრომელია. 1945-1948 წწ. მონაწილეობდა მცხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში. მ. ლორთქიფანიძეს დიდი ამაგი მიუძღვის მუზეუმში გლიბტიკური კაბინეტის ჩამოყალიბებაში და იქ დაცული მასალების შესწავლასა და პუბლიკაციაში. მ. ლორთქიფანიძე ავტორია 50-მდე ნაშრომისა, მათ შორის კატალოგებისა და მონოგრაფიებისა. ზოგი დანიჭილია უკანონო.

სსოვნის სჩდომა გახსნა ცენტრის დირექტორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფ. ოთ. ლორთქიფანიძემ. მოხსენებით „მარგო (მარგარიტა) ლორთქიფანიძის ცხოვრება და მოღვაწეობა“ გამოვიდა ა. ჭყონია. ქ. ჯავახიშვილმა წაიკითხა მოხსენება „ძ.წ. I სუკუნისა და ა.წ.წ. დასაწყისი ხანის რომაული გემბი ქართლში“. მოგონებებით გამოვიდნენ ოთ. ჯაფარიძე, ქ. ჩოლოფაშვილი, რ. რამიშვილი, მ. დ. ლორთქიფანიძე, ი. ცუხაშვილი, ვ. ჩიხლაძე და ი. გაგოშიძე.

ცენტრის დირექტორის გადაწყვეტილებით, კლასიკური არქეოლოგიის განციფრილებასთან შეიქმნა მარგო ლორთქიფანიძის სახელობის კაბინეტი. ამის შესახებ ისაუბრა დ. კაჭარავაშ. კაბინეტში დაცულია აწ განსვენებული მეცნიერის ანდერძით გადმოცემული წიგნები, საარქივო მასალები და საქართველოში გამოვლენილი გემების ანაბეჭდები.

საგაზეთო სტატიების პუბლიკაციები

ოთ. ლოროტქიფანიძემ, თ. მიქელაძემ ბ.
ჯორბენაძემ, გ. ჩიქოვანმა, კ. კოპალიანმა, მ.
ჩხატარაშვილმა, ნ. ღოლობერიძემ, ი. ღამბაში-
ძემ, გ. ღამბაშიძემ, მ. გაუზნამ, ივ. წიკლაურმა,
გ. რჩეულიშვილმა და სხვ. დაბეჭდეს სტატიიდი
გაზეთებში: „საქართველოს რესპუბლიკა“, „თბი-
ლისი“, „ნაკადულის სალიტერატურო გაზეთი“,
„ციცინათელა“, „განახლებული მესხეთი“, „მეს-
ხეთის უნივერსიტეტი“, „ახალი ქართული გა-
ზეთი“, „იბერია ტაიმსი“, „Свободная Грузия“,
„Врастан“ („საქართველო“).

გამოქვეყნებული ნაშრომები

1. არჩევადე თ., ჩხატარაშვილი მ. აღორძინებული რუსთავი და რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიცია. – რუსთავი, II, თბ., 1998, გვ. 67-72, ილ.
 2. აფაქიძე ა., ციციშვილი ი., ნიკოლაიშვილი გ., ყიფიანი გ. მცხეთის არქეოლოგიური ინსტიტუტის 1995-97 წლების საველე მუშაობის შედეგები. – კავკასიის არქეოლოგიური კონფერენცია. – I. მოხსენებათა მოკლე შინაარსი. თბ., 1998, გვ. 9-10, პარალ. ტექსტი რუს. ენ. გვ. 51-53.
 3. ბარამიძე გ. ბ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ.წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ძირითადი პრობლემები). – ავტ. ისტ. მეცნ. დოქტორის სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1998, 78 გვ., პარალ. ტექსტი რუს. ენ., ბიბლიოგრ.: გვ. 42-43.
 4. ბოლქვაძე გ. მაცხოვრის კვართი და ებრაული დიასპორა ქართლის (იბერიის) სამეფოში. – „თბილისი-იერუსალიმი 2.“ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, მოხსენებათა მოკლე შინაარსი. თბ., 1998, გვ. 11, პარალ. ტექსტი ინგლ. ენ., გვ. 59-60.
 5. ბოლქვაძე გ. პირველი ქრისტიანული ტაძარი მცხეთაში – ქვემო ეკლესია „წმიდა წმიდათა“ . – ძიებანი, № 2, თბ., 1998, გვ. 72-79, ილ., რეზ. რუს. და ინგლ. ენ., ბიბლიოგრ.: 20 სხვ.
 6. ბოლქვაძე გ. საქართველოში ადრე-ქრისტიანული საეკლესიო აღმშენებლობის საკითხი და უკანასკნელი წლების არქეოლოგიური მონაცემები. – კავკასიის არქეოლოგიური კონფერენ-

ცია – I. მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 1998, გვ. 12-13, პარალ. ტექსტი რუს. ენ., გვ. 59-60.

7. ბუგიანიშვილი თ. ქვის ხანის ახალი მონაპოვარი ქვემო ქართლში. – დმანისი, I, თბ., 1998, გვ. 114-139, ილ., რეზ. რუს. ენ., გვ. 245-246, ინგლ. ენ., გვ. 261-262, ბიბლიოგრ.: 2 სხწ.

8. გაბრიაძე ა. ქუთაისის ციტადელის წმ. გიორგის ეკლესია. – ძიებანი, № 1, თბ., 1998, გვ. 88-91, ილ., რეზ. რუს. და ინგლ. ენ., ბიბლიოგრ.: 10 სხწ.

9. გაბუნია მ. სამხრეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის უკანასკნელი წლების (1992-1997 წწ.) ანგარიში. – კავკასიის არქეოლოგიური კონფერენცია – I. მოხსენებათა მოკლე შინაარსი. თბ., 1998, გვ. 14-15, პარალ. ტექსტი რუს. ენ., გვ. 64-65.

10. გაბუნია მ. ჯავახეთის ამირანისგორა. – ძიებანი, № 2, თბ., 1998, გვ. 5-15, ილ., რეზ. რუს. და ინგლ. ენ., ბიბლიოგრ.: 28 სხწ.

11. გამყრელიძე გ. მენორას სავარაუდო გამოსახულება ქვემო ქართლიდან. – „თბილისი-იერუსალიმი 2,” საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, მოხსენებათა მოკლე შინაარსი. თბ., 1998, გვ. 12-13, პარალ. ტექსტი ინგლ. ენ., გვ. 67.

12. გამყრელიძე გ. ფოთი-ფასისის ტოპორებისათვის. თბ., 1998, 30 გვ., სქემები, ბიბლიოგრ.: გვ. 22-28.

13. გასიტაშვილი გ., ჯორბენაძე ბ. ხის ჭურჭლები ივრის ხეობის სოფ. ქუშხევიდან. – მმ., № 4, 1998 გვ. 35-38, ილ., რეზ. ინგლ. ენ., გვ. 47, ბიბლიოგრ.: 9 სხწ.

14. თორთლაძე გ. ზედაპალეოლიტური ღია საფორმი საბელასური. – ძიებანი, № 2, თბ., 1998, გვ. 16-24, ილ., რეზ. რუს. და ინგლ. ენ., ბიბლიოგრ.: 6 სხწ.

15. ინანიშვილი გ., ჩართოლანი შ., მაისურაძე ბ., გობეჯიშვილი გ., მუჯირი თ. საქართველოს უძველესი სამთამადნო წარმოების ძეგლები. – ძიებანი, № 2, თბ., 1998, გვ. 52-62, ილ., რეზ. რუს. და ინგლ. ენ., ბიბლიოგრ.: 16 სხწ.

16. ისაკაძე რ. გვიანი შუა საუკუნეების ქუთაისი არქეოლოგიური მასალების მიხედვით. – ძიებანი, № 1, თბ., 1998, გვ. 82-87, ილ., რეზ. რუს. და გერმ. ენ., ბიბლიოგრ.: 17 სხწ.

17. გაჭარავა დ. დ. ძვ.წ. VIII-VI საუკუნეების ბერძნული კოლონიზაცია: ქრონოლოგიისა და ტიპოლოგიის პრობლემები. – ავტ. ისტ. მეცნ. დოქტორის სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1998, 98 გვ., პარალ. ტექსტი რუს. ენ., ბიბლიოგრ.: გვ. 50.

18. კახიანი კ. დლიღვაშვილი ე. ტაშირის № 5 ყორდანული სამარხი. – დმანისი, I, თბ., 1998,

გვ. 88-107, ილ., რეზ. რუს. ენ., გვ. 244, ინგლ. ენ., გვ. 260-261, ბიბლიოგრ.: 42 სხწ.

19. გვირგველია გ. არქეოლოგიური აზროვნების ისტორიიდან: 1. პროცესუალური არქეოლოგია. – ძიებანი, № 2, თბ., 1998, გვ. 93-110, რეზ. რუს. და ინგლ. ენ., ბიბლიოგრ.: 154 სხწ.

20. კობალიანი ჯ. ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები დმანისიდან. – კავკასიის არქეოლოგიური კონფერენცია – I. მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 1998, გვ. 20-21, პარალ. ტექსტი რუს. ენ., გვ. 81-83.

21. კობალიანი ჯ. ვახტანგ ჯაფარიძე და დმანისის პალეოლიტური ძეგლი. – დმანისი, I, თბ., 1998, გვ. 108-113, რეზ. რუს. ენ., გვ. 245, ინგლ. ენ., გვ. 261.

22. კობალიანი ჯ. ქვეშის ციხე. – მმ., № 1, 1998, გვ. 33-37, ილ., რეზ. ინგლ. ენ., გვ. 47, ბიბლიოგრ.: 8 სხწ.

23. კობალიანი ჯ. წარწერიანი არქეოლოგიური მასალა დმანისის ნაქალაქარის შიდაციხიდან. – დმანისი, I, თბ., 1998, გვ. 76-82, ილ., რეზ. რუს. ენ., გვ. 242-243, ინგლ. ენ., გვ. 259, ბიბლიოგრ.: 7 სხწ.

24. კობალიანი ჯ. წინასიტყვაობა. – დმანისი, I, თბ., 1998, გვ. 3-8, პარალ. ტექსტი რუს. და ინგლ. ენ.

25. ლიჩელი ვ., მინდიაშვილი გ., ჩიკოძე ც. მირიანშვილი ნ., მეშველიანი თ., საღრაძე ვ. არქეოლოგია და ნავთობსადენის მშენებლობა 1997 წელს. – კავკასიის არქეოლოგიური კონფერენცია – I. მოხსენებათა მოკლე შინაარსი. თბ., 1998, გვ. 22-23, პარალ. ტექსტი რუს. ენ., გვ. 87-88.

26. ლომიძე ც. აბანოსხევის ადრეული შუა საუკუნეების სამარვანი. – ფსაბ, VI, 1998, გვ. 49-57, ილ., რეზ. რუს. და ინგლ. ენ., გვ. 110, ბიბლიოგრ.: 29 სხწ.

27. ლორთქიფანიძე მ. სკარაბეოიდი ვანიდან. – ძიებანი, № 2, თბ., 1998, გვ. 63-67, ილ., რეზ. რუს. და ინგლ. ენ., ბიბლიოგრ.: 13 სხწ.

28. ლორთქიფანიძე ნ. მედეას ახლადაღმოჩენილი უძველესი გამოსახულება. თბ., 1998, 23 გვ., ილ., ბიბლიოგრ.: გვ. 21-22 (ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტი). კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი. პროგრამა „ლოგოსი“).

29. ლორთქიფანიძე ოთ. არქეოლოგიური გათხრები ვანში. – კავკასიის არქეოლოგიური კონფერენცია – I. მოხსენებათა მოკლე შინაარსი. თბ., 1998, გვ. 23-24, პარალ. ტექსტი რუს. ენ., გვ. 88.

30. [ლორთქიფანიძე ოთ.] არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. – ძიებანი, № 1, თბ., 1998, გვ. 5-8, პარალ. ტექსტი რუს. და ინგლ. ენ.

31. ლორთქიფანიძე ოთ. ბერმნული სამყარო და კოლხეთი გვ.წ. VIII-VII სს-ში (პიპოთეზა კოლონიზაციამდელი კონტაქტების შესახებ). – V სამეცნიერო სესია: „მსოფლიო კულტურულისტორიული პროცესი და საქართველო“ (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით). მოხსენებათა თეზისები. თბ., 1998, გვ. 12-13.

32. ლორთქიფანიძე ოთ. კოლხთა ეთნოკულტურული ისტორიის საკითხები. – არნოლდ ჩიქობავას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები. თბ., 1998, გვ. 61-62.

33. ლორთქიფანიძე ოთ. მდინარე-ღვთაება ფასისი („კოლხური დიდრაქმების“ I ტიპის იკონოგრაფიისათვის). – ძიებანი, № 1, თბ., 1998, გვ. 66-75, ილ., რეზ.. რუს. და ინგლ. ენ., ბიბლიოგრ.: 52 სხწ.

34. ლორთქიფანიძე ოთ. ქართველთა ქვეყანა: ისტორია და კულტურა (უძველესი დროიდან არაბობამდე). თბ., 1998, 135 გვ., ილ.

35. მათიაშვილი ნ. ელინისტური ხანის კოლხური ნიშნიანი კერამიკა. – V სამეცნიერო სესია: „მსოფლიო კულტურული-ისტორიული პროცესი და საქართველო“ (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით). მოხსენებათა თეზისები. თბ., 1998, გვ. 16.

36. მახარაძე ზ. კასპის რაიონის არქეოლოგიური ექსპედიციის ახალი აღმოჩენები. – კავკასიის არქეოლოგიური კონფერენცია – I. მოხსენებათა მოკლე შინაარსი, თბ., 1998, გვ. 24-25, პარალ. ტექსტი რუს. ენ., გვ. 91-92.

37. მახარაძე ზ. ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის კავკასიის არქეოლოგიის ზოგიერთი პრობლემა. – ძიებანი, № 1, თბ., 1998, გვ. 27-33, პარალ. ტექსტი რუს. და ინგლ. ენ., ბიბლიოგრ.: 28 სხწ.

38. მილოცვა. – ძიებანი, № 2, თბ., 1998, გვ. 115. [რ. რამიშვილის დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით].

39. მინდიაშვილი გ. საველე ქრონიკა. – ძიებანი, № 2, თბ., 1998, გვ. 111-115, პარალ. ტექსტი რუს. და ინგლ. ენ.

40. მინდორაშვილი დ. ბალთები და აბზინდები გველეთის ადრეული შუასაუკუნეების სამაროვნიდან. – მმ, № 4, 1998, გვ. 25-30, ილ., რეზ. ინგლ. ენ., ბიბლიოგრ.

41. მინდორაშვილი დ. გველეთის ადრეული შუა საუკუნეების სამაროვნის ნივთიერი მასალა. – მმ, № 3, 1998, გვ. 34-43, ილ., რეზ. ინგლ. ენ., გვ. 47-48, ბიბლიოგრ.: 15 სხწ.

42. მინდორაშვილი დ. დარიალის ციხის ისტორიის ზოგიერთი საკითხი. – ძიებანი, № 2, თბ., 1998, გვ. 80-87, რეზ. რუს. და ინგლ. ენ., ბიბლიოგრ.: 28 სხწ.

43. მინდორაშვილი დ. თეთრიგზის ნასოფლარი ანანურთან (1988 წ. განათხარი მასა-

ლების მიხედვით). – ფსამ, VI, 1998, გვ. 34-39, ილ., რეზ. რუს. და ინგლ. ენ., გვ. 110, ბიბლიოგრ.: 8 სხწ.

44. მირცხულავა გ. ბორბლიანი ტრანსპორტის წარმოშობის საკითხისათვის საქართველოში. – კავკასიის არქეოლოგიური კონფერენცია – I. მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 1998, გვ. 26-27, პარალ. ტექსტი რუს. ენ., გვ. 94.

45. მირცხულავა გ. ზაქარია ჭიჭინაძის ცნობები ქართველ ებრაელთა შესახებ. – „თბილისი-იერუსალიმი 2.“ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 1998, გვ. 30-31, პარალ. ტექსტი ინგლ. ენ., გვ. 84-85.

46. მიწიშვილი გ. 1972 წელს რუსთავის ციხეზე წარმოებული (სამხრეთის სექტორის) თხრის ანგარიში. – რუსთავი, II, თბ., 1998, გვ. 45-66, ილ., რეზ. რუს. ენ., ბიბლიოგრ.: გვ. 62-63.

47. მიწიშვილი გ. მრავალფერად მოჭიქული კერამიკის გავრცელების საკითხისათვის. – ფსამ, VI, 1998, გვ. 81-88, ილ., რეზ. რუს. და ინგლ. ენ., გვ. 110, ბიბლიოგრ.: 16 სხწ.

48. მიწიშვილი გ. ნ. შუა საუკუნეების ქართული მოჭიქული კერამიკა (IX-XVIII სს.). ავტ. ისტ. მეცნ. დოქტორის სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1998, 84 გვ., პარალ. ტექსტი რუს. ენ., ბიბლიოგრ.: გვ. 42-43.

49. ნიორაძე გ. ადამიანის უძველესი ნამოსახლარი დმანისში. – მმ, № 4, 1998, გვ. 3-10, ილ., რეზ. ინგლ. ენ., გვ. 46, ბიბლიოგრ.: 11 სხწ.

50. ნიორაძე გ. საქართველოსა და პალესტინის ძველი ქვის ხანის ძეგლებს შორის კავშირუთიერთობის შესახებ. – „თბილისი-იერუსალიმი 2“. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. მოხსენებათა მოკლე შინაარსი. თბ., 1998, გვ. 32, პარალ. ტექსტი ინგლ. ენ., გვ. 86.

51. ნიორაძე გ., იუსტუსი ა. უძველესი ადამიანის არსებობის ნაშთები დმანისიდან. – კავკასიის არქეოლოგიური კონფერენცია – I. მოხსენებათა მოკლე შინაარსი. თბ., 1998, გვ. 27-29, პარალ. ტექსტი რუს. ენ., გვ. 97-98.

52. ნიორაძე გ., იუსტუსი ა. ქვის იარაღები დმანისის ადრეპალეოლითური ძეგლიდან. – დმანისი, I, თბ., 1998, გვ. 140-159, ილ., რეზ. რუს. ენ., გვ. 247-248, ინგლ. ენ., გვ. 263-254, ბიბლიოგრ.: 42 სხწ.

53. ორჯონივიძე ა. ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი დიგაშენი I. – ძიებანი, № 1, თბ., 1998, გვ. 15-22, ილ., რეზ. რუს. და გერმ. ენ., ბიბლიოგრ.: 23 სხწ.

54. ბაბუაშვილი რ. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხურ სამარხ-ორმოთა ფარდობითი ქრონოლოგიისათვის. – ძიებანი, № 1, თბ., 1998, გვ. 43-57, ილ., რეზ. რუს და გერმ. ენ., ბიბლიოგრ.: 16 სხწ.

- 55.** პაპუაშვილი რ. ი. გვიანბრინჯაო-ადრე-რკინის ხანის ცენტრალური კოლხეთის სამარხ ორმოთა ფარდობითი ქრონოლოგიისათვის საბრძოლო იარაღის მიხედვით. – ავტ. ისტ. მეცნ. კანდიდატის სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1998, 26 გვ., რეზ. რუს. ენ., ბიბლიოგრ.: გვ. 26.
- 56.** პაპუაშვილი რ. სკვითური ტიპის იარაღი კოლხეთის დაბლობზე. – V სამეცნიერო სესია: „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო“ (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით). მოხსენებათა თეზისები. თბ., 1998, გვ. 13-14.
- 57.** რამიშვილი ა. ტ. შიდა ქართლის ბრინჯაოს ხანის ფინალური სტადიების არქეოლოგიის პრობლემები. – ავტ. ისტ. მეცნ. დოქტორის სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1998, 69 გვ., პარალ. ტექსტი რუს. ენ., ბიბლიოგრ.: გვ. 34-35.
- 58.** რამიშვილი რ., ჯორბენაძე ბ. გიორგი ლომთათიძე. – ფსაძ. VI, 1998, გვ. 3-6, რეზ. ინგლ. ენ., გვ. 109.
- 59.** რამიშვილი რ., ჯორბენაძე ბ., კოპალიანი ჯ. ვახტანგ ვარლამის ძე ჯაფარიძე. – დმანისი, I, თბ., 1998, გვ. 9-18, ილ., რეზ. რუს. ენ., გვ. 239, ინგლ. ენ., გვ. 256.
- 60.** რამიშვილი რ. ზოგიერთი მოსაზრება საქართველოს ფეოდალური ქალაქის გენეზისთან დაკავშირებით არქეოლოგიური მასალების მიხედვით. – ფსაძ. VI, 1998, გვ. 11-33, ილ., რეზ. რუს. და ინგლ. ენ. გვ. 109, ბიბლიოგრ.: 88 სხვ.
- 61.** რამიშვილი რ. იბერიის გარესამყაროსთან ურთიერთობის ისტორიის ზოგიერთი საკითხი ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანების არქეოლოგიური მასალების მიხედვით. – V სამეცნიერო სესია: „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო“ (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით). მოხსენებათა თეზისები. თბ., 1998, გვ. 18-20.
- 62.** რამიშვილი ქ. ორი ბულა მცხეთის სვეტიცხოვლის უბნიდან. – კავკასიის არქეოლოგიური კონფერენცია – I. მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 1998, გვ. 30-31, პარალ. ტექსტი რუს. ენ., გვ. 105-106.
- 63.** რჩეულიშვილი გ. ხახმატის სამაროვნის ერთი სამარხის ატრიბუციის ცდა. – V სამეცნიერო სესია: „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო“ (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით). მოხსენებათა თეზისები. თბ., 1998, გვ. 24-26.
- 64.** საგინაშვილი გ. გვიანრომაული ხანის მინის ფიალა ჭერემიდან. – ძიებანი, № 2, თბ., 1998, გვ. 68-71, ილ., რეზ. რუს. და ინგლ. ენ., ბიბლიოგრ.: 20 სხვ.
- 65.** სულაგა ნ. საქართველოში აღმოჩნდილი მძივისებურრკალიანი ფიბულები. – ძიებანი, №

- 1, თბ., 1998, გვ. 58-65, ილ., რეზ. რუს. და ინგლ. ენ., ბიბლიოგრ.: 20 სხვ.
- 66.** სულაგა ნ. საქართველოში აღმოჩნდილი ნავისებური ფიბულა. – V სამეცნიერო სესია: „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო“ (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით). მოხსენებათა თეზისები. თბ., 1998, გვ. 11-12.
- 67.** სახაროვა ლ. კიდევ ერთხელ კოლხური ცულების ტიპოლოგიის შესახებ. – ძიებანი, № 1, თბ., 1998, გვ. 34-42, ილ., რეზ. რუს. და ინგლ. ენ., ბიბლიოგრ.: 6 სხვ.
- 68.** სახაროვა ლ. ცულების ერთი სახეობის შესახებ. – V სამეცნიერო სესია: „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო“ (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით). მოხსენებათა თეზისები. თბ., 1998, გვ. 11.
- 69.** ფიცხელაური კ. ძველაღმოსავლური ცივილიზაციის ახალი კერა კავკასიაში. – კავკასიის არქეოლოგიური კონფერენცია – I. მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 1998, გვ. 31-32, პარალ. ტექსტი რუს. ენ., გვ. 103.
- 70.** ფუთურიძე რ. ღვინისა და ზეითუნის ზეთის იმპორტი დასავლეთ საქართველოში ქ.წ. VI-II საუკუნეებში. – V სამეცნიერო სესია: „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო“ (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით). მოხსენებათა თეზისები. თბ., 1998, გვ. 15.
- 71.** ფხაგაძე გ. კოლხეთის დაბლობის ადრებრინჯაოს ხანის კულტურა. – კავკასიის არქეოლოგიური კონფერენცია – I. მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 1998, გვ. 32-33, პარალ. ტექსტი რუს. ენ., გვ. 103-105.
- 72.** ფხაგაძე გ. კოლხეთის დაბლობის ადრებრინჯაოს ხანის კულტურის კვლევის ზოგიერთი ასპექტი. – ძიებანი, № 2, თბ., 1998, გვ. 32-41, ილ., რეზ. რუს. და ინგლ. ენ., ბიბლიოგრ.: 22 სხვ.
- 73.** ფხაგაძე გ. მტკვარ-არაქსული კერა-საღგრების გავრცელების საკითხისათვის. – V სამეცნიერო სესია: „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო“ (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით). მოხსენებათა თეზისები. თბ., 1998, გვ. 5-6.
- 74.** ქიქოძე ზ., კოლი ფ., მინდიაშვილი გ., ორჯონიგიძე ა. ადრებრინჯაოს ხანის არქეოლოგიური მასალა სამხრეთ საქართველოდან. – ძიებანი, № 2, თბ., 1998, გვ. 42-51, ილ., რეზ. რუს. და ინგლ. ენ., ბიბლიოგრ.: 11 სხვ.
- 75.** ქორქია ლ. აფიანჩას მღვიმური ნასახლარის პალეოეკოლოგიური ინტერპრეტაცია. – ძიებანი, № 1, თბ., 1998, გვ. 9-14, სქემა, რეზ. რუს. და ინგლ. ენ., ბიბლიოგრ.: 9 სხვ.
- 76.** ქორქია ლ. ო. საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ზედაპალეოლი-

თური კულტურა. – ავტ. ისტ. მეცნ. კანდიდატის სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1998, 37 გვ., რეზ. რუს. ენ., ბიბლიოგრ.: გვ. 35-36.

77. დამბაშიძე გ. „არსენაშ“-ის სამშენებლო კერამიკული წარწერა ტყობა-ა-ერდას (ინგუშეთი) ქრისტიანული ტაძრიდან. – ფსაბ, VI, 1998, გვ. 89-108, ილ., რეზ. რუს. და ინგლ. ენ., გვ. 110, ბიბლიოგრ. შენიშვნებში.

78. დამბაშიძე გ. ევქარისტიული პურის (სეფისკვერის) ქართულწარწერიანი საბეჭდავი დაღესტნიდან. – V სამეცნიერო სესია: „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო“ (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით). მოხსენებათა თეზისები. თბ., 1998, გვ. 26-27.

79. დამბაშიძე გ. ევქარისტიული პურის (სეფისკვერის) ქართულწარწერიანი საბეჭდავი დაღესტნიდან. – კავკასიის არქეოლოგიური კონფერენცია – I. მოხსენებათა მოკლე შინაარსი. თბ., 1998, გვ. 34-35, პარალ. ტექსტი რუს. ენ., გვ. 72-73.

80. დამბაშიძე ი. ლითონის წარმოების საკითხისათვის სამცხეში ძვ.წ. II ათასწლეულის შუა სანებში. – V სამეცნიერო სესია: „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო“ (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით). მოხსენებათა თეზისები. თბ., 1998, გვ. 7-8.

81. ყიფიანი გ. 1997 წლის საველე სეზონი. – ძმ, № 2, 1998, გვ. 38-39, რეზ. ინგლ. ენ., გვ. 55.

82. ყიფიანი გ. არმაზციხის ექვსაფუძინი ტაძარი. – XXI სამეცნიერო სესია. ეძღვნება უფლისციხის არქეოლოგიური ექსპედიციის მე-40 წლისთავს. პროგრამა და მოხსენებათა თეზისები. თბ., 1998, გვ. 11-13 (შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი).

83. ყიფიანი გ. არმაზციხის № 3 აპანოს არქიტექტურა და სამშენებლო საქმე (წინასწარული შეხედულებანი). – II სამეცნიერო სესია მიძღვნილი მცხოვის არქეოლოგიის ინსტიტუტის მიერ 1997 წელს ჩატარებული საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიებისადმი. მოხსენებათა მოკლე შინაარსი. თბ., 1998, გვ. 9-11, ილ.

84. ყიფიანი გ. სატაძრო თემატიკა ძველი ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშებში. თბ., 1998, 40 გვ., ილ., რეზ. რუს. ენ., ბიბლიოგრ. შენიშვნებში.

85. ყიფიანი გ. ქუმბათი და სარითევე. – ნარკვები, ტ. IV, თბ., 1998, გვ. 31-47, ილ., რეზ. რუს. ენ., ბიბლიოგრ. შენიშვნებში (შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი).

86. ყიფიანი გ. ცხოველთა გამოსახულებანი ქვათლილზე. – ძმ, № 4, 1998, გვ. 39-45, ილ., რეზ. ინგლ. ენ., გვ. 47, ბიბლიოგრ.

87. შანშაშვილი ნ. კვირისტავის სემიოტიკური სტატუსი მტკვარ-არაქსელთა დაკრძალვის რიტუალში. – ძიებანი, № 1, თბ., 1998, გვ. 23-26, რეზ. რუს. და გერმ. ენ., ბიბლიოგრ.: 15 სხვ.

88. შანშაშვილი ნ. ნარიმანიშვილი გ. ციკლოპური ნამოსახლარების გათხრები წალკის რაიონში. – კავკასიის არქეოლოგიური კონფერენცია – I. მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 1998, გვ. 35-36, პარალ. ტექსტი რუს. ენ., გვ. 123-124.

89. შატბერაშვილი ხ. ბედენური კულტურის ზოგიერთი საკითხისათვის. – კავკასიის არქეოლოგიური კონფერენცია – I. მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 1998, გვ. 37-38, პარალ. ტექსტი რუს. ენ., გვ. 125-126.

90. შოშიაშვილი ნ. ჯორბენაძე ბ. საბეჭდავი ჟინვალის ნაქალაქარის სამაროვნიდან. – ძიებანი, № 1, თბ., 1998, გვ. 76-81, ილ., რეზ. რუს. და ინგლ. ენ., ბიბლიოგრ.: 15 სხვ.

91. ჩართოლანი შ. ცინდელიანი გ. ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები და კვლევა-ძიების პერსპექტივები მაღალმთიან სვანეთში. – კავკასიის არქეოლოგიური კონფერენცია – I. მოხსენებათა მოკლე შინაარსი. თბ., 1998, გვ. 38-39, პარალ. ტექსტი რუს. ენ., გვ. 118-119.

92. ჩართოლანი შ. ძველი კოლხეთის მთიანეთი და გარე სამყარო. – V სამეცნიერო სესია: „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო“ (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით). მოხსენებათა თეზისები. თბ., 1998, გვ. 8-10.

93. ჩიგოშვილი თ. ჯიბლაძე ლ. ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი ძდ. ენგურის ქვემო აუზიდან. – ძმ, № 4, 1998, გვ. 11-16, ილ., რეზ. ინგლ. ენ., გვ. 46, ბიბლიოგრ.

94. [ჩიგოძე ც.] წინასიტყვაობა. – რუსთავი, II, თბ., 1998, გვ. 3.

95. ჩიქოვანი გ. ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარი სოფ. ჩინთიდან. – „ლეგია და კომპანიის“ უნივერსიტეტი, შრომები, ტ. II, თბ., 1998, გვ. 72-84, ილ., ბიბლიოგრ.: 35 სხვ.

96. ჩიქოვანი გ. კულტურული პროცესები აღმოსავლეთ საქართველოს ენეოლითურ ნამოსახლარებში წინა აზიის მასალების მიხედვით. – V სამეცნიერო სესია: „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო“ (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით). მოხსენებათა თეზისები. თბ., 1998, გვ. 3-5.

97. ჩიხლაძე ვ. ჟინვალის სამაროვნის ირმის გამოსახულებიანი მშვილდესაკინდი. – ძმ, № 4, 1998, გვ. 17-24, ილ., რეზ. ინგლ. ენ., გვ. 46, ბიბლიოგრ.

98. ჩიხლაძე ვ. ჟინვალის სამაროვნის ყორე-კედლიანი სამარხები. – ფსაბ, VI, 1998, გვ. 58-

69, ილ., რეზ. რუს. ენ., ინგლ. ენ., გვ. 110, ბიბლიოგრ.: 34 სხწ.

99. ჩიხლაძე ვ. რამდენიმე „უჩვეულო“ ინტალიო ჟინვალის სამაროვნიდან. – V სამეცნიერო სესია: „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო“ (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით). მოხსენებათა თეზისები. თბ., 1998, გვ. 22.

100. ჩხატარაშვილი მ. რუსთავის ციხის დასავლეთ უბანზე ჩატარებული მუშაობის შედეგები (1961-62, 1965, 1973-74 წწ.). – რუსთავი, II, თბ., 1998, გვ. 4-44, ილ., რეზ. რუს. ენ., ბიბლიოგრ.: გვ. 33-41.

101. ცუხიშვილი ი. საქართველოსა და რომის იმპერიის (ბიზანტია) ურთიერთობის საკითხისათვის IV-V სს-ში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით. – V სამეცნიერო სესია: „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო“ (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით). მოხსენებათა თეზისები. თბ., 1998, გვ. 23-24.

102. ცეკვიტინიძე ზ. აზალი აღმოჩენები სოფ. გომარეთის მიდამოებში. – დმანისი, I, თბ., 1998, გვ. 83-87, რეზ. რუს. ენ., გვ. 243, ინგლ. ენ., გვ. 259-260.

103. ცეკვიტინიძე ზ. დარკვეთის ეხის ზედა ფენების დათარიღებისათვის. – ძიებანი, № 2, თბ., 1998, გვ. 25-31, ილ., რეზ. რუს. და ინგლ. ენ., ბიბლიოგრ.: 11 სხწ.

104. წითლაპანძე ლ., კახიძე ა., შატბერა-შვილი ზ. გიგაისსათიბის სამაროვანი (დარიალის ხეობა). – ფსაძ. VI, 1998, გვ. 70-80, ილ., რეზ. რუს. და ინგლ. ენ., გვ. 110, ბიბლიოგრ.: 24 სხწ.

105. წითლაპანძე ლ. ხევი ძვ.წ. V-I საუკუნეებში. – V სამეცნიერო სესია: „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო“ (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით). მოხსენებათა თეზისები. თბ., 1998, გვ. 21.

106. წიკლაური იგ. აღმოსავლეთ საქართველოს გზები და კომუნიკაციები: გუდამაყარი. – ქართული ონომასტიკა, ტ. I, თბ., 1998, გვ. 200-205, ბიბლიოგრ.: გვ. 205.

107. ჭირაქაძე მ. კოლხური მშვილდაკინძების პერიოდზაკიის საკითხისათვის (კონიტური ანალიზის შესაძლებლობა და პერსპექტივა არქეოლოგიაში). – კავკასიის არქეოლოგიური კონფერენცია – I. მოხსენებათა მოკლე შინაარსი. თბ., 1998, გვ. 40-41, პარალ. ტექსტი რუს. ენ., გვ. 122-123.

108. ჭირაქაძე მ. სიტყვა „ციხე“-ს წარმომავლობისათვის. – არნოლდ ჩიქობავას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები. თბ., 1998, გვ. 110-112.

109. ჭირაქაძე მ. ტერმინულ სინონიმთა ცნებებრივი მიმართების საკითხისათვის. – არნ. ჩი-

ქობავას საკითხავები – IX, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. თბ., 1998, გვ. 42-44.

110. ჭირაქაძე მ. ტერმინულ სინონიმთა ცნებებრივი მიმართების საკითხისათვის. – გზა ენისაკენ. თბ., 1998, გვ. 184-198, რეზ. ინგლ. ენ.

111. ხაფთაძე მ. სეფისკვერი – ევლოგის საბეჭდავი რუსთავიდან. – კავკასიის არქეოლოგიური კონფერენცია – I, მოხსენებათა მოკლე შინაარსები. თბ., 1998, გვ. 41-43, პარალ. ტექსტი რუს. ენ., გვ. 113-114.

112. ხაჩიძე რ., ჭობულაძე ნ., ჭირაქაძე მ., ზურაბიშვილი მ. ამფეთქი (ლექსიკური მინიმუმი). თბ., 1998, 46 გვ. (საქართველოს თავდაცვის სამეცნიერო კალევითი და საკონსტრუქტორო ინსტიტუტი „დელტა“).

113. ხეისტაძე რ. ბედიის სამონასტრო კომპლექსი. – აფხაზეთის მოამბე, № 1, თბ., 1998, გვ. 56-60, ილ., რეზ. რუს. და ინგლ. ენ., ბიბლიოგრ.: 7 სხწ. (აფხაზეთის რეგიონალური მეცნიერებათა აკადემიის პერიოდული ორგანო).

114. ხეისტაძე რ. დედოფალ საგდუხტის ვინაობის დადგენისათვის. – აფხაზეთის ისტორიის პრობლემები. თბ., 1998, გვ. 64-66, ბიბლიოგრ.: 8 სხწ.

115. ხეისტაძე რ. ენგურ-დალიძების ორმდინარეთის შუა საუკუნეების ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის ისტორიიდან. – საისტორიო ძიებანი, I, თბ., 1998, გვ. 55-70, რეზ. რუს. ენ., ბიბლიოგრ. შენიშვნებში (ე. თაყაიშვილის სახ. საქართველოს საისტორიო საზოგადოება. აფხაზეთის ორგანიზაცია).

116. ხეისტაძე რ. გ. ოქუმის ხეობა შუა საუკუნეებში (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა). – ავტ. ისტ. მეცნ. კანდიდატის სამცნ. ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1998, 24 გვ., რეზ. რუს. ენაზე, ბიბლიოგრ.: გვ. 24.

117. ხეისტაძე რ. ქრისტიანული ძეგლები ოქუმისწყლის ზემო წყალზე (ლუმურიშის ეკლესია). – ძიებანი, № 2, თბ., 1998, გვ. 88-99, ილ., რეზ. რუს. და ინგლ. ენ., ბიბლიოგრ.: 5 სხწ.

118. ჯალაძენია ინ. სოფელ ბობოყვათის სანაპირო ზოლში 1986 წელს ნაპოვნი მონეტები. – ადამიანი, ეთნოლოგიური ურნალი, № 1, ბათუმი, 1998, გვ. 34-36.

119. ჯაფარიძე ვ. დმანისის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი შუა საუკუნეებში (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით). – დმანისი, I, თბ., 1998, გვ. 19-37, რეზ. რუს. ენ., გვ. 239-240, ინგლ. ენ., გვ. 256-257, ბიბლიოგრ.: 32 სხწ.

120. ჯაფარიძე ვ. შუა საუკუნეების ქართული მოჭიქული კერამიკის თარიღის დაზუსტებისათვის. – დმანისი, I, თბ., 1998, გვ. 38-57, რეზ. რუს. ენ., გვ. 241, ინგლ. ენ., გვ. 257, ბიბლიოგრ.: 25 სხწ.

- 121.** ჯაფარიძე გ. კოლხეთის (ლაზიკის) საფორტიფიკაციის ნაგებობების შესწავლის ახალი მონაცემები და ე.წ. პონტოს ლიმესის საკითხი. – კავკასიის არქეოლოგიური კონფერენცია – I. მოხსენებათა მოკლე შინაარსი. თბ., 1998, გვ. 45-46, პარალ. ტექსტი რუს. ენ., გვ. 75-76.
- 122.** ჯაფარიძე გ. მუხირისი (მოხირისი) – მხარე („ქვეყანა“) და ქალაქი კოლხეთში. – V სამეცნიერო სესია: „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო“ (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით). მოხსენებათა ოეზისები. თბ., 1998, გვ. 16-18.
- 123.** ჯაფარიძე თ. ამიერკავკასიისა და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის უძველესი კონტაქტების ისტორიიდან. – „თბილისი-იერუსალიმი 2“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. მოხსენებათა მოკლე შინაარსი. თბ., 1998, გვ. 51-52, პარალ. ტექსტი ინგლ. ენ. გვ. 71-72.
- 124.** ჯაფარიძე თ. კავკასიის უძველესი მოსახლეობის ეთნოკულტურული ისტორიის საკითხისათვის. – არქეოლოგის კრებული, II, თბ., 1998, გვ. 113-122, რეზ. გერმ. ენ., (თსუ).
- 125.** ჯაფარიძე თ. ნათელი კვალი. – არქეოლოგიის კრებული, II, თბ., 1998, გვ. 132-136 (თსუ).
- 126.** ჯაფარიძე თ. ქართველი ტომების ეთნოკულტურული ისტორიისათვის ძვწ. III ათასწლეულში (ადრეკორდანული კულტურა). თბ., 1998, 256 გვ., ილ., რეზ. გერმ. ენ., ბიბლიოგრ. შენიშვნები.
- 127.** ჯიბლაძე ლ. კოლხეთის დაბლობის აღრედა შუაბრინჯაოს ხანის კერამიკის ერთი ჯგუფის წარმომავლობისათვის. თბ., 1998, 12 გვ., ტაბ., რეზ. ინგლ. ენ., ბიბლიოგრ.: 19 სხწ.
- 128.** ჯორბენაძე ბ. არქეოლოგიური პლევის ცენტრი 1997 წელს. – ძიებანი, № 1, თბ., 1998, გვ. 95-100, რეზ. რუს. და ინგლ. ენ.
- 129.** ჯორბენაძე ბ. არქეოლოგიური მასალები აღმოსავლეთ საქართველოში შემთხვევით აღმოჩენილი სამართვებიდან. – ფსაბ, VI, 1998, გვ. 40-48, ილ., რეზ. რუს. და ინგლ. ენ., გვ. 110, ბიბლიოგრ.: 31 სხწ.
- 130.** ჯორბენაძე ბ. სესია არქეოლოგიურ კვლევის ცენტრში. – მმ, № 2, 1998, გვ. 35-37, რეზ. ინგლ. ენ., გვ. 55.
- 131.** ჯორბენაძე ბ. (შემდგენელი) ვახტანგ ჯაფარიძის შრომების ბიბლიოგრაფია. – დმანისი, I, თბ., 1998, გვ. 58-65, რეზ. რუს. ენ., გვ. 241, ინგლ. ენ., გვ. 258.
- 132.** ჯორბენაძე ბ. მеждународная научная сессия "Археология Кавказа: Новейшие открытия и перспективы" (Тбилиси, 1997). – Российская археология, 14, 1998, с. 233-238.
- 133.** ლორქიპანიძე Օ. Греческий мир и Кавказ. – Caucasica. The Journal of Caucasian Studies, volume 1, 1998, Tbilisi, p. 122-127.
- 134.** ლორქიპანიძე Օ. Д. Проблемы археологии Грузии в трудах академика Б. Б. Пиотровского. – К 90-летию со дня рождения, эрмитажные чтения памяти Б. Б. Пиотровского (14. 11. 1908 – 15. 10. 1990). Тезисы докладов. Санкт-Петербург, 1998, с. 46-48.
- 135.** ჭუხიშვილი ი. Позднеримские монеты IV в. на территории Западной Грузии. – VI Всеросийская нумизматическая конференция. Санкт-Петербург, 1998.
- 136.** ჭიკოვანი გ. Ч. О некоторых лексических соответствиях древних переднеазиатских и иберийско-кавказских языков. – Девятый международный коллоквиум Европейского общества кавказоведов. Посвящается 100-летию со дня рождения акад. А. С. чикобава. Тезисы докладов. Махачкала, 1998, с. 16-17.
- 137.** Chkonia A. Units in Colchian Goldsmithery. – Musikometrika. Units in Text and Language: An Interdisciplinary Approach, II, Bochum, Universitätsverlag Dr. N. Brockmeyer, 1998, p. 112-119, ill., bibliogr.: 117-119.
- 138.** Djaparidse O. Zur Ethnokulturgeschichte der alten Bevölkerung Kaukasiens. – Caucasica. The Journal of Caucasian Studies, volume 1, 1998, Tbilisi, p. 46-54.
- 139.** Gamkrelidze G. Ein Rhyton mit Götterdarstellung aus der Kolchis. – Archäologische Mitteilungen aus Iran und Turan, Berlin, 1998, No. 2, p. 207-212, bibliogr., p. 211-212.
- 140.** Lordkipanidze Ot. On the Protection of the Cultural Heritage of the Past. – Conservation of the Biological Diversity as a Prerequisite for Sustainable Development in the Black Sea Region. Nato asi series, 2, Environment, Vol. 46, Dordrecht, 1998, p. 345-349.

სლოვნა

უგრელიძე ნინო ნიკოლოზის ასული (24. XII. 1922, თბილისი – 10. 1. 1998, თბილისი), ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი (1955). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1942). 1942-1946 წლებში მუშაობდა მცხეთა-არმაზის არქეოლოგიურ ექსპედიციაში. 1945 წლიდან ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიის განყოფილების უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი, ხოლო 1959 წლიდან – უფროსი მეცნიერ თანამშრომელი.

1958-1961 წწ. ხელმძღვანელობდა არქეოლოგიურ გათხრებს ორბეთში (თეთრიწყაროს რ-ნი), ხოლო 1957, 1959-1960 წწ. ნატბეურში (მცხე-

თის რ-ნი), სადაც გამოვლენილი და შესწავლილია მინის საწარმოს ნაშთები აღრეული და განვითარებული შუა საუკუნეებისა. 1973-1976 წწ. ხელმძღვანელობდა რუსთავის არქეოლოგიურ ექსპედიციას. გარდა ამისა, მონაწილეობდა არქეოლოგიურ გათხრებში არმაზისხევში, მარტაზისხევში, ბიჭვინთაში და სხვ.

1981-1985 წწ. მონაწილეობას ღებულობდა აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის ძველი მინის კატალოგის I ტომის შედგენაში, რომელიც მზადდებოდა მოსკოვის უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრის, პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის მატერიალური კულტურის ინსტიტუტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მონაწილეობით.

6. უგრელიძე მონაწილეა მრავალი სამეცნიერო სესიისა, მათ შორის ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო სიმპოზიუმისა თბილისში (1983) და ბიზანტიოლოგიის პრობლემისა და ყირიმის შუა საუკუნეების ისტორიისადმი მიძღვნილი XI საკავშირო სესიისა სევასტოპოლში (1983).

6. უგრელიძე 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. დაწერილი აქვს ორი ნარკევეი IV-XIII სს. აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის მინის ჭურჭლის ფორმების დასახელების პრინციპებზე და სახელწოდებებზე. ნარკევები ითარგმნა ფრანგულად და გაიგზავნა ვარშავის მატერიალური კულტურის ინსტიტუტში.

წლების მანძილზე თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში კითხულობდა კურსს ზოგად არქეოლოგიაში და მხატვრული მინის ისტორიაში. 6. უგრელიძე იყო საქართველოში მინის წარმოების ისტორიისა და მინის ნაწარმის საუკეთესო სპეციალისტი.

თხზ.: ფარშვანგის გამოსახულებით შემული მინის ჭურჭელი სამთავროდან. – მიმომხილველი, ტ. II, 1951, გვ. 301-314; კაჭრეთში აღმოჩენილი სამარხი. – მსკა, ტ. I, 1955, გვ. 115-117; მინა ძველ საქართველოში. თბ., 1961, 14 გვ; ნატებეურის მინის საწარმო. – მსკა, ტ. III, 1963, გვ. 61-67; ადრეულ შუასაუკუნეთა ქართლში მინის წარმოების ისტორიისათვის. თბ., 1967, 160 გვ; კუხეთის რუსთავის ციხე-ქალაქი. – მმ, № 47, 1978, გვ. 35-40; მოზაიკური ჭურჭელი ბიჭვინტის ნაქალაქარიდან. – მმ, № 68, 1984, გვ. 33-35; მინის ოთხი გრავირებული ჭურჭელი ბიჭვინტის ნაქალაქარიდან. – ფსაძ, ტ. V, 1987. გვ. 68-77; Раскопки Мартазис-хевского некрополя I-VIII вв н.э. – АПФГ, т. II, 1974, с. 244-249; Итоги работы Руставской археологической экспедиции. – ПАИ, 1975 (1978), с. 86-89 (в соавторстве); Отчет работы Руставской археологической экспедиции 1976 года. – ПАИ, 1976 (1979), с. 242-247 (в соавторстве);

Стеклянные сосуды с раннехристианскими символами из Бичвинтского городища. – IV Международный симпозиум по грузинскому искусству. Тб., 1983, 5 с.; Стеклоделие древней Грузии. – XVth International Congress on class. Leningrad, 2-7 July 1989. Proceedings Archaeometry. Москва, 1989, с. 71-75; Кавказ и сопредельные страны по материалам стеклоделательного производства. – I Miedzynarodowy Kongres Archeologii Slowianskiej, t.V – Nadbitka, 1970, с. 301-314.

ბოხოჩაძე ალექსი გლადიმერის ძე (30.IX. 1928, ს. ალავერდი, ზესტაფონის რ-ნი – 19. II. 1998, თბილისი), ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი (1964). დაამთავრა თსუ-ის ისტორიული ფაკულტეტი (1955). 1956 წლიდან მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტში, 1991 წლიდან არქეოლოგიური კვლევის ცენტრის წამყვანი მეცნიერ თანამშრომელია.

ა. ბოხოჩაძე მონაწილეა არქეოლოგიური კვლევა-ძიებისა მცხეთაში, სარკინეში, ქართლში, თბილისში, თეთრი წყაროში, ბოლნისში, ხოვლეში, ბიჭვინთაში და სხვ. 1971 წლიდან ხელმძღვანელობდა ნასტაკისის არქეოლოგიურ ექსპედიციას, რომელმაც დიდი მასშტაბის არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა მცხეთისა და კასპის რაიონებში – ნასტაკისის, ძალისის, სარკინეს, აღაიანისა და მუხრანის ტერიტორიის ტერიტორიაზე. მისი საველე საქმიანობა ხშირად დაკავშირებული იყო ახალმშენებლობებთან, რის შედეგადაც შესწავლილია არაერთი საყურადღებო ძეგლი. ა. ბოხოჩაძის სამეცნიერო კვლევის სფეროში ძირითადად შედიოდა ანტიკური და შუა საუკუნეების ძეგლები.

მონაწილეობდა სხვადასხვა სამეცნიერო სესიების მუშაობაში, მათ შორის რესპუბლიკის გარეთაც. სამეცნიერო ნაშრომები გამოქვეყნებულია უკრნალებში, კრებულებში და წარმოდგენილია მონოგრაფიების სახით.

თხზ.: მეცნიერება-მეცნიერება ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით. თბ., 1963, 180 გვ. ადრეანტიკური ხანის სამარხები თეთრიწყაროს მახლობლად. – მსკა, ტ. III, გვ. 27-38; მასალები შუაფეოდალური ხანის მცხეთის ისტორიისათვის. – ფსაძ, ტ. I, 1969, გვ. 20-26; ლოქის ხეობის ნახოფლარი. – მსკა, ტ. V, 1973, გვ. 71-10; ნასტაკისი, სარკინე, ძალისი. – მმ, № 33, 1973, გვ. 36-45; ნაქალაქარი ძალისა. – მმ, № 46, 1977, გვ. 17-25; მასალები მცხეთის რაიონის არქეოლოგიური რუკისათვის. – მაცნე. ისტორიის ... სერია, № 4, 1977, გვ. 138-153; „მუელი მცხეთის“ ლოკალიზაციის საკითხები. – ფსაძ, ტ. III, 1978, გვ. 5-26; ანტიკური ხანის ქართლის სამეფოს ქალაქების ისტორიის ზოგიერთი საკითხი. – სას, ტ. II,

1979, გვ. 3-24; არქეოლოგიური გათხრები აღაიანსა და ძალისში. თბ., 1981, 107 გვ; ძალისში ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სასახლე, აბსიდებიანი ნაგებობა და საცურაო აუგი. – გვ. № 4, 1987, გვ. 25-30; Результаты работ археологической экспедиции на новостройках двуречья Ксани и Арагви. – Археологические исследования на новостройках Грузинской ССР. Тб., 1976, с. 66-78; Настакисская экспедиция. – АО, 1976 (1977), с. 467-469; Раскопки городища Саркинэ в "Грдзели миндори". – АО, 1976 (1977), с. 469-470; Настакиси, Саркинэ, Дзалиси – города Иберии античной эпохи. – КСИА, 151, 1977, с. 93-102; Основные итоги работ Настакисской археологической экспедиции в 1975-1979 гг. – Археологические исследования на новостройках Грузинской ССР. Тб., 1982, с. 111-123 (в соавторстве); Городище античной эпохи Дзалиса. – არქეოლოგია, კლასიკური ფილოლოგია, ბიზანტიისტიკა. – თსუ, შრომები, 249, თბ., 1984, გვ. 56-85; Итоги работ Настакисской экспедиции. – ПАИ, 1987 (1995), с. 110-113 (в соавторстве).

მიქელაძე თეიმურაზ კონსტანტინეს ძე (17. IV. 1925, თბილისი – 14. VII. 1998, თბილისი), ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი (1953), ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1969), პროფესორი (1972). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1949). 1949-1952 სწავლობდა უნივერსიტეტის ასპირანტურაში არქეოლოგიისა და ძველი ისტორიის სპეციალობით. 1952-1955 თელავის სახელმწიფო ჰედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მაცწავლებელი. 1956-1977 ისტორიის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი. შემდგომ უფროსი მეცნიერ თანამშრომელი. 1977-1998 ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში და არქეოლოგიის ისტორიის, თეორიისა და ინფორმაციის განყოფილების ხელმძღვანელი. მ. მიქელაძე იყო არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

1944 წლიდან მონაწილეობდა არქეოლოგიურ გათხრებში არმაზისხევში, სამთავროში, სარკინებში, თბილისში, ბიჭვინთაში, ვანში, ენგურში. 1961-1966 ხელმძღვანელობდა ფოთის არქეოლოგიურ ექსპედიციას.

1971 წლიდან გარდაცვალებამდე კოლხეთის არქოლოგიური ექსპლორიციის ხელმძღვანელია.

კონტინუური არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დიდი
და ნაყოფიერი სამუშაო ჩაატარა ფაზისის ის-
ტორიის პრობლემის შესწავლასთან დაკავში-
რებით. გამოავლინ და შეისწავლა კოლხეთის
დაბლობის გორანამოსახლარები. კოლხეთის არ-
ქეოლოგიურმა ექსპედიციამ ახალმგებელობე-

ბის ტერიტორიებზე გამოიკვლია არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი.

თ. მიქელაძე მუშაობდა ბრინჯაოსა და ანტიკური პერიოდების, კერძოდ ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის პრობლემებზე. გამოკვლევების დიდი ნაწილი მიეძღვნა ძველი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის ისტორიისა და კულტურის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს როგორიცაა ეთნიკური შემადგენლობა, ძველი კოლხი მელითონე ტომბები, პერიოდიზაცია, კოლხეთში ბერძნული კოლონიზაციის ხასიათი, საზოგადოებრივი და სოციალურ-ეკონომიკური წყობა და სხვ. არქეოლოგიურ მასალებთან ერთად ფართოდა გაანალიზებული ძველი აღმოსავლური და ბერძნულ-რომაული წერილობითი წყაროები.

თ. მიქელაძეს ეკუთვნის ცონბილი ბერძენი მწერლის ქსენოფონტის „ანაბასისის“ თარგმანი კომენტარებით, რომელიც გამოიცა ცალკე წიგნად.

თ. მიქელაძე, აგრეთვე, ეწეოდა ნაყოფიერ პე-
დაგოგიურ მოღვაწეობას. თბილისის სახელმწი-
ფო უნივერსიტეტში წლების მანძილზე კითხუ-
ლობდა ლექციებს ძველი აღმოსავლეთისა და
ანტიკურ ისტორიაში. ისტორიის ფაკულტეტზე
მიჰყავდა სპეციურისი ქართველი ტომების ეთნო-
გენეზისის შესახებ არქეოლოგიური მასალების
მიხედვით. ხელმძღვანელობდა ასპირანტებს და
ახალგაზრდა მეცნიერ თანამშრომლებს. არქეო-
ლოგიურ კვლევის ცენტრში, ბათუმისა და სო-
ხუმის ინსტიტუტებში.

მონაცილეობდა საინსტიტუტო, რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე არქეოლოგისა და ძეგლი ისტორიის დაწესი.

თ. მიქელაძე იყო წევრი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კომისიისა, ისტორიის ინსტიტუტისა და ცენტრის საკალიფიკაციო და სამეცნიერო საბჭოებისა.

წლების მანძილზე რედაქტორებას უწევდა სხვადასხვა გამოცემებს, იყო ოპონენტი მთელი რიგი დისერტაციებისა.

დიდი დვაწლი მიუძღვის ო. მიქელაძეს საქართველოში ახალმშენებლობათა ზონებში არქოლოგიური კლევა-ძიგის ორგანიზაციაში.

თ. მიქელაძეს ეპუთინის 100-ზე მეტი
სამეცნიერო ნაშრომი, რომლის დიდი ნაწილი
გამოქვეყნებულია როგორც საქართველოში, ისე
საზღვარგარეთ. მათ შორისაა რამდენიმე მონო-
გრაფია.

თხზ.: ფასიანების სადაურობისა და ადგილ-
სამყოფელის გარკვევის საკითხისათვის. – მსკი,
ნაკვ. 32, 1955, გვ. 23-37; სამხრეთ-აღმო-
სავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახ-
ლეობის ისტორიისათვის (სკვითინები). – სმამ,
ტ. XIX, 1957, გვ. 633-639; ბიჭვინტის ორ-
აპსილიანი ეკლესია. – მსკა, ტ. III, 1963, გვ.
125-131; სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირე-
თის უძველესი მელიორნე ტომების ლოკალი-

ზაციისათვის. – მაცნე, 3, 1966, გვ. 126-136; „ქართული კულტურის „ანაბასისი“. თბ., 1967, 157 გვ; ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის IV უბანზე 1960-1961 წწ. ჩატარებული საველე მუშაობის შედეგები. – ვანი, I, არქეოლოგიური გათხრები 1947-1969, თბ., 1972, გვ. 96-100 (თანაავტორობით); ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორია. თბ., 1974, 212 გვ; ძესხთა საკითხისათვის. – ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბ., 1976, გვ. 110-119; აფსარ-გონი ძველი ქართული ციხე-ქალაქი. – მმ, № 46, 1977, გვ. 35-37; არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე. თბ., 1978, 114 გვ; გონის განძი. თბ., 1980, 90 გვ. (თანაავტორობით); კოლხეთის ადრეკინის ხანის სამაროვანები. თბ., 1985, 134 გვ; სამეცნიერო კვლევა-ძიება არქეოლოგიის დარგში. – ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. თბ., 1988, გვ. 117-142; О некоторых итогах полевых исследований в Колхидской низменности в зонах новостроек. – Археологические исследования на новостройках Грузинской ССР, Тб., 1976, с. 95-101 (в соавторстве); Колхский могильник VII-VI вв до н.э. в с. Нигзиани. – КСИА, 151, 1977, с. 33-39 (в соавторстве); Некоторые итоги раскопок поселений VI-V вв. до н.э. в районе устья р. Риони (Фасиса). – КСИА, 151, 1977, с. 12-23; Новейшие открытия памятников культуры и искусства Грузии античной эпохи. – II Международный симпозиум по грузинскому искусству. Тб., 1977, 16 с. (в соавторстве); Материалы к археологии "хоры" древнего Фасиса. – Материалы I Всесоюзного симпозиума по древней истории Причерноморья. Цхалтубо – 1977, Тб., 1979, с. 327-332; О времени начала и характере греческой колонизации в Восточном Причурноморье. – Историко-филологические разыскания, т. I, Тб., 1980, с. 164-170; О демографической ситуации в Восточном Причурноморье (Колхиды) в период Великой греческой колонизации. – Материалы II Всесоюзного симпозиума по древней истории Причурноморья. Цхалтубо – 1979, Тб., 1981, с. 292-314 (в соавторстве); Основные результаты полевых исследований Колхидской археологической экспедиции. – ПАИ, 1980 (1982), с. 31-35; О некоторых результатах полевых исследований в зонах новостроек Колхидской низменности в деситой пятилетке. – Археологические исследования на новостройках Грузинской ССР. Тб., 1982, с. 75-89; Раскопки в с. Эргета. – АО, 1981 (1983), с. 412-413; Древнеколхидское

поселение Намчедури. I. Тб., 1985, 117с. (в соавторстве); К истории местного населения Юго-Восточного Причурноморья. – Материалы IV Всесоюзного симпозиума по древней истории Причурноморья. Цхалтубо – Вани, 1985. Тб., 1988, с. 184-206; К археологии Колхиды. Тб., 1990, 111 с; История изучений памятников средней бронзы Южного Кавказа. – Археология. Эпоха бронзы Кавказа и Средней Азии. Ранний и средний бронза Кавказа. М., 1994, с. 58-66 (в соавторстве); Протоколхская культура. – Археология. Эпоха бронзы Кавказа и Средней Азии. Ранний и средний бронза Кавказа. М., 1994, с. 67-74; Le littoral oriental de la Mer Noire (Colchide) durant la colonisation grecque. – Dialogues d'histoire ancienne, 6, Paris, 1980, p. 41-58 (თანაავტორობით); Namcheduri, ein bronze – bis eisenzeitlicher Siedlungshügel am Schwarzen Meer. – Beiträge zur allgemeinen und vergleichenden Archäologie, Band. 6 გ. Bonn, 1984, p. 199-226 (თანაავტორობით); La Colchide aus VII^{éme} -V^{éme} siècles. Sources écrites antiques et archéologie. Symposium de Vani (Colchide) – septembre-octobre 1987, Paris, 1990, p. 167-187 (თანაავტორობით); Crosse Kollektive Crabgruben der frühen Eisenzeit in Kolchis. – Archäologischer Anzeiger, Heft I, Berlin – New York, 1995, p. 1-22.

მიწიშვილი მარინა ნიკოლოზის ასული
(11. VI. 1928, თბილისი – 17. IX. 1998, თბილისი), ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი (1970), ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1998). დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1953). 1950-1957 მონაწილეობას ღიბულობდა არქეოლოგიურ ექსპედიციებში: იორ-უჯარმა, ბიჭვინთა, აბელია, ბულაჩაური, მცხეთა, ხოვლე, სიონი. 1953-1956 მუშაობდა ხელშეკრულებით ლაბორანტად ისტორიის ინსტიტუტში. 1957 მუშაობა დაიწყო ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურ განყოფილებაში უფროს ლაბორანტად, ხოლო 1961 გადაყვანილია უმცროს მეცნიერ თანამშრომლის თანამდებბაზე. 1974 წლიდან ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ხოლო 1997 არქეოლოგიური კვლევის ცენტრის შუა საუკუნეების ხანის არქეოლოგიის განყოფილების წამყვანი მეცნიერ თანამშრომელია. სხვადასხვა დროს მონაწილეობდა არქეოლოგიურ ექსპედიციებში: თბილისში, რუსთავში, ორბეგში, ქუთაისში და სხვ. 1972 ხელმძღვანელობდა რუსთავის არქეოლოგიურ ექსპედიციას.

მ. მიწიშვილი მუშაობდა ვანის არქეოლოგიურ ექსპედიციაში და ხელმძღვანელობდა ს. ცი-

ხესულორის ციხის გათხრებს 1970-1973 წწ. 1981 მიწვეული იყო ბულგარეთში მელნიკის არქეოლოგიურ ექსპედიციაში სამუშაოდ.

მ. მიწიშვილის კვლევის სფერო იყო შუა საუკუნეების საქართველოს კერამიკა. მან შეისწავლა არა მარტო საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი კერამიკა, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მ. მიწიშვილმა განსაკუთრებული ამაგი დასდო ხელოსნობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის – მეთუნეობის ისტორიის კვლევას. ახალ საფეხურზე აიყვანა მოჭიქული კერამიკის შესწავლის საქმე, დაადგინა მისი გენეზისი, განვითარების ეტაპები და გავრცელების არეალი.

მ. მიწიშვილი მონაწილეობას ღებულობდა საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო სესიების მუშაობაში, სადაც წაკითხული აქვს მოხსენებები. 1985 თბილისში მისი ინიციატივით მოეწყო I სიმპოზიუმი „ამიერკავკასიის მრავალფერად მოჭიქული კერამიკა – მისი საწყისი და გავრცელების გზები“. სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს არქეოლოგებმა: თბილისიდან, მოსკოვიდან, სანკტ-პეტერბურგიდან, ოდესიდან, სიმფეროპოლიდან, სევასტოპოლიდან, ეკატერინებურგიდან, გროზნოდან, ბაქოდან და ერევნიდან.

1984 წლიდან მუშაობდა ნარკვევების მოსამზადებლად საქართველოს შუა საუკუნეების არქეოლოგიის ისტორიის საკითხებზე.

მ. მიწიშვილი ყოველწლიურად მაღალ დონეზე ასრულებდა სამეცნიერო კვლევითი გეგმით გათვალისწინებულ თემებს.

მრავალტომეულისათვის ძარხეოლოგიაში რომელიც გამოიცემა მოსკოვში, დაწერა განმაზობელი ნარკვევი "Средневековая поливная керамика Грузии IX-XVIII вв.".

1998 საქართველოს მეცნიერებათა აკადემის გრანტით დაიწყო მუშაობა თემაზე „საქართველოს კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობა შავი ზღვის ჩრდილოეთ და დასავლეთ რაიონებთან XII-XIV სს“.

იგი ავტორია 80-მდე სამეცნიერო ნაშრომისა, რომლის დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია.

თხზ.: თბილისური კერამიკა. – სხ, № 9, 1965, გვ. 46-50; IX-X საუკუნეების ქართული მოჭიქული კერამიკა. – მაცნე, 2, 1967, გვ. 285-294; მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში IX-XIII სს. თბ., 1969, 99 გვ.; თბილისის დედაციხეზე აღმოჩენილი მოჭიქული კერამიკა – ფსაბ, ტ. II, 1974, გვ. 189-200; რუსთავის ციხეზე წარმოებული თხრის ანგარიში. – საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1972 წელს. თბ., 1973, გვ. 95-98 (თანაავტორობით); მოჭიქული კერამიკის განვითარების ძირითადი ეტაპები შუა საუკუნეების საქართველოში. – მაცნე. ისტორიის... სერია, № 1, 1975, გვ. 152-158; ქართული მოჭიქული ჭურჭლის წარმოების ისტორიიდან. თბ., 1976, 64 გვ.; ციხესულორის

ნაციხარზე წარმოებული არქეოლოგიური თხრის შედეგები. – ვანი, II, თბ., 1976, გვ. 32-47; 1973 წელს ციხესულორის ნაციხარის თხრის ანგარიში. – ვანი, III, თბ., 1977, გვ. 43-51; მოჭიქული კერამიკის საწარმო შუა საუკუნეების თბილისში. თბ., 1979, 81 გვ.; მხატვრული კერამიკის ერთი ჯგუფის შესახებ. – სას, II, 1979, გვ. 25-31; თბილისის კერამიკულ სახელოსნოთა (IX-XIII სს) შესწავლილობა. – მმ, № 68, 1984, გვ. 36-38; მრავალფერად მოჭიქული კერამიკის გავრცელების საკითხისათვის. – ფსაბ, ტ. VI, 1998, გვ. 81-88; 1972 წელს რუსთავის ციხეზე წარმოებული (სამხრეთ სექტორის) თხრის ანგარიში. – რუსთავი, II, თბ., 1998, გვ. 45-66; Полихромная поливная керамика, как источник установления культурных связей XII-XIV вв. – Материалы I симпозиума по проблеме "Полихромная поливная керамика Закавказья – истоки и пути распространений". Тезисы. Тб., 1985, с. 3-18; Полихромная поливная керамика (XII-XIII вв) из Тбилиси и Рустави. – Материалы I симпозиума по проблеме "Полихромная поливная керамика Закавказья – Истоки и пути распространения. Тезисы. Тб., 1985, с. 42-45; Византийская поливная керамика, украшенная рельефным орнаментом. Тб., 1991, 10 с. Препринт; Byzantine glazed pottery decorated with relief ornaments. Tbilisi, 1991, 11p. Preprinter; Полихромная поливная керамика, как источник установления культурных связей XII-XIV вв. – Bulgaria pontica medee aeri III, Nessebre, 1985, Sofia, 1992, с. 285-292.

ბესარიონ ჯორბენაძე
ხათუნა ჯორბენაძე

ЦЕНТР АРХЕОЛОГИЧЕСКИХ ИССЛЕДОВАНИЙ В 1998 ГОДУ (резюме)

В Центре научно-исследовательская работа проводилась по разным направлениям.

Выполнены темы по гранту Академии наук Грузии и Центра.

Проведены научные форумы: 1. Сессия, посвященная итогам полевых археологических исследований в Грузии в 1997 году; 2. Коллоквиум "Иберийская культура позднеантичного периода"; 3. Пятая сессия "Всемирный культурно-исторический процесс и Грузия"; 4. Международный симпозиум "Первобытный человек у порога Европы"; 5. Первый международный симпозиум "Проблемы археологии

Ирана и Грузии" с участием Института археологии Тегеранского университета. Кроме того, сотрудники Центра приняли участие в "Археологической конференции Кавказа – I", в международной конференции "Тбилиси-Иерусалим 2" и коллоквиуме в Стамбуле "От Евфрата до Кавказа: IV-III тыс. до н.э".

На "Археологических беседах" заслушано 21 докладов.

На семинаре по христианской археологии прочитано пять докладов.

Диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук защитили: М. Барамидзе, Д. Кацарава, М. Мицишвили, А. Рамишвили, а кандидата исторических наук – Л. Коркия, Р. Папуашвили, Р. Хвистани.

Археологические раскопки и разведки проведены на разновременных памятниках, в том числе и в зоне новостроек. Работали экспедиции: 1. Горийская; 2. Горных регионов Восточной Грузии; 3. Гурийская; 4. Ванская; 5. Дигомско-Дидгорская; 6. Дманиssкая совместно с Римско-германским центральным музеем г. Майнца; 7. Кахетская совместно с университетами Тюбингена и Галле; 8. Каспийская; 9. Колхидская; 10. Кутаисская; 11. Кухетская; 12. Лочинская; 13. Месхетская совместно с Монреальным университетом; 14. Настакисская; 15. Сванетская; 16. Иорского ущелья; 17. Тбилисская; 18. Хашурская; 19. Цалкская; 20. Эгрисская; 21. Южно-грузинского нагорья.

Сотрудники Центра по приглашениям и стипендиям ездили в зарубежные научные центры (Германия, Франция, Швейцария, Великобритания, Греция, Израиль и США), где работали в библиотеках, читали лекции и доклады на сессиях.

Библиотека, при посредстве контактов с научными центрами республики и зарубежья, обогатила книжный фонд.

Центр участвовал в организации постоянных и временных археологических выставок.

В Центре организован кабинет, носящий имя основоположника научного изучения глиптических памятников Грузии М. Лордкипанидзе.

В республиканских газетах сотрудники Центра напечатали статьи по археологии на грузинском, русском и армянском языках.

В 1998 году сотрудники Центра опубликовали монографии, статьи и тезисы 140 названия, как в республике, так и за рубежом.

В хронике помещены некрологи, посвященные памяти Н. Угрелидзе, А. Бохочадзе, Т. Микеладзе и М. Мицишвили.

В. А. Джорбенадзе
Х. В. Джорбенадзе

THE CENTRE FOR ARCHAEOLOGICAL STUDIES IN 1998
(Summary)

Research work at the Centre was carried on along different lines.

Themes have been fulfilled by the grant of the Georgian Academy of Sciences and the Centre. Scientific forums were held: 1. Session devoted to the results of field archaeological studies in Georgia in 1997; 2. Colloquium on "The Iberian Culture of the Late Classical Period"; 3. Fifth Session on "The World Cultural-historical Process and Georgia"; 4. International Symposium: "Primitive Man at the Threshold of Europe"; 5. First International Symposium on "the Problem of the Archaeology of Iran and Georgia" with the participation of the Institute of Archaeology of Tehran University. Besides, the collaborators of the Centre took part in the "Archaeological Conference of the Caucasus 1", in the international conference: "Tbilisi-Jerusalem -2", and in the colloquium in Istanbul: "From the Euphrates to the Caucasus: the 4th-3rd Millennia B.C.".

Twenty-one papers were presented at the "Archaeological conversations" and five at a seminar on Christian archaeology.

Theses for a doctor's degree in history were defended by M. Baramidze, D. Kacharava, M. Mitsishvili, A. Ramishvili, and for Candidate (in history) by L. Korkia, R. Papuashvili, and R. Khvistani.

Archaeological excavations and explorations were carried out on sites of different periods, including in the zone of construction sites. The following expeditions were involved: 1. Gori; 2. – Mountain Regions of Eastern Georgia; 3. Guria; 4. Vani; 5. Dighomi-Didgori; 6. Dmanisi, jointly with the Römisch-Germanischen Zentralmuseums, Mainz; 7. Kakhetian, jointly with the Universities of Tübingen and Halle; 8. Kaspi; 9. Kolkheti; 10. Kukheti; 12. Lochini; 13. Meskheti, jointly with the University of Montreal; 14. Nastakisi; 15. Svaneti; 16. Iori gorge; 17. Tbilisi; 18. Khashuri; 19. Tsalka; 20. Egrisi; 21. South-Georgian Upland.

Through invitations and scholarships, collaborators of the Centre visited foreign centres of learning (Germany, France, Switzerland, Great Britain, Greece, Israel and the USA) where they worked at libraries, delivered lectures and presented papers at sessions.

Through contacts with scientific and scholarly centres of the Republic and abroad, the Library has enriched its book holdings.

The Centre participated in the organization of permanent and ad hoc archaeological exhibitions.

A seminar named after M. Lordkipanidze, the founder of the study of glyptic remains of Georgia, has been organized at the Centre.

Collaborators of the Centre published articles on archaeology in republican newspapers, in Georgian, Russian and Armenian.

In 1992 collaborators of the Centre published monographs, papers and abstracts of 140 titles, both in the Republic and abroad.

Obituaries dedicated to the memory of N. Ugrelidze, A. Bokhochadze, M. Mitsishvili and T. Mikeladze are published in the Chronicle.

B. Jorbenadze
Kh. Jorbenadze

გახსენება

აღმესაძე პალაცი (1909-1976)



გამოჩენილ ქართველ არქეოლოგს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს პროფესორ ალექსანდრე ნესტორის ძე კალანდაძეს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდებოდა. იგი დაიბადა 1909 წლის 2(15) აპრილს ს. ხიდისთავში (ჩოხატაურის რაიონი), გლეხის ოჯახში. საშუალო განათლება ფოთში მიიღო, შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მაგრამ მის რეორგანიზაციისათან დაკავშირებით დამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტი ისტორიის სპეციალობით 1931 წელს. 1931-1933 წლებში მუშაობდა ქ. დუშეთის კოლმეურნე ახალგაზრდობისა და ათწლიანი შრომითი სკოლების ისტორიისა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 1933-1937 წლებში ალ. კალანდაძე ქ. სანკტ-პეტერბურგში სწავლობდა, იყო მატერიალური კულტურის ისტორიის 6. მარის სახ. სახელმწიფო აკადემიის ასპირანტი. თვალსაჩინო მეცნიერების – 6. მარის, ი. მეშჩანინვის, ვ. სტრუვეს და ა. ორბელის სელმდღვანელობით მუშაობდა პირველყოფილი საზოგადოების ისტორიის პროფესიონალის პირველებზე. ასპირანტურაში სწავლის პერიოდში მონაწილეობდა შუა ურალის (1934 წ.), აფხაზეთის (1935 წ.) და გურია-სამეგრელოს (1936 წ.) შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობაში. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, 1937 წლიდან იგი ყოფილი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტი-

ტუტში მუშაობს პროფ. გ. ნიორაძის სელმდღვანელობით, ჯერ უმცროს, შემდეგ უფროს მეცნ. თანამშრომლად, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში არქეოლოგის განყოფილების უფროს მეცნიერ თანამშრომლად და აგრეთვე საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის კომიტეტში არქეოლოგ-ინსტრუქტორად. 1937 წ. ალ. კალანდაძე მუშაობდა მეზოლითური და ნეოლითური კულტურის ნაშთების შემსწავლელ ექსპედიციაში დასავლეთ საქართველოში, ხოლო 1937 წლიდან 1941 წლამდე მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ერთ-ერთი რაზმის ხელმძღვანელია.

ალ. კალანდაძე მეორე მსოფლიო ომის მონაწილე იყო, 1941 წლიდან 1945 წლამდე.

1945 წლის ოქტომბრიდან ალ. კალანდაძე დაუბრუნდა სამეცნიერო და საველე-არქეოლოგიურ საქმიანობას. ის ჯერ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიის განყოფილებას ხელმძღვანელობდა, ხოლო 1951 წლიდან კვლავ ივ. ჯავახიშვილის სახელმძღვანელოს ისტორიის ინსტიტუტში მუშაობდა, ჯერ უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო მოგვიანებით, გარდაცვალებამდე (1976 წ. 15 ნოემბერი) ქვის ხანის არქეოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი იყო. ალ. კალანდაძემ 1947 წელს დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის, ხოლო 1968 წ. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 1970 წ. მას მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება არქეოლოგიის სპეციალობით.

ალ. კალანდაძე ქართველ არქეოლოგთა იმ რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც 30-იანი წლების მეორე ნახევარში პირველი დიდი არქეოლოგიური ექსპედიციის მოწყობა და სელმძღვანელობა იტვირთეს. იგი იყო ივ. ჯავახიშვილისა და ს. ჯანაშიას თაოსნობით მცხეთაში წამოწყებული დიდი არქეოლოგიური გათხრების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ალ. კალანდაძე უძღვებოდა ამ ექსპედიციის პირველ რაზმს, რომელმაც მიაკვლია და გამოამზურა ანტიკური ხანის ბრწყინვალე ძეგლი – პიტიახშთა ნამოსახლარ-განსაკუნძული არმაზისხევის შესართავთან. ალ. კალანდაძე თანაავტორი იყო ფუნდამენტური მონოგრაფიისა – „მცხეთა I“. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე იგი მუშაობდა სამთავროს სამაროვნის გათხრებზე და იქ მოპოვებული მასალის მეცნიერულ პუბლიკაციებზე, რომელიც ახლო აღმოსავლეთის არქეოლოგიის დიდმნიშვნელოვან ძეგლად არის აღიარებული. 1980 წელს ალ. კალანდაძის ავტორობით გამოიცა მცხეთა

IV, ხოლო 1981-1982 წლებში მისი თანაავტორობით – მცხეთა V და VI.

აღ. კალანდაძე იყო ნეოლითური კულტურის პირველი აღმომჩენი საქართველოში (ოდიში). ხელმძღვანელობდა სამხრეთ ოსეთში წონის მრავალფენოვანი მღვიმური ნამოსახლარის არქეოლოგიურ გათხრებს, სადაც აშელის, მუსტის, მეზოლითისა და ენეოლითის პერიოდის უძრავი კულტურული ფენების არსებობა დადასტურდა. წონის მღვიმის გათხრების შედეგები დღეს ფართოდ არის ცნობილი როგორც ჩვენში, ასევე საზღვარგარეთ. ასევე დიდი მნიშვნელობისაა აღ. კალანდაძის ხელმძღვანელობით განხორციელებული გათხრები სოხუმში, სადაც გამოვლინდა გვიანბრინჯაოსა და ანტიკური ხანის ძეგლები, ხოლო წყალტუბოში გამოიკვლია ძველი ქვის ხანის მეტად საყურადღებო მღვიმური და დია ტიპის ნამოსახლარები, რომელთაც არა ერთი საყურადღებო ნაშრომი მიუძღვნა.

დიდია აღ. კალანდაძის დამსახურება ბრინჯაოს, ანტიკური და შუა საუკუნეების ხანის ძეგლების შესწავლის საქმეშიც. მისი სამეცნიერო ინტერესები მოიცავდა საკითხების ფართო წრეს – ქვის ხანის არქეოლოგიიდან მოყოლებული ადრეული შუა საუკუნეებით დამთავრებული.

აღ. კალანდაძე თანაავტორია „საქართველოს არქეოლოგიის“ პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს (1959 წ.), „საქართველოს ისტორიის ნარკვების“ პირველი ტომის (1970 წ.). მას ეკუთვნის მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც გამოქვეყნებულია როგორც ჩვენს ქვეყნაში, ისე საზღვარგარეთ და რომლებიც აშუქებენ ჩვენი შორეული წარსულის მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებს.


თავისი კვლევა-ძიების შედეგები ქვის ხანის დარგში აღ. კალანდაძეს ფართოდ გამოჰქონდა სათანადო დარგის სპეციალისტთა მსოფლიო კონგრესებზეც, როგორც დელეგატსა და მომსახურებელს (ანთროპოლოგთა და ეთნოგრაფთა VI მსოფლიო კონგრესი მოსკოვში, 1964 წ., სპელეოლოგთა IV მსოფლიო კონგრესი იუგოსლავიაში, 1965 წ. და სხვ.).

აღ. კალანდაძეს ახასიათებდა ზედმიწევნითი მეცნიერული კეთილსინდისიერება, დინჯად აწონდაწონვა საკითხებისა, ჯეროვანი განზოგადების უნარი. მისი თითოეული ნაშრომი ჩვენი არქეოლოგიის დადებითი და უეჭველად ღირებული შენაძალია. აღ. კალანდაძე წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მის სახელს უკავშირდება არქეოლოგიის დარგში მომუშავე სათანადო კადრების მომზადება. მან გამოზარდა ამ დარგში წარმატებით მომუშავე მკვლევარნი, არა მარტო საქართველოსთვის, არამედ კავკასიის სხვა რესპუბლიკებისთვისაც (ადიღე, აზერბაიჯანი, სომხეთი), რომელთაც მასთან გაიარეს საკულტო მუშაობის კარგი მეთოდური და პრაქტიკული სკოლა.

დღეს აღ. კალანდაძის მიერ გამოზრდილი ქართველი, ოსი, თუ აფხაზი მეცნიერები წარმატებით მუშაობენ არქეოლოგიის დარგში და ახალი აღმოჩენებით კიდევ უფრო ამდიდრებენ ჩვენი სამშობლოს ისტორიულ წარსულს. დაბადების 90 წლისთავზე მისი მეგობრები, კოლეგები, აღზრდილები პატივს მიაგებენ აღ. კალანდაძის ნათელ ხსოვნას.

მედეა ნიორაძე

ოთარ ლამბაშიძე (1924-1995)



საქართველოს ისტორიულმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა. 1995 წელს მის რიგებს გამოაკლდა შესანიშნავი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კელევის ცენტრის მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი ოთარ ლამბაშიძე, რომელმაც თითქმის მთელი შეგნებული ცხოვრება საქართველოს უძველესი წარსულის შესწავლას შეალია. იგი წლების მანძილზე უანგარო შრომით, დიდი გამოცდილებით და ცოდნით დაუღალავად იკვლევდა ქართულ მიწას ამოფარებულ უძველეს ძეგლებს, უტყუარ მოწმებს ჩვენი ერის დიდი წარსულისა. ოთარ ლამბაშიძის მოღვაწეობისათვის დამახასიათებელი იყო საქმისადმი უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა, ღრმა მეცნიერული ალლო და მოვლენათა სწორი ანალიზის უნარი. მისი ამ ქვეყნიდან წასვლა უთუოდ დიდი დანაკლისია ქართული მეცნიერებისათვის.

ო. ლამბაშიძე წლების მანძილზე რაჭისა და სხვა ექსპედიციების აქტიური მონაწილე იყო და შემთხვევითი არ არის, რომ მან თავისი პირველი წიგნი რაჭის სიძველეების შესწავლას მიუძღვნა. ამ საფურადლებო ნაშრომში მან ახლებურად დააყენა კოლხური კულტურის შესწავლასთან დაკავშირებული რიგი საკითხებისა. და მაინც მის მოღვაწეობაში მთავარი შესხეთ-ჯავახეთის მხარე იყო. რა თქმა უნდა, ეს მხარე ადრეც იქცევდა ყურადღებას, მაგრამ ოთარ ლამბაშიძე იყო პირველი, ვინც საქართველოს ამ დიდებული რეგიონის სისტემატურ არქეოლოგიურ შესწავლას დაუდო საფუძველი. ამ მხარისადმი სიყვარული მას ჯერ კიდევ მაშინ ჩაესახა, როდესაც სრულიად ახალგაზრდამ ვარძის მუზეუმ-ნაკრძალში დაიწყო მუშაობა.

ო. ლამბაშიძე დიდი გატაცებით იწყებს სამცხე-ჯავახეთის შესწავლას არქეოლოგიური თვალსაზრისით. არავის მანამდე ასე საფუძვლიანად ეს მხარე არ უკვლევია. იგი ზედმიწევნით იცნობდა ამ რეგიონს და მის თვალს არ გამოჰქარვია არც ერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი

ძეგლი. ფართო სადაზვერვო სამუშაოების შემდეგ ო. ლამბაშიძემ არ ერთი ახალი ძეგლი გამოამზურა. იგი დაუზარებლად უზიარებდა თავის ცოდნას და ყოველგვარი ყოფილის გარეშე დიდ დახმარებას უწევდა ყველას, ვინც კი ამ მხარის სიძველეების შესწავლისადმი იჩენდა ინტერესს. სამოცდაათიანი წლების დასაწყისში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიურმა ჯგუფმა წალკის პლატოდან ჯავახეთში გადმოინაცვლა სამუშაოდ. მეგზურად სწორედ ო. ლამბაშიძე დაუდგა ექსპედიციას და მაშინ ნათელი გახდა, თუ რამდენად საფუძვლიანად იცნობდა იგი ამ მხარეს, და სწორედ მან მიგვანიშნა ახჩიისა და ნიალის ველების ძეგლებზე, სადაც შემდგომში ექსპედიციამ თრიალეთის კულტურის ახალი კერა გამოავლინა. ო. ლამბაშიძე არაფერს იშურებდა, ოღონდ კი მისი საყვარელი მხარისათვის რაიმე სიკეთე მოეტანა. ბუნებით კეთილი, უპრეტენზიო, შევიდი, წენარი, ყოველგვარ ამბიციებს მოკლებული, ყოველთვის უკან მდგომი, სრულიად შეუვალი და უძრმბრომისო, თუ კი ეს საქმისადმი რაიმე ზიანის მომტანი იყო. მისმა გამოცდილებამ, ღრმა ცოდნამ, მოვლენების სწორედ დანახვის უნარმა განაპირობა მისი მეცნიერული მოღვაწეობის წარმატება.

სამცხე-ჯავახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ო. ლამბაშიძის თაოსნობით არა ერთი ბრწყინვალე ძეგლი გათხარა და შეისწავლა. სწორედ, არქეოლოგის დიდმა ალლომ შეაძლებინა მას მიეკვინა ამ დიდებული შეგლებისათვის. მარტო ბანისხევის, რველისა და სხვა სამაროვნები რად ლირს, სადაც ბრინჯაოს ხანის ბრწყინვალე, მანამდე უცნობი ხასიათის მასალები იყო აღმოჩენილი. მას სიცოცხლის ბოლომდე თითქმის არ გაუცდენია საველე მუშაობის არც ერთი სეზონი და დიდი ხალისით მიუწევდა გული მესხეთისაკენ. მან ჩითახევში მშენებირი არქეოლოგიური ბაზა დაარსა, სადაც გულთბილად ხედებოდნენ ყველა მიმსვლელს, ვინც საქმით იყო დაინტერესებული.

ბოლო წლებში ო. ლამბაშიძე დიდი მონცომებით მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალში. იგი დიდი ხალისით უზიარებდა თავის ცოდნასა და გამოცდილებას ახალგაზრდებს. აქაც, ისევე როგორც ყველა საქმეში, ო. ლამბაშიძე გამოიჩენდა დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით.

ოთარ ლამბაშიძის აღმოჩენებმა და მიღებულმა შედეგებმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. მის მიერ გამოვლენილი მასალებით არა ერთი სპეციალისტი დაინტერესდა როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. მისი მოხსენებები სესიებსა თუ კონფერენციებზე ყოველთვის დიდ ინტერესს იწევდა. სასიამოგნოა, რომ ო. ლამბაშიძის მიერ დაწყებულ საქმეს ასევე შედეგიანად მისი მოწაფეები აგრძელებენ და დღესაც არ ცხრება მეცნიერული ინტერესი საქართველოს ამ ერთ-ერთი გამორჩეული კუთხის, მესხეთის სიძველეებისადმი.

ოთარ ჯაფარიძე